VIII

## კარი მერვე

# ყარამანიანი

სპარსულიდამ ქართულად ნათარგმნი, სახლთხუცის და სარდლის თავ. დავით ორბელიანისაგან, „სამოთ სასმენელი“.

გამოცემა მეორე.

გამოცემული

დ. ლაზარევის-მიერ.

ტფილისი

მსწრაფლმბეჭდავი სტამბა არ. ქუთათელაძისა, ნიკ. ქუჩა № 21.

1903.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 11-го Іюня 1903 года.

# შინა-არსი

აქ დაიწყება შაჰპალ-შაჰის ქვეყნის ამბავი.—ჯინი-დევის წასვლა შაჰპალ-შაჰის ქვეყანას,—ბულიჯანის ომი და მრავალი ფერიის დახოცვა.—ბულიჯანის ამბავი მოიხსენიეთ.—ჭუჩუკის ამბავი მოიხსენიეთ.—აქ ნარიმანისა და ბოვთა დევის ლაშქრის ომი ძლიერი.—აქ ხელმწიფების როვშან-ბახტისა, ჯიმშუდ-ხანისა და ხურშუდ-ხანის ამბავი.—ნარიმანისა და ჯადოების ამბავი მოიხსენიეთ. —კვალად ნარიმანის ამბავი.—აქ როვშან-ბახტის ამბავი მოიხსენიეთ.—კვალად ნარიმანის ამბავი მოიხსენიეთ.—აქ ესენი ამ მზადებაში დაუტეოთ და კვალად ნარიმანის ამბავი მოიხსენიეთ.—აქ ესენი ამ ლხინში დაუტეოთ და ციხისა და რეჰან-აიარის ამბავი მოიხსენიეთ.—აქ ეს დაუტეოთ და ჯიბილ-ჯადოს ამბავი მოიხსენიეთ.—აქ შირვან-ვეზირის ამბავი.—ნალმის ამბავი მოიხსენიეთ.—აქ ესენი ამ ლოდინში დაუტეოთ და გარეთი ლაშქრის ამბავი მოიხსენიეთ.—აქ ესენი ამ მომავლობაში დაუტეოთ და უშანგის ამბავი მოიხსენიეთ.—აქ ესენი ამ მწუხარებაში დაუტეოთ და ბურჯ-ვეზირისა და ჯადოების ამბავი მოიხსენიეთ.—აქ ესენი ამ მიმავლობაში დაუტეოთ და უშანგისა მოიხსენიეთ.—ესენი ამ მიმავლობაში დაუტეოთ და ბურჯ-ვეზირისა მოიხსენიეთ.—აქ ლაშქრის ამბაავი მოიხსენიეთ.—ესენი აქ დაუტეოთ და ნარიმანის ამბავი მოიხსენიეთ.—ესენი ამ მეჯლისში დაუტეოთ და ასიმის ამბავი მოიხსენიეთ.—ბურჯ-ვეზირის მეჯლისის ამბავი მოიხსენიეთ.—ესენი ამ მიმავლობაში დაუტეოთ და როვშან-ბახტის ამბავი მოიხსენიეთ.—ესენი ამ შენობაში და შეწუხებაში დაუტეოთ და კვალად ნარიმანის ამბავი მოიხსენიეთ.—ესენი აქ დაუტეოთ და ხოსროვშირისა, ყოვლიბანისა, ნარიმანისა და ყათრანისა მოიხსენიეთ.—ესენი ამ მზადებაში დაუტეოთ და ჯანგირ-ჯადო იმ ციხეზე მიმავლობაში და ციხის ამბავი მოიხსენიეთ. —ესენი აქ ამ მზადებაში დაუტეოთ და მცირე რამ ყარამანისა, ჭუჩუკისა და ფარვან-დევის ამბავი მოიხსენიეთ.

# ს უ რ ა თ ე ბ ი

1) ქუჩუკ-ყარამანი.
2) ქაბულის ციხეზე იერიშის მიტანა გოვთია დევისა.
3) ძლიერი ომი როვშანბახტისა, თავის ურიცხვი ჯარით და მოწვეული ჯადოებით. ნარიმანთან, ხოსროვშირთან, ყოვლიბანთან ყათრანთან და გარდანქეშანთან.

# VIII

## კარი მერვე

# ყარამანიანი

აქ ესენი ამ მიმავლობაში დაუტეოთ და მაჭპალ-მაჭის ქვეყნის ამბავი მოიხსენიეთ. დაიწყება ჯინი-დევის წასვლა მაჭპალ-მაჭის ქვეყანას და გულიჯანის ომი და მრავალი ფერიის დახოცვა.

---

როგორც მეშვიდე კარის ბოლოშია მოხსენებული, იქიდამ დაიწყება გაგრძელება მერვე კარში. მათ უკან თორმეტი დევი მოდიოდნენ, ისეთნი იყვნენ რომელნიც თითო-თითო ქვეყანას აოხრებდნენ, ვიდრე ყარამანი არ გამოჩენილიყო ქვეყანაზე, სააბუირანობას ისინი ჩემობდნენ. თითოს ას სამოცი მწყრთა სიმაღლე ჰქონდათ. იმათ უკანაც ათას-ხუთასი სხვა ფალავანნი მოსდევდნენ, ისეთნი რომ რკინას კევივით დაღეჭავდნენ. მათ უკანაც ასი ათასი კვალად დევის ლაშქარი მოსდევდათ. მათ შუა ორი ტახტი მოჰქონდათ დევებს, წინა ტახტს კაცი თვალს ვერ გაუმართავდა ისეთი იყო რომ სულ ალმასით მოჭედილი, ზედ ორი ფალავანი იჯდა, ერთი შუახნისა, მეორე ახალგაზდა ჭაბუკი, ისეთი მშვენიერი რომ პირისახე გაბადრულ მთვარეს უგავდა. მეორე ტახტზე მსხდომნი ერთი წვერიანი ფერია იყო და მეორეც უწვერო ახალგაზდა. მათ უკან უანგარიშო დევის ლაშქარი მოზდევდათ. რა დევმა ესე იხილა სთქვა: ვისთანაც მივდიოდი სწორედ ისინი იქნებიანო, ნახე იმ ქალის ბედსა რომ ესენი წინ დამიხვდნენ. რა ფარვან-დევმა ესე მარტო მომავალი დევი იხილა, დაუ-

ძახა: ჵეი დევო! ვინა ხარ ან სად მიხვალ? მანდვე გაშეშდი და არ დაძრა! თორემ ადგილობრივ გაგაქრე.

მომავალ დევმა უპასუხა: პატიოსანო დევო, ნუ გამიწყრებით უცხო არა ვარ, შაჰპალ-შაჰპასთან და ქუჩუკ-ყარამანთან წერილი მომაქვსო. რა ფარვან-დევმა ესე გაიგონა იმ დევისაგან, მივიდა ახლოს და ნამდვილად გაიგო იმის ვინაობა, მაშინვე გაუძღვა და ყარამანთან მიიყვანა. ყარამანმა რომ ფარვან-დევთან ერთი უცხო მხრის დევი იხილა ჰკითხა: ფარვან ეგ ვინ არი ან საიდამ მოვაო? ფარვან-დევმა მოახსენა, შაჰპალ-შაჰპასთან წიგნი აქვსო და ამბავი უნდა აცნობოსო. მაშინვე იმ ალაგ ჩამოხტნენ და ოთხივ ერთად შეიყარნენ. იმ მისულმა დევმა რომ ყარამანი და სხვანი დაინახა, მივიდა მიწას აკოცა, თაყვანი სცა და გულიჯანის წერილი შაჰპალ-შაჰპას მიართვა. რა შაჰპალ-შაჰპამ თავის ქალი გულიჯანის წერილი ნახა იცნა და აკოცა, თვალებს წაისვა და გახსნა, ნახა რომ შიგ პატარა წერილიც სხვა იდვა ქუჩუკის სახელზე, ის წერილიც ქუჩუკს მიართვა, რა ქუჩუკმა თავის საყვარლის და გულის ვარდის წერილი იხილა, მაშინვე ყარამანის ჩუმათ აკოცა და თვალებზე წაისვა. რა შაჰპალიმ წერილი წაიკითხა ესრედ ეწერა:

„დვთით“ „თქვენ ასულ გულიჯანს მდაბლად თაყვანის ცემით მოკითხვა მოუხსენებია. ვიცი თქვენი კეთილი გულის ამბავი რომ ჩვენს ვითარებას იკითხავთ, ესე მოხსენდეს თქვენს დიდებულებას, რომ თუ ამ ათ დღეს თქვენმა და სააპყირანის მოწყალებამ არ მოგვხედა ესე იცოდეთ რომ მეც და ჩემი მშობელიც, აგრეთვე სრულიად ფერიანიც ხელიდამ წაგვივალთო.

ერთი საკვირველი და საზარელი სამ თავიანი დევი მოადგა, სახელად ჯინი წოდებული, ორმოცი ათასის დევით, ციხეს გარს შემოერტყა და უნდოდა ციხე აეღო. მე ოსტატობა მოვიხმარე და მის ხელში ჩავარდი. ამ წიგნის თარიღიდამ ათ დღის შემდეგ უნდა უეჭველად წავუვე. ესრედ მოგხსენდეთ თუ თქვენი წყალობა არ მეღირსა მე ჩემ თავს ცოცხალს არ დავანებებ. ესეც იცოდეთ რომ რა მე მოვკვდები მასვე წამს ეს ქვეყანა დევის ხელით აოხრდება და ახლა ნება თქვენი აღსრულდესო“.

ეს მოწერილი წიგნის პასუხი ყარამან-ყათილს და ქუჩუკსაც აცნობეთ. როდესაც ესე წიგნის პასუხი შეიტყეს, ოთხნივე ცეცხლებრ აღენთნენ. ყარამანმა წიგნის მომტან დევს ჰკითხა: დევო რამდენი დღეა რაც გზას მოდიხარო? მან მდაბლათ თავი დაუკრა და მოახსენა: ათი დღეა რაც მოვდივარ გზასაო. ვიდრე ყარამანი ამ დევს ელაპარაკებოდა, ქუჩუკმა ის წერილი გახსნა, ესრედ ეწერა:

„დვთით“ „თქვენი სასურველის და სანატრელის გულიჯანისაგან მრა-

ვალ მოკითხვას და მშვენიერ სახის კოცნას მოგახსენებ და თუ შენი საყვარლის გულიჯანის უბედურ საქმეს მოიხსენიებ, მამიჩემის წიგნით შეგიძლიან სცნათ რა მდგომარეობაშიაც ვიმყოფები, რომელიც ეგ წერილი სისხლის ცრემლით დამიწერია. თუ ჩემი სიყვარული გქონდა ეგრე მალე რათ დამივიწყე? აღარ მომიგონე და ამ საშინელ დევის ხელში ჩამაგდე? ჰეი საყვარელო გმირთა გმირო! მოიგონე წარსული წამნი როდესაც ვტკბებოდით ერთმანერთის ხილვით და საუბრით, მოიგონე ის დღენი როდესაც პირველად შევხვდით ერთმანერთს და აღუთქვით სიყვარული, შემიბრალე და ნუ მიმაცემინებ სიკვდილს და ნუ გახდები საუკუნოდ მოვალე ჩემი. ესე გეუწყოს რომ თუ ამ ჟამად არ მიშველე, ჩვენი ერთმანერთის შეხვედრა, მეორედ მოსვლამდის დარჩება". და ესე ლექსიც დაეწერა:

„მოდი მნახე საყვარელო,
„და ახარე ჩემი გული,
„მტერსა ზარი თავს დაეცი,
„მომაბრუნე დაკარგული".

ქუჩუკმა რომ ეს მოწერილი წიგნი წაიკითხა, ნამეტნავათ პირის ფარდა აიგლიჯა, ცრემლები გადმოედინა და პირ-და-პირ ყარამანს მოახსენა: პაპაჩემო, გთხოვთ ჩემი კადნიერება მაჩუქოთ და ისმინოთ ჩემი მოხსენება. მე და ჩემი კოჭლი-დევი წავიდეთ ვიდრე თქვენც მობრძანდებოდეთ. და თუ მე არ გამისტუმრებთ, ჯავრი მომკლავს.

ყარამანმა ნახა რომ ქუჩუკს ველარ მოუთმენია, უთხრა: საყვარელო შვილო ქუჩუკ, ნება შენი აღსრულდეს. მაშინვე ქუჩუკმა კოჭლი-დევი მოიხმო და უბრძანა: მათუზ-დევო! შეგიძლიან რომ ამ ორ დღეში ფერისტანში მიმიყვანო? კოჭლმა დევმა მოახსენა, ღვთით და თქვენის ბედნიერებით, ხვალ იქ ვიქნებით. ქუჩუკი მაშინვე რამდენიმე სუბუქი იარაღებით შეიკაზმა და დანარჩენი იარაღები ერთ ზანდუკში ჩალაგა და იქიდამ მოსულ დევს აჰკიდა და უბრძანა: დევო! შენ შეგიძლიან თუ არა ჩვენთან სიარული? მან დევმა მოახსენა: თქვენთან სიარული კი არ შემიძლიან მაგრამ მეხუთე დღეს მეც გავჩნდები. ქუჩუკს არ უნდოდა სხვა დევის წაყვანა. ის ზანდუკი იმ დევს ჩაბარა მრავალი აჩუქა და მრავალიც აღუთქვა, თვითონ შაჰპალ-შაჰს და ბარამჯიბილს გამოესალმა და კოჭლ-დევზე შეჯდა, მეორე დევმაც ზანდუკი იტვირთა, აფრინდნენ და წარვიდნენ. შემდეგ ყარამანი და სხვანიც ვინცავინ იყვნენ აიყარნენ და შაჰპალ-შაჰის ქალაქისაკენ გაემართნენ.

## აქ ესენი ამ მიმავლობაში დაუტეოთ და გულიჯანის ამბავი მოიხსენიეთ.

ათმა დღემ რომ განვლო, გულიჯანმა ნახა რომ არსაიდან არა ეშველარა, მაშინვე ათი ხელი სულ დიბის და სტავრის ტანისამოსი გამოაჭრევინა და შესაკერავად დაურიგა აქა-იქ, აქეთ-იქით ქვეყნებში მრავალი აქლემები და ცხენები გაისტუმრა და ხმა გაგდო რომ ხაზინას აგროვებს ჰაზარექ-დასტისათვის რომ მზითვად წაიღოს თანაო. ხუთასი უმარწვილო ქალი და ხუთასი ახლგაზდა ვაჟი მოაყვანინა, თავისთან შეინახა და ამბობდა: ჰაზარექ-დასტს ფეშქაშათ უნდა მივართვაო. რა ათი დღე შესრულდა, ჯინი-დევმა კაცი გამოუგზავნა გულიჯანს და შეუთვალა: მნათობო თქვენ მაშინ ბრძანეთ პატიოსანი სიტყვა რომ ათი დღის შემდეგ უნდა წავსულვიყავით, ათი დღეც შესრულდა; მე ვგონებ რომ დრო უნდა იყოს წასვლისაო, თორემ ჰაზარექ-დასტი გამიწყრება და ცოცხალ აღარ დამარჩენს. გულიჯანმა რომ ჯინი-დევის შეთვლილობა შეიტყო, პასუხათ შეუთვალა: პატიოსანო დევო! მეც მეჩქარება მაგრამ ქორწილის ტანისამოსი არ არის მომზადებული და ჩემი ხაზინაც ხვალ უნდა მივიღოვო. წაიყვანა იგი გამოგზავნილი დევი და ყველა თადარიგი და მოგროვებული ქალ-ყრმა ყოველი უჩვენა და უთხრა: ჩემი ხათრისთვის ეს ხუთი დღეც მომიცადოსო. მას დევს მრავალი აჩუქა და ჯინი დევისათვისაც უცხო ფეშქაშები გატანა. რა ის დევი ჯინი დევთან მივიდა და გულიჯანის შეთვლილობა ერთი ორად მოახსენა, რაც ნახა, ათასი სული ქალ-ვაჟი, თუ ტანისამოსი ყოველი მოახსენა და გულიჯანის ფეშქაშებიც მიართვა. მოახსენა: პატიოსანო სარდალო და ფალევანო, გულიჯანი ისეთ ტახტს აკეთებინებს წასაღებათ რომ არა ხელმწიფეს არა აქვსო. ჯინი დევსაც მზადება ძლიერ იამა და ხუთი დღის მოცდის ნებაც დართო და მეჯლისი გამართა. რა ღვინის სმაში შევიდა და შეზარხოშდა თავის დიდებულთ დევებს უთხრა: ნახეთ ჩვენ ბედსა რომ რა საშოვრით მივდივართ ჩვენ ჰაზარექ-დასტ ხელმწიფესთან!?..

## აქ ესენი ამ მეჯლისში დაუტეოთ და ქუჩუკის ამბავი მოიხსენიეთ.

რა კოჭლი დევი და მეორე დევი აფრინდნენ ჰაერში და მიდიოდნენ ქუჩუკმა იმ დევს ჰკითხა: დევო ეს როგორ მოხდა რომ გულიჯანმა

გამოგზავნა ჩვენთან? დევმა ყოველივე უამბო თავის თავზე გარდასავალი. ქუჩუკმა გულიჯანს დიდი ქება შეასხა და მისი ოსტატობა მოეწონა. კვალად ჰკითხა: დევო, ახლა გულიჯანი რა ალაგას იმყოფება? დევმა მოახსენა: ფალევანო, ციხის ახლოს წითელ-ყვითელი კარვები დადგმევინა და თავის



ფალევანი ქალებით ამ ჟამად იქ იმყოფებაო; დევები კი მოშორებით დგანანო. ქუჩუკმა რომ ყოველი შეიტყო, კოჭლ-დევს უბრძანა: მათუ ზ-დევო, ახლა გამოჩნდება შენი ერთგულობა და მერე მე ვიცი. კოჭლმა მოახსენა: მე ღამით უნდა მიგიყვანო, თორემ მე იმ ჯინი დევს ვიცნობ, ვაითუ გაიქცეს და ხელში ძნელადღა ჩავიგდებთ და ძალიანი ჯადოც არისო. შემდეგ მოახსენა: ფალევანო ზურგზე გამიმაგრდი. მეორე დევს უბრძანა შენც რომ მოხვიდე ღამით შემოდი. ესე დარიგა კოჭლმა დევმა და ისე

ჰმადლდა რომ ვარსკვლავები ახლოდ მოჩანდნენ. ორი დღე და ერთი ღამე იარა—და მეორე ღამეს, შუაღამისას ციხეს მიატანა. კოჭლმა-დევმა მოახსენა: ფადლევანო ესეც შენი შაჭპალი-ფერიის ციხე. რა ქუჩუკმა ციხე დაინახა ასე ეგონა რომ თავის გულიჯანი ნახა—და უბრძანა რომ ციხის კარისაკენ ჩამოეხტუნებინა, მაშინვე გულიჯანის წითელ-ყვითელ კარვებთან ჩამოახტუნა. რა კარვებთან მივიდნენ, ნახეს რომ კარვებს ფერიები უქეშიკებდნენ და გულიჯანიც ფერიის ქალებთან ლხინობდა. მაშინვე ფერიის ქეშიკებმა დასძახეს! ვინა ხართ ან სად მიხვალთო? კოჭლმა დევმა უპასუხა, ჯინი დევის გამოგზავნილი ვარ და თქვენ ქალბატონთან სიტყვა მაქვსო. მაშინვე გულიჯანს შეატყობინეს, გულიჯანმა შემოყვანა ბრძანა, კოჭლი შემოიყვანეს და ქუჩუკი კარზე დარჩა. კოჭლმა დევმა თაყვანი სცა და რა პირს შეხედა დაბნედას მიეწურვა, მაგრამ თავი შეიმაგრა და გულიჯანს მოახსენა: მნათობო, ჯინი დევმა შემოგითვალათ რომ წუხელის ჩემთან ერთი ვიღაც დევი მოვიდა და დამარწმუნა რომ ჭაზარექ-დასტი მოკვდაო და ახლა იმისი სახელმწიფო მე დამრჩაო. შენ ხომ იცი რომ მე რა ფალევანი ვარ, ამ ჟამად ჩემისთანა ძლიერი დევი არ არის, დაემზადეო რომ ხვალ მე და შენ ქორწილი ვქმნათ. თუ არ დამთანხმდები ესე იცოდე ძალად წაგიყვანო და თქვენ სახელმწიფოსაც გავაოხრებო და ამის პასუხს ველი რას მიბრძანებთო რომ ისე მოვახსენოვო.

გულიჯანმა რომ ესე მოისმინა, ფერი ზაფრანასავით გაუხდა, ერთს ჟამამდის დაფიქრდა და პასუხი ვერა მისცარა. შემდეგ უთხრა დევო, რა ღონე მაქვს, მხოლოდ ათიოდ დღე მომიცადოს რომ ყოველი ჩემი საქმე მოვივარგიანო და ათ დღის შემდეგ ნება შენი აღსრულდესთქო. კოჭლმა დევმა მოახსენა: დედოფალო, მე ხომ ვიცი შენი ათი დღის მიზეზი რა არის, მაგრამ მეც არ მინდა რომ შენისთანა მზე და მთვარე იმისთანა ვეშაპის ხელში ჩავარდე, მე ხომ ვიცი თქვენი თათბირი რისთვის არის, ვგონებ თქვენ მოელოდებით ვიღასაც, თქვენ გამოსახსნელად უნდა მოვიდეს, იმისთვის უდებთ მაგოდენა ვადას, თორემ მე რომ შენი ყოველი საქმე მინახავს, შენ ყველაფერი მზათა გაქვს. ამ სიტყვაზე გულჯანი გაუწყრა და უთხრა: ჶეი შენ მათუზ კოჭლო, კოჭლი ხომ ყოველთვის იარამაზი და ეშმაკია, შენ გინდა რომ აზრით გამტეხო? მე შენ რასაც გეუბნები წადი და ისე უთხარ, კვალად კოჭლმა-დევმა მოახსენა: მნათობო რათ მიწყრები? მე ესე შემიტყვია, ვითომც თქვენ პირველად უარამანის შვილის-შვილ ქუჩუკისათვის ხარ მიცემული და ის შენგან ხელს არაოდეს არ აიღებს. გულიჯანი მეორედ გაწყრა და უთხრა: კოჭლო ძაღლო რას გადამკიდებიხარ? გიჯობს რომ გამეცალო, თორემ იმისმა მზემ რო-

მელიც ყოველ დღე თვალ წინ მიდგა, ასეთ ლახტს დაკრავ რომ დედამიწაზე გაეკრა როგორც ტულაპი. კვალად მოახსენა: კეკლუცთა დედოფალო, ნუ გამიწყრები მე შენთვის კეთილი მსურს, იმისთვის მოგახსენებ რომ წყალობის იმედი მაქვს შენგან და მინდა გმირთა გმირი ქუჩუკი კაჩვენო. რა გულიჯანმა ქუჩუკის სახელი გაიგონა, გული აუჩქროლდა და დიდათ ამოიოხრა და კოჩლ-დევზე ძლიერ განრისხდა და უთხრა შენ ღირსი არა ხარ იმის ხსენებისა და მოინდომა ლახტის დაკვრა, კოჩლმა იფიქრა რომ იმის ლახტს ვერ გადაურჩებოდა, მაშინვე კარვიდამ გამოვარდა და თან მიაძახა, ხომ ჩემი ლაპარაკი არ დაიჯერე, ნახე ქუჩუკს მოვიყვან თუ არა. ამათი ლაპარაკი ქუჩუკს ყველა ესმოდა, მაშინვე კოჩლი და ქუჩუკი კარავში შევიდნენ.

გულიჯანმა რომ ქუჩუკი იხილა, მაშინვე უცნობო შეიქმნა, რა გონებას მოვიდა ნახა რომ მართლა ქუჩუკია, ერთმანერთს გარდაესვივნენ და ორივეს დიდი სიხარული შექმნათ, კოჩლმა-დევმა მოახსენა, მნათობო რაზე მკლავდი? აი შენი ქუჩუკი ხომ მოგიყვანე, გულიჯანმა უთხრა: დევო, უნდა მაპატიო ჩემი გაწყრომა შენზე, მაგრამ შენი ბრალი იყო, მე რა ვიცოდი შენში რა საქმე იყო? შემდეგ გულიჯანმა ქუჩუკს მოახსენა: საყვარელო მართლა შენ ჩემთანა ხარ! თუ სიზმარია? ქუჩუკმა მიუგო საყვარელო გულისა და თვალთა ჩემთა ნათელო, ნუღარ იშიშვი საქმე ცხადია, მე შენთანა ვარ და შენ ჩემთან. იმ ღამეს დილამდის მეჯლისში იყვნენ და ასეთი ლხინი გადაიხადა რომ მისთანა ლხინი თავის დღეში არ ენახათ. რა მეჯლისი გარდაიხადეს გულიჯანმა ჰკითხა: ჩემო სიცოცხლევ, ჩემი გამოგზავნილი დევი ნახე თუ არაო? მან მიუგო დიაღ ვნახეო და მესამეს დღეს გიახლებათ; მერე უთხრა, კეკლუცთა ხელმწიფავ, შენ რომ ოსტატობა გიქმნია არავის შეუძლიან იმისთანა საქმის ჩადენა, ვგონებ შენი სახელი მეორედ მოსვლამდის იხსენებოდეს, მერე ქუჩუკი მოჰყვა და რაც თავს გადახდომოდა ყოველი წვრილად უანბო. რა გულიჯანმა ჰაზარექდასტის სიკვდილი შეიტყო მაშინვე მივარდა და შუბლზე ბაკენი მიაკრა, ერთ ჟამამდე ლოშნიდა და დიდ მხიარულებას მიეცა, მერე გაგზავნეს გულიჯანის მშობელი ყამარლუხი დაიბარეს, მაშინვე დედოფალი ყამარლუხი მობრძანდა, რა ქუჩუკმა ყამარლუხი იხილა, მაშინვე მიუახლოვდა და ხელს აკოცა, რა-ყამარლუხმა ქუჩუკი დაინახა სიხარულით არ იცოდა თუ რა ექმნა ერთ ჟამამდის გულზედ მიკრა და დედაშვილურად ეალერსებოდა; — შემდეგ ქუჩუკმა მოახსენა, — აბა ახლა დასვენების დრო არ არის, საქმეს მოტანება უნდა; ჩვენ უნდა მოვიხმოთ ერთი რომელიმე ფერია და გავგზავნოთ ჯინი-დევთან. მაშინვე მოიხმეს ერთი ფერია, დასწერეს ესეთი წიგნი:

„წაი დევო ასე მოიხსენე ჩემი მოწერილი წიგნი: მე შევიტყე რომ ჭაზარექ-დასტი მოუკლავთ, ახლა მე რიდისთვის უნდა წამოგყვე შენ. რასაც მთხოვთ მოგართმევ და შენ მშვიდობით წაბრძანდი და ბაღი-ირამი კიდე შენს ხელთ იქნება.—და როდესაც გენებებოდეს კიდევაც მობრძანდებოდე, ილხენდე და ისევ დიდის პატივით წაბრძანდებოდე, მხოლოდ ვიმეოფებოდეთ შენი მფარველობის ქვეშ. თუ ამ წინადადებას არ ინებებთ და გსურთ ჩემი ცოლად შერთვა ამაზედაც უაბული ვარ, რადგანაც ჭაზარექ-დასტი მომკვდარა. მე ჭაზარექ-დასტს იმიტომ მივდევდი ცოლად რადგანაც ის მმეტობდა ბრძოლაში და ამიტომ უნდა დავმორჩილებულვიყავ ცოლად, და ახლა თუ გნებავთ, მე და შენ გამოვიდეთ მოედანზე ვიომოთ, თუ შენ მომერიე, მაშინ გნებავდეს ცოლად დამისვი თუ გნებავდეს მომკალ. თუ ვინიცობა მე დაგამარცხე, მაშინ თავს ტანიდამ გაგიშორებ. ამ წერილსა გწერს შაჰპალი-შაჰის ასული გულიჯანი“. თურია ფერიას მისცეს წიგნი და გაგზავნეს.

რა თურია ფერია გაისტუმრეს, ქუჩუკმა გულიჯანს უთხრა: მე ვიცი ის მაგ წერილზე გაწყრება და მოედანს დაპირებს გამოსვლას, ახლა ჩემთვის ერთი ხელი უცხო ქალის ტანისამოსი მოამზადეთ თავის ნაღაპით და მოედანს მე გავალ იმასთან საომრათ და ვნახოთ ღმერთი რას მოგვცემს ან მე ვიქნები ან ის.

იქით მხარეს თურიამ რომ ის წერილი ჯინი-დევს მიართო, ჯინი-დევმა გახსნა და წაიკითხა, ამაზე ძლიერ გაწყრა და ცეცხლებრ აენთო, უნდოდა თურია დაეჭირა და მოეკლა, მაგრამ ხელთ ვეღარ იგდო. მაშინვე პირიდამ პერეულის ურა დაიწყო და თურიას უთხრა: წადი ამბავი წაუღე ესე, ის როსკიპი აქამდის იმიტომ მატყუებდა და მათათბირებდა? ვის შეუძლიან ჭაზარექ-დასტის ერთი ბეწვის გამოძრობა, აბა ნახეთ ხვალ რა ყოფას დავაყენებ, აქამდის სხვათრივ უნახავდი პატივს, მაგრამ ხვალ კი ერთი დაკვრით იმის სიცოცხლის ფრინველს გავაფრენ. შემდეგ უნდა მივუვე და ბაღი-ირამი სრულიად გავატიალო, ისე რომ ძუძუმწოვარი უმაწვილიც უნდა მოვსრა.

თურია ფერია მსწრაფელ წამოვიდა და ჯინი დევის ნათქვამი გულიჯანს ყოველივე მოახსენა, ქუჩუკმა უთხრა ყამარლუხს, დედოფალო თქვენ თქვენის ქალით და ფერია ქალებით ციხეში შებრძანდით და კარებები დაკეტეთ, ამიტომ რომ დევებს ესტიბარი არა აქვთ, უეჭველად ხვალ დევის ლაშქარ მოგისევთ—და თვითონ კი ჩემზე გამოვა. გულიჯანმა მოახსენა: ფალევანო, კულავაც მითხოვნია თქვენთვის რომ შენ მე ნუ განმაშორებ, ჩემი თავი შენს თავს არა სჯობს, მეც შენთან მამყოფე ყოველ

ჯამს, მხოლოდ ესენი კი ციხეში შევიდნენ. ეს სამნი იქ დარჩნენ და სხუა-ნი ციხეში შეიკრიბნენ. ქუჩუკი, გულიჯანი და კოჭლი-დევი.

ქუჩუკმა ორი ხელი ქალური ტანისამოსი მოადებინა, რომელიც საუც-ხოვო იყო, ჩაიცვა და ნიღაბი მოიფარა, ქალურ ტანისამოსში ისე მშვე-ნოდა რომ გულიჯანს გადაჭარბა, მეორე ქალის ტანისამოსიც კოჭლ-დევს ჩაცვა და ნიღაბი პირს ჩამოაფარა და ვერავინ იცნობდა თუ ის დევი იყო, ერთი კარგი ლახტიც ხელში მისცა, გულიჯანიც სამოცი იარაღით შეი-კაზმა, მოახლესავით მოირთო და ესე სამნივ დაემზადნენ, რა მეორე დღე გათენდა იქით მხრიდამ ჯინი დევი გამოვიდა და ოც-ათას დევს ციხეზე იერიშის მიტანა უბრძანა: დანარჩენ ლაშქარს საფვა გაწევინა და დადგნენ, ჯინი დევმა ნახა რომ გულიჯანი ორის გამდლით მოედნის თავს დგას უშიშრად, ჯინი-დევმა თავის გუნებაში თქვა, მოდი პირველად სხვა დევს გავგზავნი ვნახო გულიჯანი როგორი ფალევანია, თუ იმას მოერევა მას უკან მე გავალო, რა ამ ფიქრს იყო საშინელი ბუკის კვრა ასტეხეს, ნახეს რომ ჯინი დევის მხრიდამ ერთი საშინელი დევი გამოვიდა ხელთ მთის ოდენი გურზი ეჭირა და მეიდნის საშუალ ალაგს დადგა და დასძახა! ჰეი გულიჯან! გუშინ რაც პირობა დამიდე აბა გამოდი და აღასრულე რადა! ვნახოთ ვისი დედა ატირდება, ნუღარ იშიშვი, იმ პასუხის შემომთვლელს ფოლადის გული უნდა ჰქონდეს. გულიჯანმა მოახსენა ქუჩუკს, ფალევანო ეს თვითონ ჯინი დევი კი არ არის, იმის სახელობაზე გამოსულა, იმას სამი თავი აბია. რა ქუჩუკმა ესე მოისმინა მაშინვე მხეცს ქუსლი ჰკრა და მოედანს გავიდა, ქალურ ხმაზე დაუძახა: ჰეი ჯინი-დევო! აქ მოსულხარ ჰაზარექ-დასტის სახელობაზე და ჩემი მოტყუება გინდოდა? რომელიც შენთვის უნდა დაგესაკუთრებინე? აბა მოდი და თუ ძალა გაქვს დამისაკუთრე.

რა ამ დევმა მისი ხმა გაიგონა ერთი ამოიოხრა და თავის მძიმე ლახტი ქუჩუკს შეუმაღლა, ქუჩუკმა თავის ფარს ატაინა, მეორე და მესა-მე ლახტის ცემაზე ქუჩუკი მხეციდამ უსიდად გადმოვარდა, მაგრამ ისევ მალე ადგა, იმიტომ გადმოვარდა რომ ჯინი დევი გაგულისდეს და მოე-დანს გამოვიდეს. რა რიგი ქუჩუკს ერგო რამდენიმე რიგი ლახტი სუმ-ბუქათ სცა რომ არა ევნოსრა, რა ესენი ამ ომში იყვნენ, ნახეს რომ ოც-და-ათი-ათასმა დევმა ცახეზე იერიში მიტანეს, ასეთი კიჟინით რომ მე-ორეთ მოსვლის ხმას ემზგავსებოდა, რადგანაც კარები დახშული იყო ცი-ხეში ვერ შევიდნენ. ფერიებმა ზემოდამ იმოდენა ქვები ჩამოყარეს რომ მრავალი დახოცეს. ამაზე დევნი გაწყრნენ და მეორეთ იერიში მიტანეს, ერთი დევი მივიდა და კარს დასტაჩუბი დაჰკრა და კარის ერთი ფიცარი გატეხა და უნდოდა შესულიყო, იქიდამ ფერიანი წინ მოეგებნენ და შე-

იქმნა დიდი ომი, რა ესენი ამ ომში იყვნენ, ჯინი-დევმა ნახა რომ თავის გაგზავნილმა დევმა და გულიჯანმა ერთმანერთს ვერა ავნესრა, ამაზე გაწყრა და თქვა: ამ უბრალო დევს ამდენი ხანი ვერა უყორა, მე რაღა უნდა მიყოს, ახლავე ერთი დაკვრით მიწასთან გავასწორებ, მაშინვე თავისი საშინელი ლახტი აიღო და მოედანს გამოვიდა, ერთი საშინლად დაიღრიალა და დაუძახა: ტერ თმა ასაკვეცო! ეგ ჯინი-დევი ნუ გგონია, მე ვარ შენი სულის ამომხდელი, მე ხომ არ დამმორჩილდი ახლა ნახე შენი ბედის წერა რას გიზამს, ციხესაც ავაღებინებ და შენც ტანჯვით მოგკლავ, ამ თქმაში მძიმე ლახტი შეუმაღლა, ქუჩუკმა ნახა რომ ჯინი დევი ის იყო და სამი თავი ება, მაშინვე მის ლახტს ფარი მიაშველა ლახტი გრგვნით მივიდა ფარს მოხვდა და ფარმა აიტანა, მეორე დევი შორს დადგა და ყურება დაუწყო. რა ჯინი დევმა ნახა რომ ერთის დაკვრით ვერა ავნორა, მეორეც მოუქნია და ვერცა მით დაკლორა, გაწყრა და ავჟანდაზე შედგა და ერთი ასეთი ლახტი დაჰკრა რომ იალბუზის მთასაც დაქცევდა მაგრამ იმითიც ვერა ავნორა, ძალისაგან ქუჩუკის მხეცი კოჭებამდის დედამიწაში ჩაჯდა, ქუჩუკმა დეზი ჰკრა და გარდახტუნა, ჯინი-დევი გამტერდა და თქვა ჩემა დევმა სამი დაკვრით მხეციდამ გადმოაგდო და ჩემი ამისთანა დაკრული არად შეიმჩნიაო!

ახლა რიგი ქუჩუკს ერგო, მოუბრუნდა და თავისი ჭაზარექ-დასტისეული ლახტი აიღო და ჯინი დევს მიმართა, რა მან ეს საზარელი ლახტი დაინახა, თქვა ეს ლახტი ხომ ჰაზარექ-დასტის ლახტია, ნეტა ამას ვინ მისცა? ამასობაში ქუჩუკმა ლახტი სამჯერ თავს შემოივლო და დასაკრავად მიუტანა, ჯინი-დევმა ნახა რომ ამ ლახტისაგან გადარჩენა არ შეიძლებოდა უნდოდა ლახტს გასცილებოდა, ქუჩუკი ხერხით მოექცა და ძლიერად დაჰკრა, ასე რომ დევმა ფარი ვეღარ მოასწრო, თავს მოხვდა და თავი გვამში ჩაუჯდა და დედამიწას მიაკრა, ის რომ იმ დღეში ჩაგდო, უწინდელი დევი იქ იდგა და გამწარებული პატრონის სისხლის ასაღებად მიმართა და ის ოცი ათასი მოედნის პირზე მდგომარე დევნიც იმის კვალს მიჰყვნენ და ერთიანად შემოუტიეს, ქუჩუკმა რომ ნახა თავისი პირველი შებრძოლე დევი წინ უდგას და მეორე მხრიდამაც ოც ათასმა დევმა შემოუტია, მაშინვე იმ დევს გურზი ჰკრა და ისიც მოკლა, შემდეგ ერთი ნარა გასწია და ამ მომავალ დევთა შეუტია, რა გულიჯანმა და კოჭლმა მათუზ-დევმა ქუჩუკი იმ დღეში იხილეს, მათაც ერთ მხრიდამ შეუტიეს და მტერთა შუა დაერივნენ, ქუჩუკი რომ ჭაზარექ-დასტისეულ ლახტს მოიქნევდა, ორმოც-სამოც ერთად ხოცდა. გულიჯანი ხმალ-მოწვდილი ერთ მხარეს და კოჭლი-დევი მეორე მხარეს, უწყალოდ ხოცდნენ უპატრონო

დევთა ლაშქარს, ორ ჟამამდის მოედანზე საშინელი ომი და სისხლის ღვრა იყო, ეს სამნი ერთმანერთს უძახდნენ, ფალევანო! ჰკარ, მოჰკალ, შეჰკარ, შეიპყარ და ერთსაც ნუ გადარჩენ ცოცხალს.

რა დევთა ლაშქარმა ნახა რომ ამ სამთა, რისხვა ღვთისა მათ თავზე დაყარეს და მოთავენი სულ ამოუწყვიტეს, მაშინვე პირი იბრუნეს, ესენი ორ აღაჯამდის ხოცვით მიჰყვნენ,—ქუჩუკმა უთხრა გულიჯანს და კოჭლ-დევს, ახლა კი გავბრუნდეთ და ციხეს მივხედოთო, მაშინვე იქიდამ დაბრუნდნენ და ნახეს რომ ციხის კარები კარგათ არა ყოფილა გამაგრებული და ორი ფიცარი გაუტეხიათ, ორი თუ სამი ათასი დევი შესულან, წინ ფერიანი უდგანან და მათ ებრძვიან,—მრავალი ფერია დაუხოციათ. მაშინ იმათ შეუტიეს, რა დევებმა მოიხედეს ნახეს რომ სამნი დიაცნი საკვირველის იარაღით შეჭურვილნი მოდიან, სამთავ ალმასივით ხმლები უჭირავთ და მრისხანის თვალით იბრძვიან; რამდენიმე დევნი წინ დაუდგნენ და მათი ომი მოიწადინეს, ქუჩუკმა ნახა რომ ორმა დევმა ლახტები შეუმაღლეს, ერთს ხმალი შემოჰკრა და შუა გაწყვიტა, მეორეს ხელი ჩავლო ავყანდიდამ ფეხი ამოიღო და ასწია და მესამე დევსა სთხლიშა და ორივე დახოცა, მერე ერთი ასეთი ნარა გასწიეს რომ იმ დევის ლაშქარს ცისა ქვეყანაზე დაცემა ეგონათ და გაშტერებულნი უყურებდნენ ამ ხმას, ამ სამთა ხმალ ხელში მჭერალთა, შეუტიეს დევის ლაშქარს და ციხის კარებამდის ხოცვით მივიდნენ, რა დევებმა ამათი ძალა გამოსცადეს, მრავალნი გაიქცნენ, ციხის კარებთან ახლა სხვანი აღუდგნენ ქუჩუკს წინ—და რკინის კეტები მოუქნიეს, ქუჩუკმა ღვთის სახელი დიდის ხმით შესძახა, ამ ხმისაგან დევებს ცნობა მიეფანტათ და რკინის კეტები ხელებიდამ დაყარეს და გაშტერდნენ. ამასობაში ქუჩუკმა, გულიჯანმა და მათუზ-დევმა მრავალი დახოცეს და ციხის კარს შევიდნენ. ქუჩუკმა გულიჯანს უთხრა: ჵეჲ თვალის ჩინო! შენ ამ შემოსულ დევებს შეუტიე და მე კარებს შევინახავ, ისინი იქ განაწესა, კოჭლ-დევს პირი კარებისაკენ მიუბრუნა რომ მომავალ მტრებს პასუხი გასცეს,—გულიჯანს პირი ციხისაკენ აქნევინა რომ ციხიდამ გასულ დევისთვის პასუხი გაეცა, რა ესენი ესე დარიგა შეხედა ნახა რომ დევებს ასი თუ ორასი ფერიების ახალგაზდა ქალები თუ ვაჟები წინ წამოუყრიათ და მოუდით. ქუჩუკი იქაც მიეჭრა და ნარა გასწია და შესძახა: ჵეი დევნო! მე ვარ ქუჩუკი, ყარამან-ყათილის შვილის-შვილი! თქვენი სულის ამომხუთი, სად წახვალთ ხელთა ჩემთაგან! ესე დასძახა და შეუტია ვით ტარბი კალიას და გამოიხსნა ტყვენი, დევებმა რომ ყარამანის სახელი გაიგონეს და მისი ძალაც ნახეს, ფერიები დაყარეს და კარებისაკენ გაიქცნენ, იქაც გულიჯანი დაუხვდა და რომელსაც ხმალს სცემ-

და შუა სწყვეტდა, ქუჩუკიც უკანიდამ ხოცვით მოზდევდა ვიდრე გულიჯანამდის მივიდოდა, მრავალი გაჟლიტა, აგრეთვე გულიჯანმაც და მათუზ-კოჭლმა-დევმაც.

მაშინ დევებმა ერთმანერთს დაუძახეს, დევნო განვშორდეთ თორემ სულ ამოგვჟლეტავენ, ვერა ხედავთ რომ აქაც გამოჩნდა ყარამანის თესლი? დევებმა ერთმანერთს შეატყობინეს და უკან გამორბოდნენ ციხიდამ.

ამისთანა ომში და სისხლის ღვრაში, ყამარლუხი ერთ კოშკს ასულიყო და თამაშას უყურებდა და ძლიერ უხაროდა რომ ციხიდამ გაძევეს დევები, მხოლოდ ამ სამთა ქუჩუკის წყალობით, თვითონაც თავის ახალგაზდობა მოაგონდა, გული აუდელდა და იარაღით შეიჭურვა, მაშინვე კარზე გამობრძანდა და რამდენიმე ფერიების ფალევნებით მხეცებზე ამხედრდნენ და ციხეში შემოსულ დევებს დაერივნენ, დევებმა ნახეს რომ გარედამ თავიანთ მშველელნი დევნი არავინ შემოდიან და თვითონ უწყალოდ იხოცებიან, ერთიანად პირი იბრუნეს და კარებისაკენ მიაშურეს. რა კარებს მიახლოვდნენ იქიდამ გულიჯანმა, მეორეს მხრიდამ ქუჩუკმა, მესამეს მხრიდამ მათოზ-დევმა და უკანიდამაც ყამარლუხმა, თავის ფერიის ფალევნებით შეუტიეს და რაც ციხეში დევები იყვნენ სულ ერთიანად დახოცეს და განდევნეს, ისე რომ ერთიც არ დაუგდეს, რა შიგნიდამ გამორეკეს, შემდეგ ერთიანად ციხის კართან მოვიდნენ და გარეთ მდგომ დევის ლაშქარს შეუტიეს დევებმაც ამათ შემოუტიეს და ამ ციხის კარზედ ასეთი ომი შეიქმნა რომ ენით არ ითქმის, ფერიანი და დევნი ბევრი დაიხოცნენ. რა ქუჩუკმა ნახა რომ ფერიები ბევრნი იხოცებიან და მარტოთ დევებს პირი ვერ აბრუნებინა, მაღლა აიხედა ნახა რომ თავის დევმა იარაღის ზანდუკიც მოუტანა, ძალიან გაიხარა, დევი წავიდა იარაღ აკიდებული და ქუჩუკთან ჩამოხტა და ზანდუკი ციხის კარს მიტანა. ქუჩუკმა მსწრაფლ ზანდუკი გაღო, თავის შუბებიანი ჯაჭვი ჩაიცვა, თავის მძიმე ჭაზარექ-დასტის ლახტი აიღო, ერთი სუმბუქი ლახტი იმ დევს მისცა და უთხრა დევო მომყევი ნუ შეშინდები, თქვენი უფროსი დევიც მოვკალ და იმის თანაშემწეც და შინდა ამათაც ჩემი ძალგულობა ვაჩვენო. რა ამ დევმა ჯინი დევის სიკვდილი შეიტყო ძალიან გაეხარდა და მოახსენა: ფალევანო მე იმის შიში მქონდა თორემ ესენი არაფერი ძაღლები არ არიან რომ შემეშინდესო, ლახტი გამოართვა და ქუჩუკს გაჰყვა. ქუჩუკმა რომ ჯაჭვი ჩაიცვა ერთი ნარა გასწია და მაღლის ხმით შესძახა: „ჵეი თქვენ საწყალნო! მე ვარ ქუჩუკ-ყარამანი, ჭაზარექ-დასტის მკვლელი, თქვენი უფროსი ჯინი-დევის მკვლელი და მის თანაშემწისა“! ასე იცოდეთ რომ თქვენც ვერ გადმირჩებით უსიკვდილოთ და ყველას გაგმუსრავთ, თუ არ გეჯე-

რებათ, აი ესეც ჰაზარექ-დასტის ლახტი, — ესე თქვა და მთვრალ ვეშაპსავით შეუტია, დევებმა რომ ქურუკისაგან ესეთი სიტყვები გაიგონეს და მის ხელშიაც ჰაზარექ-დასტის ლახტიც ნახეს, დიდათ შეშინდნენ და პირი გასაქცევად გაიბრუნეს, მაშინ ქურუკი და სხვანი უკან ხოცვით გაჰყვნენ. რა ორმა დღემ განვლო მესამე დღეს დევნი გამაგრებულიყვნენ და ისევ უკან მობრუნდნენ, — კვალად დიდი ომი გარდაიხადეს. ამ გაცხარებულ ომში რომ იყვნენ, ნახეს დასავლეთის მხრიდამ მრავალი დრუბელი გამოჩნდა, ასე რომ ცა აღარა სჩანდა, დევებმა რომ ესე ნახეს ჰაზარექ-დასტის ლაშქარი ეგონათ და გაეხარდათ, უფრო მედგრად დაიწყეს ომი, ქურუკმა რომ იგი დრუბელი იხილა, მაშინვე იცნა რომ თავის პაპა ყარამანის ლაშქარი იყო, ქურუკმა ერთი ძლიერი ნარა კვალად გასწია და დევებს შეუტია, ამ ნარის ხმა ყარამანს მიესმა ჰაერში, მაშინვე იცნა რომ თავის ქურუკის ხმა იყო. ყარამანმა ზორაბ-დევს უბრძანა რომ ოცი ათასი დევით იერიში მიეტანა, ზორაბმა მსწრაფლ ბრძანება აღასრულა, მაშინვე ოცი ათასი დევი მიაშველა, რა ესე იხილა ქურუკმა მეორედ გასწია ნარა და დევებს კვალად პირი აბრუნებინა, ზორაბ-დევიც უკანიდამ მოადგა თავის ოცი ათასის დევით და დაუწყეს უწყალოდ ხოცვა, ისეთი არეული ბრძოლა შეიქმნა რომ ერთმანერთ ვეღარა სცნობდნენ, ორივ მხრიდამ მრავალი დაიხოცნენ, შემდეგ ზორაბის მოშველებამ ძლიერ საქმე უყო ქურუკს, ქურუკის მხარემ სძლია და ბევრი დახოცეს, ბევრიც გადიხვეწნენ და არ იცოდნენ თუ სად დამალულიყვნენ. როდესაც გააძევეს დევები, ქურუკმა ომიდამ ხელი აიღო, გაბრუნდა — გულიჯანი, ყამარლუხი და სხვანი თან გაიყოლია, რა მივიდნენ ყარამანს მდაბლად თავი დაუკრეს და ხელსა აკოცეს. ყარამანმა ქურუკს პირს აკოცა, ყამარლუხი მივიდა და ყარამანს მოეხვია და დედაშვილურ სიყვარულით მოიკითხა, გულიჯანი კი ჩუმათ იდგა და არ იცოდა თუ რა ეთქვა და სცხვენოდა ყარამანისაგან, შემდეგ თვითონ ყარამანმა ჰკითხა ქურუკს: ეს ვიღა ბრძანდებაო? მაშინ ქურუკმა გაცნო გულიჯანი და უთხრა: „პაპაჩემო გავკადნიერდები თქვენთან და მოგახსენებთ ამის ვინაობას თუ გესიამოვნებათ, ესე იგი გახლავსთ ჩვენი შაჰპალი-შაჰის ასული გულიჯანი, ჩემი ტრფიალი და გულის სიხარული“.

ყარამანმა რომ გულიჯანის სახელი გაიგონა, კვლავაც სმენოდა იმის სიმშვენიერე და ქურუკის იმასთან სიყვარული. მაშინ ყარამანმა მოიწვია თავისთან გულიჯანი და გვერდ დაისვა, პირს ნადაპი (პირბადე) ახადა, რა ყარამანმა იხილა იმის სახე დიდათ მოეწონა და ღმერთ მადლობა შესწირა და თქვა: გმადლობ გამჩენო უფალო რომ ღირს მყავ შვილის-შვილის სასძლოს. „ორნივე შესაფერნი არიან და მეც ვაკურთხებ ჩემის მშო-

ბლოურის გულით", ბედნიერნი იყავით შვილო ქვეყანაზე, მაშინ ამოიღო თითიდამ თავის ძვირფასი ბეჭედი და გულიჯანს თითსა გაუკეთა და პირსა აკოცა, შაჰპალ-შაჰას და ყამარლუხს უთხრა: ეს თქვენი ასული თუ ღირს ვარ ჩემს სასძლოდ დავნიშნე—თქვენ ამაზე რას იტყვით? . .

მაშინ შაჰპალ-შაჰა, ყამარლუხი და ბარამჯიბილი ზე წარმოსდგნენ ყარამანს თაყვანი სცეს და მოახსენეს: სააბყრანო! ჩვენი ასული თქვენ ხვეწათაც რომ გეთხოვნათ, მაშინაც კი დიდი სიხარული იქნებოდა ჩვენთვის, არამც თუ რძლათ იკადრეთ ვმადლობთ ღმერთს რომ ღირსი გავხდით თქვენი მოყვრობისა, ამას იქით ჩვენი თავიც თქვენი ჭირის სანაცვლო შეიქმნას, ამისთანა ტკბილ მოყვრულ საუბრით ორი დღე იარეს და ბაღი-თრამშა შევიდნენ;—გარეთ მრავალი უცხო კარვები დასდგეს და დობის სადათვარდები შემოავლეს,—იმ მინდორზე სრულიად დევნი დაყენეს. მეორე დღეს შაჰპალ-შაჰამ ყარამანისთვის ფეშქაშები მოამზადა, თავის სარაია დაამშვენა სამოთხის მზგავსად და ყარამანს უმასპინძლა.

მეორე დღეს ყარამანი, ფარვან-დევი და ათიც-სხვა გამოჩენილი დევი და ქუჩუკი წავიდნენ, ნახეს რომ ციხის კარიდამ დაწყებილი, შაჰპალ-შაჰას სარაიამდის სულ ოქროს ქსოვილი ფიანდაზად გაეშალათ, აქეთ-იქით სტავრით შემკული ფერიანი იდგნენ, ზოგს ვარდის ერბო, ზოგს ვარდის წყალი, ზოგს მუშკი და ამბარი ეჭირათ—და ყარამანს მიართმევდნენ—და თაყვანსა სცემდნენ, რა სარაიას შევიდნენ ნახეს რომ კეკლუცი გულიჯანი ისეთ რიგათ მორთულიყო რომ ყველას ასე ეგონათ იმ სარაიაში ერთად ერთი მზეა ამოსული და ბრწყინავსო. ხელთ ერთი ოქროს ტაბაკი ეჭირა ალმასით მოჭედილი და ყარამანი რომ დაინახა მომავალი, იქიდამ ნარნარნაზ ქცევით წამოვიდა თაყვანი სცა და ტაბაკით ჯავაჰირი თავს გადაყარა, ყარამანმა მადლობა უძღვნა თავის სასძლოს, აგრეთვე ქუჩუკსაც გადაყარა და დიდის პატივით შეიყვანეს, ერთ ბროლის მინარეთში დასვეს და მეჯლიში გამართეს, ორი დღე ლხინობდნენ, ორი დღის შემდეგ ყარამანმა შაჰპალ-შაჰას და ყამარლუხს მოახსენა: უბრძანეთ რომ გულიჯანი ჩემთან მოვიდეს, მაშინვე გულიჯანი მოვიდა, გულიჯანი რომ შემოვიდა, ყარამანი ფეხზე წარმოუდგა, გულიჯანმა ყარამანი რომ ფეხზე წამომდგარი ნახა მივიდა კალთას აკოცა, ყარამანმა მიიყვანა და გვერდით მოისვა, ქუჩუკსაც გულიჯანის გვერდით დაჯდომა უბრძანა, ქუჩუკმა პაპის ბრძანება აღასრულა, გვერდით რომ მოუჯდა ისე მშვენოდნენ რომ მნახველნი ამას იტყოდნენ ერთი მზეა და მეორე მთვარე, მაშინ ყარამანმა ღმერთს დიდი მადლობა შესწირა და თქვა: „ვმადლობ შენ ღმერთო რომ ერთი შვილი მყვანდა რომელმაც ჩემი უდიარობა ჩაიდინა, წავიდა და უცხო ქვეყანას

უჩემნებოთ შეირთო ცოლი, რომელმაც მე იმის სიხარული ვერა ვნახე და ახლა კი მეღირსა შვილის-შვილის სიხარული". ორი დღე და ღამე დიდი ლხინი გადაიხადეს, მესამე დღეს შაჰპალ-შაჰამ ყარამანს და ქუჩუკს მრავალი ფეშქაშები მიართვა, ისე რომ ანგარიში არ შეიგდებოდა.

რა ესე ყველა ლხინი გადაიხადეს, მეოთხე დღეს ყარამანმა შაჰპალ-შაჰას მადლობა მოახსენა და უთხრა: ხელმწიფევ წასვლის დროა, არამც თუ ქაბულის ქვეყანა შეაწუხოს ვინმემ და ავნონ რამე ნარიმანსაო. ყოველ შემთხვევაში თუ ინებებთ თქვენ ქვეყნისთვის ოც ათასს გაწვრთნილ დევის ლაშქარს დავტოვებ თავის სარდლით, აქ ახლო სადმე დავაყენებ და თქვენც უნდა წამობრძანდეთ და გულიჯანიც, ქაბულის ქვეყანას უნდა მივიდეთ რომ ქებინი გაუჭრათ.

რა ქუჩუკმა და გულიჯანმა ყარამანისაგან ესე გაიგონეს ორნივ დიდ სიხარულს მიეცნენ, შაჰპალ-შაჰამ და ყამარლუხმაც ნება დართეს და ორი დღე წასასვლელად ემზადებოდნენ. ყარამანმა მაშინვე ყეითარ-დევი დაიბარა და უბრძანა: შენ ოცი ათასის დევით აქ უნდა დადგე და თუ ბადი-ირამს ერთი რამ დაუშავდა და ან წაუხდა ერთ ათად გაზღვევინებ.

ყეითარ-დევმა თაყვანი სცა და მოახსენა: საპყირანო, ოკეანეს ზღვაში რომ გამგზავნო იქაც სიხარულით წავალ არამც თუ ამისთანა სამოთხეში რა მომაწყენს.—ამასაც მოგახსენებთ რომ აქნომამდე ჰაზარექ-დასტის შიში მქონდა, ახლა არავის შიში აღარა მაქვს, შენის მოწყალებით: ბადი-ირამს ისე შევინახავ რომ მგელი და ბატკანი ერთად სძოვდნენ. ყარამანმა მრავალი აჩუქა და ორი დღის სავალზე ოცი ათასი დევის ჯარი დააყენა და თვითონ ყეითარი, ყარამანი, ქუჩუკი და გულიჯანი, ჰაზარექ-დასტის ტახტზე დაბრძანდნენ, შაჰპალ-შაჰა, ყამარლუხი და ბარამ-ჯიბილი ერთ ტახტზე დაბრძანდნენ, ფარვან-დევი წინ გაიძღოდა, ასი ათასი დევის ლაშქარი მას უკან მისდევდა, აგრეთვე ფაშკუნჯი, ფერიების ტახტი შუაში მიჰქონდათ და დანარჩომი დევის ლაშქარი უკან მისდევდნენ.

---

## აქ ეს ამბავი დაუტეოთ და ჰაზარექ-დასტმა რომ თავის ძლიერი გოვთია დევი ასი ათასის დევით გაისტუმრა ქაბულისაკენ ნარიმანზე, იმის ამბავი.—აქავ გოვთია დევის ლაშქრის იერიშის მიტანა ქაბულის ციხეზე.

როდესაც გოვთია დევი ასი-ათასის დევით ჰაზარექ-დასტს გამოესალმა და წამოვიდა ქაბულის ქვეყანას მოაღწია და ქაბულის მთაზე ჩა-

მოხტა, ორი დღე იქ განისვენეს, მესამე დღეს თავის ლაშქარს უბრძანა, მზათ იყავით რომ უეცროვ ციხეს მიუხტეთ, რა ესენი ესე გაწყო მზათ იყვნენ გოვთიას ლაშქარი, იმ ჟამად ორი ქაბულელნი სანადიროთ ვლიდნენ ქაბულის მთაზედ, ნახეს რომ ერთ მხარეს მთაზე მრავალი დევის ლაშქარი ჩამომხდარან, ესე რომ ნახეს გაჰკვირდნენ და ერთმანერთს უთხრეს, დროისად წავიდეთ და ჩვენ ხელმწიფე ნარიმანს შევატყობინოთ: მაშინვე გამობრუნდნენ და ჩქარის სიარულით ნარიმანთან მოვიდნენ, პირიმიწას გაერთებით თაყვანი სცეს და მაღლის ხმით მოახსენეს: ხელმწიფევ! ჩვენ მთის წვერზე უანგარიშო დევის ლაშქარია ჩამომხდარი და ისე ეტყობოდათ რომ საომრათ მზადდებოდნენ.

ნარიმანმა რომ ესე გაიგონა, ბრძანა წასულიყვნენ და ნამდვილად ენახათ თუ მთაზე ჩამომხდარი დევის ლაშქარი მტრისა თუ მოყვრისა. მაშინვე წავიდნენ ნახეს რომ მტრის ლაშქარია და აპირობენ ციხეზე იერიში მოიტანონ. მზვერავნი მოვიდნენ და მოახსენეს, ხელმწიფეო ჭაზარექ-დასტის ლაშქარია, გოვთია-დევის წინამძღვრობით, ასი ათასი დევით და ვგონებ იერიში უნდა მოიტანონ ციხეზე. ნარიმანმა უთხრა: ეს სამი დღეა რაც დაუდგომლად ომის მხარი მერჩის, მაშასადამე როგორც ეტყობა ერთბაშათ დაგვესხმიან! ბურჯ-ვეზირმა მოახსენა: დიდებულო ხელმწიფევ, ჩვენ ახლავე გარეთი ხალხი უნდა ციხეში შევასხათ და ყოველ მხრიდამ ციხე გავამაგროთ, ყოველ მხარეს კაცები გავგზავნოთ და ლაშქარი შევიკრიბოთ. ესეთი რჩევა ნარიმანს მოეწონა, მაშინვე რაც გარეთ ხალხი იყო ყველანი თავიანთ სურსათით ციხეში შეასხა და ციხე ოთხივკუთხით გამაგრებინა ყოველ მხარეს, ყარაულები დაუყენა ციხის კედლებთან, ბევრი ქვა მოაგროვებინა და ქაბულის ხალხს უბრძანა, ხვალ თქვენც ამ ციხეზე ადრე მოგროვდით და ვინიცობა დევის ლაშქარმა იერიში მოიტანონ, აქედამ ქვის მეტი არა გაეწყობარა, ვიდრე გარედამ ჯარი მოგვეშველებოდეს. რა ესე გაარიგა ყოველთა თადარიგი ნახეს. შეღამდა თუ არა ბურჯ-ვეზირმა შიგნიდამ ციხის გარეშემო შემოიარა და დათვალიერა, რაც ნაკლები რამა ჰქონდა ყველა გამაგრა და ისე განისვენეს იმ ღამეს. გათენებამ რომ მოატანა და ყველას ეძინათ, მაშინ ციხის გარეთ ასეთი დევის კიჟინის ხმა მოესმათ რომ მეორეთ მოსვლას ემზგავსებოდა, ციხეში მყოფნი დიდათ შეშინდნენ, რა ნარიმანს ესეთი კიჟინის ხმა მიესმა, მაშინვე ადგა ილოცა, სამოცდა სამის იარაღით შეიჭურვა და თავის ამალით თორმეტი ათასი ფალავანი მოამზადა, რა ნარიმანმა თავის ლაშქარი განაწესა, უბრძანა თქვენც ერთიანად ოთხსავ კუთხეზე კიჟინით მიდით და ზევიდამ ქვა დაუშინეთო, მეციხოვნელებმა ასრულეს. გარეთ რა დევებმა იერიში მიტანეს,

ციხის კარი ღია ეგონათ და კარეთაც ხალხის იმედი ჰქონდათ და უნდოდათ აეკლოთ, რა მიახლოვდნენ ნახეს რომ რაც ციხის გარეშამო ქალაქები თუ სახლები იყო სულ ცარიელები დაუხვდათ. გაჯავრებული ახლა ციხეზე მიტანეს იერიში, გოვთია-დევმა როგორც ციხის კარებს მიატანა, ზევიდამ სეტყვასავით დაუშინეს სიპი ქვა და მრავალი დევი დახოცეს, მაშინვე ციხის კარს დაშორდნენ და შორს დადგნენ, რა გოვთია დევმა ნახა რომ ციხეს და ციხის კარს ვერა დააკლორა, მაშინ წინ წარმოსდგა და საშინელის ხმით შემოსძახა: ჰეი ნარიმან რის იმედით დაგიკეტია კარები?! ასე იცოდე რომ ამ ცოტახანში შენ ციხეზე ერთ ქვასაც არ დავარჩენ, თუ ყარამანის იმედი გაქვს, ისიც ჭაზარექ-დასტმა ერთი დაკვრით მიწასთან გასწორა და იმის დევის ლაშქარიც დაიმორჩილა.—ჭაზარექ-დასტიც ახლა აქეთკენ მოდის! მოდი დამიჯერე ნარიმან, ვიდრე ის ვეშაპი არ მოსულა მე დამმორჩილდი, ციხის კარები გაღე, ეს ქვეყანა მე დამანებე და მეც შეგაბრალებ და ერთ ქვეყანას მოგაცემინებ—და თუ ამას ესე არ იზამ, ისეთ საქმეს დაგმართავ რომ სიკვდილს ნატრობდე.

რა ნარიმანმა ესე გაიგონა, ციხიდამ გადმოხედა, ნახა რომ ერთი საშინელი დევი დგას სამ თავიანი, ას სამოცი მწყრთის სიმაღლის მქონებელი, საშინელი სახის პატრონი—ვირსავით ყროყინებს და ამისთანა სიტყვებსა როხავს, ამისთანა სიტყვები რომ გაიგონა, ცეცხლებრ აენთო და კარის გაღება ბრძანა, მაშინვე რამდონიმე უცხო პატიოსანი კაცები და ბურჯ-ვეზირიც წინ წარმოუდგნენ და მოახსენეს, ხელმწიფევ! ის ვისი ძაღლია რომ მაგისგან შეგეშინდეს!? იმიტომ ამბობს მაგისთანა სიტყვებს რომ მოგატყუოს და კარი გაგაღებინოს, მაშინ ნახე ციხეში როგორ შემოალაგოს თავის ლაშქარი. ნარიმანი გაჯავრდა და თქვა: ჰეი თქვენ კაცნო! მე მაგისი ჯავრი მომკლავს, ვიდრე აქ ჯავრით მოვკვდე, იმში სიკვდილი მირჩევნია. მე ნუ მიშლით თორემ მრავალ ზიანს ნახავთ, უწინვე იცნობდნენ მის აგზნულს და თავის ნათქომობას რომ არა გაეწყობოდარა. მაშინვე კარი გაღეს. კარი რომ გაღეს ნარიმანი შეიარაღებული კარზე გამოვიდა და უბრძანა რომ ციხიდამ არავინ გამოსულიყო და კარი ჩაეკეტათ, უთხრა თქვენ დევების ბრძოლა არ შეგიძლიანთო, ესე თქვა და კარზე გამოვიდა. მოედანს რომ მივიდა ნახა რომ გოვთია დევი დგას და ღრიალებს, ნარიმანმა შესძახა: შე ძაღლო და ძაღლის შვილო! შენ ვინა ხარ რომ მე შენგან შევშინდე? ქრთამი მოგცე ჩემივე ქვეყანა—და შენი წყალობით იქნება ერთი ქალაქი რამე მოაცემინო ჭაზარექდასტს! მოდი თუ ძალა გაქვს იარაღი იხმარე და ძალით აიღე ჩემი ციხე-ქალაქი. გოვთია დევმა ნახა რომ ნარიმანი მარტო-მარტო გამოსულა და მეიდანზე უქა-

დის, ცეცხლეტრ აქნთო და თავისი მძიმე ლახტი ნარიმანს შეუმაღლა, ნარიმანმა ფარი იფარა, მისი ლახტი ფარს მოხვდა და არა მცირე ძალა დადგა, ისე რომ ნარიმანს სისხლის ოფლი გადმოუდინა, მეორედ მოუქნია, დიდის ცდით გადაურჩა. რა გოვთია დევმა ნახა რომ ორის დაკვრით ვერა ავნორა განრისხდა, თავის ლახტი სამჯერ თავს შემოივლო და დასაკრავად მოუტანა, ნარიმანმა ნახა რომ მას ლახტს სულიერი ვერ გადურჩებოდა, თავის გუნებაში თქვა: თუ ამ ლახტს მოვერიდო სირცხვილი იქნება ჩემთვისაო, მაშინვე თავის ლახტი გამოიღო და მის მოქნეულს ლახტს ისეთი შემოჰკრა რომ ლახტი ხელიდამ გააგდებინა, ნარიმანმა მეორედ მოუქნია, გოვთია დევმა ფარი იფარა, ნარიმანის ლახტი ფარს მოხვდა და ისეთი ძალა დადგა რომ მისი საჯდომი მხეცი კოჭებამდის მიწაში ჩაჯდა და თითონაც წელში მოიზნიქა. რა ნარიმანმა ნახა რომ მით ვერა ავნორა, გაწყრა აფჯანდაზე შედგა თავისი ლახტი სამჯერ თავს შემოივლო და ერთი ისეთი დაჰკრა რომ ფარმა და მკლავებმა ვეღარ გაუძლეს, ლახტი თავს მოხვდა და უცნობო შეიქმნა, მხეციდამ დედამიწაზე გადმოვარდა, ნარიმანმა მოინდომა მეორეხის დაკვრა და მის გათავება, მაგრამ რა დევებმა თავისი უფროსის სიკვდილი მოწეული ნახეს, მაშინვე ორმოცმა ათასმა დევმა ერთიანათ ნარიმანს შემოუტიეს, ნარიმანმა რომ ესე ნახა მისკენ ხელი აიღო, ბედნიერ ქარქაშიდამ ხმალი ამოახდინა და შეუტია, დევთა შუა გაერია და რომელსაც ხმალსა სცემდა ორათ სწყვეტდა, ზოგს ხელში აიყვანდა და მეორეს შესტყორცნიდა, ორივე უსულო იქმნებოდნენ, რომელსაც ლახტსა სცემდა მიწასთან ასწორებდა. ციხიდამ შიშით ვერავინ გამოვიდა, რა დევთა ნახეს რომ თავიანთ ნაკრავს არათ იგდებს, მაშინვე გარს ალყა შემოარტყეს მრავალმა დევებმა და საღამომდის იბრძოდნენ, საღამოს ჟამი რომ შეიქმნა ნარიმანმა ციხეში შესვლა დაპირა, მაგრამ დევთა სიმრავლისაგან გზა შეკრული იყო და ციხეში ვეღარ შევიდა, ამაზე გაწყრა, ასე რომ მთვრალ ვეშაპს დაემზგავსა და აქეთ-იქით შეუტია ცოტა ხანში მრავალი დევი დახოცა, გახლტა მოშორებით დადგა და შუბი დედამიწას გაამაგრა და თავისი მხეციც იქ დაბა, თითონ დაჯდა და აქეთ-იქით ყურება დაიწყო, ნახა რომ დევნი შიშით ვერ მისდგომოდნენ, გათენებამდის იქ გაათენა და არ დაიძინა.

დევებმა ნახეს რომ ნარიმანი იქ ახლოს ჩამოხტა, დევის ლაშქარი შიშით გაეცალა შორს და თავთავის ბინას მივიდნენ. იმათგანი მრავალი სანადიროდ წავიდნენ და რამდენიმე ჯეირანი და ნადირი მოიღეს, ზოგმა შეწვეს ზოგმა უმათ ჭამა დაუწყეს.

ნარიმანი შორით დევებს უყურებდა, რომელთაც ცეცხლი დაენთოთ

და ნანადირევს სწვავდნენ და უნდა ეჭამათ. რა შუადამე შეიქმნა ნარიმანს ძლიერ მოშივდა და მშიერმა ვეღარ გასძლო, მაშინვე შავარდენივით წამოხტა მხეცს ამხედრდა და დევების ჯგუფს დაეცა, ცეცხლთან გროვა დევების შეუტია, ზოგი დახოცა ზოგი გაქცნენ და თითონ ცეცხლთან ჩამოხტა ნადიმათ, ჭურანი კარგა შეწვა და ივახშმა, რა კარგა დანაყრდა მხეცს მოახტა და თავის ბინას მივიდა, ცოტა მოსვენებას მიეცა, ცოტა რომ მოისვენა, გულმა ვეღარ გაუძლო მხეცს ამხედრდა და დევებს შეუტია, რა დევთა ნარიმანის ხმა გაიგეს, მაშინვე ერთი მეორეს ეცნენ და არ ესმოდათ თუ რომელ მხარეს დაიმალნენ იმ სისხლის მღვრელისაგან. ნარიმანი რომელს მხარესაც შეუტევდა ყოველს დაჭყანტავდა, გათენებამდის მრავალი დევი დახოცა, რა გათენდა და ქვეყნის დამაშვენებელმა მზემ თავი ამოჰყო, მაშინ გოვთია დევმა უბრძანა: დევნო წუხელ ნარიმანს არ დაუძინია და დაღალულია, ზოგმა ამას შეუტიეთ და ზოგმა ციხეზე იერიში მივიტანოთ, ეგების ვავნოთ რამე. დევებმა მაშინვე ნახევარმა ციხეს მიმართეს, ნახევარმა ნარიმანს, რა ციხელებმა კიჟინის ხმა გაიგეს, დათვალიერეს ნახეს რომ ნარიმანი კი არსადა სჩანს—და დევთა ერთიანად შემოუტიეს, მეციხოვნელებმა ნარიმანის იმედი გადიწყვიტეს და თავიანთ თავისაგანაც ხელი აიღეს და ღვთის ვედრებას იწყეს. ბურჯ-ვეზირმა რომ ლაშქრის შეშინება ნახა, უთხრა თქვე მხდალნო თქვენა, ვაჟკაცნი ეგრე მალე შეშინდებიან? ეს ციხე ისეთი ციხეა რომ თუმცა ქვეყნის დევნი აქ შეიყარნენ ვერას დაგვაკლებენ. თქვენ ქვას მიჰყავით და ციხეზე მომავალ დევებს დაუშინეთ და ღმერთი მოწყალეა, ნარიმანისა ნურა გეფიქრებათრა იმას ვერას ავნებენ. რა ციხის ლაშქარმა ბურჯ-ვეზირისაგან ამისთანა იმედიანი სიტყვები გაიგეს ცოტათ იმედი დაიდვეს და მომავალ დევებს ქვები დაუშინეს. რა დევთა ესე იხილეს ვერა გაწყვესრა და მოშორდნენ.

იმ ჟამად ნარიმანის ცოლმა ჰუსნიარამ ნახა რომ თავისი ქმარი ნარიმან-ხელმწიფე ციხეში აღარ გაჩნდა, ძლიერ შეფიქრიანდა და მეორე დღეს ჰუსნიარა თითონ შეიკაზმა სამოცდა-სამის იარაღით და ათას ხუთასი ფალევანი ქალებით გარეთ გამოვიდა ციხიდამ და თავის ლაშქარს შესძახა: „ჰეი თქვენ ჰურმარილის გმობელნო და უეხტიბარნო! თქვენი ხელმწიფე და თქვენი მფარველი, მტრის ხელში გეგულებათ, ორი დღეა რაც მოგშორებიათ და არ მოიკითხეთ?! თქვენსა თავი დარჩეს თქვენი იმედით. ახლა მე გავალ ჩემი ფალევანი ქალებით და მე თვითონ მოვძებნი ჩემს დაკარგულ პატრონს, თუ ცოცხალია მეც იმასთან უნდა გავისარჯო და თუ მკვდარია მეც იმასთან მოვკვდე". ესე ბრძანა და ციხის კარებისაკენ გასწია, ბურჯვეზირმა და სხვა დიდებულებმა რომ ესე ნახეს, წინ წარსდგ-

ჩენ ჭილავს ხელი მოჰკიდეს და მოახსენეს: დედოფალო ჩვენ გავალთ და ჩვენ ხელმწიფესთან დავიხოცებით და თქვენ აქ ბრძანდებოდეთო, მაგრამ მათი ვედრება არ ისმინა და უპასუხა: ჩემი უკან დაბრუნება არ შეიძლება, აბა მე წავალ და თქვენც უშიშრად გამოდით ბრძოლის ველზე თუ გი-ყვართ თქვენი სამშობლო,—და ერთ ხმათ შეუტიოთ მტერს, ეგება ღვთის ძალით ვძლიოთ. მაშინვე ციხის კარები გააღეს წინ ჭუსნიარა მიუძღოდა, უკან თავის ქალებიდამ შემდგარი ჯარი მიზდევდა, მხოლოდ ციხე ბურჯ-ვეზირს ჩაბარა და გამოვიდნენ მტრის წინ.

ჭუსნიარას ას-ოც ლიტრიანი ლახტი ეჭირა, სხვა ფალევნებს ზოგთა ხლმები ეჭირათ ზოგთა გურზები, დევის ლაშქარს შეუტიეს, დედოფალი რომელ დევსაც ლახტსა სცემდა მიწასთან ასწორებდა, აგრეთვე ფალევან-ნიც ძლიერ გულმოდგინეთ იბრძოდნენ, ასე რომ ორმოცდა-ათი-ათას დე-ვის ლაშქარს პირი აბრუნებინეს და ღვთის მადლით გოვთია დევამდის სულ ხოცვით მიჰყვნენ, ჭუსნიარამ შენიშნა რომ ნარიმანი დევთა შუაგუ-ლობაში ომობს და მრავალი დევიც დაუხოცია.

რა ნარიმანმა იხილა რომ დევის ლაშქარი ციხის მხრიდამ მორბიან და უკან შეცოხოვნელები ხოცვით მოსდევენ, მაშინვე ნარიმანმაც ნარა გასწია და იმათკენ შეუტია, მრავალი დახოცა, უეცრივ შეხედა ნახა რომ თავის დედოფალი ჭუსნიარა გაცხარებული მოსდევს თავის ფალევანი ქალებით, დევთა ლაშქარი წინ წამოუერია—და ღვთის რისხვა მიუყენებია, რომელ-საც ლახტსა სცემდა ძვალსა და ხორცს ურჩევდა, უკანაც თავის ჯარი მოს-დევს ხმალ მოწვდილი და ცხარეთ ომობენ, რა ნარიმანმა ჭუსნიარასაგან ამისთანა გულოვნობა იხილა, სიყვარული ერთი ათასად განუცხოვლდა, თითონაც მხნეობას მისცა თავი და შეუტია, დევებმა რომ ნარიმანი იხი-ლეს და იმის ისე გაცხარება, გაიქცნენ. რა გოვთია დევმა თავის ლაშქარი უკან გამოქცეული ნახა მაშინვე თავისი მძიმე ლახტი აიღო და სადაც ნა-რიმანი იყო, იქით მხარეს წასვლა კი ვერ გაბედა და ქაბულელთ ჯარს შეუ-ტია, საღამომდის იბრძოლეს, რა საღამოს ჟამი შეიქმნა, ჭუსნიარამ ნა-რიმანს დაუძახა, ფალევანო და ჩემო თვალის ჩინო, იკმარე მაგდონი ომი და სისხლის ღვრა, ღმერთი იწამე მობრუნდი და ციხეში შევიდეთო, ნა-რიმანმაც დაუჯერა გამობრუნდა და ლაშქარიც უკან დააბრუნა, დევის ლა-შქარიც უკან შორი-ახლო მისდევდნენ, რა ციხის კარებს მიუახლოვდნენ, ნარიმანმა მოიხედა ნახა რომ დევის ჯარი თავის ლაშქარს მოსდევს შო-რი-ახლო, ჭუსნიარას უთხრა: საყვარელო თქვენ ამ ლაშქარ წინ გაუძეხით მეც ამ მინუტში გიახლებით, ნარიმანი მაშინვე უკუ იქცა და ერთი ისე-თი ნარა გასწია რომ სუყველა გაშტერდნენ და დაჩგნენ, მაშინვე თავის

ბასრ ხმალს ხელი მიჰყო და ამ მომავალ დევის ჯარს შეუტია და მრავალი ამოწყვიტა, რა დევთა ნარიმანი შემავალი დაინახეს მაშინვე პირი იბრუნეს, ნარიმანი ცოტა ალაგს მიჰყვა და უკან დაბრუნდა, ციხეში შევიდა თავის ლაშქარიც სულ შემოსულიყო და ციხის კარებიც დაეკეტათ რომ დევნი არ შეცვივნილიყვნენ. დევები დაბრუნდნენ გოვთია დევთან და მოახსენეს: ხელმწიფევ რა ვქმნათ რომ ციხეში ვეღარ შევდივართ, თუმცა იმათ ლაშქარს გაუდექით მაგრამ, ნარიმანი გამოგვეკიდა და რამდენიმე გამოჩენილი ფალევანიც დაგვიხოცა და ისევ ციხეში შევიდა უვნებლად.

ამაზე გოვთია დევმა ბრძანა: მე ვიცი ხვალ კიდევ გამოვა, იმას ბრძოლით ვერას ავნებთ, — მერე ათ-ათას დევს უბრძანა, თქვენ ყველამ ქამანდები ხელში მოიმარჯვეთ და რა წამს მეიდანზე გამოვიდეს ერთიანად იერიში მიტანეთ და ქამანდები გადაყარეთ, ეგები იმით როგორმე დავიჭიროთ, ყველანი ესე დარიგა და მოსვენებას მიეცნენ — და ჭაზარექ-დასტს მოელოდნენ და იმის მოსვლის გზაზე ეჭირათ თვალი.

იქით მხარეს ნარიმანი რომ ციხეში შევიდა დიდებულნი წინ მოეგებნენ თაყვანი სცეს, კალთას აკოცეს და მოახსენეს: ბედნიერო ხელმწიფევ, თქვენ პატიოსან თავს ეგრე რათ იმეტებთ და მარტოთ-მარტო ორას ათას დევის ლაშქარში ერევით და ებრძვით? დიდებულთა და ბურჯვეზირმა მრავალი ამისთანა სიტყვები მოახსენეს, რა ნარიმანმა აქეთ-იქით მიმოიხედა ნახა რომ მრავალი ფალევნები თავის ბრძანების მორჩილნი იქ არა სჩანდნენ, მაშინვე იკითხა: დიდებულნო, ფალევნები სად არიანო რომ არა სჩანანო? მათ მოახსენეს: ხელმწიფევ, აი ამისთვის მოგახსენებთ რომ თქვენ გაბრძანდებით და ფალევანნიც თქვენ მოგდევენ, დღეს ომში ჩვენი გამოჩენილი ფალევნები და სხვანი მრავალნი, ყველა იმათ სარდალმა გოვთია დევმა დახოცა, რომელსაც ას ოცი მწყრთა სიმაღლე აქვს და სამი თავი აბია. ნარიმანმა მათი დახოცვა რომ გაიგო, მაშინ ცრემლები გადმოყარა და თქვა: ვაი შენს ბედს დევო რომ ჩემ ხელიდამ გადარჩი და დევებმა გაგიტაცეს, მაგრამ უნდა იცოდე დევო რომ მაგათ სისხლს შენ არ შეგარჩენ და გაზღვევინებ. დიდებულთა რჩევა განუცხადეს და უთხრეს: ხელმწიფევ ჩვენი ციხის კარები დავკეტოთ და ასე იცოდეთ რომ ასი წელიწადი გარეთ რომ არ გავიდეთ ჩვენ ვერას დაგვაკლებენო და ქვეყანა რომ დევებით აივსოს ამ ციხეს ერთ ქვასაც ვერ გამოაძრობენ, მხოლოდ საზრდო უნდა ვიქონიოთ, ჩვენ აქ ვიყვნეთ ლხინით და შექცევით და ისინი გარეთ იყვნენ ვნახოთ რას დაგვაკლებენ, გარეთ დგომით, თვითონ გაბეზრდებიან. — ჩვენ იმედი გვაქვს რომ ამ ახლო ხანში საბეირანი და შენი შვილი ქუჩუკ-ყარამანი გაჩნდნენ.

ნარიმანს მათი რჩევა მოეწონა და თვითონაც იფიქრა, თუ მე მარტო გავიდე ჭურას გავაწყობ ამოდენა დევის ლაშქარში, თუ ესენიც გავიყვანო უბრალოთ დავხოცავთ, სჯობს რომ ამათი ესე სიტყვები და რჩევა დავიჯერო და ათიოდ დღე მოვიცადო და ვნახო ღმერთი რას გაგვირიგებსო. შემდეგ მძიმედ დაბრძანდა და შექცევას ხელი მიჰყო, რა მეორე დღე გათენდა და დევებმა ნახეს რომ არც ნარიმანი გამოვიდა აღარც იმის ლაშქარი, გოვთია დევმა თავის ლაშქარს უბრძანა: თქვენც ორიოდ დღე მოისვენეთ და მერე ციხეს ავიღებთო, რა დევთა ესე ბრძანება მიიღეს, ყოველ მხარეს სანადიროთ დაიფანტნენ, ბევრი დათვები და ირმები ინადირეს მოიტანეს და ზოგი თავიანთ უფროსს მიართვეს და ზოგიც თვითონ ისაზრდოეს, შემდეგ მიჰყვნენ და რაც ქაბულის ქვეყანას სოფლები ჰქონდა ახლოთ, სრულიად გაოხრეს, რა ნარიმანმა სოფლების გაოხრება გაიგო, გულმა ვეღარ მოუთმინა, ერთ ღამეს ჩუმათ გამოვიდა ციხიდამ და დევის ლაშქარს გამწარებული დაერია, ლაშქარი ერთმანერთსა ჰკრა და იმ ღამეს შვიდასი დევი დახოცა.

როდესაც მეციხოვნელებმა კიჟინის ხმა შეიტყეს, შეშინებულნი მოგროვდნენ ნარიმანის კართან და კარის კაცებს ჰკითხეს ხელმწიფე სადა ბრძანდებაო? კარის კაცებმა მოახსენეს: შეღამდა თუ არა ფეხის ხმა რომ მიწყნარდა, ხელმწიფე თავის საომარი იარაღით შეჭურვილი ციხის კარს გავიდაო, ესე რომ გაიგეს დიდებულთა დიდ საგონებელს ჩავარდნენ და მაშინვე ციხის კარს მიმართეს, ნახეს რომ ნარიმანი მარტოთ-მარტო მხეცს ამხედრებული მრისხანედ მოდის ციხისაკენ, რა დიდებულთა ნარიმანი იხილეს მივიდნენ და ფერხთ მოეხვივნენ და ეხვეწებოდნენ რომ ამისთანა საქმე კვლავ აღარ ჰქმნას, მოახსენეს: ხელმწიფეო, დევნი თქვენი ერთი მუჭა სისხლისთვის სულს გასწირვენ და ყოველ ჟამს თქვენი ხელში ჩაგდების ფიქრში არიან რომ როგორმე დაგიჭირონ; ამ საუბრით ნარიმანი სასახლეს მიიყვანეს, ნარიმანი მხეციდამ ჩამოახდინეს, დიდებულებმა ციხის კარი გაამაგრეს და იმ ღამეს მოსვენებას მიეცნენ, დილა რომ გათენდა იქით მხარეს დევნი შეიყარნენ, ნახეს რომ მრავალი დახოცილი დევი ერთმანერთზე ეყარნენ, რა ანგარიში შეიტყეს შვიდასი დაეხოცათ, ეს ამბავი გოვთია დევს მიუტანეს რომ წუხელის ვიღაც მოგვიხტა და დიდ აყალმაყალში ვერ გიცანით შუაღამისას, შვიდასი დევი დაგვიხოცა და თვითონ მშვიდობით წავიდა თავის გზაზე.

გოვთია დევმა რომ ესე შეიტყო, მაშინვე თქვა ეს სწორედ ნარიმანი იქნებოდაო და თავის თავსაც უთხრა: „თავო ჩემო შენც კი გაფრთხილება გმართებს ნარიმანისაგან გაფრთხილდე, როგორც ეტყობა ის ჩემთვის მოსუ-

და და მე ვერ უშოვიკარ, მე რომ პირველ ომში დღე დამაყენა, ჩემო-მტერიმც ჩავარდნილა იმის ხელში, მე რომ ჩემ დევებს არ გადავენარჩუნე ახლა მე მკვდარი ვიქმნებოდი იმისაგან“. რა ამ ფიქრში იყო ჩავარდნილი შეცრიფ დევებს უბრძანა: დევნო! ამას იქით ყოველ დამ ქეშიკათ ათასი დევი უნდა დაუყენოთ ჩემ მფარველად—და დამით საშინელი სიცხე ძლიერ ვწუხდები, ერთი თონის ტოლა მიწა მომითხარეთ რომ დამით იმაში მოვისვენო ხოლმე, რადგანაც მიწა გრილია:—ესე ბრძანა და ტყვილად განრისხდა და თავის მძიმე გურზი აიღო ხელში და დევთა უბრძანა: ჵეი თქვენ დევნო და ერთგულნო ჭაზარექ-დასტისანო! აბა გაუწირით თავი და იერიში მივიტანოთ ციხეზე და ამ მიწით ნაშობებზე: ესე დაიძახადა რომ ციხეში მყოფი ყველა შეშინდა, მაშინვე დევის ლაშქარმა ციხეზე იერიში მიიტანეს, გოვთია დევმა ციხის კარს მიაღწია და ერთი ასეთი გურზი შემოჰკრა რომ ციხემ რყევა დაიწყო, მაგრამ კარი შვიდკეცი ფოლადით იყო შექმნილი, თუმცა ათი იმისთანა გურზი დაეკრა ვერას დააკლებდა, ჯარმაც ციხის კედელს მიაღწიეს, მეციხოვნეებმა რომ ესე ნახეს დიდათ შეშინდნენ, ნარიმანმა და ბურჯ-ვეზირმა დიდი იმედი დაუდეს და ნარიმანი ხმალი ხელში ციხეს გადმოდგა და შესძახა: „ჵეი გოვთიავ შენა გსურს ციხის აღება? ასი წელიწადი რომ ადგე ამ ციხეს ერთ ქვასაც ვერ გამოჰგლეჯ არამც თუ აიღო, თუ ჭკუა გაქვს გაბრუნდით თორემ იქნება ამბის წამღებიც ვერ გადარჩეთ რომ ამბავი წაუღოთ თქვენ ხელმწიფე ჭაზარექ-დასტს“.

ბურჯვეზირმა მაშინვე უბრძანა თავის ლაშქარს რომ ციხეზე მომავალ დევებს ქვა-ლოდები დაუშინონ, ლაშქარმაც მაშინვე კივილი დასცა და ციხეზე მიმავალი დევთა ლაშქარი უკუ აბრუნეს და მრავალი გაჟლიტეს, რა დევებმა ესე გაიცადეს, სულ კუდამოძუებული უკან მორბოდნენ, რა ციხეში მყოფთა ნახეს რომ დევნი ციხეს განშორდნენ და მრავალიც დახოცეს, დიდ მხიარულებას მიეცნენ და სამხიარულო ნაღარას ჰკრეს, დევთა უკან ოლოლოს ხმა გამრავლეს, დევნი რომ დაღონებულნი გამობრუნდნენ გოვთია დევმა უთხრა თავის ლაშქარს, ნუ კი მირბიხართ დადექით: სჯობს რომ მოვიცადოთ ჭაზარექ-დასტისაგან რა ამბავი მოგვივა, იმედი მაქვს რომ ისიც წამოვიდეს საჩქაროთ ჩვენკენ, მაშინ ამათი საქმე მალე გადასწყდება და შემდეგ ინდოეთისაკენ გავილაშქრებთ, სრულიად გავახრებთ და ფეხქვეშ გავანადგურებთ. იქვე შორიახლო დაიყოვნეს და ჭაზარექ-დასტს მოელოდნენ. რა ნარიმანმა და ბურჯ-ვეზირმა დევთა ლაშქარი იმ ყოფით ციხიდამ გაბრუნებული ნახეს, გულში შიში აღარა ჰქონდათ, მაშინვე გამობრუნდნენ და მხიარულებას და ლხინს მიეცნენ.



აქ ესენი ამ ლხინში დაუტევოთ და დევები იმ დალონებაში—და სხვა ამბავი მოიხსენიეთ. *) აქ ქვემოთ მოიხსენება ხელმწიფეებისა—როვშან-ბახტისა, ჯიმშუდ-ხანისა, აყიუ-ხანისა და ხურშიდ-ხანისა—ნარიმანის წინააღმდეგ, აგრეთვე ჯიბილ-ჯადოსი.

როდესაც რაიაზამ ხელმწიფე ამ სოფლით განიწირა, ყოველი მისი სამეფო დაწმუნდა და პატრონი არავინა ჰყვანდა, ყოველ ქვეყანაში ცალცალკე მეფენი დასხდნენ და ერთმანერთს თავს არ უკრავდნენ, რაიაზამს ერთი პატარა შვილი დარჩა, როდესაც ის ყმარწვილი თვრამეტის წლისა შეიქმნა, იმ ქვეყნის დიდებულნი მოგროვდნენ და რჩევაში შევიდნენ და იძახდნენ, ჩვენ სხვა და სხვა ხელმწიფენი რათ გვინდაო, რომელნიც ყოველ ქვეყნებში თითო დამსხდარან და ბრძანებლობენო. მადლობა ღმერთს ახლა ჩვენ მოგვესწრო ჩვენი ხელმწიფის შვილი, რომელიც აქამომდე მცირე წლოვანი იყო და ახლა წლოვანია როვშან-ბახტი, სჯობს რომ ის დავსვათ ჩვენ ერთად ერთ ხელმწიფედ და ყველა ქვეყნები შევაერთოთ: ეს რჩევა ყოველთა დიდებულთა მოეწონათ, მაშინვე ყველა ქვეყნებში ხმა გააგდეს რომ რაიაზამის შვილი როვშან-ბახტი უნდა ხელმწიფედ დასვანო, ყოველნი ერნი დიდად გამხიარულდნენ. რა დიდებულთა და მოქალაქეთა ნახეს რომ ქვეყნის ერი და ლაშქარი დიდ სიხარულშია იმის ხელმწიფობისთვის, შეიკრიბნენ და როვშან-ბახტი ხელმწიფედ დასვეს და იმ ქვეყნის დიდებულნი და მოქალაქენი ულოცავდნენ როშან-ბახტს და სხვა და სხვა ქვეყნებიდამ მოდიოდნენ ერნი და თაყვანსა სცემდნენ, ვინც დამორჩილდა დამორჩილდა ვინც არა და ხმლით დაიმორჩილეს, ორ წლამდის ძლიერ კარგი ხელმწიფე შეიქმნა: ერთ დღეს დიდებულთა ჰკითხა თავის მამისა, დედისა და ძმის სიკვდილის მიზეზი რა ყოფილა რომ ასე ამოწყვეტილან?!.

---

*) აქ მოითხრობის რაიაზამის ძისა როვშან-ბახტისა, რომელიც მცირეწლოვანი დარჩა რაიაზამ ხელმწიფის სიკვდილის შემდეგ.—1) ჯიმშუდ-ხანისა. 2) აყიყ-ხანისა. 3) ხურშუდ-ხანისა.—რომელნიც ეს სამნივენი დასავლეთის მხრის მთავარნი იყვნენ, მხოლოდ უშანგ-შაჰის ხელქვეითნი, იმ დროიდამ როდესაც ყათრანისა და ყარამანის შემწეობით დამორჩილებულიყვნენ—და რაიაზამ-ხელმწიფის მხარეს იყვნენ. ამათი ამბავი დაწვრილებით მოგვხსენდება ყოველივე-

ბამ.

დიდებულთა გულმტკივნეულობით ამოიოხრეს და წვრილად მოახსენეს როგორც უშანგსა და იმის მამას ომები გადაეხადათ, როგორც მეხთილად შეროგებულიყო, როგორც ჯუვან-ბახტი გაეგზავნა, როგორც ჩინეთის ქვეყანას წასულიყო და უშანგისა და ყარამანის ხაზინა როგორ აექცია და ამ ხანათ როგორ წაუსხა თარმანია ციხეში, მასუკან ან ხოსროვშირსა და გარდანკეშანს ციხე როგორ აუღოთ, ჯუვან-ბახტი როგორ მოეკლათ, ან ბურჯ-ვეზირი როგორ უკუმდგარიყო. შემდეგ მოახსენეს, თქვენო დიდებულებავ! ჩვენ შევიტყვია რომ ზულუმათის ქვეყანას ერთი დევი გამოჩენილა სახელად ჭაზარექ-დასტი ჰქვიან. თურმე ყარამანი იმ დევის საომრათ წასულა ზულუმათის ქვეყანას და იმ დევის ხელითაც მომკვდარა, ახლა უშანგიც დაბერებულა და თავის ფალევნებიც, რასაკვირველია იმის ბედ-იღბალიც დაბერებული იქნება. ესე თქვეს და დაჩუმდნენ.

როშან-ბახტმა რომ შეიტყო უშანგისაგან თავის მამის იმდენი დაჭაბუნება, მოაგონდა თავის მამა და ძმა, ამოუჯდა გული და იტირა, ჰკითხა თავის დიდებულთა: ახლა რას მირჩევთ? ამას იქით მე ველარ მოვითმენ და ვერც მოვისვენებ. დიდებულებმა მოახსენეს, ხელმწიფეო, მაგისთანა საქმე საჩქარით არ შეიძლება დავიჭიროთ, ყველა ფიქრით და რჩევით უნდა იქმნას საქმე, ცოტა დაწყნარდით, უოველ მხარეს კაცები გავგზავნოთ, აღლან-ჯანდილის ბიძაშვილია უცხო და ჩინებული ფალევანი რომლის ნაკრავს ვეშაპიც ვერ გაუძლებს, იმას ფეშქაშები გაუგზავნოთ და დავიბაროთ, კიდევ ერთი ჩინებული ჯადო, სახელად ჯიბილ-ჯადოს ეძახიან, საკვირველი ჯადობაზია, რომ მოინდომოს ქვეყანას ცეცხლის ზღვათ გახდის, ჯიბილ-ჯადოსაც ფეშქაშები გაუგზავნოთ და ისიც დავიბაროთ, უოველ მხარეს კაცებს გავგზავნოთ შენ საბძანებელში და საცა ფალევნები მოიპოებოდეს ყველა აქ შევიყაროთ. ამისთანა რჩევაში რომ იყვნენ, უეცრათ ხელმწიფის კარს ოცი ცხენოსანი მოადგა უცხო ქვეყნელი და ვეზირთა შეატყობინეს მათი მოსვლა, ვეზირთა შესვლა უბრძანეს, მაშინვე ცხენებიდამ გადმოხტნენ და სასახლეში შევიდნენ, ვეზირმა მათი ვინაობა გამოიკითხა, მათ მოახსენეს, ხელმწიფესთან წიგნი გვაქვსო, ვეზირმა ხელმწიფეს აცნობა, ხელმწიფემ მათი მოყვანა ბრძანა თავისთან, რა ხელმწიფე დაინახეს მაშინვე მდაბლად თაყვანი სცეს მივიდნენ წინ და სამ ალაგ მიწას აკოცეს, წიგნი მიართვეს, ხელმწიფემ წიგნი გახსნა და მაღლის ხმით წაიკითხა, რომელშიაც ესე ეწერა:

„პირველად თავიანთ კერპი ღმერთი მანათის სახელი ეწერა, შემდეგ ეწერა: რაიაზამ ხელმწიფის შვილო! მოგვილოცავს თქვენი ხელმწიფობის ტახტზე აბრძანება და ჩვენმა ღმერთმა მანათმა გრძელ ჟამს გამყო-

ფოს და ყოველ ჟამ მისი მოწყალება შენზე უკლებელი იყოს და ჩვენც თქვენს ბრძანების მორჩილნი გვამყოფოს, თუ ჩვენ ვინაობას მოიხსენიებთ ამ წიგნსა გწერთ ჯიმშუდ-ხანი, რა შევიტყეთ თქვენი გახელმწიფება თქვენ მამის ტახტზე, ჩვენ ძლიერ გავიხარეთ და რჩევა გვქონდა თუ თქვენც ინებებთ ჩვენ სამთა ხელმწიფეებმა, ერთი თქვენი მცირე ჯუმშუდ, მეორე აყიფ-ხელმწიფემ და მესამემ ხურშუდ-ხელმწიფემ, ამ ჩვენ სამთა პირობა დავდეთ და თქვენც გატყობინებთ, თუ თქვენც თანახმა გაგვიხდებით უშანგზე გავილაშქროთ, ამ ჟამათ შევკრიბეთ ჩვენ სამთა ჯარები სამასი ათასი პირველი-მეომარი ფალავნები ორი ათასი, ორი ჯადო და მრავალი ხაზინაც მოვამზადეთ და ასეთი აიარები გვყვანან რომ გარდანქემანისთანა აიარებს ადვილად ინადირებენ. და ესეც შევიტყვეთ რომ ყარამანი ქაზარექ-დასტისაკენ წასულა და გზაზე ერთ ჯადოს დაუბრმავებია და იმ დაბრმავებულ დროს ქაზარექ-დასტი თავს დასდგომია და ყარამანი მოუკლავს, სწორეთ რომ ახლა კარგი დროა და შენც მამიშენის ჯავრს ამოიყრი, უშანგსაც ფალავნები დაუფანტავს და თვითონაც ომიდამ ხელი აუღია რადგან დაბერებულა, ჩვენ ესე გვაქვს პირობა რომ პირველად ქაბულის ციხისაკენ უნდა გავილაშქროთ, ამიტომ რომ ყარამანის შვილი ნარიმანი და ყარამანის ხაზინაც სულ იქ არის ციხეში, ხომ მოგეხსენებათ რომ რამდენი ხელმწიფე დაღუპა და რამდენი გამოჩენილი დევი, იმათი ქონება და ხაზინა სულ ქაბულის ციხეში შეიტანა. ქაბულს მივიდეთ ნარიმანი წვალებით მოვკლათ, სარვიხურამანი და ნარიმანის ცოლი, ყაითარბაშენს მოგცეთ, შემდეგ ქაბული გავაოხროთ, იქიდამ მივყვეთ და რაც უშანგს ქვეყნები აქვს დაჭერილი სრულიად დავიპყრათ და ის ყოველი ქვეყანა ოთხად გავიყოთ. ამით ჩვენც გავმდიდრდებით და ჩვენი ქვეშევრდომნი ჯარიც". წიგნის პასუხს მოუთმენლად მოველით, გწერს თქვენი მორჩილი მეგობარი ჯიმშუდ-ხანი.

რა ესე წაიკითხა როვშან-ბახტმა და მისმა დიდებულებმა ყოველივე, დიდათ იამათ და თქვეს, ნახეთ ჩვენ ხელმწიფის ბედს! თუ ბედი ჰქონდეს ხელმწიფეს ამისთანა ბედი. ჩვენ ხაზინაც უნდა დაგვეხარჯა ლაშქრისთვის და ჯადოებისთვის, ნახე ბედსა რომ თავიანთ ხაზინით თავისთავად მოდიან, მაშინვე პასუხი მისწერა ესე:

„პირველად კერპი მანათის სახელი ახსენა და შემდეგ მოკითხვა მისწერა: „მე როვშან-ბახტი თქვენი პატიოსანი ხელმწიფე, ისე რომ რომელიც თქვენ წიგნი მოგეწერათ, მივიღეთ და დიდათაც გაგვეხარდა და მეც მაგ თადარიგში ვიყავ, ყოველ მხარეს კაცი გამიგზავნია, ჯარები და ფალავნები დამიბარებია და ამ ათ დღეზე აქ ყველა მზათ იქნება, თქვენც

აქეთკენ წამობრძანდით გზაც ეს არის და რაც ჩვენმა ყურმა მანათმა გვიბრძანოს ისე აღვასრულებთ და როდესაც სრულიად ქვეყნები დავიჭირო[illegible]ხად გავიგეთ, ეს იყოს ჩვენი მტკიცე პირობა.

ეს წიგნი მსწრაფლ დაბეჭდა, ხალათები მისცა და გაისტუმრა. ყვე-ლა მხარეს კაცები გაგზავნეს, ერთი ძვირფასი საჩუქარი ჯიბილ-ჯალოს გაუგზავნეს და დაიბარეს, ერთი ფეშქაშიც ადამ-ქანდილის ბიძაშვილს ხოსროფ-ჯინდს გაუგზავნეს და დაიბარეს, რაც თავის ბრძანების ქვეშ ათას ხუთასი კუნძულის პატრონები იყვნენ და სამი ათას ექვსასის ქალაქისა და ციხის პატრონები, აგრეთვე რაც თავის საბრძანებელში აზარები და ფალევნები ებულებოდა სრულიად მოიწვია და ლაშქარმა ყოველ მხრიდამ დენა იწყო.

---

## ესენი აქ დაუტეოთ და ნარიმანის ამბავი მოიხსენიეთ.

რა ნარიმანმა ქაბულის ციხის კარები დაკეტინა და შიგ ლხინით და ნადიმით ათი დღე გატარა, ნახა რომ არც ყარამანისაგან მოვიდა ამბავი და არც დევის ლაშქარი გაეცალა და ამისთანა მდგომარეობაში თავის ლაშქარიც ძალიან შეწუხდა. მაშინ თავის დედა სალვიხურამანს ერთი წიგნი მისწერა და ყოველივე თავიანთ ამბავი შეატყობინა, ერთი წიგნიც უშანგ-შაჰას მისწერა და ყარამანის ამბის უცოდინლობა, დევების ლაშქრის ციხეზე მისვლა და თავისი ომი ყოველი წვრილად აცნობა, წიგნი მისცა ორ კაცს და უთხრა: ნურც დაისვენებთ ნურც დაიძინებთ და რაც შეგეძლოთ სიჩქარით წადით და ეს წიგნი უშანგ-შაჰას მიართვით, ესენი იქით გაისტუმრა, ამათ ოცი დღე გზას იარეს და მეოცდაერთეზე უშანგ-ხელმწიფესთან მივიდნენ და ნარიმანის წიგნი მიართვეს. უშანგმა რომ წიგნი გახსნა და წაიკითხა, დიდათ შესწუხდა, წიგნი შარიბ-შაჰას უბოძა, იმანაც წაიკითხა და ისიც შესწუხდა, ყოველ იქ მყოფს ეს ამბავი აცნობეს. რა გარდანქეშანმა, ხოსროვშირმა და სხვა ფალევნებმაც ესე შეიტყვეს, ხელმწიფეს მოახსენეს: დიდებულო ხელმწიფევ, თქვენთან ყოველთვის ცხადი ყოფილა რომ—ყოველ გაჭირვებაში ჩვენი მხსნელი ყარამან-ყათილი იყო, ახლა იმის შვილი გაჭირვებაშია ჩვენ გვმართებს რომ მივეშველოთ, უშანგმა ბრძანა: თქვენმა მზემ მართალს ბრძანებთ რომ უნდა უეჭველად წავიდეთ და მივეშველნეთ. მაშინვე ყოველ მხარეს კაცები გაგზავნა და ლაშქარი დაიბარა, ასი ათასი ლაშქარი შეიკრიბა, პირველი ფალევნები მოაგროვა და ერთი წიგნი ქიშმარს ყათრანს მისწერა რომ თავის ლაშქრით ქაბულისაკენ წამოსულიყო.

ეს წიგნი აიარის ხელით გაგზავნა და თვითონ მზადებაში იყო, რაც ყოველი თადარიგი შეასრულა, თავის სახელმწიფო შირაბ-შაჰს ჩაბარა, თითონ ასი ათასის ლაშქრით ქაბულისაკენ გაემართა.

როდესაც ნარიმანმა თავის დედა სარვიხურამანს წიგნი მისწერა, ის წიგნი მიუვიდა და ძალიან შესწუხდა, მაშინვე ქაბულისაკენ წამოვიდა და მეხუთე დამეს ქაბულის ციხეში შემოვიდა, ეს ამბავი ხელმწიფეს მიუვიდა, ნარიმანი მაშინვე სიხარულით წინ მიეგება თავის დედას, სარვიხურამანმა რომ თავისი შვილი დაინახა, მოეხვია შვილსა და მიესალმა, შემდეგ სასახლეს მივიდნენ, ჩამოხდნენ და სარვიხურამანმა ყოველი ამბავი გამოიკითხა, ნარიმანმაც ყოველივე უკლებრივ მოახსენა: ორნივე ყარამანის დაკვიანებაზე დიდათ სწუხდნენ, მაგრამ ბურჯ-ქეშორის მრავალი იმედიანი სიტყვებისაგან დაწყნარდნენ. მაშინვე ერთი წიგნი ყოვლიბან-შირვანს მისწერეს და ყოველი ამბავი აცნობეს, წიგნის წამღები საჩქაროდ წავიდა და ყოვლიბანთან მივიდნენ, ყოვლიბანმა წიგნი გახსნა და წაიკითხა: ისე განრისხდა რომ ცეცხლებრ აენთო და შესძახა: როგორ თუ ყარამანის ამბავი არ არისო და ნარიმანი გაჭირვებაში ჩავარდნილა, მაშინვე ხუთასი ათასი ამორჩეული ლაშქარი შეჰყარა, თვითონაც სამთლი იარაღით შეიჭურვა, მკითხველი ვგონებ იცნობს ყოვლი-შირვანს, ისეთი [illegible] იყო რომ ყარამანს არ დაუვარდებოდა და ყარამანის დედის ძმის შვილი იყო, ჯარს წინ გამოუძღვა და ქაბულისაკენ წამოვიდა.

## ესენი ამ მიმავლობაში დაუტეოთ და როვშან-ბახტის ამბავი მოიხსენიეთ.

როდესაც როვშან-ბახტის წიგნი ჯიმშიდ-ხანმა მიიღო დიდათ გაეხარდა, მეორე დღეს ეს სამნივე მომზადებული იყვნენ, სამასი ათასი ჯარით და ორი ათასის ჩინებული ფალავნებით და ორი ჯადოთი, სეილან-ჯადოთი და ქელან-ჯადოთი. აიყარნენ და ქალაქს გამოემართნენ, ეს ჯადოები ვეშაპებზე შესხდნენ, გველები მათრახათ დაიჭირეს ხელთა და რამდენიმე მათ შაგირდებსაც იმათ იარაღები ეკიდათ და მოზდევდნენ, ორი თვე იარეს და შაჰარი-როვათს მოაღწიეს, მაშინვე როვშან-ბახტს მოახსენეს რომ სამნი ხელმწიფენი გიახლნენო, უანგარიშო ლაშქრითაო.

როვშანბახტმა რომ გაიგო მათი მოსვლა, მაშინვე წინ მიეგება, რა მათ როვშან-ბახტი იხილეს ცხენებიდამ გადმოხტნენ მივიდნენ და მიესალმნენ, მაშინვე ლაშქრის ჩამოხდომა ბრძანა, ერთ დიდ მინდორზე ჩა-

მოხდნენ, ხუთი დღის სავსეში ადგილი დაიჭირეს. როუშან-ბახტმა სამივე ხელმწიფე თავის სარაიას მოიწვია და იმ ღამეს ისეთი მეჯლიში გადაიხადეს რომ ულხინიათ არავის დარჩა. იმ ორ ჯადოსაც მრავალი აჩუქა და დიდი პატივი მისცა, ამ ლხინში და განცხრომაში რომ იყვნენ, კაცი შემოვიდა ხელმწიფეს თაყვანი სცა და მოახსენა: ჯიბილ-ჯადო გიახლათო, მაშინვე ორნივე წინ მიეგებნენ, რა ჯიბილ-ჯადომ ნახა რომ ერთი ყმაწვილი მოდის თაჯი თავსა ხურავს და ის თაჯი სულ ალმასით მორთულია, თავის გუნებაში სთქვა: რაიაზამის მემკვიდრე როუშან-ბახტი ეს უნდა იყოსო, ჯიბილ-ჯადო ერთ შვიდთავიან ვეშაპზე იჯდა, მაშინვე ჩამოხტა და ის ვეშაპი უჩინო შეიქმნა, ჯადო ფეხით მოვიდა, როუშან-ბახტს თაყვანი სცა და ერთმანერთს მიესალმნენ, ისიც დიდის პატივით მიიღეს და პირველ ღირსეულ ადგილს დასვეს, რა სეილან და ქელან ჯადოებმა ჯიბილ-ჯადო იხილეს ადგნენ და თაყვანი სცეს, თურმე ეს ორნი მის შაგირდნი ყოფილიყვნენ, შემდეგ ტკბილი საუბარი იწყეს; რა ამ საუბარს იყვნენ, ერთი ჯარის კაცი შემოვიდა ხელმწიფეს თაყვანი სცა და მოახსენა: ჰადლან-ჭანდილის ბიძაშვილი ხოსროვ-ჭინდი, ორმოცი ათასის ლაშქრით გიახლათო, როუშან-ბახტს ძლიერ გაეხარდა და მაშინვე ფეხზე წამოდგნენ ორნივე ხელმწიფენი და სამნივე ჯადონი და მისაგებებლად წავიდნენ ხოსროვ-ჭინდისა, ხოსროვ-ჭინდი ძლიერ ჩინებული ფალავანი იყო, ათას ორას ლიტრიან ლახტსა ხმარობდა და ადლან-ჭანდილს არ ჩამოუვარდებოდა, რა ახლოს მივიდნენ ერთმანერთს მიესალმნენ, ხოსროვ-ჭინდი დიდის პატივით სარაიას მიიყვანეს, იმ ღამეს დიდი მეჯლისში გადაიხადეს. რა მეჯლიში მოიშალა, როუშან-ბახტმა უბრძანა ვეზირებს, მიდით და ლაშქარი დააბინავეთო და ნახეთ რამდენი ათასნი არიანო, დააბინავეს და აღრიცხვეს, ჯუვან-ბახტს წარუდგინეს ანგარიში.

რა ხოსროვ-ჭინდმა ამოდენა ლაშქრის შეკრება იხილა, როუშან-ბახტს ჰკითხა ხელმწიფევ ამდონი ლაშქარი რომ მოგიგროვებია რაღას ელი, ვისზედაც სათვარა გაქვსთ ბრძანეთ ლაშქარი აიყაროს და გაემართნენ, ჩვენ ათ დღის შემდეგაც რომ წავიდეთ ადრე მოვეწევით, როუშანბახტმა ამის რჩევა მოიწონა, მაშინვე უბრძანა სარდლებს და ფალავნებს ჯამაგირი და ხალათები დაურიგეს და ყველას ბრძანება გასცა რომ ამ სამ დღეზე უნდა აიყარნეთ და ქაბულისაკენ გასწიოთო, ლაშქარმაც ყველა თადარიკი ნახეს, მეოთხე დღეს ყველანი აიყარნენ და ქაბულისაკენ გაემართნენ, ოთხნი ხელმწიფენი, სამნი ჯადონი და სხვა დიდებულნი, მივიდნენ ერთ მაღალ ადგილს დასხდნენ და თავიანთ ლაშქარს შინჯვა დაუწყეს, ნახეს რომ წინ ასი დროშა გაატარა, ასმა ფალავანმა, მათ წინ ზორაბ-ფალავანი მიუძღოდა, მას

უკან ასი ბუკ-ნადირის შეკრულნი საკვირველის ხმაზე უყურადღნენ და მათ უკან ასი ათასი დაშქარი მოსდევდა, რა ამათ გაიარეს, ასი სხვა დროშა გამოჩნდა, ისინიც რომ მოახლოვდნენ, ნახეს იმ დროშის წინ ერთი უც-ხო სამოცდა-ცამეტის მწყრთის მქონებელი ფალავანი მოუძღოდა, როვშან-ბახტს ძალიან მოეწონა და თავის ვეზირს ჰკითხა: ეს ფალავანი ნეტა ვინ არისო, ვეზირმა მოახსენა ეს ფალავანი ჩვენია, სახელად ამას დოუთ—ჰქვი-ან უცხო ფალავანია, ჩვენ ერთ სამზღვარს ეს იცავს. მას უკან დროშე-ბი ეჭირათ ფალავნებს ხელში და სპილოებზე ისხდნენ, რადა გავაგრძე-ლო, ორმოცი ასი ათასი დაშქარი ორმოცად მოეწყოთ და ამ რიგათ გა-იარეს, როვშან-ბახტმა, სამთა ხელმწიფეებმა, ჯადოებმა და ჩოსროვ-ქინდმა ამდონი დაშქარი და ესე განწყობილება რომ ნახეს, დიდი ზმპარტავნები შეიქმნენ და ერთმანერთს უთხრეს: წავიდეთ ჩვენ სალოცავ მანათს სამღ-თოები შევწიროთ და ვნახოთ რას გვიბრძანებს, მაშინვე ბრძანეს რომ ერთი დიდი ცეცხლი დაენთოთ და ოცი კაცი ხელებ შეკრული მოეყვანათ და ცეცხლში ჩაეყარათ, რა ესე აასრულეს, ერთობრივ მივიდნენ თაყვნით და ქედები მოიხადეს და ცეცხლ თაყვანი სცეს, ყველას ლოცვა ეს იყო.

„ჰე ჩვენო ღმერთო მანათო, როგორც შენი ძალა ქვეყანაზე მო-ფენილია, ჩვენც თქვენ მანათს მოგვეცი ძალა, რომ ჩვენი მტერნი და-ვამხოთ და დავიმორჩილოთ და თაყვანი გაცემინოთ თქვენ წინაშე, ესე რომ დაასრულეს ხელები ცეცხლისაკენ გაშალეს, რა ის საბრალო ოცი კა-ცის გვამი იწოდა, უეცრივ დასქდნენ იმათ თავები და ისეთი საშინელი ხმები გამოხდნენ რომ ორი კაცი მოკლას გარეთ მდგომნი, უეცრივ უკან გამოცვივდნენ გახეთქილი თავები და მოხვდნენ ორ კაცს და იქვე სულე-ბი გააყრევინა, მაშინვე თქვეს, ჩვენ შევცდით რომ მხოლოდ ოცი კაცი შევწირეთ ჩვენ მანათს, უნდა ოცდა ორი კაცი შეგვეწირა, ამიტომ ის ორი კაციც წაიყვანა და თავისი შეასრულა, მაშინვე ის მოკლული ორი კაციც ცეცხლში ჩაყარეს და დაწვეს. მაშინ ცეცხლიდამ ერთი ეშმაკური ხმა გამოვიდა და დაუძახა: ჩემო მონავ როვშან-ბახტ, ქვეყანა შენთვის მო-მიცია, ეგ სამი ხელმწიფენი შენი მორჩილნი უნდა იყვნენ და ეგ სამი ჯადონიც შენთვის მომიცია თანაშემწედ, მხოლოდ მაგათ თავიანთ შესა-ფერი პატივი ეცი რომ სიკვდილამდე შენთან უნდა იყვნენ. რა ქაბულს მიხვალ, ნარიმანს ეგ ჯადოები დააჭერენ და მისი ცოლი ჯიბილ-ჯადოს უთავაზე, ყარამანის ცოლი სეილან-ჯადოს, ნარიმანის ცოლის დედა, ქე-ლან-ჯადოს, ამისთვის რომ თითონაც დაბერებულია და ისიც. თუ ჩემ სა-წყენ საქმეს იზამ, ეს იცოდე რომ ყოველ შენ საქმეს წავახდენ“. რა ესე-თი ხმა გამოვიდა ცეცხლიდამ, მაშინვე პირქვე დაემხვნენ ყველანი და თა-

ყვანა სცეს, რა ამ ცეცხლის თაყვანის ცემისაგანაც მორჩნენ, ათი დღე ლხინში გატარეს მეთერთმეტე დღეს ისინიც გაემართნენ და ჯარს დაეწივნენ, ორი თვე იარეს და ქაბულის ციხეს მიადწიეს; ერთ დიდ მანდორს ჩამოხტნენ, ხელმწიფეებისთვის უცხო კარვები დადგეს, ხელმწიფეთ ტახტები გააწყვეს და ზარ-დაბის სალაფვარდანი შემოავლეს, ყოველი თავ-თავის განწყობილობით. ქვენა რომ გაარიგეს, ნახეს რომ ქაბულის ციხეს ასი ათასი დევი შემოსდგომია, გაშტერდნენ და თქვეს ეს დევის ლაშქარი ვისი უნდა იყოსო, მაშინვე ჯაბილ-ჯადო დევის სახედ შეიცვალა, დევთა შუა გაერია, ერთ დევს ოსტატობით ჰკითხა და შეიტყო საქმის ძალა, რომ ესენიც იმათზე მოსულან საომრად და იმათი უფროსი კოვთია დევია, მას უწინვე იცნობდა და მაშინვე კოვთია დევთან მივიდა.

რა კოვთია დევმა ჯაბილ-ჯადო ნახა მაშინვე იცნო, მივარდა მოეხვია და მიესალმა, უთხრა: რა იცოდი რომ შენ ჩვენთვის ძალიან საჭირო იყავი? ეს საით წოვლია?—ჯაბილ-ჯადომ ყოველივე უამბო წვრილად, რა კოვთია დევმა იმოდენა ლაშქრის მოსვლა შეიტყო დიდათ გაიხარა და უთხრა: ჯადოთ ხელმწიფევ, ამდონი ლაშქარი სად შეგიკრებია და რისთვის? ჯაბილ-ჯადომ უპასუხა: ამ მთას იქით ოთხი ხელმწიფენი არიან ჩამომსხდარნი და ეს ყველა იმათი ლაშქრია და ალდან-ჭანდილის ბიძაშვილიც კა აქ იმყოფება ხოსროვ-ჭინდი, ძალიან უცხო ფალავანია რომ მის ნაკრავს შვიდ თავიანი ვეშაპიც ვერ გაუძლებს, აქ რომ მოვედით თქვენი ლაშქარი ვნახე, მე დევის სახედ შევიცვალე და მოვედი ამბის გასაგებათ, ახლა თქვენ რას იტყვით?

კოვთია დევმა უთხრა: ჩემო მეგობარო ჯადოთ ხელმწიფევ, მე ამას გეტყვი რომ ამ ციხის აღება ძალიან ძნელია და ამიტომაც რამდენი ხანია გარს ვარტყივართ და ვცდით, ეგები კარი გაღონ როგორმე და გამოვიდნენ, ან ჭაზარექ-დასტი მოსულიყო, ახლა რადგან შენ მოსულხარ იმედი მაქვს ციხეს მალე ავიღებთ, ახლა წადი და ხელმწიფეებს მოახსენე რომ ერთმანეთისაგან ნუ გაშორდებით. მაშინვე ჯაბილ-ჯადო გამობრუნდა ხელმწიფეებთან და დევების ვინაობა გააცნო, რა მათაც შეიტყვეს გაეხარდათ. კოვთია დევმა დევებს უბრძანა: ამ კაცთა ლაშქართ არა აწყინოთრაო. იმათ ლაშქარიც მოვიდნენ და ერთ მხარეს დადგნენ, ასე რომ სამი დღის სავალი ალაგი დაიჭირეს. რა მეციხოვნეებმა ესეთი ამბავი ესმათ, გაშტერდნენ და არ იცოდნენ თუ რა ექმნათ, ნარიმანთან მოვიდნენ და მოახსენეს: ხელმწიფევ, ერთი ძლიერ დიდი ლაშქარიც მოვიდა და შეუერთდნენ დევებს, იმოდენათ ბევრნი არიან რომ ქაბულის მთა და მინდორა სრულიად დაამბნელეს, ასე რომ ლაშქრის ბოლოს, თვალი ვერ გადასწვ-

დებთ და არ ვიცით თუ ვისია ეგი ლაშქარი. ნარიმანმა რომ ესე შეიტყო ციხეზე ავიდა და გადმოხედა ზევიდამ, ნახა რომ აუარებელი ადამიანთა ლაშქარი იდგა ცალ მხარეს, რომელსაც ესე იხილა გაშტერდა და ბურჯ-ვეზირს ჰკითხა: მოტოლსანო ვეზირო, თქვენ რას შეიტყვით, ეს ვისია ლაშქარი უნდა იყოსო? თუ უშანგ-შაჰის ლაშქარია რატომ ცნობა არა გვაქვს? მაშასადამე მტერნი უნდა იყვნენ რომ დღეთა ლაშქრის სიხელოვეს იჩუვიან. მაშინ რეჰან-აიარს უბრძანა: ჩემო ერთგულო რეჰან, ახა ახლა გამოჩნდება შენი ერთგულება და მამაცობა რომ მიხვიდე და ერთი ამბავი შეიტყო, რა დაღამდა რეჰან-აიარი ციხის კარიდამ გავიდა და მათ ლაშქარში გაერია, ორი დღე იქ დაიყოვნა, ყოველი ამბავი დაწვრილებით შეიტყო და მესამე დღეს ციხეში მოვიდა, ხელმწიფეს აახლა და თაყვანი სცა; რა ნარიმანმა რეჰან აიარი სახსალამათი იხილა უკან დაბრუნებული, ძლიერ გაეხარდა და მოიკითხა და უთხრა, აბარო რა ამბავი იციო? მაშინვე აიარმა მოახსენა: ხელმწიფევ თუ ამ ლაშქრის ამბავს მოახსენიებთ, ეს მოსულელი ლაშქარი, თქვენი წინაამდეგი როშან-ბახტია და სამნიც სხვანი ხელმწიფენი, ერთი ჯიმშულ-ხანი, მეორე აფიქ-ხანი და მესამე ხურმულ-ხანი. რომელნიც ეს სამნი უშანგის ხელქვეითნი იყვნენ, მაგრამ როგორც ეტყობათ გადაზდგომიან, ახლა ამ ოთხთა, ორმოცი ასი ათასი ლაშქარი შეუკრებიათ და სამი ჯადო, აგრეთვე ხოსროვ-ჯინდი ფალავანიც მოუყვანიათ და თქვენზე მოსულა სამხრეთ და აქედამაც უნდათ უშანგზე გაილაშქრონ.

რა ნარიმანმა, სარვიხურამანმა და ბურჯ-ვეზირმა ესე გაიგეს ძლიერ დაღონდნენ. მაშინ ნარიმანი ცეცხლებრ აენთო და თქვა: რა ვქმნა, ამათ ლაშქრისაგან კი არ მეშინიან, მხოლოდ იმ წყეულ ჯადოებისაგან მეშინიან, ბურჯ-ვეზირმა მოახსენა: თქვენ მაგისთვის ნუ სწუხხართ, თქვენ გარეთ ნურცა გაბრძანდებით — ნახეთ მე იმ ჯადოებს როგორ განვაქარვებ, იმ ღამეს შიშით მოსვენებას მიეცნენ, რა დილა გათენდა და დამამშვენებელმა მზემ თავის ბრწყინვალე სხივი ქვეყანას მოჰფინა, როშან-ბახტი სამნი ხელმწიფენი, სამნი ჯადონი, ხოსროვ-ჯინდი, ნაზარ-ვეზირი და დიდებულნი ერთად ისხდნენ და რჩევა ჰქონდათ, შემდეგ ერთი წიგნი მისწერეს, კაცს მისცეს და გაგზავნეს, ესე უთხრეს, ეს წიგნი ნარიმანს მიეცი და პასუხი მოგვართვი, ორი კაციც თან გაატანეს, მათ მაშინვე თაყვანი სცეს და წიგნი წაიღეს, რა ციხის კარებს მიადგნენ, კარის კაცებს უთხრეს კარი გაგვიღეთ რომ ამბავი რამ უნდა მივართვათ ნარიმანსაო, ჩვენ როშან-ბახტის ელჩნი ვართო, კარის კაცებმა მაშინვე ნარიმანს შეატყობინეს რომ როშან-ბახტს სამი კაცი გამოუგზავნია თქვენთან ელჩათ,

ნარიმანმა იმათი შემოშვება ბრძანა, მაშინვე შემოიყვანეს და ნარიმანთან მიჰყვანეს. რა სასახლეში შევიდნენ ელჩნი, ნახეს რომ ნარიმანი ერთ ძვირფასის ტახტზე ზის რომელიც ალმასით არის მოჭედილი და ოთხკუთხანი თაჯი თავს ხურავს, ტახტის აქეთ-იქით რვა-ასი ვერცხლის სკამები აწყვია და ზედ დიდებულნი და ფალავანნი სხედან, ტახტის უკან ოთხასი სტავრიანი ხელარკოსანი იდგნენ, ქვემოთ მხარეს თორმეტი ათასი ფალავანი ხელმოჭდობილი იდგნენ და თითონ ნარიმანი სამოცდა ხუთის მწყრთის სიმაღლის მქონებელი, უშიშარის სახის ტახტზე იჯდა. ესენი რომ შევიდნენ სამ ალაგას თაყვანი სცეს, მივიდნენ და წინ მიწას აკოცეს და წიგნი მიართვეს, ბურჯ-ვეზირმა წიგნი გამოართო და მაღლის ხმით წაიკითხა ესე:

„ჩვენ ფარიმანის ძეო ნარიმან, რა წამსაც ეს ჩვენი წიგნი წაიკითხო, ჩვენის ღვთის მანათის ბრძანება არის, თუ შენი თავისათვის მშვიდობა გინდა, გამოდი როშმან-ბახტს დაემორჩილე, თაყვანი ეცი და მისი მორჩილი შეიქმენ, დედაშენი სარვიხურამანი ჯიბილ-ჯადოს მიეცი, შენი ცოლი, სუილან-ჯადოს და შენი სიდედრი, ქილან-ჯადოს, რომ შენ მშვიდობით გადარჩე, შენც როშმან-ბახტის ერთგული მონა შეიქმენ სიკვდილამდე, თუ ესე არ იზამ, ასე იცოდე ხვალ მაგ ციხეს სრულიად ცეცხლით დავიწვავთ, შენც წვალებით მოგკლავთ, შენს ლაშქარსაც ერთს ცოცხალს არ გაუშვებ, ახლა როგორც გინდა ისე მოიქმედე".

ნარიმანმა და ფალავნებმა ამისთანა უნამუსო წიგნის ამბავი რომ შეიტყეს ლომებრივ ბრღვინვა დაიწყეს და ძალიან შეწუხდნენ, ნარიმანს უყურებდნენ. რა ნარიმანმა ამისთანა უნამუსო წერილი მიიღო, ისე განრისხდა რომ მის პირის შემხედველს გული გაუსკდებოდა, ბურჯ-ვეზირსაც დიდათ ეწყინა და რა ნარიმანის იმ გვარი განრისხება ნახა, დიდხანს ხმა აღარ ამოიღო, რა ნარიმანი ცოტად დაწყნარდა, ბურჯ-ვეზირს შეხედა და უბრძანა: ჩემო პატიოსანო ვეზირო, თქვენ რას იტყვით ამ წიგნის პასუხსათ? ბურჯ-ვეზირმა მოახსენა: ხელმწიფევ დაწყნარდით მე მაგის პასუხს მივცემ, მიგწერ რომ იმათ ძალიან ამპარტავნული წიგნი მოუწერიათ, მე რაც მიგწერო თქვენც ნება დამრთეთ, ნარიმანმა უთხრა: ვეზირო მე ყოველთვის თანახმა ვყოფილვარ შენ აზრს და არა უთანხმო, მაშინვე ბურჯ-ვეზირმა საწერ-კალამი ამოიღო და დასწერა წიგნი: იმ მოსულ სამ კაცს ყველას ხალათები მისცა წიგნიც და გაისტუმრა.

იმ სამ კაცს, ბურჯ-ვეზირმა ისეთი თავმდაბლობა აჩვენა რომ გაჰკვირვა — და რა ციხის კარს გამოსცილდნენ, ერთმანერთს უთხრეს: ნახეთ ხელმწიფე რაგვარი ფალავანი ჰყოლია? მაგას მამალი ვეშაპიც ვერას და-

აკლებს—და თუ ხელმწიფეს ვეზირი ჰყავნდეს ბურჯ-ვეზირისთანა ჭკვიანი და თავდადებული უნდა ჰყვანდესო, თუ ის არ ეყოლიება, სამივეს დაგვხოცდნენ. ქეტუობა რომ როგორიც ხელმწიფეა, იმგვარიც ვეზირი ჰყოლიათ, ესე თქვეს და როშან-ბახტთან მოვიდნენ: თაყვანი სცეს ნახეს რომ ყველანი იქ შეყრილიყვნენ და მათ ელოდნენ. რა როშან-ბახტმა შეხედა ნახა რომ თავიანთ გაგზავნილ კაცებს ყველას ახალი ტანისამოსები აცვიათ, დიდათ გაიკასკასა და თქვა, ნახეთ როგორ შემინებულან? ჩვენი მაჰმადის ძალით რომ კაცებისთვის ხალათები დაურიგებიათ. სამნივ მივიდნენ თაყვანი სცეს და ბურჯ-ვეზირის წერილი მიართვეს და ბარათიც მოახსენეს; თუ ბურჯ-ვეზირი არა ეყოლიება, ჩვენ სამნივეს დაგვხოცდნენ, ნარიმანი ისე განრისხდა რომ ჩვენ პირს ვეღარ შევხედეთ, მაგრამ ბურჯ-ვეზირმა დააწყნარა და ეს წიგნი დასწერა მოგვცა და ეს ხალათებიც იმან გვაჩუქა. როშან-ბახტს წიგნი გამოართვეს ვეზირთა, გახსნეს და მაღალი ხმით წაიკითხეს ესე:

„ჰეი თქვენ დიდნო ხელმწიფენო! მივიღე თქვენი გამოგზავნილი წერილი და შევისმინეთ თქვენი სასტიკი უგუნური მოთხოვნილება, პირველად ბრძანებთ რომ ნარიმანი როშან-ბახტის მონა შეიქმნასო, დიახ ეგ კარგა გიბრძანებიათ; მაგრამ როგორც დიდ ხელმწიფობას ჩემობს როშან-ბახტი უნდა დაამტკიცოს კიდეც თავის უფროსობა, პირველად გამოკიდეს ბრძოლის ველზედ მე და ის ვინც დამარცხოს იმის მონა შეიქმნას თვითონაც და თავის ლაშქარ-დიდებულნიცა,—მეორე გებრძანებინათ რომ სარყინურამანი ჯიბილ-ჯადოს მიგვეცთო, მე ბევრი ვეხვეწე სარყინურამანს რომ ჯიბილ-ჯადო შერთო, მაგრამ მან მიპასუხა და მითხრა: შენ ხომ იცი რომ მე აღთქმა მქონდა წინადვე უფალთან, რომელიც მე მამერყევდა ის უნდა შემერთო ქმრად—და აგი ყარამანიც მომერია და ვეერითე კიდეც ქრმათა. ახლა მე ჯიბილ-ჯადოს ურჩევ თუ ჩემი თავი სურს წავიდეს ჯერ ყარამანს მოერიოს და დაიმორჩილოს, შემდეგ მეც ჯიბილ-ჯადოს ცოლი შევიქმნები; მეორეც დაგეწერათ რომ ნარიმანის ცოლი სელან-ჯადოს მივცეთო, როდესაც სელან-ჯადომ ნარიმანი დაიმორჩილოს, იმის ცოლაც მაშინ წაიყვანოს; მეოთხე ნარიმანის სიდედრს ვკითხე და ის კი მალე დაჰყაბულდა ქალან-ჯადოს ცოლობაზე და მის თადარიგშია ამ ოც დღის შემდეგ ქალან-ჯადოს ქორწილი უნდა იყოს, მზათ იყავით და სხვა რაც ხელიდამ გამოგივიდეთ ის ჰქმენით დროიანათ, თორემ ხვალ ან ზეგ ყარამანი მოვა და არ იუბულებს, თქვენ არხეინად იყავით მაგისთანა ჯადოებით ნუ გვაშინებთ, ჩვენ ასეთ ღმერთ თაყვანსა ვსცემთ რომ თქვენ ჯადოებს სულ განაქარვებს და თქვენ მასთან ღმერთსაც დაღახვრავს“.

რა ესე წაიკითხეს ბურჯ-ვეზირის მოწერილი წიგნი, ცეცხლებრ აენთნენ და ჯადოებმა თქვეს, მაგის პასუხს ჩვენ მოვცემთო, როვშან-ბასტამ ბრძანა: ამ მასხარის აკლებისთვის ჯერით რას უზამ, ისეთი ტანჯვით უნდა დავხოცოთ რომ იმისთანა ტანჯვა არავის მიეყენებინოს თავის დღეში, რადა გავაგრძელეთ ყველამ თითო მუქარა თქვეს. იქ ერთი მასხარა მხიარული ბიჭი იყო, წინ წამოდგა და ხელმწიფეებს მოახსენა: ყველა მართალ მუქარებსა აძლევს, მაგრამ ქალან-ჯადო რაღას ემართლება? მაგან ქორწილის თადარიგი უნდა ნახოს რომ ქაბულის ხელმწიფე უნდა გახდეს, ამის სიტყვაზე მრავალი იცინეს. ამ ღამეს ყოველთა დიდი ლხინი გადაიხადეს, რა დილა გათენდა ყოველნი როვშან-ბასტას იახლნენ და თაყვანი სცეს, გოვთია დევიც რამდენიმე დევებით მოვიდა, როვშან-ბასტას და სამთა ხელმწიფეთა თაყვანი სცა ერთმანერთი მოიკითხეს და ჯადოებსაც მიესალმა, რა სუბარს მორჩნენ, როვშან-ბასტამ ჯადოებს და გოვთია დევს უბრძანა: რას მირჩევთ ეს ციხე როგორ ავიღოთ? ჯადოებმა მოახსენეს: ამ ციხის აღება ძალიან ძნელია, ამისთვის რომ ჯადოთი არის გაკეთებული, ოსტატობით უნდა ვეცადოთ რომ ეგები ჩვენი სიტყვებით გამოვიდეს გაჯავრებული — და რავი ციხიდამ გამოვლენ, მაშინ ჩვენ ვიცით როგორც ჯადოთი დავიჭიროთ და თუ არ გამოვლენ ნაღმით მაინც უნდა ავხეთქოთ და ძალადამ ციხეში შევიდეთ. რა ესე მოისაზრეს, მაშინვე ხოსროვ-ჯინდი მხეცს ამხედრდა, მეიდანს გავიდა რამდენიმე ჯერჯიში ჰქმნა და ისრები ათამაშა, ასე რომ ყოველს მოეწონათ, ეკანაც ჯადოები მოზღვდნენ, მერე პირი ციხისაკენ გაიბრუნა და ერთი ასეთი შესძახა რომ ციხეშ ზანზარი დაიწყო, რა ესე ხმა ნარიმანს ესმა ციხიდამ გადმოხედა, მაშინ კვალად ხოსროვ-ჯინდიმ დაუძახა: ჰეი ნარიმან! შენ რომ ქვეყანაზე ფალევნობ და არავის იღრი, გამოდი და მნახე თუ როგორი ფალევანი ხარ და მაშინ შეიტყობ რომ შენზე უკეთესი ფალევანიც სხვა ყოფილა, იმ თავით ამ თავამდე ქურდულობით ფალევნობ, აბა მოდი თუ მარდი ხარ მე გიჩვენო შენი ფალევნობა.

რა ნარიმანმა ხოსროვ-ჯინდისაგან ამისთანა მცირე სიტყვები გაიგონა ცეცხლებრ აღენთო და უნდოდა გამოსულიყო, მაგრამ დიდებულნი და ბურჯ-ვეზირი წინ გადუდგნენ და სთხოვეს, ხელმწიფეო, იმას რა ყურს უგდებ! ეგ ვინ არის რომ შენი მოპირდაპირე იყოს?! მაგისთანა მშური სიტყვებით უნდა მოგატყუოს, გარეთ გაგიყვანოს და ჯადოებს ხელში ჩაგაგდოს, ერთი ორიოდე დღეც მოვიცადოთ და ვნახოთ ღმერთი რას გაგვირიგებს. ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, სარვიხურამანი და ჭუსნიარა მოვიდნენ, რომელთაც ნარიმანის ციხიდამ გასვლა შეიტყეს, იმათაც მრავალი

ეხვეწნენ და ძლიერს დაემორჩილნენ. რა ხოსროვ-ქინდმა ნახა რომ ნარიმა-ნი არ გავიდა უნდოდა მისულიყო და ციხის კარისთვის დასტაჩები დაეჭ-რა, მაგრამ გოგითია დევმა არ გაუშვა და უთხრა: ჩვენ რომელნეფერაც ცო-ცხლზე მოვსულვართ ზემოდამ ქვები დაუშენით და მრავალი დაშქაშო გა-მოვდევნეს. რა ხოსროვ-ქინდმა ესე გაიგონა, დაიძახა: წყე თქვენ ქა-ლაჩუნებო, იმათმა ქვამ რა უნდა მოგიხსოვ?. იმით არ დაუშინეს, მძიმე დასტაჩები ხელში აიღო და ციხის კარებისაკენ გასწია, რა დევებმა ესე იხილეს, თავიანთში თქვეს, ერთი მიბრძანდეს და გვმოს ნახავს.

რა ციხის კარს მიუახლოვდა ხოსროვ-ქინდი, ნარიმანი ციხიდამ უყუ-რებდა, როდესაც ნახა რომ ხოსროვ-ქინდი კარისაკენ წამოვიდა, თითო-ნაც გამოსვლა მოინდომა, მაგრამ არ გამოუშვეს, რადგან არ გამოუშვეს, გა-ცხარებულმა ერთი წისქვილის ქვის ტოლა ქვას ხელი დაავლო და ციხი-დამ ძირს დასთხლიმა ხოსროვ-ქინდს, ქვა მივიდა, ხოსროვ-ქინდს აცდა და იმას მხლებს თავში ისე მოხვდა რომ თავი დაუხია და ხოსროვ-ქინდი და მხლები ერთად მიწას დაეცნენ, ვიდრე ადგებოდა ნარიმანმა მეორე ქვაც ესროლა და ზურგს ისე მოხვდა რომ კინაღამ წელი მოსწყდა და ერთ ხა-მამდე გულშეღონებული ეგდო, მაშინ მივიდნენ დევნი და გამოიტაცეს, იმ გამოტაცებაზე რამდენიმე დევი ქვით დახოცეს, ხოსროვ-ქინდელი რომ გონს მოვიდა, ნახა რომ როგმან-ბახტი, მეორე ხელმწიფეები და ფალავნე-ბი თავს დახვევოდნენ და აბრუნებდნენ, როდესაც მოასულიერეს მაშინვე მხლები მოჰკვდარეს ზედ შუსვეს და წამოიყვანეს.

გოგითია დევმა უთხრა: მე იმედი მქონდა რომ ნარიმანი გამოსული-იყო მაგრამ არ გამოვიდა, ახლა კი რაც აზრი მქონდა გუნებაში ის აზ-რი უნდა ავასრულოთ და ისე ავიღოთ ციხე თორემ სხვა გვარათ ვერ ავი-ღებთ, მე ნაღმები უნდა დავუწყო და ავაფეთქინო მთელი ციხე, ჯადოებმა და სხვებმაც ესეთი საქმე მოიწონეს, მაშინვე გოგითია დევმა ორმოც დევს უბრძანა რომ ერთის მხრიდამ ნაღმი მიეცით, მისი ბრძანების მორჩილებ-მა ორმოცმა დევმა, ერთი ალაგიდამ ნაღმისთვის თხრა დაიწყეს.

## ესენი ამ ნაღმის თხრაში დაუტყეთ და ნარიმანის ამბავი მოისმინეთ.

მეციხოვნეებმა ნარიმანისაგან რომ ამისთანა საქმე იხილეს და იმ უშველებელი ქვის ჩასროლა, გაჰკვირდნენ და დიდი იმედი მიეცათ. რა ცოტათ დაღამდა ნარიმანს ხოსროვ-ქინდელის სიტყვები გულში დარჩათ

შერჩა და თქვა: ეგს ფალავნობის წესი არ იყო რომ ზეგიდამ ქვით ვე-მე, ამისთანა საქმე დედაკაცის საქმეა“, ფეხი რომ მიწყნარდა ორი მსახური თან ახლდა, თითონ სამოცდა სამის ჭრილით შეწყურვილი ციხის კარს მიადგა, რა კარის მცველმა ნარიმანი დაინახეს, მოვიდნენ თაყვანი სცეს და მაშინვე კარები გაუღეს. ნარიმანმა უთხრა ციხის კარის ყარაულებს თუ თქვენ ვინმესთვის გაგიმჟღავნებიათ ჩემი ციხიდამ გასვლა ყველას დაგხოცავთო. კარით კარს გავიდა და როშან-ბახტის ლაშქარში გაერია, რას იცნობდნენ თუ ვინ არის, აქ იმიდენი ლაშქრის სიმრავლე იყო სხვა და სხვა მხრიდამ მოსულნი რომ ერთმანერთის ენა არ ეყურებოდათ. იმათი ლაშქარი მოიარ-მოიარა და ერთ კაცსა ჰკითხა: მე ჯამშედ-ხანის კაცი ვარ და ხოსროვ-ჯინდის კარავი თუ იცი სად არის? მან კაცმა უჩვენა და იმ მხრისაკენ წავიდნენ ხოსროვ-ჯინდის კარავს რომ მიუახლოვდნენ ნახა რომ გაცხარებული მეჯლიში აქვთ და მრავალი ერილობაა, ნარიმანიც მათში გაერია, ნახა რომ მრავალნი დიდებულნი დიდ სუფაში არიან, მეორე მხარეს შეხედა ნახა რომ ერთი წელშეკრული ფალავანი ოთხმოცდა-ოთხი მწყრთის სიმაღლის მქონებელი და საზარო სახისა ხოსროვ-ჯინდი, კარგათ რომ გაშინჯა თავის გუნებაში სთქვა: თუ შენ აგებულობის შესაფერი ფალავანიცა ხარ კარგია თუ არა და რა გამოვიდა? რა ხოსროვ-ჯინდს თავში ღვინო ეწვა, მაშინ სთქვა: ჰეი ნარიმან! დღეს შენ ასეთი ქადარჩუხობა და დედაკაცობა მოახდინე რომ თუ ეგ შეგარჩინო, მაშ ხოსროვ-ჯინდი აღარ ვიქმნები, ან თუ გუშინ გამოხვიდოდი, მე შენ საქმეს გუშინვე გადავიწყვეტდი, მაგრამ რას ვიზამდი რომ არ გამოხვედი და დედაკაცივით ქვის სროლა დაიწყე ციხიდამ, ესე რომ სთქვა, ასეთი შეჰყვირა რომ იმის ხმისაგან იმ მეჯლისში მსხდომთა ჭკუა მიეფანტათ, ხოსროვ-ჯინდი გაწრაზიანდა თავის ლახტი აიღო ხელში და დატრიალა და დიდებულთ შესძახა: დიდებულნო და ფალავანნო ვინც ამ ჩემ ლახტს ჩვენ ლაშქარში დასძრავს მე მისი მონა შევიქმნები. ჰეი ყარამან შენც ხომ არ შეგრჩა და უმურაზოთ გაუშვი, ჩემი ბიძაშვილი ადლან-ჯანდილი რომ მოჰკალ, ახლა აქ უნდა უთვილიცა რომ მე ავიღო მისი სისხლი, მაგრამ შენ მაგიერათ ნარიმანს ვაზღვევინებ, ესე რომ დაეძახა ლახტი თავის ალაგ დადო.

ნარიმანი ამისთანა ქადილში და ტრაბახობაში უყურებდა ხოსროვ-ჯინდს და ამისთანა სიტყვები რომ გაიგონა, გულმა ველარ მოუთმინა, მობრუნდა და თავის მხლებლებს უბრძანა: თქვენ ციხისაკენ წადით და მეც ახლავ უკან მოგდევთ. რა ისინი იქით გაისტუმრა თვითონ წინ წადგა რამდენიმე ნაბიჯი და ლახტისაკენ წავიდა, დიდებულთა შეამჩნიეს რომ

ხანჯლიდამ ერთი ფილაკ დასტისაკენ წამოვიდა, შავი ჩოხა ჩაცმული და მძიმე იარაღით შეჭურვილი, სამოცდა სამი მწყრთის სიმაღლის მქონებე-ლი საშინელი სახის, ულვაშნი გაშტერდნენ და ყურება დაუწევს, ნარი-მანი შავარდენივით გადახედა, ხოსროვ-ჯინდის დასტა აიღო როგორც ერთი მცირე მათრახი, ხელში შეათამაშა და ხოსროვ-ჯინდს შეუშინდა და ერთი ასეთი ხმით ახსენა სახელი ღვთისა რომ იქ მსხდომნი დიდე-ბულნი გაჰკვირდნენ და იმის ვინაობას ეკითხებოდნენ, ხოსროვ-ჯინდმა ნახა რომ უცაბედათ იმის ნაკრავს ვერ გადურჩებოდა, მაშინვე ძირს დაეცა და ის მოქნეული დასტა ტახტს დასცა და სრულიად დალეწა, მაშინვე გა-მობრუნდა დასტა ხელში და იმ მეჯლისში მრავალი დახოცა, ისე უვნებ-ლივ წამოვიდა და ციხის კარს მივიდა ხოსროვ-ჯინდის დასტით თან გა-ულია ციხის კარის მცველთა მაშინვე კარები გაუღეს, შევიდა და მიწრიალე კარი ჩააკეტინა. ქაბულელთა რომ უცხო ლაშქრის ხმა შეიტყეს მაშინვე მოგროვდნენ და ნარიმანთან მისვლა უნდოდათ. მაშინ ორი დიდებული წინ შეეყარნენ რომელიც ნარიმანთან იყვნენ და ნარიმანმა უწინ გამოის-ტუმრა, ისინი მოვიდნენ დიდებულთა და ლაშქართა ყველას აცნობეს და ბურჯ ვეზირსაც გამოუცხადეს და მოახსენეს, უბრალოთ ნუ ისჯებით ეს ჩვენი ხელმწიფისაგან მოხდა, წუხელ გავიდა ციხის კარს და ჩვენც თან წაგვიყვანა ხოსროვ-ჯინდის მეჯლისში მივიდა მისი დასტა აიღო და მას-ვე დასაკრავად მიუტანა, კინაღამ მოკლა, ტახტი სრულიად დალეწა, გა-მობრუნდა და რამდენიმე ფეჰლევანი და სახელოვანი კაცებიც დახოცა დას-ტიც თან წამოიღო და მშვიდობით მოვიდა. ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, უეცრივ გარეთ ლაშქრიდამ დიდი ყიჟინა მოვიდა, ციხიდამ გადმოიხედეს და ყური დაუგდეს, თურმე ნარიმანმა რომ ხოსროვ-ჯინდის დასტა აიღო და მასვე მიუტანა დასაკრავად, მაშინ ხოსროვ-ჯინდი ტახტიდამ ჩამო-ვარდა და უცნობი შეიქმნა, რა ცნობას მოეგო ადგა და აქეთ-იქით მიმო-იხედა ნახა რომ მრავალი სახელოვანი დიდებულნი დახოცილნი ეყარნენ, დანარჩენნი გაშტერებულნი იყურებოდნენ და ამბობდნენ ეს რა მოგვევლ-ლინა ან ვისგან მოხდაო! გარეთაც დიდი არეულობა და ყიჟინა ჩაყარდა ხოსროვ-ჯინდმა უთხრა: ნახეთ გარეთ რა ყიჟინა არისო, მაშინვე გამო-ცვივდნენ ნახეს რომ ბნელაში დიდი ომი ატყდა, ისე რომ ერთმანერთს ვერ არჩევდნენ სიბნელეში. მაშინვე შემოვიდნენ და მოახსენეს ხოსროვ-ჯინდს, ფეჰლევანო ჩვენო თქვენი მოხმარებისა, ნარიმანის ლაშქარი გამო-სულა ციხიდამ ჩვენს ლაშქარს შემორევია და დიდი ომი აქვთო.

ხოსროვ-ჯინდი მაშინვე გამხეცებული შავარდენის მსგავსად აფ-რინდა, თვალები სისხლით აევსო, ხმალ მოწვდილი კარზე გამოვიდა ომ-

ში გვერდს და დაუწყო უწყალოთ ხოცვა, იმ ღამეს გათენებამდის ასეთი ომი და სისხლის ღვრა იყო რომ ცხენის კაცებს იატაკამდე სისხლის ნა-ადენი. რა დილა გათენდა ნახეს რომ ორივე მხრის მეომარი ლაშქარი ერთმან-ერთისა ყოფილი და ბნელაში ერთმანერთს ვერ შეიცნობდნენ და ისე უბედურით, გაკვეთებოდნენ ერთმანერთი რომ გაიცნეს ძლივს დაშორდნენ.

როდესაც ხელმწიფენი, ჯიბილი და ხოსროვ-ჯინდი ერთად შეიყარ-ნენ დამარცხებულნი ერთმანერთს ეკითხებოდნენ, ეს რა მოგვივიდა რომ ჩვენის ხელით ჩვენი ჯარი ამოვსწყვიტეთო? ამ ლაშქარში ხოსროვ-ჯინდი შეწუხებული და სირცხვილეული თავ-ჩაღუნულებით იდგა. ჯიბილ-ჯალდიმ უთხრა: ფალავნო როსტომ არ დაგვარცხო? ვინ იყო რომ წუხელის ისე უეცრად მოგვიხდა, შენი ლაშქარი წაიღო და იმოდენა ფალავნებიც დაგვიხოცა? და იმის საბაბიანობაზე, კარგადაც ლაშქარს ერთმანერთი ამოუხოციათ. ამ ლაშქარში გოგითა დევიც მოვიდა და ჰკითხა ეს რა ღვთის წყრომა მოგხვდათ? ჯიბილ-ჯალდიმ უთხრა: წუხელის ვიღაც მოხდომია ამისთანა საქმები უქმნია და თვითონ უვნებლად წასულა. როდესაც ჩვენ ლაშქარს ესე-თი ბრძოლით უნახავს ისე ჰკონებიათ, ცოცხლად ნარიმანის ლაშქარი გამოსულა და ომი აუტეხიათ, ის კი არა თუ თვითონ ერთმანერთი გაუმტერებიათ უგონობობით და ოც ათასამდე კაცი დახოცილა.

ხოსროვ-ჯინდმა უპასუხა, მე უცოდნელი ვიყავ და უეცრად მომევლინა ეს განსაცდელი თორემ ჩემ ხელს ის ვერ გადურჩებოდა, გოგითა დევმა უთხრა: მაგის მქნელი სულ ნარიმანია, თორემ სხვას არავის შეუძლიან, ამ ლაშქარვით ლაშქარ მიიჯავდნენ, ნახეს ბევრ ალაგს, ზოგს ძმას სტიროდნენ, ზოგი ბიძაშვილს, ზოგი მოყვარეს, ზოგი ძმათ ნათესავს. ერთმან-ერთმა მაშინვე ბრძანა რაც მკვდრები იყო ათ ოც ალაგს მოაგროვებინა და დაწვევინა, რა მათგან მოიცალა მაირეულ და ჯალდებს უბძანა: როდის ელით, თუ ჭკუნარი რამე გაქვთ ახლა გამოგიჩნდებათო, სამს ხელმწიფეს უბრძანა: თქვენც ლაშქარი გაწყვეთ დასტა-დასტად რომ ციხეზე უნდა მივიდეთ. გოგითა დევსაც უბრძანა: შენც დევის ლაშქარი დამზადე, ხოსროვ-ჯინდსაც უბრძანა, დროა არის გარჯისა და ჯავრის ამოყრისა, ყველამ მოასხენა—ლიდაზე მზათ ვახლდებითო. იმ დღეს ყველამ მზადება იწყეს, რომელთაც მეორე დღეს უნდა იერიში მიეტანათ ციხეზე.

## აქ ესენი ამ მზადებაში დაუტეოთ და ნარიმანისა მოიხსენიეთ.

ციხეში ნარიმანმა ბურჯ-ვეზირს ჰკითხა: ვეზირო არ ვიცი მიზეზი რა არის რომ, რამდენი ხანია ყმები გამოგზავნის და არც ერთის მხრი-

დამ არა სჩანან ჩვენს მოსაშველებლად. აბა ერთი შენ სტრიქონებში ჩახედე რას ამბობს, ბურჯ-ვეზირმა მაინც სტრიქონებში ჩახედა, ვერა ხანი ყურებდა და მერე მოახსენა: ხელმწიფევ, თოხტამუთხიდამ ჩვენთვის ლაშქარი მოდის, მაგრამ სამი მხრიდამ უფრო დაიგვიანებენ და ერთი მხრიდამ კი უფრო მალე მოვა, მაგრამ ცოტას კიდევ მწუხარებას გაგვწევე-და ბოლოს კი კეთილია. რა ესე გათავეს იმ დამინდელ საქმეზე დაიწყეს დაშარაკი და იცინოდნენ.

მეორე დილა რომ გათენდა, ქაბულელებთა ნახეს რომ გარედამ იმ ზღვისოდენმა ლაშქარმა დიდის კიბეობით ციხეზე მერამე მიიტანეს. ის სამხი ჯადოხი თითო ვეშპებზე შესხდნენ, ქვერმა ჯვიდნენ და ციხეს ყურებს დაუწყეს. ჯაბილ-ჯადომ ქობიდამ ერთი მისა ამოიღო და ციხეს ესროლა, რა ის მისა გასქდა ერთი საშინელი ქარი ატყდა, ციხეზე დრუბელი მიაყენა, ასეთი თოვლი ჩამოყარა და ასეთი სიცივე დაეცა რომ მეციხოვნელები სიცივისაგან სახლებიდამ ვერ გამოდიოდნენ. ბურჯ-ვეზირმა ესეთი საქმე რომ ნახა მაშინვე თქვა, ეს ჯადოთი მანქანებით არის თორემ ზამთრულში თოვლი ვის გაუგონია და ამისთანა სიცივე, ძალიან მეწუხდნენ, იმ დროს გარეთ ლაშქარიც ციხეს მოადგნენ და ნახეს რომ ციხის კედლებიდამ ალარავინ გამოჩნდნენ, მაგრამ ხასრიავ-ქინდი შიშით ციხის კედელთან ვერ მივიდა და შორიდამ მალმაშ ნარისს სწევდა. რა ციხის გარეთა ლაშქარმა ვერა დააკლეს და ბურჯ-ვეზირმაც ნახა რომ ეს სიცივე და თოვლი ჯადოების ხიშანი იყო. მაშინვე ყველას მეატყობინა და „ი ს მ თ ა ზ ა მ ი ს“ თქმა უბრძანა: ყველამ ისმთაზამის თქმა იწყეს, შემდეგ ბურჯ-ვეზირმა თიხა რამ ვაჟთა ტუჩებზე, პირველი ღვთის სახელი დაწერინა შემდეგ ისმთაზამი, მერმე თიხა გრძელი ხეები მოატანინა, თითო წერილი თითო ხის წვერზე მიაკრა, მიატანინა და ოთხკუთხივ ბურჯებზე გაამაგრებინა, რა ესე გაკეთა მაშინვე ციხეში თოვლი განქარდა და მზე ამოვიდა, რა ქაბულელთა ესე ნახეს ბურჯ-ვეზირს დიდი ქება შეასხეს, ციხის კედლებზე გადმოდგნენ და გარედგან მოსულს ლაშქარს ქვები დაუშინეს და მრავალი დახოცეს. რა ჯაბილ-ჯადომ ნახა რომ იმათ ვერა უყო რა, ქობიდამ ორი მუსი ამოიღო წვრილად დასჩრა და მუსიც ციხეს ესროლა, რა ის ესროლა, თითო ნაჭერი თითო ვეშპად გარდაიქცა და ერთობით ციხეს შემოუტიეს. რა ციხელებმა იმდენი უანგარიშო ვეშპები იხილეს, ღმერთს ვედრება დაუწყეს. იგი საშიში ვეშპები ბურჯის კედლებს რომ მიუახლოვდნენ ისმთაზამის ძალით განქარდებოდნენ. რა ციხელებმა ესე იხილეს ღმერთის დიდი მადლობა შესწირეს, ნახეს რომ იმ ვეშპის ადგილს თითო ძაფის ნაჭრები სცვივა, ჯაბილ-ჯა-

ში ჯურის და დაუჯერო ურჯულოთ ხოცვა, იმ დამეს გათენებამდინ ასეთ ომი და სისხლის ღვრა იყო რომ ცხენიან ფეხებს ისვრებდა სისხლის ნაკადული. რა დილა გათენდა ნახეს რომ თავის მხრის მეომარი ლაშქარი თოჯმან-მანტის ფალავანი და მისეული ერთმანერთი ვერ უცვნიათ და ისე ურიცხიათ, გათენებასის ერთმანერთი რომ გაიცნეს ძალიან დაღონდნენ.

როდესაც ხელმწიფენი, ფალავანი და ხოსროვ-ჭინდი ერთად შეიყარნენ დაღონებულები ერთმანერთს ეკითხებოდნენ, ეს რა მოგვეველინა რომ ჩვენის ხელით ჩვენი ჯარი ამოვსწყვიტეთო? ამ ლაპარაკში ხოსროვ-ჭინდი შეწუხებული და სირცხვილეული თავ-ჩაღოვლებით იდგა. ფიმილ-ფალომ უთხრა: ფალავანო რატომ არ ლაპარაკობ? ვინ იყო რომ წუხელის ისე უცრად მოგვიხდა, შენი დასტური წინდა და ომდენს ფალავნებსაც დაგვიხოცა? და იმის სიამაყზე, კარგი ხელის ლაშქრის ერთმანერთი ამოუხოცათ. ამ ლაპარაკში გოგთაა დევიც მოვიდა და ჰკითხა ეს რა ღვთის წყრომა მოხდა? ფიმილ-ფალომ უთხრა: წუხელის ვიღაც მოხდომია ამისთანა საქმეები უქმნია და თვითონ უგნებლად წასულა. როდესაც ჩვენ ლაშქარს ესეთი არეულობა უნახავს ისე ჰგონებიათ, ციხიდამ ნარიმანის ლაშქარი გამოსულა და იმა აუტეხიათ, ის კი არა თუ თვითონ ერთმანერთი გაუწყვეტიათ უგონდიობლობით და ოც ათასამდე კაცი დახოციდა.

ხოსროვ-ჭინდმა უპასუხა, მე უცოდნელი ვიყავ და უეცრად მომივიდა ეს განსაცდელი თორემ ჩემ ხელს ის ვერ გადურჩებოდა, გოგთია დევმა უთხრა: მაგის მქნელი სხვა ნარიმანია, თორემ სხვას არავის შეეძლიან, ამ ლაპარაკით ლაშქარ შინჯავდნენ, ნახეს ბევრ ალაგს, ზოგს ძმას სტიროდნენ, ზოგი ბიძაშვილს, ზოგი მოყვარეს, ზოგი ძმათ ნათესავს. თოჯმან-მანტომ მაშინვე ბრძანა რაც მკვდრები იყო ათ-ათ ალაგს მოაგროვებინა და დაწვევინა, რა მათგან მოიცალა მიბრუნდა და ფალოებს უბრძანა: ძალიან ელოთ, თუ ჭკუიანი რამე გაქვთ ახლა გამოგონდებათო, სამს ხელმწიფეს უბრძანა: თქვენც ლაშქარი გააწყეთ დასტა-დასტად რომ ციხეზე უნდა მივიდეთ. გოგთიაც დევსაც უბრძანა: შენც დევის ლაშქარი დამზადე. ხოსროვ-ჭინდსაც უბრძანა, ღმერთ არის გარქმის და ჯავრის ამოყრის, ქველამ მოახსენა—დილაზე მზით გახლდებითო. იმ დღეს ქველამ მზადებას აწყვეს, რომელიც მეორე დღეს უნდა ეერიში მიეტანათ ციხეზე.

## აქ ესენი ამ მზადებაში დაუტევეთ და ნარიმანისა მოიხსენიეთ.

ციხეში ნარიმანმა ბურჯ-ვეზირს ჰკითხა: ვეზირო არ ვიცი მიზეზი რა არის რომ, რამდენიმე ხანია კაცები გამოგზავნეს და არც ერთის მხრი-

დამ ამას წნასან ჩვენს მოსაშველებლად, აბა ერთი მენ სტრადუბში ჩახედე რას ამბობს, ბურჯ-ვეზირმა მაშინვე სტრადუბში ჩახედა, კარგა ხანი უყურებდა და მერე მოახსენა: ხელმწიფევ, ოთხივკუთხიდამ ჩვენთვის ლაშქარი მოდის, მაგრამ სამი მხრიდამ უფრო დიგვიანნებენ და ერთი მხრიდამ კი უფრო მალე მოვა, მაგრამ ტოტას კიდევ მრეხარებას გამწევთ და ბოლო კი კეთილია. რა ესე გაიგეს იმ ლამინდელ საქმეზე დაიწყეს დამზადება და ილოცნოდნენ.

მეორე დილა რომ გათენდა, ქაბულელთა ნახეს რომ გარედამ იმ ზღვისოდენმა ლაშქარმა დიდის კვამით ციხეზე იერიში მიიტანეს. ის სამნი ჯადონი თითო ვეშპებზე შესხდნენ, ჰაერში აფრინდნენ და ციხეს ყურება დაუწყეს. ჯიბილ-ჯადომ უბიდამ ერთი მინა ამოიღო და ციხეს ესროლა, რა ის მინა გასქდა ერთი საშინელი ქარი ატყდა, ციხეზე ღრუბელი მოიყვანა, ასეთი თოვლი ჩამოყარა და ასეთი სიცივე დადგა რომ მეციხოვნელები სიცივისაგან სახლებიდამ ვერ გამოდიოდნენ. ბურჯ-ვეზირმა ესეთი საქმე რომ ნახა მაშინვე თქვა, ეს ჯადოთ მანქანებით არის თორემ ზაფხულში თოვლი ვის გაუგონია და ამისთანა სიცივე, ძალიან შეწუხდნენ, იმ დროს გარეთ ლაშქარიც ციხეს მიადგნენ და ნახეს რომ ციხის კედლებიდამ აღარავინ გამოჩნდნენ, მაგრამ ხოსროვ-ჯიბლი შიშით ციხის კედელთან ვერ მივიდა და შორიდამ მაღლა ნაისას სწევდა. რა ციხის გარეთა ლაშქარმა ვერა დააკლდა და ბურჯ-ვეზირმაც ნახა რომ ეს სიცივე და თოვლი ჯადოების ნიშანი იყო. მაშინვე ყველას შეატყობინა და „ისმიაზამის" თქმა უბრძანა: ყველამ ისმიაზამის თქმა იწყეს, შემდეგ ბურჯ-ვეზირმა ოთხი რამ გვეთა ტყავებზე, შორგვლი ღვთის სახელი დაწერა შემდეგ ისმიაზამი, მერმე ოთხი გრძელი ხეები მოატანინა, თითო წერილი თითო ხის წვერზე მიაკრა, მიატანინა და ოთხკუთხივ ბურჯებზე გაამაგრებინა, რა ესე გაკეთდა მაშინვე ციხეში თოვლი განქარდა და მზე ამოვიდა, რა ქაბულელთა ესე ნახეს ბურჯ-ვეზირს დიდი ქება შეასხეს, ციხის კედლებზე გადმოდგნენ და გარედგან მოსულს ლაშქარს ქვები დაუშინეს და მრავალი დახოცეს. რა ჯიბილ-ჯადომ ნახა რომ იმით ვერა უყო რა. უბიდამ ორი მუღლი ამოიღო წვრილად დამსხვრა და მალე ციხეს ესროლა, რა ის ესროლა, თითო ნაჭერი თითო ვეშპად გარდაიქცა და ერთობით ციხეს შემოუტიეს, რა ციხელებმა იმდენი უსაზარო ვეშპები იხილეს, ღმერთს ვედრება დაუწყეს. იგი საშიში ვეშპები ბურჯის კედლებს რომ მიუახლოვდნენ ისმიაზამის ძალით განქარდებოდნენ. რა ციხელებმა ესე იხილეს ღმერთს დიდი მადლობა შესწირეს, ნახეს რომ იმ ვეშპის ადაგას თითო ძაღლის ნაჭრები სცვივა, ჯიბილ-ჯა-

დომ ნახა რომ ამითაც ვერა ავნოდა, ძლიერ განრისხდა და მესამეზე უბი-დამ ერთი კოლოფი ამოიღო, მაგ წითელი მიწა ეყარა, შეუბერა და ცი-ხეს შესტყორცნა, რა ესროლა, ის მიწა და კოლოფი სრულიად ცეცხ-ლად გარდაიქცა, ისე რომ ჭერი სრულიად ცეცხლად გადიქცა, ციხელებ-მა რომ ცეცხლი იხილეს ძლიან შეშინდნენ და თქვეს ვაი თუ ცეცხლი ციხეში გადმოვიდეს და ცეცხლში დავიწვათ. რა ცეცხლი ბურჯებს მიუ-ახლოვდებოდა მაშინვე განქარვდებოდა. რა ჯიბილ-ჯადომ ნახა რომ ამი-თიც ვერა უყორა, შესძახა: ჰეი ნარიმან თუ ჭკუა გაქვს გამოდი და როგ-მან-ბახტს დაემორჩილე შენის ლაშქრით რომ შენი დანაშაულობა გაპატი-ოს და შენთვის ისევ ქაბული მოგაცემინოს და შენ ისევ შენთვის იცხოვ-რე მიდი დამიჯერე და მაგ ხალხს უბრალოდ ნუ დამახოცინებ,—თორემ ერთ ჯადოს გავაჩენ და მაგ ციხეს ძირითურთ მოვგლეჯ და ზღვაში ჩა-ვაგდებ. მაგ ქვით ნაშენ ციხეს ნუ ენდობი, ფოლადიც რომ იყოს მაში-ნაც შემიძლიან რომ ძირიანად დავაქციო. რის იმედით მეჯერდები? მაშა-შენიც რომ ჭიზარუქ-დასტამა მოკლა, აბა ახლა ვის ელი რომ შენ გიშვე-ლოს, გეშველები გამოდი, ჭკუას ნუ ჰკარგავ და დაემორჩილე შენის ლაშ-ქრით როგმან-ბახტს. რა ესეთი სიტყვები გაიგონა, ნარიმანმა ციხიდამ გადმოსძახა: ჰეი შე ეშმაკის გაზრდილო და ეშმაკის მეშვე, მაგის რა-საც შვრები სულ ეშმაკის ძალაა და რაცა ხაძალდდები ცეცხლის წალით გახდები მაგ საქმით და ეშმაკობით. აბა ნახე ჩვენი საბაოთ ღვთის ძალა რომ მისი სახელი ერთ უბრალო ქაღალდზე სწერია და შენ მაგტელ ეშ-მაკობას ახლოს არ უშვებს, ამით სცან რომ ჩვენი ღმერთი ძრიელია ყვე-ლაზე, ან რა გგონია რომ ეშმაკის ძალით მორიდამ ჯადობაზობ, თუ ძა-ლა გაქვს მოდი ძალა იხმარე და დამიმორჩილე.

ჯიბილ-ჯადომ ნარიმანისაგან რომ ამისთანა დამამცირებელი სიტყვე-ბი ისმინა გაბრაზდა და კვალად უბიდამ ერთი კოლოფი ამოიღო მაგ სპი-ლენძის კაცის გულები ეწყო, მაშინვე შეუბერა და ციხეს ესროლა, ცი-ხეს რომ ესროლა, ცეცხლის სეტყვამ დაუშვა ციხეზედ და ჭერი სრუ-ლიად ცეცხლის სეტყვად გადაიქცა. ქალაქელებმა რომ ესე იხილეს და-ლად შეშინდნენ, მაგრამ რა სეტყვა ბურჯებამდის მიუახლოვდებოდა მაშინ-ვე განქარვდებოდა. ჯიბილ-ჯადომ რომ ნახა ამითაც ვერა უყორა მობრუნ-და და სულან და ქალან ჯადოებს უთხრა: ჯადოებო მე ჩემი დავასრულე და ახლა თქვენ იმოქმედეთ. მათ მოახსენეს: ჩვენო ოსტატო ჩვენც მაგა-ნი ვიცოდით რაც თქვენ იმოქმედეთ, მაგის მეტი ჩვენც სხვა არაფერი ვიცოდით, ჯიბილ-ჯადო ამათზე ძლიერ გაწყრა, ჯიბილამ ქაღალდებივით ქვის ნაწრები ამოიღო შეუბერა და ციხეს ესროლა, როგორც ეს ესრო-

და ციხელებმა ნახეს რომ ოთხსავ მხარეს კლდეები და მთები ციხეზე მა-ღალი, ჯულის ეგონათ რომ სულ დაინგრევა ციხე და დაიხოცებიან, მაშინ-ვე ღვთის ლოცვა და ვედრება დაიწყეს. რა ის მთები ციხეს მიუახლოვდე-ნენ დასანგრევად მაშინვე გაჰქრნენ, ამაზე ციხელები გამხიარულდნენ. ჯიბილ-ჯადომ ნახა რომ თავის ეშმაკობა და ჯადოსანობა ყველა დაასრუ-ლა და არც ერთმა არ იმოქმედა იმათზე, კიდევ დაღამდა, ჯიბილ-ჯადო ძლიერ დაღონდა და გამობრუნდა, ყველა თავ-თავისად წამოვიდნენ. როგო-შან-ბახტიც მოვიდა თავის კარავს და იგი სამნი ხელმწიფენიც, ხოსროვ-ქინდიც, სამნი ჯადონიც და გოვთის დევიც და სხვა დიდებულნიც და ფა-ლევანნიც. მაშინვე მეჯლიში გამართეს, მეჯლისში როგოშან-ბახტმა ჰკითხა: ჯიბილ-ჯადოვ დღეს როგორ მოხდა შენი საქმე? ჯიბილ-ჯადომ მოახსენა: ხელმწიფევ, მე წინადვე მოგახსენე რომ ეს ციხე თილისმით არის შექმ-ნილი მეთქი და — იმიტომ ჯადოები არ ეკარებიან, ციხესაც ახლოვ კაცი ვერ უდგება, მაშინვე ქვითა ხოცვენ, მანამ შესავალ გზას არ გიპოვით რომ ერთი გზით ციხეში შევიდეთ, მანამ ეგ ციხე არაფრით არ აიღება.

გოვთას-დევმა მოახსენა: ხელმწიფევო, ან დღეს ან ხვალ ნაღმით ციხეში გავლენთ. ჯიბილ-ჯადომ ესე რომ შეიტყო, გაეხარდა და სთქვა: რასაც დღეს ის გზა გაიხვრიტება იმ დღესვე ციხის საქმე გათავდება.

## ესენი ამ მეჯლისში და სჯაში დაუტეოთ და ციხისა და რეჰან-აიარისა მოისმინეთ.

რა ციხეზე ჯადოებს აჩენდა ჯიბილ-ჯადო, ძლიერ შეშინდნენ ნაზირ-ვეზირნი და დიდებულნი, შეშინებულნი თავ-თავისად გაბრუნდნენ, მხოლოდ ნარიმანი და ბურჯ-ვეზირი, ნარიმანის სასახლეს ჩამოხტნენ, შირვან ვეზირი და რომელნიც მკვიდრნი ქაბულელნი და ქაბულის დიდებულნი იყვნენ მოვიდნენ და შირვან ვეზირთან ჩამოხდნენ და მეჯლიში გამართეს, როდესაც მეჯლისი მოიმართა შირვან-ვეზირმა რამდენიმე დიდებულნი და ლაშქრის უფროსნი მოიხმო ერთ ხალვათში შევიდნენ და დასხდნენ შირვან-ვეზირმა სთქვა: ძმანო, ნახეთ დღეს იმ წყეულმა რაები მოიქმედა! მე ასე ვიცი დღეს არის თუ ხვალ ამ ციხეს აიღებენ და ჩვენ სულ დაგვხოცენ, ამ სიტყვაზე თქვენ რას იტყვით? ესე სთქვა და დაჩუმდა, რა მათ შირვან-ვეზირისაგან ესე მოისმინეს, ცოტა ხანს დაფიქრდნენ და ერთობით მოახსენეს, ვეზირო ეგ სიტყვა ჩვენს გულშიაც იყო მაგრამ ჩვენ ვერ გავბედეთ რომ მოგვეხსენებინა: ჩვენ ვეზირო, ოცდა თხუთმეტი წე-

დიწადის ჩვენი ვეზირი ბრძანდები და ჩვენი მრჩეველი, ერთხელ თქვენი რჩევა ავად არ მოგვსვლია და ახლაც თქვენი ნება აღსრულდეს, როგორც გვირჩევთ და გვიბრძანებთ ისე აღვასრულებთ. რა ვეზირმა დიდებულთაგან ესე გაიგონა ბრძანა: მე ერთი რჩევა მიფიქრია თუ თქვენც დამეთანხმებით, პირველად უნდა დაიფიცოთ და მერე ჩემ რჩევას გამოგიცხადებთ.

მაშინვე დიდებულებმა და სარდლებმა დაიფიცეს, ასე რომ რაც თქვენ გულში გიფიქრიათ ჩვენც თქვენი თანახმანი ვიყოთ. რა ესე დაიფიცეს მაშინ შირვან-ვეზირმა სთქვა: „ძმანო აქამდინ ჩვენ რაიაზამის ყმანი ვიყავით და ჩვენი ღმერთი მანათი იყო და მაშინ ყოველი ჩვენი საქმე კარგათ მიდიოდა, ახლა რაც ნარიმანი ხელმწიფეთ დამჯდარა ჩვენ სულ წვალებაში ვართ, ჩვენი ხელმწიფე ერთხელ თავის ამპარტავნობით წახდება, მოდით ძმანო ჩვენ კიდევ ჩვენი მანათ ღმერთი მოვიგონოთ და როშანბახტს ერთი წიგნი მივწეროთ. ამისთვის რომ ეს ჩვენი ხელმწიფე საამურანის შვილია და თვითონაც უცხო ფალევანია, მაგრამ რა გამოვიდა, ამდენი ხანია ყარამანი წასულა და მისი ამბავი არსაიდამ მოდის, საშვალაგსაც წიგნი მისწერა და არც ერთ მხრიდამ ლაშქარი არ მოუვიდა, ახლა ოთხასი ათასი კაცთა ლაშქარი და ასი ათასი დევთა ლაშქარი შემორტყმულია ციხეს, აგრეთვე სამი ჯადო და რამდენიმე ასი აიარი, აგრეთვე რამდენი ათასი ძლიერი ფალევანი, მაგათი ოხტიდამ ვინ მოვა, თუ ეს ციხე არა ყოფილიყო, აქნომამდე ჩვენ გაგვაწყალებდნენ, ამ ციხემ შეგვინახა, დღეს ხომ თქვენის თვალით ნახეთ რომ ცოტა დარჩა ჯიბილ-ჯადომ ეს ციხე ცეცხლის სეტყვით გადაეწვა, ახლა მეორე ჯადოებს ჯერ თავიანთ ჯადობაზობა არ მოუქმედებიათ და თუ იმათაც დაიწყეს თავიანთ ჯადობაზობა, მაშინ ღმერთმა შეგვინახოს, უნდა იცოდეთ რომ დღეს არი თუ ხვალ ამ ციხეს აიღებენ და ჩვენ სულ გაგვაწყალებენ. ამისთვის ძმანო სჯობს რომ როშან-ბახტს ერთი წიგნი მივსწეროთ, და ვთხოვოთ რომ ჩვენი დანაშაული გვაპატიოს, ისევ იმის მონანი შევიქმნეთ და ოსტატობით ნარიმანი, ბურჯ-ვეზირი, ნარიმანის ცოლი და სარვიხურამანი დავიჭიროთ და ხელ-შეკრული მივცეთ და ჩვენ მშვიდობით გადავრჩეთ“.

მე ესე მომიფიქრებია და ბოლოც კეთილი იქნება და ახლა თქვენ იცით. რა შირვან-ვეზირისაგან ესე გაიგონეს, თანახმა შეიქმნენ იმის რჩევაზე და მოეწონათ. შემდეგ შირვან-ვეზირმა საწერკალამი მოითხოვა და ესე წიგნი დასწერა:

„ამაღლებულო ხელმწიფევ და დიდო სულთანო, მოიხსენიეთ ჩვენი ვედრება, რომელნიც გთხოვენ თქვენი უწინდელი მონანი განსვენებული მამათქვენის დიდ ხელმწიფის რაიაზამისა, უნდა შეგვიწყნაროთ ქვემოთ

ხელის მომწერელნი, გვსურს რომ გვხდეთ კვალად თქვენი ერთგული მონანი, პირველად ჩვენ გახლდით რაიაზამის ერთგულნი მსახურნი და მონანი, როდესაც ეს უსჯულო ნარიმანი მოვიდა და ეს ქვეყანა აიღო, იმ დროიდამ ვმონობთ ნარიმანს მაგრამ ჩვენ მანათ ღმერთს ვეხვეწებოდით რომ რაიაზამის გვარისა გახელმწიფდეს ვინმე და ჩვენ პატრონათ შექმნილიყო, რომ ჩვენი მანათ ღმერთი არ დაგვივიწყებოდა, ახლა მადლობა ჩვენ მანათ ღმერთს რომ გვაღირსა თქვენი გახელმწიფება, ჩვენც ესეთი პირობა დაგვიდვია თუ თქვენი ნებაც იქნება და გვიბრძანებთ, ნარიმანს, ბურჯ-ვეზირს, ნარიმანის ცოლს და სარვიხურამანს, ხელ-ფეხ შეკრულ მოგართმევთ და თუ გვიბრძანებთ სხვებსაც დავხოცთ ერთ ღამეს, თქვენ როგორც გვიბრძანებთ ისე აღვასრულებთ. გთხოვთ ამ წიგნის პასუხი დროიანად გვაცოდინოთ“.

რა ესე წიგნი დაწერა: პირველად შირვან-ვეზირმა ხელი მოაწერა, შემდეგ ორასმა დიდებულმა და სამასმა ლაშქრის უფროსებმა, ის წიგნი დაბეჭდეს და თქვეს: ეს წიგნი ასეთი ვისმის ხელით უნდა გავგზავნოთ რომ ამის ამბავი არავინ შეიტყოს, თორემ ათასი წლის სიცოცხლეც რომ გვქონდეს ერთითაც ვერ გადურჩებით.

„ნარიმანს ერთი აიარი ჰყვანდა სახელად რეჰანი, ის მოიწვიეს და თავიანთ საიდუმლო მას გამოუცხადეს, ათასი თუმანი ოქრო წინ დაუყარეს და შეეხვეწნენ, რეჰან აიარო შენ იცი და შენმა ღმერთმა, ეს წიგნი ისეთ რიგათ უნდა წაიღო რომ შენ გარდა ეშმაკმაც ვერ გაიგოს, ყოველი საქმეც გამოუცხადეს. რეჰან აიარმა რომ ეს საქმე შეიტყო, იფიქრა, თუ უთხრა ვერ წავიღებ, უთუოდ აქავ მამკლავენ, რომ ეს ამბავი არავის გამოუცხადო, სჯობს რომ ამათთან ოსტატობა ვიხმარო, მაშინვე ოქროები ქისაში ჩაიყარა და უთხრა: ახლა მე ვიცი როგორც წავიღებო, რა დაღამდება მაშინ წავალო თორემ დღისით მეშინიან ვერ წავიღებო, იმათაც უთხრეს, აიარო შენ რაღა გესწავლება, როგორც გეხერხებოდეს ისე წაიღე. რეჰან აიარი იმათგან გამოვიდა და თავის სადგომს წავიდა, რა თავის სადგომს შევიდა სთქვა თავის გუნებაში: ეს რომ ასე მოუფიქრებიათ, მე ხომ კარგათ ვიცი ოთხივ კუთხე ყარამანისა, თუ ჯინნი თუ დევნი თუ ქაჯნი, აღმოსავლეთიდამ დასავლეთამდე, სულ ამათ ეკუთვნის და უშანგის მორჩილნი არიან, ყარამანს ცოტა დაუგვიანდა და ამისთვის უნდა უღალატონ, ერთი უბრალო ჯადოსაგან შეშინებიათ, ყარამანს რამდენი ამაზე უარესი ჯადონი დაუხოცია. აგრეთვე ჩვენი ხელმწიფე ნარიმანი რა ავი ურიგო ხელმწიფეა რომ ამისთანა ხელმწიფე უნდა შეჰკრან და ურჯულოს მისცენ, ამისთანა საქმეს ღმერთი არ იყაბულებს, მოდი ჩემო თავო რაც

ხელმწიფეზე მოსასვლელი საქმეა, შენც დასჯერდი, რამდენი ასი ათასი ჩემისთანა მონა ახლავს რაც იმათ ისიც მე". ამ ფიქრებში და განსაზღვრაში კიდეც შეღამდა, რეჰან-აიარი ადგა და ნელ-ნელა ხელმწიფის სარაიას მივიდა. კარის კაცებმა რომ დაინახეს ჰკითხეს რეჰან სად გივლია ამ დროს?—აიარმა მიუგო ხელმწიფესთან მივალ საჭირო საქმე მაქვსო. კარის კაცებმა მაშინვე ბურჯ-ვეზირს აცოდინეს რომ რეჰან-აიარიაო თქვენი და ხელმწიფის ნახვა სურსო. ბურჯ-ვეზირმა რომ ესე მოისმინა გამობრძანდა, რეჰან-აიარმა თაყვანი სცა და ერთმანერთს მიესალმნენ, ბურჯ-ვეზირმა აიარს ჰკითხა: ამ დროს მოსვლის მიზეზი რა არისო? აიარმა მოახსენა: პატიოსანო ვეზირო ჩვენი ლომთა-ლომის ხელმწიფის სახის ნახვა მაღირსე და მაშინ სცნობ ჩემი აქ მოსვლის მიზეზსაო, მაშინვე ბურჯ-ვეზირი ხელმწიფესთან შევიდა თაყვანი სცა და მოახსენა: ხელმწიფეო, რეჰან-აიარი თქვენს ნახვას ისწრაფის და არ ვიცი რა ამბავია. ნარიმანმა მაშინვე აიარის შემოყვანა ბრძანა, ბურჯ-ვეზირი გამოვიდა და აიარი შეიყვანა, რეჰან-აიარმა რომ ხელმწიფე დაინახა, თაყვანი სცა, წინ დაუჩოქა და მოახსენა:

„ღმერთმა ადიდოს თქვენი მეფობა, აღდეგრძელოს თქვენი ერთგული და დალახვროს თქვენი ორგული, მერე ამოიღო ათასი ოქრო და ის წერილი, ხელმწიფეს მიართო და ყოველი ამბავი წვრილად მოახსენა: ნარიმანმა რომ ის ამბავი შეიტყო, ისე განრისხდა რომ თვალები სისხლით აევსო და უნდოდა იმ წამსვე დაეძახა და დაეხოცა, მაგრამ ბურჯ-ვეზირმა დააწყნარა. ის წიგნი გახსნა და წაიკითხა, წერილის ძალა რომ შეიტყო ნარიმანი გაცეცხლდა ისე რომ ხმალი ამოახდინა და მიდიოდა რომ თავის ხელით დაეხოცა, მაგრამ კვალად ბურჯ-ვეზირმა დაამშვიდა და მოახსენა: ხელმწიფევ, ცოტა მოთმინება იქონიეთ, ვნახოთ მაგათ საქმეს როგორ გავარიგებთ, კიდევ სხვა მრავალი დასაწყნარებელი სიტყვები მოახსენა და დაამშვიდა: შემდეგ ნარიმანმა ბურჯ-ვეზირს უბრძანა, ვეზირო ვიცი ჩემთვის ცუდ რჩევას არ მოინდომებ და არც მოგინდომებია. ახლა მაგათი საქმეც შენთვის მომინდვია, შენ იცი როგორც გაარიგებ. რა ესე ბრძანა მივარდა და რეჰან აიარს შუბლს აკოცა, ის ათასი ოქრო მასვე მისცა და ერთი სოფელი საშვილის-შვილოთ აჩუქა. რა ბურჯ-ვეზირმა ნარიმანისაგან ის სიტყვები გაიგონა მოახსენა: ხელმწიფეო ახლა მე ვიცი, მაგისთვის ნუ სწუხხარ, ახლა ის დროა რომ ეგენი დავაძინოთ, დაშლის დრო არ არის. ღმერთი ერთი მხრიდამ ჩამოგვხედავს. მაშინვე საწერ-კალამი და ქაღალდი მოიღო და დასწერა ესე:

გწერთ თქვენი წიგნის პასუხს, როვშან-ბახტი. „ჰეი თქვენ უგუნურ-

ნო და უმეცარნო, ეს წერილი რომ დაგიწერიათ, მე თქვენი მასხარა ვარ? მე ვერ მომატყუებთ, თუ კი ეგ საქმე გუნებაში გედოთ და ერთგულნი იყავით და ჩემი მოსვლა გაგეხარდათ, როცა ჩვენ მოვედით და ჩამოვხ-დით, რატომ მაშინვე არ გამოგვიგზავნეთ ეს წერილი, ახლა ნახეთ რომ სამი თვეა აქ ვადგევართ ამ ციხეს და იცით რომ უსათუოთ ავიღებთ კი-დეც, შეშინებულხართ და ამიტომ მოგიწერიათ? და თუ ეგრე ერთგულნი იყავით, იმ ღამეს თქვენი ხელმწიფე მალვით რომ გამოდიოდა რატომ მაშინ არ შემატყობინეთ? სჩანს რომ მატყუებთ, ასე იცოდეთ ხვალ თუ ზეგ მაგ ციხეს ავიღებთ, პირველად თქვენ დაგხოცთ და ჩვენი მანათ ღმერთის სამღთოთ გაგხცით, მერე ცეცხლში დაგწვავთ და თქვენ ნარი-მან ხელმწიფესაც თავის ლაშქრით დიდ წვალებით დავხოცთ და ჩვენ მო-ღალატე ბურჯ-ვეზირსაც ტყავს გავხდით. ამას იქით თქვენ ამისთანა მა-ტყუარა წერილი აღარ გამოგვიგზავნოთ“.

ასე დასწერა და რეჰან აიარს უბრძანა: ამაღამ და ხვალ აქ იყავი ნუ გახვალ და ხვალღამ წადი და ეს წერილი წაიღე ვითომ როვშან-ბახტისა-გან მოხვალ და ეგ წერილი მოგაქვს, მიტანე და შირვან-ვეზირს მიეცი და ესე უთხარ: ახ, ეს რა მიყავით თქო, ნეტა მე იქ არ წავსულვიყავი, წინაღამ ცეცხლში დამწვესთქო, ღმერთმა უშველოს იმის ვეზირმა მამარ-ჩინა და აი ეს წერილი მოგწერეს თქო და მითხრეს, ეს წერილი წაიღეო, თუ ამას იქით აქ სადმე გნახეთო, ლუკმა-ლუკმა დაგკუწავთო. რეჰან აიარ-მა მოახსენა: ახლა მაგისი მე ვიცი რასაც ვეტყვიო. ის ღამე და მეორე დღე იქ დარჩა და ლხინობდნენ, მეორე ღამეს შირვან-ვეზირი და დიდე-ბულნი ერთად შეიყარნენ და აიარს ელოდნენ, რეჰან-აიარიც მივიდა კრე-ბაში ცხვირპირ ჩამოშვებული და ბურჯ-ვეზირის ნასწავლი ერთი ოთხად მოახსენა და წიგნი მისცა, რა წიგნი გახსნეს და წაიკითხეს, ყველას ფე-რი ზაფრანასავით გაუხდათ და თავები ჩამოჰკიდეს. რა შირვან-ვეზირმა ამ წიგნის პასუხი შეიტყო, ყველას უბრძანა: დიდებულნო, ეს საქმე ისე უნდა ვქმნათ რომ არავინ შეიტყოს, თორემ საქმე უფრო ცუდათ მოგვი-ვა და ყველანი დავიხოცებით. რეჰან-აიარსაც შეეხვეწნენ რომ ეს საქმე არავის არ გამოუცხადოს, აიარმაც შეჰფიცა რომ ამას იქით იმის პირი-დამ ეს ამბავი არ გამოვიდეს, აბა რას შეიტყობენ თუ რა მოხდა, შემ-დეგ შირვან-ვეზირმა ბრძანა: დიდებულნო, ამას იქით ჩვენ ერთგულად უნდა ვემსახუროთ ნარიმანს და ვნახოთ ღმერთი რას გვიზავს, ვიწამოთ კერპი მანათი: ესე თქვეს და დაიფანტნენ ყველანი.

### აქ ეს დაუტეოთ და ჯიბილ-ჯადოს ამბავი მოიხსენიეთ.

Როდესაც ჯიბილ-ჯადო ციხიდამ გამობრუნდა, ნაღმის საქმეს ელოდა, მაგრამ ნარიმანის შიშით ერთი ორმო გაათხრევინა და ღამით იქ ჩაჯდებოდა ხოლმე და შეულოცავდა რომ იმ ორმოს არავინ მისდგომოდა, ამ აზრით რომ ის ამბობდა, ერთ ღამეს გამოვა ის სისხლის მღვრელი ნარიმანი და შეუბრალებლად მომკლავსო.

### ეს აქ ამ ფიქრში დაუტეოთ და შირვან-ვეზირის ამბავი მოიხსენიეთ.

Რა მეორე დღე გათენდა, ციხეში სარდალნი და დიდებულნი, შირვან-ვეზირთან მოგროვდნენ და ჰკითხეს: „ვეზირო, დღეს ხელმწიფესთან რომ წავიდეთ რა ვილაპარაკოთ?“ შირვან-ვეზირმა უთხრა: დიდებულნო, დღეს ისეთი თავმდაბლობა და ტკბილი სიტყვები უნდა იხმაროთ რომ არაფერ ეჭვში ჩავარდეს. ესე რომ დაარიგა ყველანი ნარიმანთან წავიდნენ, თაყვანი სცეს და შირვან-ვეზირი წინ წადგა და სარდლების მაგივრად პირი მიწას გაერთებით თაყვანი სცა და მდაბლად მოახსენა: დიდებულო ხელმწიფევ დღეს თქვენი ბრძანება რა არის რომ აღვასრულოთ? თუ გვიბრძანებთ გავიდეთ და მტერს ვებრძოლოთ და ჩვენი თავი თქვენი ჭირის სანაცვლოდ შევწიროთ!

ხელმწიფემ უბრძანა: ვეზირნო, მე ყოვლად დარწმუნებული ვარ რომ ჩემი ერთგული ხართ და თქვენი ერთგულობა ჩემთან ცხადია, მაგრამ გარეთ გასვლა არ იქნება, ვნახოთ ისინი რას აპირობენ და თქვენც საქმე იმ გვარად დაიჭირეთ, თქვენ თავს უფრთხილდით რომ ბოლოს სინანულად არ გაგიხდეთ. შირვან-ვეზირმა მოახსენა: ხელმწიფეო, როგორც გვიბრძანებთ აღმსრულებელი გახლავართ და უთქვენოთ საქმეს არაოდეს არც დავიჭერთ და არც დაგვიჭერია რომ ჩვენი საქმე ავად არ წავიდეს. ხელმწიფემ მიუგო: მეც მაგას ვამბობ რომ თუ უჩემოთ საქმეს დაიჭერთ, ბოლოს სინანულად გაგიხდებათ, მერე ბრძანა ყველამ თავთავის ლაშქარს მოუაროსო. ყველამ თაყვანი სცა და თავ-თავის ლაშქართან მივიდნენ და მზადება იწყეს.

### აქ ესენი მზადებაში დაუტეოთ და ნაღმის ამბავი მოიხსენიეთ.

Იქით მხარეს ორმოცი დევნი რომ სთხრიდნენ ნაღმისთვის, იმოდე-

ნა მოთხარეს რომ ციხეში ერთ ალაგ წყლის პირას გახვრიტეს. გამობრუნდნენ და თავიანთ გოვთია დევს გამოუცხადეს. რა გოვთიამ ციხის გახვრეტა შეიტყო, მაშინვე მივიდა და ჯიბილ-ჯალდოს შეატყობინა, რა როვშან-ბახტმა ეს შეიტყო, ჯიბილ-ჯალდოს უთხრა: ჯალდოთ უხუცესო, მაშინ ამბობდი რომ ოდონდ ერთი ციხეში შესვლის გზა იყოსო, მაშინ მე ვიცოო რასაც უზამო, აი ჩვენმა ღმერთმა მანათმა გზა მოგვცა აბა გამოაჩინე შენი ხელოვნება. ჯიბილ-ჯალდომ მაშინვე თადარიკი ნახა და რა შეღამდა, სეილან-ჯალდო და ქეილან-ჯალდო, ოციც დევი თან წაიყვანა და იმ თხრილიდამ შევიდნენ. იარეს და ერთს ნახვრეტიდამ გავიდნენ, ნახეს რომ ყოველი ფეხი მიწყნარებულია, იარეს და ერთ ქუჩაში გავიდნენ, ჯიბილ-ჯალდომ ის ოცი დევი იქ დააყენა, თითონ და სხვებმა ის ქუჩა აიარეს და ერთ უცხო სასახლესთან გავიდნენ, ნახეს რომ ერთი ქვევითი კაცი მოდის, იმ კაცსა ჰკითხეს: ნარიმანის სასახლე საით არისო? მან კაცმა ხელით უჩვენა, რა სასახლე ნახეს მაშინვე მივიდნენ იმ სასახლესთან, მათი საწადელი ნარიმანი იყო, ნარიმანის სასახლის გვერდით ბურჯ-ვეზირის სასახლე იყო, იქ მივიდნენ და კარის კაცებსა ჰკითხეს: ხელმწიფეს სძინავს თუ ღვიძავსო, ძლიერ საჭირო საქმე გვაქვსო. რა კარის კაცებმა ნახეს რომ უცხონი იყვნენ, რას იფიქრებდნენ თუ ვინ არიან, მათ მიუგეს ეს სასახლე ბურჯ-ვეზირისაო. ამ ლაპარაკში მის კარის კაცებს ჯალდო შეყვეს, შეუბერეს და ყველანი უცნობო შეიქმნენ და იქვე დაეცნენ, მაშინვე ჯიბილმა ჯალდო შეჰქმნა, შევიდნენ და ბურჯ-ვეზირს ხელ-ფეხი შეუკრეს, სხლი დაიარეს და რაც ხაზინა ჰქონდა სრულიად გამოიტანეს, ბურჯ-ვეზირი და თავის კარის კაცებიც თან წაიყვანეს და ნარიმანის სასახლესთან მივიდნენ, ნახეს რომ მრავალი საკრავის ხმები გამოდიოდა, თურმე ნარიმანი თავის ცოლთან და დედასთან ლხინობდა და კარზედაც მრავალნი ლხინობდნენ. ჯიბილ-ჯალდომ სთქვა: თუ მაგას მძინარეს არ შევხვდი, მაგას იმოდენა თილისმა აქვს ზედ რომ არა ჯალდო არ მიეკარება და თუ შეგვიტყო, ერთიც ვერ წაუვალთ აქედამ ცოცხალი, ამიტომ სჯობს რომ გავბრუნდეთ და წავიდეთ, ესეც კარგი საშოვარია და ხვალღამ ვნახოთ სხვა რა ოინს მოუყვალ, ესე თქო და გამობრუნდნენ, მივიდნენ იქ საცა დევები გაეშოთ, ბურჯ-ვეზირი და იმისი კაცები თითო დევს მისცეს და წამოვიდნენ, საიდამაც შემოსულიყვნენ იქიდამვე გამოვიდნენ და როვშანბახტთან მოვიდნენ, ნახეს რომ სძინავს, იმ ღამეს შეინახეს, დილაზე ოთხნივ ხელმწიფენი ხოსროვ-ჭინდი და დიდებულნი მოგროვდნენ, მაშინ შეკრულნი მიუყვანეს და როვშან-ბახტის წინ დააგდეს და ჯიბილ-ჯალდომ მოახსენა: ხელმწიფევ ეს არის თქვენი სახელმწიფოს დამქცევი და ნარი-

მანის საქმის გამრიგებელი და მამითქვენისაგან უკუ მდგარი, დღეს ეს თქვენთვის მომირთმევია და ხვალღამ ნარიმანს მოგართმევ.

როშან-ბახტმა და სამთა ხელმწიფეთა ბურჯ-ვეზირი რომ დაინახეს თავისის ოცის მსახურით ხელ-ფეხ შეკრული, ძლიერ გაიხარეს და როშან-ბახტმა ჰკითხა: მაშ ნარიმანის საქმეშ როგორ გაიარა? ჯიბილ-ჯალდომ მოახსენა: ხელმწიფეო წუხელისვე გავარიგებდი მის საქმეს მაგრამ მღვიძარეთ დამიხვდა, მეჯლისი ჰქონდა და თუ ჩვენი მანათი ღმერთი მომეხმარა ხვალღამ ნარიმანსაც მოგართმევ და მათ საქმესაც ყოველს დავასრულებ. ამ ლაპარაკში ბურჯ-ვეზირი ცნობას მოვიდა და ახილა თვალები რა თავის თავი ისრე შეკრული იხილა სიზმარი ეგონა და კიდევ მიიძინა, ჯიბილ-ჯალდომ დაუძახა, ვეზირო თვალს ნუ ხუჭავ სიზმარი ნუ გგონია, თვალი ახილე და ნახე შენმა ოსტატობამ როგორ ფეშქათ ჩაიარაო, ბურჯ-ვეზირმა მეორეთ თვალი ახილა და მართლად ნახა რომ სიზმარი არ იყო, თავისი ყოველნი მსახურნიც შეკრულნი იყვნენ და თავის გვერდით ეყარნენ. რა ისინიც ცნობას მოვიდნენ და თავიანთ ბატონი შეკრული ნახეს დიდათ გაჰკვირდნენ, მიზეზი იფიქრეს და ცნობას მოვიდნენ რომ წუხანდელი მკითხველი ჯალდონი ყოფილან. რა ბურჯ-ვეზირმა თავისი თავი ისე იხილა გაშტერდა და სთქვა: მე ამათ ხელში ვინ ჩამაგდოვო? რა როშან-ბახტმა ნახა რომ ბურჯ-ვეზირმა თვალები აახილა, უბრძანა: ბურჯ-ვეზირო მამიჩემისაგან რა ნაკლულევანება ნახე რომ იმას უღალატე და ისე დაამხე, ნახე იმის ბურმარილი რომ გმე, ჩვენი ღმერთი იმიტომ გაგიწყრა და მაგ დღეში ჩაგაგდო, აბა ახლა ნახე შენი სიკვდილი როგორი თამაშა იქნება, შენ ასეთი წვალებით უნდა მოგკლა რომ არაოდეს თავის ხელმწიფეს არ უყოს ვეზირმა მაგისთანა საქმე, დღეს კი არ მოხდება შენი სიკვდილი, ამაღამ შენ ხელმწიფესაც რომ დავიჭერთ, მაშინ გაუურებანებთ ერთმანერთის სიკვდილს. მაშინვე ბრძანა ფალახა მოიტანეთო მაშინვე აღასრულეს, ბურჯ-ვეზირი ფალახაში ჩააგდეს და ხუთასი მათრახი დაჰკრეს და ბურჯ-ვეზირი ისე გალახეს რომ ფეხების ფრჩხილები დააყრევინეს, შემდეგ ბრძანა: წაიყვანეთ და ორმოში ჩაგდეთო, დღეში ერთი ჩარექი უმი ხორცი ჩაუგდეთო და ძაღლსავით აცხოვრეთო, ვიდრე მაგის ხელმწიფეც ხელში ჩავიგდოთო.

მაშინვე ხელმწიფის ბრძანება აღასრულეს და თვითონ დაღამებას ელოდნენ რომ ჯიბილ-ჯალდო კვალად წასულიყო.

იქით მხარეს ციხეში ნარიმანთან მოვიდნენ თავის დიდებულნი სალამში, ნარიმანმა ნახა რომ ბურჯ-ვეზირი სალამში არ მოვიდა, გაიკვირვა და ბრძანა: აბა წადით ნახეთ ბურჯ-ვეზირი შეუძლოთ ხომ არ არისო,

თორემ აქამდის მოვიდოდა. მაშინვე ორი ფარეშნი მივიდნენ ბურჯ-ვეზირის სასახლეში და ნახეს რომ სასახლეში არავინ არის, არც ბურჯ-ვეზირია არც მისნი მსახურნი და არც მისი საუნჯე, მაშინვე გამობრუნდნენ და ნარიმანს ამბავი მოართვეს, ნარიმანმა რა ესე გაიგონა გაშტერდა და ციხეში კაცები სულ დაატარა და ვერსად იპოვა, ძალიან შეწუხდა და მაშინვე ბრძანა: ყოველნი დიდებულნი და მცირებულნი სულ მოაგროვა და გამოუცხადა, წუხელის ბურჯვეზირი თავის ამალით უჩინო შეიქმნა, თუ ვინმემ იცით გამოაცხადეთო. მათ მოახსენეს, ხელმწიფის მზემ არ ვიცითო, შემდეგ უთხრა თუ ჭაერით აქ ჯადო მოსულა ხომ ვერ მოგვიდგებოდაო, მაშინვე გარეთ გამოვიდა დიდებულნი თან იახლნენ და ციხის კარებთან მივიდნენ და კარის მცველთა უბრძანა: სწორეთ მითხარით წუხელის აქ ვინ შემოვიდა, თორემ ყველას დაგხოცთო; კარის მცველთა დაიფიცეს რომ კარებიდამ არავინ შემოსულაო, ამ ლაპარაკში ორი კაცი წინ წამოდგა და ნარიმანს მოახსენეს: ხელმწიფევ თქვენ რომ გაბრძანდით და ხოსროვ-ჭინდის ლახტი რომ მოიტანეთ, იმ ღამეს იქ ერთი საქმე შევიტყეთ, ერთი კაცი მეორეს ეუბნებოდა რომ ამ ორიოდ დღის უკან ნაღმით ამ ციხეს აიღებენო, ეს ამბავი მაშინვე უნდა მოგვეხსენებინა მაგრამ არ დავიჯერეთ და იმიტომ არ მოგახსენეთ, ახლა კი დასაჯერებელია რომ იქნება სადმე გაუჭვრეტიათ ციხის ძირი და იქიდამ ამოსულან და წაუყვანიათ. რა ნარიმანმა ესე მოისმინა, მაშინვე ბრძანა, ეგ საქმე სწორედ უნდა ჰყოსო, მაშინვე თავისი მხეცი მოითხოვა, ამხედრდა და ის ციხე სრულიად მოიარა, ნახა რომ ერთ ალაგს სადაც მდინარე წყალი მიდის ერთი დიდი ხვრილი გამოჩნდა, ბრძანა მე ამ ციხეში ესეთი ხვრილი არ მინახავს და რა უნდა იყოსო! ერთს უბრძანა ჩადი და ნახე ეს რა არისო, ერთი კაცი ჩრაღით ჩავიდა, გაშინჯა და ნახა რომ იმ ხვრილში კაცისა და დევის ნავალია, გამოვიდა და ნარიმანს მოახსენა: ნარიმანმა ბრძანა სწორედ აქედამ არის წაყვანილიო, ჩემთვის ამოსულან მაგრამ მე წუხელის დიდხანს მეჯლისი მქონდა, უნახავთ რომ მე მღვიძავს და ისი-ნი წაუყვანიათ. რა ესე დაიდასტურა მაშინვე ბრძანა: მე ვიცი ამაღამაც ამოვლენ და იმათი საქმე უნდა მოვნახოთ. მაშინვე ათასი კაცი დააყენა და იმ წყლის გზა ჩააჭრევინა ხვრილისკენ, ერთიანი ფიცარი გააკეთებინა, მოატანინა და იმ წყლის გზა ფიცრით შეაკვრევინა, აქეთ წყალი გადმოუგდეს, ასეთ რიგათ გაამაგრა რომ რასაც წამს ის ფიცარი აეწიათ იმავ წამს ის წყალი სულ ხვრილში ჩავარდებოდა, რა ესე გაამართვინა, ათასი კარგი ფალავანი არჩია ტანისამოსზე და იარაღზე ისმიაზამი დააწერინა რომ ჯადო არ მიჰკარებოდა, ხუთასი ხვრილის ერთ მხარეს დააყენა ხუ-

თასი მეორე მხარეს და ასე დაარიგა რომ, რასაც წამს ნარიმანს დაეძახნა იმ წამს ის ფიცარი აეწიათ და წყალი ხვრილში ჩაეშოთ. ესე რომ გაარიგა ათასი ფალავანიც სულ საომარი იარაღით შეიჭურვა, აქა-იქ დამალა და უბრძანა: როდესაც ჩემი ნარის ხმა გაიგონოთ, მაშინვე გამოდითო, თითონაც თავის საომარი იარაღით შეიჭურვა, ერთი უცხო მაგარი ქამანდი ხელით აიღო, მოვიდა იმ ხვრილის ახლო მოათხრევინა და შიგ ჩაჯდა ამაობაში კიდეც დაღამდა.

## აქ ესენი ამ მოცდაში დაუტეოთ და გარეთ ლაშქრის ამბავი მოიხსენიეთ.

გარეთ როშან-ბახტი და სამნი ხელმწიფენი, ხოსროვ-ჭინდი, ჯიბილ-ჯალდო, სეილან და ქეილან ჯალდოები, გოვთია დევი და დიდებულნი ერთად შეიყარნენ. რა დაღამდა გოვთიამ უთხრა: ჯიბილ-ჯალდო, დღეს მეძინა და ცუდი სიზმარი ვნახე, ვითომ ერთ ალაგ ვიყავით და ერთიც ვნახო ჩემ ქვეშ ზღვა გამოჩნდა და მე შიგ დავრჩი, მაშინ შენ დაგიძახე ჯალდოვ მიშველე მეთქი, შენ იქიდამ დამიძახე, ვერა გხედავო მეც ჯინჯილებით დამაბესო, ამ დროს ჩვენი მანათ ღმერთი მოვიდა ფეხი დამიჭირა და უფრო ღრმა ზღვაში შემიყვანა და დამაღრჩო. ამის სიზმრის ნახვაზე ჯიბილ-ჯალდომ გაიცინა და სთქვა: ძმობილო გოვთიავ, ნარიმანის ხაზინა ზღვა, შეხვალ და ხაზინაში დაიღუპებიო. როშან-ბახტმა უთხრა: ჯალდოთ უხუცესო, ამაღამ რას აპირებ? მან მოახსენა ხელმწიფევ როგორც აღმითქვამ, ამაღამ ამ ციხის საქმეს გადავწყვეტავო და ნარიმანსაც ხელფეხ შეკრულ მოგართმევო და მაშინ შენ იცი როგორი წვალებით მოჰკლავ, ამაღამ გოვთია დევი თან უნდა წავიყვანო და სხვა რამდენი დევიც იმ ხვრილში დაეტევა იმდენი. ხოსროვ-ჭინდიც უნდა ციხის კარებთან დადგეს, სეილან და ქეილან ჯალდონი და რამდენიმე ათასი გამოჩენილი ლაშქარიც თან წაიყვანოს და წყნარათ იარონ ისე რომ მათი ხმა ციხელებმა არ გაიგონ, რა ჩვენ ციხეში შევალთ, მაშინვე ნარიმანს დავიჭერ და როდესაც იმას დავიჭერ დევის ლაშქარს შევიყვან და როგორც იყოს ციხის კარებ გავაღებ, ხოსროვ-ჭინდის ლაშქარი კარზე მზათ იქნება, ერთიანად შემოვლენ და ქაბულელთ სულ ფეხქვეშ გავამტვერებთ. რა ესე გაარიგა გოვთია დევს უთხრა: შენც ორმოცი ათასი დევი თან წამოიყვანე. რა გოვთია დევმა ესე გაიგონა, თავის სიზმარი მოაგონდა და ტანმა კანკალი დაუწყო, წასვლა სრულებით არ უნდოდა მაგრამ სირცხვილით ვერათქვარა, მაშინვე ორმოცი ათასი დევი ამოირჩია და თან წაიყვანა და უო-

ველნი სამრის იარაღით შეჭურვილი ნადმისაკენ გაემართნენ. როდესაც ჯიბილ-ჯადო და გოვთია დევი ორმოც ათასს დევს წინ გაუძღვნენ და ხვრილს შევიდნენ, ჯიბილ-ჯადომ უთხრა გოვთია დევს, მე და შენ ორი დევით შევიდეთ, ჩვენთვის საჭირო ნარიმანია, მხოლოდ ის ვინადიროთ დროიანათ და მერე ყველა ადვილია. ამ ლაპარაკით მიდიოდნენ, ვიდრე მიახლოვდნენ, რა ნახვრეტს მიაღწიეს ჯიბილ-ჯადომ თავი ნელ-ნელა ხვრილიდამ ამოჰყო და დაათვარიელა, რა არავინ გამოჩნდა თავი აიწია. ნარიმანმა ნახა რომ იმ ხვრილიდამ ერთმა თავი ამოჰყო, ცოტად დააცადა, ჯიბილ-ჯადომ ნახა რომ არავინა ჩანს, წელამდე ამოვიდა, ნარიმანმა მაშინვე ქამანდი სასროლად მოიმარჯვა და რა ჯადოს უნდოდა ამოსულიყო მაშინვე ქამანდი შესტყორცა და წელს მოზდო, რა ქამანდი წელს მოედო, ჯადომ დაიძახა: გოვთია დევო არიქა მიშველე! რა გოვთია დევმა ჯადოსაგან ესე გაიგონა, თავის სიზმარი მოაგონდა, ტანმა კანკალი დაუწყო და არ იცოდა რა ექმნა. რა ნარიმანმა ქამანდი მოზდო ერთი ასეთი ნარა გასწია რომ დედამიწა შეიძრა და ქამანდი თავისკენ მოზიდა. ამ ნაირ ხმაზე ათასმა ფალევანმა ის ფიცარი ასწიეს და იმ ზღვისოდენა წყალი იმ ხვრილში ჩავარდა და გრიალით წავიდა, რა გოვთია დევმა ნახა რომ არც აქეთ არის გზა არც იქით, ახლა იმან დაიძახა, ჯიბილ-ჯადო მიშველეო, მაშინ ვიღა უშველიდა, რაც ხვრილში დევნი შესულიყვნენ სრულიად ამოიღვჩნენ.

რა ნარიმანმა ნარა გასწია, ათასი დამალულნი ფალევანნი გამოცვივდნენ და ჯიბილ-ჯადოს ეცნენ, მაგრა შეჰკრეს: ნარიმანმა ბრძანა მაგას ლაპარაკს ნუ დაუწყებთო და ახლავ გაატიალეთო და ერთი ხამი ტანისამოსი ჩაცვითო; მაშინვე ბრძანება აღასრულეს, მერე ჯადო წაიყვანეს, გზაზე ჯიბილ-ჯადომ თავის გუნებაში თქვა: გოვთია დევს თავის ნანახი სიზმარი სწორედ აუხდა, მაგრამ მე ვერ მივხვდი. რა ნარიმანმა ჯიბილ-ჯადოს ტანისამოსის ჯიბე და უბე გაუშინჯეს, ეშმაკობით სავსე ჰქონდა, მაშინვე ბრძანა: ეგ ჯადო წაიყვანეთ და ერთ მაგარ ოთახში ჩამწყვდიეთ, თორემ მაგის შენახვა ძნელია და დიდი საფრთხილე გმართებთ, ერთი თალათინი მოიღეს და ჯადოს პირზე გადაფარეს, ცხვირ-პირის ალაგს გაუჭრეს რომ სუნთქვა გამოუშოს და კაცის სახე კი ვერა ნახოს და იმაზე არ ილაპარაკოს. რა ესენი ამ ამბავში იყვნენ, ნახეს რომ კარზე დიდი არეულობა შეიქმნა, ციხიდამ გადახედეს მაგრამ სიბნელით ვერა ნახესრა. როდესაც ჯიბილ-ჯადო და გოვთია დევი იმ დევის ლაშქრით ხვრილში შევიდნენ, ორმოცდა ხუთი ათასი დევი იმ ხვრილში დაეტივნენ და დანარჩენნი გარეთ დადგნენ, წყალი რომ მიუშვეს ხვრილში გოვთია და სხვა

დევნი ვინც ხვრილში შესულიყვნენ სულ დაიღვჩნენ და წყალი თითო-თითოდ კარზე რიყავდა.

წყალი რომ ლაშქარში გავარდა, ლაშქარი ბნელაში გაშტერდა და ამბობდნენ, ეს წყალი საიდამ მოვარდაო!? მრავალი კაცი დაიღრჩო, ბნელაში გზას ვეღარა პოულობდნენ რომ თავი ეღსნათ და გაქცეულიყვენ საითმე, ერთმანერთს უყვიროდნენ, წარღვნაა გავიქცეთო, ამაობაში გათენდა კიდეც, ვიდრე არ გათენებულიყო, ყველანი ამბობდნენ, ნეტაი ერთი მალე გათენდეს მაინც ვნახოთ ეს წყალი საიდამ გამოჩნდაო, რა გათენდა ნახეს რომ საიდამაც ნალში ეკრათ, ეს წყალი იქიდამ გამოდიოდა, მრავალი დამღრჩვალი დევი გამოჭქონდა და გარეთაც მრავალნი ეყარნენ, ისე რომ ანგარიში არ შეიგდებოდა, დანარჩენი დევნიც ყველანი მირბოდნენ, დევთა იკითხვიდნენ ეს რა ამბავია, ან რა ღვთის რისხვაა, მათ მოახსენეს: ჯიბილ-ჯალდო და გოვთია დევი რომ ორმოცი ათასის დევით შევიდნენ, ჩვენ მაშინ გარეთ დავრჩით, რა ცოტა ხანმა გაიარა, ვნახეთ ერთის საზარელი წყლის ხმა გამოხდა, ჩვენ მაშინვე გამოვიქეცით და ვინც იქ დარჩა სულ დაიღჩვნენ. რა ყველამ ესე შეიტყეს დიდათ შეშინდნენ, ამ ლაპარაკში ოთხნი ხელმწიფენი, ხოსროვ-ჭინდი, სეილან და ქელან-ჯალდო, მოვიდნენ და წყლის გამოსვლის თამაშას უყურებდნენ, ნახეს რომ გოვთია და მრავალი სხვა დევნი გაბერილნი გამოეგდო ნაპირას, დიდათ დაღონდნენ და არ იცოდნენ რა ექმნათ.

ამ დაღონებაში როვშან-ბახტს მოახსენეს, ხელმწიფევ, ეს საქმე ბურჯ-ვეზირის გარდა არავის ეცოდინება და ვერც არავისაგან შევიტყობთო. როვშან-ბახტი გამობრუნდა, თავის კარავში მოვიდა და მაშინვე ბურჯ-ვეზირი ორმოდამ ამოაყვანინა და კარავში შემოიყვანეს, რა ნახეს რომ ძალიან შეწუხებულა შეკრულობიდამ ახსნეს და წინ დააჩოქეს, მერე როვშან-ბახტმა უბრძანა: ბურჯ-ვეზირო მამის ჩემისაგან რა ნაკლულევანება ნახე რომ იმისი მუხანათი შეიქმენ, წახველ და ერთ ურჯულოს და უღმერთო კაცის მონა შეიქმენ, უხილავი ღმერთი იწამე და ჩვენმა პატიოსანმა და ლამაზმა ოქროთი და მარგალიტით შემკობილმა ღმერთმა რა გაწყინა რომ ის დაივიწყე? განა მამაჩემმა შენისთანა ვეზირის პატივი არ იცოდა რომ იმის პურ-მარილი ჭამე, ახლა ნახე მისმა პურმარილმა როგორ თვალები დაგიყენა და მაგ ყოფაში ჩაგაგდო! ახლა მითხარ ამის პასუხი რა სიმართლე გაქვს? მაშინ ბურჯ-ვეზირმა აღაღო პირი თავის მოლექნური ენა გამოიღო და მოახსენა: ხელმწიფეო! მართალსა ბრძანებთ მაგრამ ამისთანა შეწუხება კაცს რომ მიადგება რასაც ბრძანებ იმას აღასრულებს, როგორათაც ეს ხელმწიფენი, როდესაც უშანგმა ესენი დაიჭირა და დაიმორჩი-

და, ამათვე ბრძანონ როგორ ემსახურებოდნენ, ახლა თქვენთან მოსულან და ამაზე სამტროდ დამზადებულან, ნახე შეწუხება კაცს როგორ დაიმორჩილებს, კაცის სიკვდილი აჯალით არის, მაგრამ ჯანი და ხორცი თავის ჭკუით არის ცოცხალი, თორემ კაცმა თუ მოინდომა თავის თავს კეთილსაც დამართავს და ბოროტსაც, მხოლოდ კაცი ყოველთვის ცდილობს რომ ბევრი იცოცხლოს. მამაშენი რაიაზამი პირველად რომ მოვიდა უშანგთან საომრად ვერა გააწყორა, მასუკან ოსტატობა დაიწყო, შეურიგდა და თავის გუნებაში სთქვა, შეურიგდები და წავალ მრავალ ფალევნებს და ჯადოებს მოვაგროვებ, შემდეგ მოვალო და ეგები იმათით ვძლიო, ამ ოსტატობით შეურიგდა, უშანგმაც შეიწყალა მართალი ეგონა და ჩვენი ქვეყანა ჩვენვე გვიბოძა, გამოვბრუნდით და ჩვენს ქვეყანას მოვედით, მამაშენმა იქ მრავალი ჯარი შეჰყარა, შენ დიდ ძმას ჯუვანბახტს გააყოლა და მეც მიბრძანა თან გაყოლა, მე ბევრი დაუშალე მაგრამ არ დამიჯერა, მე მოვახსენე, უშანგმა ხომ შენი სახელმწიფო შენვე მოგცა მეთქი, ახლა ომისაგან ზიანის მეტს ვერაფერს ნახავ მეთქი—სხვა ამისთანა მრავალი სიტყვები მოვახსენე, მაგრამ არ დამიჯერა, რომ არიქნა შენ ძმას გავყევ და ჩინეთს მივედით, უშანგისა, ყარამანისა და ხოსროვშირის ჭარემხანა და ყანგარიშო ხაზინა ვიხილეთ და ფარმანია ციხეში შევედით, იქაც რასაც შენ ძმას ვეუბნებოდი და ვარიგებდი არ მიჯერებდა, ბოლოს უშანგი მოვიდა, ის ციხეც აიღო, შენი ძმაც მოკლეს, მეც დამიჭირეს და მკლავდნენ, მერმე უშანგს ებრძანებინა, მაგას ეგრე ადვილად ნუ მოჰკლავთო, ეგ უნდა წვალებით მოკვდესო, ამისთვის რომ როცა რაიაზამი ჩემთან დალატით შერიგებას აპირებდა, ეგ იყოვო შუაკაცი და შემხვეწავი, ეგ წაიყვანეთ ერთ ორმოში ჩააგდეთო და დღეში ერთი სტილი ჭუმი ხორცი მიეცითო, იმათაც ბრძანება აღასრულეს, აი რა წვალებით მინახავდნენ, ახლა ღმერთმა გადღეგრძელოსთ დღეში ერთ ჩარექ ხორს მაინც მაძლევდით. რა იმ წვალებით ოცი დღე გავიდა ისე გავხდი რომ ორმოცი დღე მკვდარივით ვეგდე, ერთ დღეს თურმე ხორცი მომიტანეს და დამიძახეს, რა მნახეს რომ ხმა აღარა მქონდა და ის ორმო უნდოდათ ქვით ამოემსოთ, მხოლოთ უშანგს ებრძანებინა, ნახეთ თუ სული უდგას გამოიყვანეთო და უფრო წვალებით შეინახეთო, თურმე მაშინვე მოვიდნენ და ამომიყვანეს, რა კარგათ გავხდი ჩემს ქეშიკებს ვთხოვე ერთი თქვენი ხელმწიფის პირის ხილვა მაღირსეთ მეთქი, ოჰ, ის ორმო რომ მომაგონდებოდა ხოლმე, მაშინვე ტანში კანკალს დამაწყებინებდა; ეს ამბავი რომ უშანგს მიუტანეს მაშინვე ებრძანა, ჩემ წინაშე მოიყვანეთო, მაშინვე მოვიდნენ და წამოიყვანეს, უშანგი რომ ვნახე თაყვანი ვეცი და ჩემი დანა-

მაულობის პატიება აღუთქვი, ჩემი ერთგულობით სამსახური, ასე რიგათ შევეხვეწე რომ შემიბრალა და მაპატია და თავ ვეზირათ დამადგინა, ასეთი მოწყალე ხელმწიფე იყო, მასუკან ოსტატობით იქიდამ გავეპარე და მამაშენთან მივედი. თურმე იმათი ხომალდი იქით გამოსულიყო და შიგ თურმე ჭარემხანა ყოფილიყო, ისინი ხომალდიდამ ჩამოსხეს და მამაშენმა ჭარემხანაში მეთვალყურეთ დამაყენა. იმ ჟამად მე მამაშენს ურჩიე რომ ისინი საითმე გაისტუმრე მეთქი, თორემ ამათის გამოისობით მრავალი დაშქარი მოვა მეთქი, მეტადრე ის სისხლის მსმელი ყარამანი და სისხლის მღვრელი ხოსროვშირიც, საიდანმე გამოჩნდებიან და ამ ქვეყანასაც გაოხრებენ მეთქი, მამაშენმა არ დამიჯერა და კინაღამ მამაკვლევინა, მასუკან ერთ ღამეს ნაზირ-ვეზირნი მამაშენთან ვიყავით, რამლის ყრა მიბრძანა რამლი ვყარე და მე ჩემ რამლში ვნახე რომ უშანგის ფალევნები მოსულან და გვაზიანებენ, ესეთი ამბავი მოვახსენე: მაგრამ არც მაშინ დამიჯერა და კიდეც გამლანძღა.

ამ ლაპარაკში როვშან-ბახტს დროული ვეზირნი ახლდნენ, მიათითა იმათ, აი ამათაც მაგინეს და მითხრეს რომლის რამლში ხედავთ მაგ საქმესო რომ შენ მაგას ამბობო! მე ყველას უჩვენე მაგრამ ამათაც არ დამიჯერეს და ჩემი მოკვლა დააპირეს, ამაობაში ვნახეთ რომ კარიდამ უეცრად ხოსროვშირი, გარდანქეშანი და რამდენიმე ფალევნები შემოვიდნენ, და დაგვიჭირეს, მაშინ ვეყარია ფალევანი ჩვენში იყო, ის მაშინვე დაემორჩილა, ყველანი შეგვკრეს და იქ დაგვყარეს, მეორე მამაშენიც ხელფეხ შეკრული ერთ ორმოში ჩააგდეს და ჩვენ წაგვიყვანეს, რამდენიმე ოსტატობით და ხვეწნით გადარჩნენ სიკვდილს და მეც იმათში გადავრჩი ჩემის ტკბილის სიტყვებით. მე მამიშენის მგმობელი რათ ვიქნებოდი? მე იმისთანა კაცი არა ვარ რომ სიკვდილს მოვერიდო ჩემი პატრონისთვის, მე ერთი ერთგული მოხუცი კაცი ვარ ვისთანაც ვიქნები იმას ვემსახურები, მე ჩემ მტერზედაც ვერ გავალ საომრად რომ ჩემი ხელიდამ ვიცი არა გამოვარა. ბევრი ამისთანა სიტყვები უთხრა ბურჯ-ვეზირმა და თავის თავი ისე შეაბრალა: მაგრამ როცა ის ხუთასი მათრახი მოაგონდებოდა ტანში ჟრუანტელი დაუვლიდა ხოლმე.

ამდენი ტკბილი და აიარული სიტყვები წამოაყენა რომ როვშანბახტს თავი შეაბრალა. ხელმწიფემ მაშინვე ჯინჯილების გახსნა ბრძანა: რა ჯინჯილები ახსნეს, ბურჯ-ვეზირი მივიდა და ოთხთა ხელმწიფეს თაყვანი სცა, კალთას აკოცა და ხელმოჭდომით ტახტის წინ დადგა და კისერჩამოგდებით როვშან-ბახტს შესცქეროდა.

რა როვშან-ბახტმა ბურჯ-ვეზირი ამისთანა ქცევით ნახა, სკამი მოა-

დებინა და თავის ღირსეულ ადგს დასვა. ბურჯ-ვეზირმა რომ თავის თავი განთავისუფლებული იხილა და ისეთ პატივით მიღება, თავის გუნებაში ცისა და ქვეყნის დამბადებელს მადლობა შესწირა და სთქვა: ღმერთო შენის იმედით, ვნახო ამის საქმეს როგორ მოვახერხებო. ბურჯ-ვეზირი დაჯდა, როვშან-ბახტმა უბრძანა: ბურჯ-ვეზირო ერთ სიტყვას გკითხავ და მამა-შვილობას სწორეთ უნდა მითხრა, ბურჯ-ვეზირი მაშინვე ფეხზე წარმოს-დგა და მოახსენა: ხელმწიფევ დიდებულო, მე ახლა თქვენ ხელში გახ-ლავარ და რაც გნებავდეთ იმას აღმისრულებთ, ამ ჟამად ჩემის სიცოცხ-ლისთვის მე მზათა ვარ თქვენთვის თავი გავწირო ყოველ შემთხვევაში და იმისთანა რა უნდა მკითხო რომ შენი კეთილი არ მოვინდომო? თუ რომ მე ყველა საქმე სწორედ არ მოგახსენო, მაშინ ლუკმა-ლუკმა ამკუწე და ძაღლებს მიუყარე ჩემი ლეში.

ამისთანა ლაპარაკი და თავგანწირულება, როვშან-ბახტს ძლიერ იამა და თავის გუნებაში სთქვა: ძლივს ჩემის გუნების ვეზირი ვიშოვეო, ხა-ლათის მოღება ბრძანა: მაშინვე ერთი უცხო ხალათი მოიღეს და ბურჯ-ვეზირს წინ დაუდეს, მაშინვე ბურჯ-ვეზირი წინ წარსდგა და კალთას აკო-ცა, შემდეგ თავის ადაგს კვალად დაჯდა. როვშან-ბახტმა ბრძანა: ვეზირო გუშინდამ ჯიბილ-ჯადომ შენ რომ წამოგიყვანა და წუხელისაც ნარიმანის საძებნელად წავიდა და გოვთია დევიც თან იახლა მრავალი დევის ლაშქ-რით, რომელიც ნაღმი გაეკეთებინა ციხის ქვეშ და იქ შეასხა, უცებ ვნა-ხეთ რომ არც ჯიბილ-ჯადო გამოჩნდა და არც გოვთია დევი თავის ლაშ-ქრით, მხოლოდ ზღვასავით წყალი გამოსქდა ნაღმიდამ და მრავალი დამ-ხრჩვალი დევი გამორიყა გარეთ, შემდეგ გოვთია დევიც დამხრჩვალი და გაბერილი გამოაგდო, ეს ვისაგან არის ან ვისი საქმეა?

რა ბურჯ-ვეზირმა ესე მოისმინა, თავის გუნებაში სთქვა: მაშალა ნა-რიმან! თუ ეს საქმე შენგან მომხდარა: ცოტა დაფიქრდა და მოახსენა: დიდებულო ხელმწიფევ, აი ეგ როგორ მოხდებოდა თუ დამიჯერებ, ნაღმი ციხის მდინარესთან ახლო გაუყვანიათ, ესე იგი ხვრილი ძლიერ ახლო უო-ფილა, ისინი ჩასულან თუარა წყალს გზა გაუხეთქია შევარდნილა და დაუ-დრჩვია და იქით გაურიყია, თორემ ეგ როგორ მოხდებოდა ან სხვაფრივ როგორ შეიძლებოდა მაგისთანა საქმე, ჩემი აზრით ესე უნდა იყოს, თორემ თქვენც შეიტყობთ. როვშან-ბახტმა ბრძანა: ვეზირო, შენ შეგიძლიან რომ წახვიდე და ერთი სწორე ამბავი შეგვატყობინო? ბურჯ-ვეზირმა უთხრა: დიდებულო ხელმწიფევ, ჩემი წასვლა ადვილია მაგრამ მეშინიან, ვაი თუ ჩემი უკუდგომის ამბავი შეიტყოს და იქვე მომკლან. როვშან-ბახტმა უთხ-რა: აქედამ შენ ამბავს ვინ აცნობებდა, შენ აქედამ ისე უნდა წახვიდე რომ

ვითომ გაპარულხარ, ამ რიგათ წახვალ და ყველა ამბავს დაწვრილებით შეიტყობ, შემდეგ ერთ ღამეს გამოიპარე და მოდი.

ბურჯ-ვეზირმა თავის გუნებაში სთქვა: მეც ეგ მინდოდა რომ წავიდე და თუ ჯიბილ-ჯადო იქ დაუჭერიათ ჩემი ხუთასი მათრახის მაგიერი მიუგო, მაშინ ხელმწიფეს მოახსენა: ხელმწიფევ ჩემ წასვლას მიბრძანებ მაგრამ გული კი არ მიმწევს, ვაი თუ დამიჭირონ და აღარ გამამიშონ და იქ მომკლან, როგორც მიბრძანებთ ნება თქვენი აღსრულდეს, ესე უთხრა და წასვლა დააპირა, კვალად მოახსენა: დიდებულო ხელმწიფევ ამასაც მოგახსენებ რომ თქვენი გულისთვის ჯოჯოხეთშიაც რომ გამგზავნო თქვენ სამსახურზე, მაინც წავალ,—ამ სიტყვაზე როვშან-ბახტმა თავი ჩამოაგდო და ერთ ჟამამდე ფიქრობდა, შემდეგ თავი აიწია და ბურჯ-ვეზირს უბრძანა: ვეზირო, რა ვქნა თუ ეს საქმე არ გავიგე ჯავრი მომკლავს. ბურჯ-ვეზირმა მოახსენა: ხელმწიფევ ოღონდ თქვენ არ შეწუხდეთ და მე შენი ჭირის სანაცვლო შევიქმნებით. მაშინვე ადგა თავის მსახურს ერთი ძველძვული ტანისამოსი მოატანინა, რა დაღამდა ის ტანისამოსი ჩაიცო ერთ გლახას დაემზგავსა და ხელმწიფეს მოახსენა: თუ დღისით წავიდე ეშმაკები არიან ვაი თუ შეიტყონ ჩემი ვინაობა, რა შეღამდა ხელმწიფეს გამოესალმა და გზას გაუდგა, იარა და ციხის კარს მიადგა და კარების გაღება უბრძანა, კარის კაცებმა დაუძახეს, ვინა ხარ რომ გავაღოთო?! მაშინვე თავისი თავი აცნობა, კარის კაცებმა ბურჯ-ვეზირის ხმა რომ გაიგონეს მაშინვე სიხარულით კარები გაუღეს, რა შემოვიდა ფეხთ მოეხვივნენ და თაყვანი სცეს, მაშინვე იმათგანი ნარიმანთან გაიქცა სასახლეში შევიდა ხელმწიფეს თაყვანი სცა და მოახსენა: ხელმწიფევ მიხარებია ბურჯ-ვეზირი გიახლათო, რა ნარიმანმა ბურჯ-ვეზირის მოსვლა გაიგო ისე გაეხარდა რომ ვითომც უარამანი მოსულიყოს, მაშინვე ქარის უსწრაფესად წავიდა და მიეგება. რა ერთმანერთი იხილეს, ბურჯ-ვეზირი მივიდა თაყვანი სცა და კალთის კოცნას ლამობდა, მაგრამ ნარიმანმა არ ინება, მაშინ ერთმანერთს მამაშვილურად მიესალმნენ, რა ნარიმანმა ბურჯ-ვეზირი იმ ტანისამოსში ნახა ცნობა დაეფანტა, მაშინვე ერთი ძვირფასი ხალათით შემოსეს, სასახლეს რომ შევიდნენ ნარიმანმა ბრძანა: ამ ამბვის მომტანისთვის ერთი სოფელი მიჩუქებია, მერე უთხრა: ვეზირო ნეტა რა მოგევლინა ან სად იყავ, ან საიდამ მოხვალ? მადლობა ღმერთს რომ ცოცხალი გიხილეთ კვალად, აბა ყოველივე დაწვრილებით მიამბე. ბურჯ-ვეზირმა ერთი ამოიოხრა და ცრემლები გადმოყარა თავისი ხუთასი მათრახი წინ წამოაყენა და გულ-დამწვარმა რაც თავს გარდახდოდა, მათრახები ან ორმოში შენახვა ყველა უკლებრად მოახსენა და რისთვისაც გამოეგზავ-

ნა. რა ნარიმანმა ეს ამბავი შეიტყო, ღმერთს მადლობა შესწირა და სთქვა: ვმადლობ ჩემ ღმერთს რომ მე იმ ღამეს არ მეძინა, შემდეგ ნარამანმა ყველა უამბო როგორც ჯიბილ-ჯადო დაეჭირა და ან ის წყალი ხვრილში როგორ მიეგდო, ყოველივე ბურჯ-ვეზირს ჩაგონა: რა ბურჯ-ვეზირმა ნარიმანის, ამისთანა ოსტატობა შეიტყო, დიდი ქება შეასხა და მოახსენა: ხელმწიფევ, თქვენ ასეთი საქმე მოგიქმედებიათ რომ ეს ამბავი მეორედ მოსვლამდის იხსენება,—თქვენ მზესა ვფიცავ რომ ფილოსოფოსისთვისაც ძნელია მაგისთანა ფიქრი.

ნარიმანმა ახარა ბურჯ ვეზირს: მომილოცავს, გოვთია დევის ორმოცი ათასი დევის ლაშქრით ხვრილში ჩახჩობა და გაბერილნი გარეთ გამორიყა, როშან-ბახტი ჩვენი მტერი, ახლა ძალიან კი იქნება შეწუხებული, რა ბურჯ-ვეზირმა ესე შეიტყო, დიდათ გაიხარა და კიდევ სხვა ამბავს იკითხავდა, შემდეგ მოახსენა: ხელმწიფეო, იმათი წყეული ეშმაკი ატყუებს ყოველთვის და მის იმედით არიან, თორემ აქამდის წავიდოდნენ, ის წყეული მანათ ეშმაკი ამდენს იზავს რომ ერთმანერთს გადაჰკიდებს და თითონ შორიდამ თამაშას უყურებს, როცა იხოცებიან მათ სულს ჯოჯოხეთში ამგზავრებს, როგორც რაიაზამი, მაგის მამა მოატყუა უშანგ-ხელმწიფეს გადაჰკიდა და ბოლოს თითონ შორიდამ სეირი უყურა, ამდენი ქმნა რომ რაიაზამისა და თავის უფროსი შვილის სული ხელში ჩაიგდო და ჯოჯოხეთს გაისტუმრა, ახლა როშან-ბახტი დარჩომია ამასაც იგდებს ხელში და მაშინ მოისვენებს. ახლა ეგ სულელები იმის იმედით იბრძვიან, მაგრამ ჩვენი ცისა და ქვეყნის დამბადებლის სახელის ხსენებით იმათ არ შეუძლიანთ რომ თქვენ მოგიდგნენ, ბურჯ-ვეზირმა კვალად მოახსენა: ხელმწიფეო, თქვენთან ერთი რამე მაქვს საჩივარი, თუ ამისრულებ ხომ კარგი და თუ არ ამისრულებ ნება შენი აღსრულდეს. ნარიმანმა უთხრა ნეტა ისეთი რა ძნელი საქმეა რომ ვერ აგისრულო და შენ საჩივარს ყურადღება არ მივაქციო, მითხარ ვინ არი შენი წინაამდეგი რომ ახლავე ქვეყნიდამ ამოვხოცო! ბურჯ-ვეზირმა მოახსენა: დიდებულო ხელმწიფევ, ჯიბილ-ჯადომ თავის ლაშქარში ხუთასი მათრახის დაკვრა მასესხა, ამ პირობით რომ აქ ერთი ორად უნდა მივცე, ეს არის ჩემი უმთავრესი საჩივარი.—ნარიმანმა ამ სიტყვებზე ბევრი იცინა და ყველამ მუნ მსხდომთა მოახსენეს: ვეზირო შენ ასეთი მეპურმარილე კაცი ხარ რომ ერთი ათათაც რომ მისცე იმაზე ჰკადრია, იმას ასეთ ადაგას უსესხებია შენთვის რომ ძლიერ საჭირო ყოფილა: ბურჯ-ვეზირმა იმათ მიუგო, არა ძმაო მე უსინდისო კრა ვარ, ორი წლის სავალს ვაჭარნი მიდიან და ერთ ორად ვერ იგებენ, ის ნახევარ ადაჯზე ოთხათაც უნდა გახდეს ყაბული; ერთი იმის

ცემით კი გავძღე და, ამისთანა ოხუნჯობით სასახლიდამ გამოვიდნენ. სარაის წინ პატარა მოედანი იყო იქ მივიდნენ, ნარიმანმა ჯიბილ-ჯადოს მოყვანა ბრძანა, მაშინვე მოიყვანეს და ნარიმანის წინ დააყენეს, რა ბურჯ-ვეზირმა ჯიბილ-ჯადო დაინახა მივიდა და წინ პირის-პირ ისმიაზამი თქვა ღვთის სახელზე, შეულოცა შეჰბერა და დაუწყო ლაპარაკი, უთხრა: ჯადოვ, გუშინ წინ შენს კარავში შენ გიხაროდა ჩემზედ, მე რომ ისე უმოწყალოდ ვეგდე, ახლა მე მიხარიან შენზედ, ერთ სიტყვას გკითხავ და სწორედ მითხარ: შენ ვის ბრძანებით მოხველ ჩვენზე? ჯადომ უპასუხა როვშან-ბახტისა, კვალად ჰკითხა, იმის ბრძანებას ქვეშ ხარ თუ არა? ჯადომ უპასუხა იმისი, მაშ რაც როვშან-ბახტმა გიბრძანოს ხომ უნდა აღასრულო? ჯადომ უთხრა დიახ აღვასრულებ, ბურჯ-ვეზირმა უთხრა: მაშ იმის განაცემიც შენ უნდა მიიღო? ვიდრე ამ ლაპარაკში იყვნენ ჯადომ შეულოცა მაგრამ ჯადო ვერ მიუდგა, ბურჯ-ვეზირმაც იმის შელოცვა შეიტყო, ბურჯ-ვეზირმა მაშინვე გაატიტვლებინა და ჯადოს უთხრა: ჯადოვ ათასიც რომ შემილოცო ჩემი ღვთის სახელი ზედა მაქვს და შენი ლოცვა არ მომიდგება, მაგრამ ჩვენი პირობა ეს არის, იქ შენგან ხუთასი მათრახი მივიღე, მართალია თუ არა, აქ ერთი ოთხად უნდა მოგართო.

მაშინვე უბრძანა ჯადო ფალახში ჩაგდეთო, ოთხნი ფარეშნი აქეთ-იქით დადგნენ და მისგან გულდამწვარნი დაუწყეს ცემა, ხან ვეზირი ეუბნებოდა ჯადოვ ნახე ჩვენმა ძლიერმა ღმერთმა მე როგორ დამიხსნა და შენ ჩვენ ხელში ჩაგაგდო, ახლა იმ წყეულს თქვენს ღმერთს ეშმაკს, თუ რამე შეუძლიან დაგიხსნას; ამისთანა სიტყვების თქმით ორი ათასი მათრახი დაჰკრეს, ასე გახადეს რომ ფრჩხილები და ტყავი ლამის გახადეს, და მკვდარსავით დააგდეს, რა ცოტად გონებას მოვიდა, ვეზირმა ფალევნებს უბრძანა: ჯადოს პირის გახლეჩა და ენის ამოგლეჯა, მაშინვე ბრძანება აღასრულეს, ენა შუაზე გააჭრევინა და უთხრა: ჯადოვ ახლაც შეულოცავ საწყალ ჯარს? ნახე იმათ ცოდვა გეკითხა, თუ ეგეც არ გეყოფა, უბრძანა და ორივ თვალიც ამოათხრევინა, თვალები რომ ამოართვეს ბურჯ-ვეზირს უჩვენეს, ნახეს რომ თვალის ხაზი შვიდი ჰქონდა, მაშინვე ვეზირმა უთხრა: ჯადოვ ახლაც ამოხვალ ხვრელიდამ?—მერე ბრძანა: ეგ წყეული წაიყვანეთ და ზერზემილში ჩააგდეთ ვიდრე მაგის ამხანაგებსაც ვიხელთებთ, დღეში ერთი ჩარექი უმი ხორცი მიეცით და ერთი ლიტრა წყალი და ჰაქიმი მიუჩინა რომ არ მოკვდეს, ამისთვის რომ მაგასთან ბევრი საქმე მაქვსო, მაშინვე ბრძანება აღასრულეს, შემდეგ ნარიმანს მოახსენა: დიდებულო ხელმწიფევ, ამაღამ მე უნდა წავიდე და თუ ღმერთი შემეწევა მათი დამარცხებას ვეცადო, ამ ლაპარაკში ციხის კარიდამ ორი კაცი მოვი-

დნენ, ნარიმანს და ბურჯ-ვეზირს თაყვანი სცეს და მოახსენეს, კარზე ათი კაცი გახლავთო და ამბობენ რომ უშანგ-შაჰის კაცები ვართო და ნარიმან საამყირანის შვილთან საქმე გვაქვსო, არ ვიცით მართალს ამბობენ თუ გვატყუებენო, მაშინვე ბურჯ-ვეზირმა სთქვა ეგ ტყუილი არ იქმნებაო, წადით ახლავ კარი გაუღეთ და შემოიყვანეთ, მაშინვე კარები გაუღეს და შემოიყვანეს, კარის კაცებიდამ ორი კაცი წინ გამოუძღვნენ და ნარიმანის სასახლის წინ მოასხეს.

რა სასახლესთან მოასხეს, ცხენებიდამ ჩამოხტნენ ცხენები იქ მიაბარეს და ისე შევიდნენ, ნარიმანი რომ დაინახეს სამს ალაგს თაყვანი სცეს და მოახსენეს: ხელმწიფეო, თქვენს დიდებულებას მოხსენდეს, უშანგ-შაჰა თავის ლაშქრით სამი დღის სავალზე გიახლათ და ჩვენ თქვენ წინაშე გამოგვგზავნა და თავის მოსვლა გაცნობათ, ასი ათასის კაცით გახლავს, გარდანქეშან აიარით, ყათრანს და ხოსროვშირსაც მოელის, ახლა ჩვენ რას გვიბრძანებ, დიდი წვალებით და ქურდულად მოვახწიეთ თქვენამდის, ჩვენი ჯარი თხუთმეტ დღის სავალზე არიან დაფანტულნი, ლაშქრისთვის პურს და საზდოს აგროვებენ, იმით იმედით და შემწეობით ძლივას მოვაღწიეთ თქვენამდის.

რა ნარიმანმა უშანგის მოსვლა გაიგო დიდათ გაეხარდა, მაშინვე ბურჯ-ვეზირს უბრძანა როგორც იცი ერთი წიგნი მისწერე, მაშინვე ბურჯ-ვეზირმა საწერ-კალამი მოიღო და წიგნი დასწერა:

„მაღალო და ძლიერო შვილთა იყლიმთა მპყრობელო ხელმწიფევ! ვმადლობთ ღმერთს რომ მშვიდობით მობრძანებულხართ და ამას გევედრებით რომ ცოტად ფრთხილად იყოთ, ჩვენ უცხო მოპირდაპირე ლაშქრისაგან, ამიტომ რომ მაგათ ორი ჯადო ჰყავთ და მაგათგან ფათერაკი არა წაგეკიდოთრა, ღამით ყოველთვის სიფრთხილით იმყოფებოდეთ რომ ლაშქარს არა აფნონრა, თქვენ მობრძანების დროს ისე უნდა შემობრძანდეთ ციხეში რომ მათ ვერ შეიტყონ, ეგები ღვთისა და თქვენის წყალობით აუტეხოთ რამე ჯადოებს, შემდეგ მტრის ლაშქარს შევებმით, ჩვენი ფიქრი ჯადოები არიან“.—ესე დაწერა დაბეჭდა, კაცებს ხალათები აჩუქა და ღამით გაისტუმრა. მერე ბურჯ-ვეზირმა ნარიმანს მოახსენა: ხელმწიფეო, დროა ჩემი წასვლისა რომ ეგები იმ ჯადოებს დროიანათ აუტეხო რამე. ნარიმანმა ნება მისცა წასვლისა და უთხრა: ვეზირო წაბრძანდი და შენ იცი როგორც გაირჯები, ვეზირმა მოახსენა: ხელმწიფევ თქვენ ხაირჯამათ ბრძანდებოდეთ, თქვენთან ხომ ცხადია ჩემი ერთგულება, მე ყოველთვის მზათა ვარ ჩემი სიცოცხლე შევწირო თქვენ სახელმწიფოს, ამიტომ რომ მამითქვენის საამყირანისაგან ბევრი სიკეთე მევალება, მეორე ჩემი

ვედრება ეს არის რომ შირვან-ვეზირის წერილი არ დაკარგო და არც განაცხადო ვისმესთან რომ მათი საქმე სხვათრივ მინდა მოვიყვანო თუ ვიცოცხლე, რა ესე დაასრულა თაყვანი სცა და გამოესალმა; ნარიმანმა უთხრა წაბრძანდი ვეზირო ღვთისთვის მიმიბარებიხარ, ბურჯ-ვეზირი გამოვიდა მარტო იარა და ციხის კარს მიადგა, კარის კაცებმა რომ ბურჯ-ვეზირი დაინახეს თაყვანი სცეს და მოახსენეს: ხელმწიფის დიდო ვეზირო ამ დროს საით მიბრძანდებით? ვეზირმა უთხრა: ჩემი ერთგულნო, მე ამას გავალებთ როდესაც ჩემი ხმა გაიგონოთ მაშინვე კარი გამიღეთ და ანუ თუ კაცი ვინმე გამოვგზავნო და ჩემა სახელი გითხრას მაშინვე გაუღეთ და შემოუშვით, ესე ბრძანა და ციხის კარს გავიდა, რა ის ვეზირი როვშან-ბახტის ლაშქარში შევიდა და ყარაულთა ნახეს ვინაობა ჰკითხეს მან თავი აცნობა, უწინვე ეთქო რომ როდესაც მე მოვიდე მიცანითო, მაშინვე ვეზირი გაუშვეს გაიარა, როვშან-ბახტის კარავს მიადგა, კარის კაცებმა ვინაობა ჰკითხეს იქაც თავი აცნობა, რა ბურჯ-ვეზირის სახელი გაიგეს მაშინვე შევიდნენ და როვშან-ბახტს მოახსენეს, ბურჯ-ვეზირი გიახლათო.

რა ხელმწიფემ ბურჯ-ვეზირის მოსვლა შეიტყო, მაშინვე შემოუყვანა ბრძანა, ბურჯ-ვეზირი შევიდა ნახა რომ ყველანი იქა სხდან და მეჯლისი აქვთ, როგორც მივიდა ყველას თაყვანი სცა ყველანი ფეხზე წამოუდგნენ მიიყვანეს და ვეზირების თავზე დასვეს, სეილან და ქელან ჯადოებმა ვეზირი მოიკითხეს, იმანაც მდაბლად თავი დაუკრა და მოიკითხა, შემდეგ როვშან-ბახტმა ჰკითხა, ვეზირო იქიდამ როგორ გამოხველ? ამაზე ყოველნი დიდნი და პატარანი ბურჯ-ვეზირის პირს უყურებდნენ და ამბობდნენ ვნახოთ რა ამბავს იტყვისო, ბურჯ-ვეზირმა თავის მოლექნური ენა დასძრა და მოახსენა: ხელმწიფევ, ეგ საქმე ჯიბილ-ჯადოს ბრალი ყოფილა, ამისთვის რომ იმ ღამეს მე რომ წამომიყვანა რატომ მაშინ არ ნახა რომ ნაღმი წყალთან ახლო გაუყვანიათ და წყალი ცოტ-ცოტას დაქცევდა, იმ ღამეს სრულიად დაუქცევია და გაუხეთქია როცა გოვთია დევი თავის ლაშქრით შიგა ყოფილა, ციხელებმა ამაზე არაფერი არ იციან და იმათაც უკვირთ, თუ ის წყალი საიდამ გამოჩნდა, ჩემ დაკარგვაზედაც დაღონებულან ძლიერ, მე რომ მნახეს ძალიან გაიხარეს და მკითხეს; სად იყავი? ან ვინ წაგიყვანაო? მე უთხარ ერთ ღამეს ჯიბილ-ჯადო ბურჯიდამ მოსულიყო, მე დამიჭირა, ჩემი კარის ამალა და ჩემი ხაზინა სულ ყოველივე წაიღო, ეს ხუთი დღეა მეთქი რაც იქ ვიმყოფები და ძლივ დრო დავიცე და გამოვიპარე მეთქი, ესე რომ შეიტყეს ჩემგან, ძლიერ გაიხარეს და ჯიბილ-ჯადოს ამბავი მკითხეს, მე უთხარ: ჩემი ყარაული და შემნახავი

ის იყო, დრო დავიცე ის მოვკალ და ისე გამოვიპარე, მაშინვე ტანისამოსი გამომიცვალეს და დიდი პატივი მცეს, იმათ ისე შევასმინე ვითომ მე იმათ ჯაშუშათ მივსულვარ; ბევრი იმათ სასარგებლო რამეები ვილაპარაკე და თავი მოუქონე, შემდეგ წამოვედი აქეთ, იმათაც სიხარულით გამამისტუმრეს, ჩემი საწადელი ეს არის რომ ეგება ერთ ღამეს ჯადოები წავიყვანოთ და როგორმე ციხე ავიღოთ. რა როვშან-ბახტმა მისგან ესეთი სიტყვები გაიგო ასე ეგონა რომ ეს კაცი ზეციდამ ჩამოსულაო—და სთქვა თავის გუნებაში ახლა კი მალე ავიღებ ციხესაო, ამ ლაპარაკში ორი კაცი შემოვიდა, როვშან-ბახტსა და ხელმწიფეთა თაყვანი სცეს და მოახსენეს: ხელმწიფეო, სამი დღის სავალს ყარაულად დავიდოდით, ერთიც ვნახეთ დასავლეთის მხრიდამ ერთი დიდი ლაშქარი წამოვიდა და ჩამოხტა, არ ვიცით ვისი ლაშქარია, ან ვისზე გაულაშქრიათ. ბურჯ-ვეზირმა მაშინვე თავის გუნებაში სთქვა: თუ ახლავ არ უშველე უშანგის საქმე საჭირო გახდებაო და როვშან-ბახტს მოახსენა: ხელმწიფეო, იქნება ის ლაშქარი ჯიბილ-ჯადოს მოეყვანოსო! უნდოდა აზრები დაეფანტა, მაგრამ როვშან-ბახტმა უთხრა: ვეზირო რას ამბობ, როგორ შეიძლება რომ ის იყოს, სამი დღეა რაც ის უჩინოდ შექმნილა და ასე მალე ლაშქარს როგორ მოიყვანდა! ვეზირმა მოახსენა: ის ისეთი ჯადოა რომ ერთ დღესაც რომ მოიყვანოს იმისაგან გასაკვირველი არ არის, ამისთვის რომ თუ მოინდომოს ცაში ვარსკვლავს მოსწყვეტავს. როვშან-ბახტმა უთხრა: ვეზირო რა ძალიან შეშინებულხარ იმისაგან? თუ ის ლაშქრისათვის წავიდა ჩვენ რატომ არ შეგვატყობინა? ის არ იქნება, თუ იქნება მაგათი მხრის ლაშქარი უნდა იყოს, მეორე ხელმწიფეებმაც სთქვეს, როგორც მაგ ლაშქარს ეტყობა, უშანგ-შაჰისა უნდა იყოსო.

რა ბურჯ ვეზირმა ესე გაიგო, თავის გუნებაში ძალიან შესწუხდა, მაგრამ არა გაეწყობოდარა, შემდეგ ხელმწიფეს მოახსენა: ხელმწიფევ, თუ მართლა ის არის, ამაღამვე უნდა ვეცადოთ რომ ზიანი რამ დავმართოთ, თორემ ისინიც ციხეში შევლენ და იქ შეიტყობენ რომ ჩვენ ჯადოები გვყვანან და ისინიც აღარ გამოვლენ. მასგან რომ ესე გაიგონეს უთხრეს: ბურჯ-ვეზირო ახლა შენ იცი როგორც გაირჯები, ბურჯ-ვეზირმა მოახსენა: ხელმწიფენო, ეს კარგათ იცოდეთ რომ რაც ხელიდამ რამ გამომივა ყველა მხრით ვეცდები. თავის გუნებაში ამბობდა თუ ამათ ერთი პირფერული სამსახური არ უჩვენე, ესენი კვლავ არფერს მენდობიან.

ხელმწიფეო! მე ერთი ხელი აიარული ტანისამოსი მომიტანეთ; მაშინვე მოუტანეს, ჩაიცვა და ის ორი ჯადოც აიარულად შემოსა, ათს ფალავანსაც ერანული ტანისამოსი ჩააცვა და როვშან-ბახტს მოახსენა: ამ ექვს

დღეს ჩვენ ნუ გველით და ყველას გამოესალმნენ, ორს ჯადოს და ათი ფალევანს წინ გაუძღვა, სამი დღე იარეს და უშანგის ლაშქარში მივიდნენ და ხალხში გაერივნენ, ისე რომ ვერავინ იცნეს, ერთმანერთის ენაც არ იცოდნენ, არამც თუ იცნობდნენ. რა შეღამდა უშანგ-შაჰამ მეჯლისი გამართა, დიდებულნი სრულიად იქ შეიკრიბნენ, ესენიც მივიდნენ და ჯარის კაცებში გაერივნენ და სადაც უნდოდათ იქით დადიოდნენ, ბურჯ-ვეზირმა მათ უთხრა: აქედამ ჯერ გავიდეთ და სხვა რამ ვინადიროთ, როცა ამათ ღვინო თავში ეწვევათ მაშინ მოვიდეთ და რაც გვინდა ისე ავასრულოთ. ბურჯ-ვეზირმა პირველად იფიქრა, მოდი ამათ აქვე დავაჭერინებო, მერე იფიქრა ვაი თუ საქმე სხვაფრივ წავიდეს და საჭირო გამიხდესო, ჯადოს მღვიძარე დროს დაჭერა ძნელია, ამ ფიქრებით ერთ კარავთან მივიდნენ და ნახეს რომ დაღალულობისაგან ყველასა სძინავთ, იმ კარავში შევიდნენ, ნახეს რომ გარდანქეშანს ასიმს და მათთა შეგირდებს ყველას ეძინათ, ბურჯ-ვეზირმა სთქვა: ჰაი თუ კარგ სანადიროს შევეყარენით, ეს იყო ჩვენი უმთავრესი საჭიროება. მაშინვე ბეუშტარი ასუნებინეს, გარდანქეშანს, ასიმს და მისთა შეგირდთა, მაშინვე ყველანი შეჰკრეს და თითო-თითოდ წამოიკიდეს და წამოიყვანეს. რა ცოტა წაიარეს ბურჯ-ვეზირს უნდოდა პირდაპირ წასულიყვნენ როვშან-ბახტთან, მაგრამ ჯადოებმა არ გაუშვეს და უთხრეს: ჩვენი წასვლა ახლა უპრალოა, გავბრუნდეთ ეგები უშანგს დავმართოთ რამეო, ბურჯ-ვეზირმა სთქვა: მაშ ამით ხომ ვერ წავალთ ცოტად გავშორდეთ, ესენი გავისტუმროთ და ჩვენ უკან დავბრუნდეთ. ესეთი რჩევა ჯადოებსაც მოეწონათ, ცოტად ლაშქარს გაშორდნენ ათ ფალანგს, და უთხრეს: თქვენ ნელ-ნელა იარეთ და ჩვენც მალე მოგეწევითო, რა ისინი გაისტუმრეს, თვითონ უკან გამობრუნდნენ და უშანგის კარავს შევიდნენ და მსახურებში გაერივნენ, ნახეს რომ დიდი მეჯლისია გამართული, რვა სვეტიანი კარავი იდგა, შიგნიდამ სრულიად ზარ-დიბა ეკრა და ზემოთ თავში ერთი თორმეტ სვეტიანი და ალმასით მოჭედილი ტახტი იდგა, ზედ უშანგ-შაჰა ბრძანდებოდა ოცდა ცამეტის მწყრთის სიმაღლის მქონებელი, მაგრამ წვერი თეთრი და სიბერის ნიშანი ეტყობოდა, შვიდ კუთხიანა სახელმწიფო თაჯი თავს ეხურა და ვაჟკაცური სახე ეტყობოდა. ტახტის უკან თორმეტი ათასი სტავრიანი ყმანი იდგნენ, ერთს მხარეს რვაასა მარზანი იდგნენ, აქეთ-იქით ორასი ვერცხლის სკამები იყო გამწკრივებული და ზედ ფალევნები და დიდებულნი ისხდნენ, მეორე მხარეს ექვსასი სკამი იდგა ზედ აიარნი ისხდნენ, ზოგნიც იდგნენ და ზოგი სკამები ცარიელი იყო. ბურჯ-ვეზირმა ჯადოებს აცნობა რომ ის ცარიელი სკამები გარდანქეშანისა, ასიმისა და თავიანთ შაგირდებისა.

რა ესე დაათვალიერეს, სეილან ჯადომ ქეილან ჯადოს უთხრა: ქვეყანაზე თუ ხელმწიფე იყოს ამისთანა, ამიტომ დაუპყრია ქვეყანა და შვიდი იყლიმი, როგორც ვხედავ ჩვენ ამაღამ ლაშქარს ვერას დავაკლებთ, მოდი პირველად უშანგს შეულოცოთ და ირმათ გადავაქციოთ—და ჩვენ დროიანათ გავბრუნდეთ, თორემ თუ შეგვიტყეს აქედამ ცოცხალნი ვეღარ გავალთ, მაშინვე მოჰყვნენ ჯადოების ლოცვას, როდესაც გაათავეს გამოვიდნენ, სეილან ჯადომ ერთი ქვევრი შექმნა, ბურჯ-ვეზირი შიგ ჩასო ის ორნი ზედ შესხდნენ ის ქვევრი აგორდა და იმათ ათ ფალევნებს მოეწივნენ და ჩამოხტნენ.

ბურჯ ვეზირი ქვევრიდამ გამოიყვანეს, ბურჯ-ვეზირმა ჯადოებს ჰკითხა: რა ჰქმენით, რა გაარიგეთ? ჯადოებმა მოახსენეს: ორ ჟამს უკან უშანგი ირმათ გადაიქცევა და ისევ თავისი ლაშქარი მოჰკლავს. ბურჯ-ვეზირმა რომ ესე შეიტყო, ცნობა დაეფანტა და არ იცოდა რა ექმნა, სთქვა: ჰეი თუ კარგა მოგიქმედებიათ, ამ ლაპარაკზე ნახეს იმ ლაშქრის მხრიდამ ერთი ხარი ირემი მორბის შვიდკეცი რქა აბია, რა ესე ნახეს ჯადოებმა სთქვეს უცილოდ უშანგ-შაჰა—და თუ ამას არ დავიჭერთ არ იქნება, მაშინვე ჯადოებმა და ფალევნებმა ქამანდები აიღეს და ამ ირემს გამოუდგნენ და ძლივს დაიჭირეს, მაგრად ქამანდით დააბეს, ისევ გარდანქეშანი თავისი შეგირდებით იტვირთეს, ის ირემიც თავიდამ გამობმული წინ წაიგდეს და გამოემართნენ.

## აქ ესენი ამ მიმავლობაში დაუტეოთ და უშანგის ამბავი მოიხსენიეთ.

რა ჯადოებმა უშანგ-შაჰას შეულოცეს და წამოვიდნენ, ცოტა ხანმა რომ განვლო, სარდლებმა ნახეს რომ უშანგ-შაჰა ცნობა დაფანტული ტახტზე ზის, ყველამ ერთმანერთს თვალით ანიშნეს რომ შეეხედნათ უშანგ-შაჰისთვის როგორ გამტერებულიყო, ამ განზრახვაში რომ იყვნენ ნახეს რომ უშანგი ერთ საკვირველ ირმად გადიქცა და თავის შვიდკუთხიანი თაჯი შვიდკეც რქათ გადაექცა, მაშინვე ტახტიდამ ძირს გადმოვარდა და უნდოდა კარზე გამოვარდნილიყო. ფალევნებმა და სარდლებმა არ გაუშვეს და დაიჭირეს. არამც ლაშქარმა აგნოს რამე, ამაზედ დაიყვირეს არიქა უთუოდ ჯადო შემოგვპარვია, მაშინვე გამოვიდნენ ხან აქეთ ეცნენ ხან იქით, აბა რას იპოვიდნენ, შევიდნენ და უშანგ-შაჰა ირმად გადაქცეული ტახტთან დააბეს და სთქვეს წადით გარდანქეშანს და ასიმს შეატყობინეთ,

წავიდნენ ნახეს რომ მათი კარავი ცარიელია, მაშინვე სთქვეს, აქ უცილოდ ჯალდო ყოფილა. ლაშქარი ძლიერ შეწუხდნენ და ერთმანერთ ეცნენ.

## ესენი ამ მწუხარებაში დაუტეოთ და ისევ ბურჯ-ვეზირისა და ჯალდოების ამბავი მოიხსენიეთ.

მომავლობაში ბურჯ-ვეზირმა ჯალდოებს უთხრა: ჯალდონო მოდით უშანგი ისევ თავის სახედ აქციეთ და ისე წავიყვანოთ ჩვენი ხელიდამ სადღა წავა!? ჯალდოებმა უპასუხეს: ვეზირო დიად კარგს ბრძანებთ მაგრამ მაგის აღსრულება ძლიერ ძნელია, ამისთვის რომ სწორეთ მოგახსენოთ, რომელიც ჩვენი პირიდამ გამოსულის სიტყვებით იგი რომ მაგ ყოფაში ჩავარდა, მაგის მორჩენა აღარ შეიძლება, ამისთვის რომ იმას ვიდრე ჩვენი საკუთარი სისხლი არ მოხვდეს სხვა არაფერი არ მოარჩენს და ჩვენ მაგის გულისთვის ჩვენ ყელებს ვერ დავიჭრით, ვიდრე ჩვენი სისხლით ეგ არ გაებანება ადამიანად არ გადიქცევა, ამისთვის ეგ სიკვდილამდე ეგრე დარჩება. ბურჯ-ვეზირმა თქვა თავის გულში, რადგან ეგრე ყოფილა საქმე, მე თუ თქვენ ორივეს ყელები არ დაგჭრათ ამის წინ, მე ბურჯ-ვეზირი არ ვიქნები, ჯალდოებს დიდი ქება შეასხა და ლაპარაკით სამი დღე იარეს და თავიანთ ლაშქარში მოვიდნენ. რა ქეშიკთა დაინახეს, ხმა მისცეს ვინა ხართო! მათ თავი აცნობეს და მაშინვე ლაშქარში შემოიყვანეს, იარეს და როვშან-ბახტის კარავს მიადგნენ, ნახეს რომ დიდი მეჯლიში ჰქონდათ გამართული, ყველა ხელმწიფენი, დიდებულნი და ფალავანნი იქ შეყრილიყვნენ, ესენი იმ კრებაში პირდაპირ შევიდნენ და ისინი ყველანი შეიყვანეს, ირემი, გარდანქეშანი, ასიმი თავის შეგირდებით, და შუა ადგილას დაყარეს და დაიძახეს, ხელმწიფენო და დიდებულნო! ყოველ ჟამს ამისთანა საშოვარი ნუ მოგაკლოთ ჩვენმა მანათ კერპ ღმერთმა, ეს არის ქვეყნის ამაოხრებელი და ყველას შემაძრწუნებელი გარდანქეშან აიარი, ესეც მისი ამხანაგი ასიმ აიარი და ესენიც ამათ შეგირდნი. როვშან-ბახტმა ჰკითხა: ეს ირემი ვიღა არისო? მაშინ ბურჯ-ვეზირმა მოახსენა: ესეც არის შვიდთა იულიმთა მპყრობელი უშანგ-შაჰი. რა სამთა ხელმწიფეთა ესე შეიტყეს, მეტი სიხარულით უცნობო შეიქმნენ, როვშან-ბახტმა ჰკითხა: ეს როგორ დაიჭირეთო?—ჯალდოებმა მოახსენეს: ამის დაჭერა სხვაფრივ გვინდოდა მაგრამ არა გაეწყობოდარა, იმ რიგათ შეუღლოცეთ რომ ირმად გადავაქციეთ და ჩვენ უკან წამოგვყვა, რა ცოტა გამოვიარეთ ვნახეთ რომ ეს ირემიც მოგვდევს, დავიჭირეთ და წამოვიყვანეთ, აგრეთვე როგორც

გარდანქეშანი, ასიმი და მათნი შეგირდნი გამოეყვანათ, ყოველი უამბეს.

მაშინ სამთა ხელმწიფეთა, როშან-ბახტს მოახსენეს: ხელმწიფევ მართალია ხელმწიფეთ უშანგია მაგრამ გარდანქეშანიც დიდ შემწეობას აძლევს თურმე თავის მახვილ მოქმედებით და უშანგის ამალების საბაბიც ეს არის, თუ ეს კაცს ემსახურება საკვირველ ერთგულად, თუ კი ჭადაკიდა ვისმეს ვაი იმის ბრალი რა დღესაც დააყენებს, თუ რომ ეს აიარი ჩვენი შეიქმნებოდეს, ასე იცოდე რომ ქვეყანა ჩვენი იქნება, ქვეყანაზე ხომ ყარამანის სახელია გავარდნილი, ამას უფრო მრავალი სახელოვანი საქმეები ჩაუდენია, იმოდენა სახელოვანი ჯადოები და დევები დაუხოცა რომ რიცხვი არ შეიგდება, ეს შევინახოთ ეგები ჩვენი მონა შეიქმნას, ესეთი რჩევა როშან-ბახტსაც მოეწონა და ბურჯ-ვეზირს ჩააბარეს, მერე როშან-ბახტმა ჯადოებს უბრძანა: მოდით უშანგ-შაჰა თავის სახედ შესცვალეთ ვნახოთ ერთი როგორი კაცია. ჯადოებმა მოახსენეს: ჩვენ ეგ ვეღარ შეგვიძლიან, ორიოდ დღე მოვიცადოთ, ჯიბილ-ჯადო გამოჩნდება ეგები იმან იცოდეს ამისი წამალიო, ის ირემიც ბურჯ-ვეზირს მიაბარეს.

როდესაც ეს ირემიც იმას მიაბარეს, ვეზირს ასე ეგონა ქვეყანა მას აჩუქესო, იმასაც ის უნდოდა. თუმცა ისე არ ექმნათ და ირემი მოსაკლავად გამოემეტათ, ბურჯ-ვეზირი იმას ფიქრობდა რომ ამ ირემს და სხვათა როგორც იყოს სიკვდილიდამ მოვარჩენო. ბურჯ-ვეზირს უბრძანეს ვეზირო ესენი შენ გებარებოდეს წაიყვანე და ერთი ორი დღე შეინახე ვიდრე ამათ საქმეს გადავწყვეტდეთ. მაშინვე წაიყვანა, ირემი ერთ კარგ ალაგს დაბა, გარდანქეშანი, ასიმი და მათნი შეგირდნი ერთს მარტო კარავში შეიყვანა და თავისნი მსახურნი ქეშიკებად დაუყენა და უბრძანა, არა კაცი არ შემოუშოთო და თვითონ ხელმსიფესთან სამსახურში წავიდა, თავის გუნებაში ამბობდა, ასეთი სამსახური უნდა უჩვენო რომ ამათ ყველაფერი მამანდონ და თუ დროიანათ ჩემ ხელმწიფისთვის არ გეცდები და დროიანად არ გავანთავისუფლებ, ჩემი თავი რაღათ მინდა ცოცხალი? მოვიდა როშან-ბახტს თაყვანი სცა და მოახსენა: დიდებულო ხელმწიფევ რას მიბრძანებ? ახლა სხვა ფიქრი აღარა მაქვს მხოლოდ უშანგისა მეშინოდა ეს ასეთი წვალებით უნდა შევინახოთ რომ თავისი ხელმწიფობა დაავიწყდეს და თვითონვე სთქვას ჩემზე ძლიერი და ჭკვიანი ხელმწიფეც სხვა ყოფილაო. ამ გარდანქეშანზედ უნდა ვეცადოთ რომ დღე და ღამ ჩვენი კერძო შეიქმნას, პირველადვე უნდა მომეხსენებინა მაგრამ სიტყვა მომასწრეს, მართლა თუ ეს ჩვენი კერძო შეიქმნა, აქ ამაზე უკეთესს საშოვარს ვერ ვიშოვით, იქნება ათასი ნარიმანისთანა ხელმწიფეც დავიმორჩილოთ, მხოლოდ ესენიც მე მომაბარეთ და ნახავთ როგორის აიარობით დავიჭერ ამას,

აიარობის გარდა საკვირველი ფალევანიც არის. როშან-ბახტმა რომ ამისთანა სიტყვები მოისმინა, უბრძანა: ვეზირო ახლა თქვენ იცით და რასაც სიკეთეს მოიქმედ ის თქვენი პატივი იქნება და იმდენ მეტს წყალობას მიიღებთ. ვეზირმა მოახსენა: ხელმწიფევ, მე მინდა ამაღამ ცოტად უშანგთან შევექცე გაცხელებული შამფურებით, თქვენ ამაზე რას მიბრძანებთ? ხელმწიფემ უთხრა: ვეზირო ყველა უფლება შენთვის მამიცია მაგათზე, რაც გინდა ის უყავ, მხოლოდ ისე კი არა ჰქმნა რომ მოკვდეს.

რა ესე მოიუბნეს კიდეც დაღამდა, მაშინვე მეჯლისი გამართეს მაგრამ ბურჯ-ვეზირს გულისყური თავის ბინაზე ჰქონდა, ადგა და ხელმწიფეს მოახსენა: შარიელო! მე დასტური მიბოძე მოხუცებული კაცი გახლავარ, გზამ ძლიერ შემაწუხა და მეჯლისში ჯდომის თავი არა მაქვს, მინდა წავიდე ცოტა მოვისვენო, ხელმწიფემ ნება მისცა, მაშინვე თაყვანი სცა და გამოვიდა და თავის კარავში მივიდა, ცოტად მოისვენა, რა ყველანი მოსვენებას მიეცნენ და ფეხიც მიწყნარდა მაშინვე მივიდა ის ირემი მიიყვანა თავის კარავში და ფეხთ მოეხვია და კოცნა დაუწყო, მაგრამ ირემი ძლიერ ფრთხებოდა და გვერდით არ იკარებდა, მერე ნუში და ქიშმიში მოუტანა და წინ დაუდო, ირემმა პირი არ მიაკარა, რა ბურჯ-ვეზირმა იმისაგან ესე იხილა სთქვა: რავქმნა ამისთანა სახის შეცვლილი ასი ათასი მინახავს მაგრამ ყველანი თავიანთ გონებაზე ყოფილან, ეს უთუოდ სხვა ირემი შემოგვხვდა, მაშინვე ბალახი მოაწღებინა და წინ დაუყარა, ირემმა ჭამა დაუწყო. ვეზირმა მაშინვე შეატყო რომ ეს ის ირემი არ არის ეს სხვა ნამდვილი ირემია, მაშინ ღმერთს მადლობა შესწირა მაგრამ ძლიერ შესწუხდა და ამას ფიქრობდა, უშანგი ირმათ არის გადაქცეული გარდანქეშანიც იქ არ არის და ვაი თუ ლაშქარმა ავნოს რამეო. მაშინვე გარდანქეშანთან და ასიმთან მივიდა, ძმარი მოიღო ცხვირზე მოუსო და ორნივ გონებას მოაგო, რა თვალები აახილეს ნახეს რომ ბურჯ-ვეზირი თავს ადგას, სიზმარი ეგონათ და ისევ თვალები დახუჭეს, რა გონებას მოვიდნენ და თავიანთ თავი შეკრულობაში იხილეს და ბურჯ-ვეზირი შეკრულობიდამ სხნიდა, გარდანქეშანმა დაუძახა: ბურჯ-ვეზირო შენა ხარ თუ სიზმარში ვარ? ბურჯ-ვეზირმა მიუგო: ჰეი გარდანქეშანო და ასიმ მე ვარ ბურჯ-ვეზირი ნუ გეშინიანთ აქ ყოფნისთვის.

რა გარდანქეშანმა მართლა დაიდასტურა რომ ბურჯ-ვეზირი იყო, მოახსენა, ვეზირო ან შენ აქ რას აკეთებ ან ჩვენ აქ ვინ მოგვიყვანა? ბურჯ-ვეზირმა ყოველი ამბავი წვრილად უამბო და უთხრა: თუმცა ახლა თქვენ მაგ ყოფაში ხართ ჩავარდნილი, ნურაფრისთვის ნუ ინაღვლებთ, მათაც მოახსენეს, ვეზირო რადგან ჩვენ ცოცხალნი დავრჩომილვართ ამას იქით

ღმერთი მოწყალეა. მერე ბურჯ-ვეზირმა უთხრა ლაპარაკის დრო არ არის. მაშინვე საწერ კალამი მოიღო, ერთი წიგნი დასწერა ასიმს მისცა და უბრძანა: აიარო შენ იცი რაღა გითხრა, როგორც დროიანათ წაიღებ ვიდრე არ გათენებულა ის ლაშქარი მალე ციხეში შეასხან, ის ირმად გადაქცეული ჩვენი ხელმწიფეა, ფრთხილად შეინახეთ ვიდრე ამათ საქმეს მოუხერხებ, მე ვიცი გათენდება თუ არა ამათ ლაშქარი ჩვენს ლაშქარზე საომრად წავა და ამათ ჯადონი მრავალ ზიანს დამართავენ, უხელმწიფონი არიან და მალე წახდებიან. ასიმი მაშინვე ისე წავიდა რომ იმის შუქიც ვერა ნახა ლაშქარმა, მივიდა და ციხის კარს მიადგა, კარის კაცებს დაუძახა, კარები გააღეთო, მათ ვინაობა ჰკითხეს, ასიმმა უთხრა მე ვარ ასიმი უშანგის აიარი, ბურჯ-ვეზირის წერილი მაქვსო, მაშინვე კარი გაუღეს, ასიმი შევიდა და კარის კაცებს მიესალმა, მათგანი ერთი გაუძღვა და ნარიმანთან მიიყვანა, ასიმი სასახლეს შევიდა, მივიდა ნარიმანს თაყვანი სცა და კალთას აკოცა, ნარიმანმაც მოიკითხა, მაშინ ასიმმა ბურჯ-ვეზირის წიგნი მიართო, რა გახსნა და წაიკითხა მაშინვე ცრემლები გადმოუყარა, მაშინვე დაუყოვნებლივ ათი კარგი ფალავნები გაატანა და უბრძანა ხვალიდამ უნდა იქ მიხვიდეთ, რასაც წამს მიხვალთ მაშინვე აჰყარეთ ლაშქარი და ამ ციხეში შემოიყვანეთ, მაშინვე მისი ბრძანების მორჩილნი ასიმა და ათნი ფალავანნი, უცხო ცხენებზე შესხდნენ ციხის კარებიდამ გამოვიდნენ და ჩქარის სიარულით უშანგის ლაშქრისაკენ გაემართნენ.

## ესენი ამ მიმავლობაში დაუტეოთ და უშანგის ამბავი მოიხსენიეთ.

რა წყეულმა ჯადოებმა უშანგს შეულოცეს და ირმათ გარდააქციეს უშანგი ტახტიდამ ჩამოვარდა, კარზე გასვლას აპირებდა, მაგრამ ფალავნებმა არ გაუშვეს, დაიჭირეს და სთქვეს, მოდით გარდანქეშანს და ასიმს ვაცოდინოთო, როგორც ზემოთა ვთქვით, მაშინვე წავიდნენ გარდანქეშანთან ისინიც თავიანთ კარავში ვერა ნახეს, დაღონდნენ და არ იცოდნენ რა ექნათ ამასობაში სამ დღემ განვლო, მეოთხე დღეს ასიმ აიარი ათის კაცით მოვიდა, ყველას ასე ეგონათ ციდამ ჩამოვარდაო, ყველანი ამასთან მოგროვდნენ და ჰკითხავდნენ: აიარო ერთი გვიამბე სად იყავ, ან საიდამ მოხვალო? ან რა ამბავი იციო? ოცდა თხუთმეტი ათასი ფალავანნი რომელნიც რკინას კევივით დაღეჭდნენ, ვეშაპებივით ბრღვინავდნენ და ასიმს პირს შესცქეროდნენ და ამბობდნენ ნეტაი ასიმი რას გვეტყვისო რომ ქვეყანა გა-

ვაოხროთო, ასიმმა მაშინვე ყოველი ყოფილი მოახსენა და ახლა ლაპარაკის ჟამი არ არისო, სარდლებს შეატყობინეთ რომ ლაშქარი აიყარნენ და ქაბულის ციხეში შევიდნენ. მაშინვე სარდლებმა მისი ბრძანება აღასრულეს აიყარნენ და ერემიც დიდის პატივით წაიყვანეს და ციხისაკენ გაემართნენ.

## ესენი ამ მიმავლობაში დაუტეოთ და ბურჯ-ვეზირის ამბავი მოიხსენიეთ.

რა ბურჯ-ვეზირმა ასიმ აიარი იქით გაისტუმრა, ასიმის ალაგს ერთი თავის მსახური ბორკილში ჩააგდო. რა დილა გათენდა ოთხთა ხელმწიფეთა ბურჯ-ვეზირი მიიხმეს, ვეზირმა გარდანქეშანი და სხვანი ისევ ისე შეჰკრა და დაამწყვდია, თითონ როვშან-ბახტთან მივიდა და თაყვანი სცა, რა ხოსროვ-ჯინდი, ჯადონი და ყოველნი ფალავანნი სრულიად იქ შეიკრიბნენ, როვშან-ბახტმა ბრძანა: მე მნებავს უშანგის ლაშქარს ლაშქარი გაუგზავნო და ჯადოებიც თან გავაყოლო, ახლა ისინი უთავონი არიან და სრულიად გასწყვეტენო, ყველამ მოახსენა კარგი იქნებაო, ამ დროს ბურჯ-ვეზირს ენა დაუბრკოლდა და ხმა ვეღარ ამოიღო, მერე როვშან-ბახტმა უბრძანა: ვეზირო შენ ამ რჩევაზე რას იტყვიო? ვეზირმა მოახსენა: ხელმწიფეო, თქვენ ძლიერ ჭკვიანათ სჯით საქმეს მაგრამ უბრალოთ მოკლე გზას გავაგრძელებთ, ვიდრე იქ ჩვენი ლაშქარი მივა ციხიდამაც იმათ ლაშქარი გამოვა და უშანგის ლაშქარს მიეშველება, აი თუ მერწმუნებით ასე სჯობია, ერთი მცირე ლაშქარი ქაბულის ციხისაკენ გავისტუმროთ, ამისთვის რომ თუ ციხიდამ ლაშქარმა გამოსვლა მოინდომა არ გამოუშვან, და ათიათასი ლაშქრით ხოსროვ-ჯინდი და ჯადონი მაშინვე წინ აღუდგნენ, ისინი მე ვიცი ციხეში შევლენ და მათ საქმეს ადვილად მოუხერხებენ, ამდონი რჩევით ცოტა დროც გაატარა, ესეთი რჩევა როვშან-ბახტს მოეწონა და მაშინვე ათი ათასი ლაშქარი ციხისაკენ გაისტუმრა და დიდი ლაშქარიც მზადებაში იყო რომ მალე წასულიყვნენ, მაშინ ერთი საკვირველი კიჟინის ხმა მოესმათ, თურმე რა უშანგის ლაშქარმა ჩქარის სიარულით ციხის კარს მიაღწიეს, ნახეს რომ კარის მხარეს მრავალი ლაშქარი სდგას სულ კალთა აწეულნი, ამაზე ძლიერ გაჰკვირდნენ და სთქვეს თუ ეს ჩვენი მხრისანი არიან, ციხიდამ შორს რათა სდგანანო, რა ესენი ამ გაკვირვებაში იყვნენ: ნარიმანს თურმე ადრევე ციხეზე ყარაულები დაეყენებინა და ეთქვა: როდესაც ნახოთო რომ უშანგის ლაშქარი მოდიოდეს შემატყობინეთო და აგრეთვე თუ როვშან-ბახტის ლაშქარი მო-

დიოდეს კვალად შემატყობინეთო. რა ქეშიკთა ნახეს ციხიდამ რომ ერთი მცირე ლაშქარი აღმოსავლეთისაკენ გამოჩნდა და ციხისაკენ მოისწრაფებდა, მაშინვე ნარიმანს შეატყობინეს, ნარიმანმა რომ ესე შეიტყო, მაშინვე სამოცდა სამის იარაღით შეიჭურვა, ორმოცი ათასი დარჩეული ფალავნები შეიყარა და კარისაკენ გასწია, რა კარები გააღეს და გავიდნენ ნახეს რომ დასავლეთის მხრიდამ ერთი დიდი ლაშქარი გამოჩნდა, ყველას კალთა აწეულები ჰქონდათ, (იმათ წესი ესე იყო რომ თუ სამტროთ არ იყვნენ მისულნი და ანუ მტერნი არ იყვნენ, ჩოხის კალთას სარტყელში გაიმაგრებდნენ და მოპირდაპირე მაშინვე მიხვდებოდა რომ მტერნი არ არიან და მოყვარენი არიან), ნარიმანმა სთქვა სწორედ ის ლაშქარი უშანგისა უნდა იყოსო.—აღმოსავლეთის მხარესაც შეხედა ნახა რომ ერთი მცირე ლაშქარიც მოისწრაფის ციხისაკენ, მაშინვე იგინიც იცნო რომ როვშან-ბახტის ლაშქარია, მაშინვე ერთი ნარა გასწია და ათი ათას როვშან-ბახტის ლაშქარს შეუტია, რა უშანგის ლაშქარმა ნახა რომ ციხიდამ ლაშქარი გამოვიდა და იმ მცირე ლაშქარს შეუტია, მაშინვე უშანგელებმა შეატყეს რომ ის მიმავალი ლაშქარი ციხეზე როვშან-ბახტისანი ყოფილან, მაშინვე გულდამწვრებმა ხლმებს ხელი გაიკრეს და მეორე მხრიდამაც უშანგის ლაშქარმა შემოუტია და ეს ათი ათასი კაცი ისე გაწყვიტეს რომ ნიშნათაც აღარავინ დასტოვეს. რა კივილის ხმა შეესმა როვშან-ბახტს ნახეს რომ უშანგის ლაშქარი ციხის კართან ებრძვიან თავიანთ ლაშქარს და ციხიდამაც ნარიმანი გამოსულა თავის ლაშქრით, შუაში მოუმწყვდევიათ და დიდი ომი აქვთ. მაშინვე ხოსროვ-ჯინდი ასი ათასის ლაშქრით მიეშველა, აგრეთვე რაც იქ დევები იყვნენ მისაშველებლად განემართნენ, სვილან და ქეილან ჯადონი თითო ვეშაპზე შესხდნენ და უშანგისა და ნარიმანის ლაშქარს შემოუტიეს, უშანგისა და ნარიმანის ლაშქარმა რა ის ათი ათასი ლაშქარი გაწყვიტეს, მაშინვე ციხეში შევიდნენ და იმათ გადაქცეული უშანგიც თან შეიყვანეს. ნახეს რომ უკანიდამ ლაშქარმა შემოუტია, ახლა კვალად მიუბრუნდნენ და მრავალი ამოწყვიტეს ერთმანერთისა, ერთ მხარეს ხოსროვ-ჯინდი რომელსაც ლახტსა სცემდა მიწასთან ასწორებდა, ორნი ჯადონიც ვეშაპებზედ ისხდნენ და მრავალსა ხოცდნენ და მრავალსაც სახიდამ სცვლიდნენ, ისეთი ომი შეიქმნა რომ მეორედ მოსვლას დაემზგავსა.

როდესაც ლაშქართა ჯადოთაგან ამისთანა საქმეები და ზიანი ნახეს, დიდათ შეშინდნენ, ნარიმანი ციხეში შევიდა ამისთვის რომ შიგნიდამ ეშინოდა და ციხეს ამაგრებდა. შეხედეს ნახეს რომ აღმოსავლეთის მხრიდამ ერთი დიდი მტვერი გამოჩნდა, რა ცოტა ხანმა განვლო, სამხრეთის მხრი-

დამ ქარმა შეჰბერა მტვერი უკუ იყარა, ნახეს ხუთასი დროშა გამოჩნდა, ეს ხუთასი ათასის კაცის ნიშანი იყო, გაჰკვირდნენ და სთქვეს ეს ლაშქარი ვისი უნდა იყოსო! როშან-ბახტს თავისი ეგონა და უშანგის ლაშქარსაც მათი ეგონათ, რა მოახლოვდა ნახეს რომ ყოვლიბან-შირვანისა იყო, ყოვლიბანმა ვეზირს და ფალევნებს ჰკითხა, ნარიმანის ლაშქარი რომელიაო? მათაც მოახსენეს ხელმწიფეო, ციხის მხარეს რომ ლაშქარი დგას იგინი არიანო, იმისთვის რომ ციხეში შედიან და გამოდიან.

რა ყოვლიბანმა ნარიმანის მხრის ლაშქარი შეიგნო, მაშინვე ჩამოხტა მხეცის მოსართავები გაამაგრა, შეჯდა და ლაშქარს შეტევება უბრძანა და თვითონაც შეუტია როშან-ბახტის ლაშქარს და დაუწყეს ხოცვა. რა უშანგის ლაშქარმა ესე იხილა დათამამდნენ და იქიდამაც შემოუტიეს. ყოვლიბანს ხმალი ხელში ეპყრა და რომელსაც კაცსა სცემდა ცხენსა და კაცს შუა ჰკვეთდა, რომელსაც ფეხს აძგერებდა მაშინვე მოჰკლავდა, ამ ყოფით მრავალი სახელოვანი ფალევანი დახოცა და მტრის ლაშქარს გაშმაგებული მიზდევდა. იქიდამ ხოსროვ-ჰინდმა შემოხედა და რა ნახა რომ ყოვლიბანი ისე უწყალოდ ხოცს ლაშქარს, თავისი მძიმე ლახტი აიღო წინ გადუდგა და ლახტი შეუმაღლა, ყოვლიბანი ავჟანდაზე შედგა ლახტიან მაჯას ხელი სტაცა, ლახტი წაართვა და მასვე ასეთი დაჰკრა რომ თავი ხუთს ალაგას გაუხეთქა და უცნობო შეჰქმნა, მხეციდამ გადმოვარდა, ყოვლიბანს უნდოდა მეორეც დაეკრა და მიწასთან გაესწორებინა, მაგრამ ჯადოებმა არ გაუშვეს მოასწრეს რაღაც ჯადო ჰქმნეს წინადამ ასტაცეს და მოარჩინეს. ისეთი ომი ატყდა რომ მეორედ მოსვლას ემზგავსებოდა, როშან-ბახტის ლაშქარი დაბრუნეს და როშან-ბახტამდის ხოცვით მიჰყვნენ, როშან-ბახტმა რომ ესე ნახა დანარჩომ ლაშქარს შეტევა უბრძანა, მათაც შემოუტიეს, რა ბურჯ-ვეზირმა ის ომი ნახა სიხარულით არ იცოდა რა ექმნა, მაგრამ ტყუილად ლაშქარს რიგს აძლევდა, რომლით უფრო ამზნევდა როშან ბახტის ლაშქარს და საქმეს უფუჭებდა, მაგრამ იმ აყალმაყალში ვინ რას გაიგებდა, თავიანთ ერთგული იყო თუ ორგული, მაგრამ იმ წყეულ ჯადოებმა მრავალი ფალევნები გააფუჭეს, დევებმაც მრავალს ავნეს. ნარიმანი ციხიდამ არ გამოვიდა, ამისთვის რომ ციხელებისაგან ეშინოდა ციხე არ დაგვიკეტონ ღალატობითაო და უშანგიც მარტო ვერ დაეტოვებინა.

ამ გაცხარებულ ომში ჯადოებმა ნახეს რომ ყოვლიბანი ფალევნებს უწყალოდ ხოცდა და იმის შემწეობით როშან-ბახტის ლაშქარი დაამარცხეს, მაშინვე სეიდან ჯადომ უბიდამ ერთი წამალი ამოიღო, ხელში დაიჭირა მივიდა და ყოვლიბანს წინ დაუდგა და დაუძახა: ფალევანო თუ ფალევანი ხარ ეგ ხმალი შეინახე და ლახტით ვიბრძოლოთო, მაშინ მე გი-

ჩვენებ შენს ფალევნობას, ხომ ხედავ მე ხმალი არა მაქვსო! უოვლიბანმა ხმალი მაშინვე ჩააგო და შესძახა! ტყეი მე უმზგავსო, შენ ვინა ხარ რომ შენთან უხლმოთ მეშინოდეს? შენზე არც ხმალი მინდა და არც ლახტი, შენისთანებს კალიასავით გავგლეჯავო, რა ესე დაასრულა, მხეცს ქუსლი ჰკრა და უნდოდა სეილან-ჯადო დაეჭირა, იმ წყეულმა იმდონი დაიცადა რომ ახლოს მივიდა, მაშინვე ის წამალი თვალებში შეაყარა, იმ წამალმა მაშინვე უოვლიბანს თვალებმა წვა დაუწყო, უოვლიბანმა თვალებს სრესა დაუწყო მაგრამ ნახა რომ თვალის სინათლე აღარა ჰქონდა, მაშინვე დაიძახა არიქნა ეს ჯადო ყოფილა! რა ჯადომ ნახა რომ უოვლიბანი დაბრმავდა, მაშინვე ხმალს ხელი გაიკრა, მაგრამ უოვლიბანმაც მაშინვე ხმალი ამოახლინა ქარქაშიდამ და ჯადო შიშით ახლოს ვეღარ მიუდგა, ჯადომ ქამანდი შესტყორცა წელში მოზდო და რაც ძალი ჰქონდა გაზიდა, მაგრამ ადგილიდამაც ვერ დასძრა, ამათობაში უოვლიბანს ერთი ფალევანი ჰყავდა სახელად მურადი ერქვა, იმ ლაშქარში დავიდოდა და ვაჟკაცურად ომობდა, უოვლიბანს შეხვდა და ნახა რომ დაბრმავებულა და ერთ ვეშაპზე მჯდომს ქუმაყურს ვიღასაც ქამანდი წელს ჩაუგდია და სწევს რაც ჯანი და ღონე აქვს, მაგრამ ვერცკი დაუძრავს ადგილიდამ და სხვებს ეძახის მოსაშველებლად თავისად.

მურად ფალევანმა რომ ესე იხილა შკუა დაეფანტა, მაშინვე ერთი ნარა გასწია მივიდა და იმ ქამანდს ხმალი შემოჰკრა და შუა გასწყვიტა, უოვლიბანის მხეცს ჯილავს ხელი სტაცა გააბრუნა და დაუძახა: ხელმწიფევ ეგ რა მოგვლენია, ან ვისაგან მოხდაო? უოვლიბანმა უპასუხა საყვარელო მურად თუ შენა ხარ ამდენი ეცადე რომ ციხეში შემიყვანო მე ეს საქმე ჯადომ დამმართა, უვიცობით მამივიდა ვერ ვიცანი თუ ჯადო იყო. მაშინ მურადი ეცადა და ციხეში შეიყვანა, მოახსენა: უმაღლესო ხელმწიფევ, ახლა ნუღარ გენაღვლება ციხეში შემოვედით, რა ცოტად იარეს ნარიმანის სასახლეს მიაღწიეს, მაშინვე ნარიმანთან ამბავი მივიდა რომ შენი ბიძა უოვლიბანი მოდისო, მაშინვე ნარიმანი დიდის სიხარულით წინ მიეგება, ნახა რომ უოვლიბანი მხეცზე ზის და მისი ჯილავი სხვა კაცს უჭირავს და უკან რამდენიმე თავის კაცი ტირილით მოზდევენ, ესე რომ იხილა დიდათ გაჰკვირდა და სთქვა ეს რა მომხდარაო, მაშინვე იგრძნო რომ ჯადოების საქმე იქნებაო, რა წინ მიეგება მხეციდამ ჩამოახლინა მოეხვია და უთხრა: საყვარელო ბიძავ ნეტა რა დაგმართებია ან ვისაგან მოგსვლია ეგეთი განსაცდელი? მიბრძანეთ რომ წავიდე და მაგიერი მიუგო. უოვლიბანმა უთხრა: საყვარელო ნარიმან ამ საქმისთვის შენ ნუ სწუხხარ, ამისთვის რომ ღვთის ნება—და თუ ღმერთსა სურს ისევ მალე თავის წყა-

ლობას მოიღებს—და ამაცილებს ამ განსაცდელს, როგორც უშველა ყარა-
მანს და ხოსროვშირს, იმედი მაქვს რომ მეც არ დამკარგოს. მერე ნარი-
მანმა ყოველი ყოფილი უანბო, როდესაც ყოვლიბანმა უშანგის ირმად გა-
დაქცევა შეიტყო, ღმერთს მადლობა შესწირა რომ იმისთანა გაჭირვები-
საგან დაიფაროს ყოველი კაცი და მე ლაპარაკი მაინც შემიძლიანო, შემდეგ
ნარიმანმა მოახსენა, ბიძაჩემო ნუ სწუხხარ იქ ასეთი ვინმე მყავს რომ
თქვენი მორჩენა ადვილია მაგ სენისაგან, თუ ღვთის ნება იქნება, რა ამ
საუბარს მორჩნენ მერე ყოვლიბანს ხელი დაუჭირა და უშანგთან შეიყვანა,
რა ირემმა ყოვლიბანი დაინახა თაყვანი სცა და ცრემლები გადმოედინა,
მუხლებზე დაიჩოქა და თავი დაღმა დაიღო, ვითომ სთხოვდა რომ ამ გან-
საცდელს გადამარჩინეთო.

რა ნარიმანმა მისი მოთხოვნილება იგრძნო, ყოვლიბანს შეატყობინა
უშანგის გულის დარდი და ორივემ მრავალი იტირეს და მაღლის ხმით
მოსთქვამდნენ, ყოვლიბანს გული ამოუჯდა და დაიწყო მაღლის ხმით ტი-
რილი, ჰოი გმადლობ შენ ღმერთო, ცისა და ქვეყნის გამჩენო! ჭეშმა-
რიტია შენი განგება, მე ვიყავ ღირსი და მომავლინე, ამ უშანგს რომე-
ლიც შენი მორჩილი ყოფილა ყოველთვის, უღმერთოებს თაყვანს აცემი-
ნებდა და არწმუნებდა, ახლა შენ ნუ გაასცინებ ჩვენზე უღმერთოებს და
მტრებს, გაგვიღე მოწყალების კარი და ისმინე ვედრება მონათა შენისა,
გაახარე დაღონებული გული ჩვენი და გაჰკურნე უშანგი მონა შენი. ამდე-
ნი იტირეს რომ ტირილით დაიღალნენ, შემდეგ ირემს ოქროს სინით
ნუში და ქიშმიში მიართვეს და იმას ჭამა დაუწყო.

## აქ ესენი დაუტეოთ და ლაშქრის ამბავი მოიხსენიეთ.

რა მურად ფალევანმა ყოვლიბანი დაბრმავებული ლაშქრიდამ წამო-
იყვანა და იმის ლაშქარმა თავიანთ ხელმწიფე და იმისთანა ფალევანი იმ
ყოფაში იხილეს თვალი გაუტეხდათ ჯადოებისაგან და კიდეც ნახეს რომ
ჯადოებმა მრავალი კაცი, ზოგი ძაღლად, ზოგი ვეფხვად, ზოგი მგლად,
ზოგი მხეცად და ზოგიც ფრინველებათ გარდააქციეს, მაგრამ სახიდამ შე-
ცვლილნი ამ ჭკუასა ხმარობდნენ რომ ციხეში შედიოდნენ, ციხელებმაც
იცოდნენ რომ ისინი ყველანი ჯადოსაგან არიან დამონაებულნი, ერთ ალა-
გას აგროვებდნენ. ლაშქართა რომ ესე იხილეს, პირი იბრუნეს, როვშან-
ბახტის ლაშქარი უკან ხოცვით მიჰყვნენ, იმ დღესვე ბოლოს მოუღებდნენ
ანდოთა; ნარიმანისა, უშანგისა და ყოვლიბანის ლაშქარი, მაგრამ ჯადოებმა
ძლიერ თვალი გაუტეხეს, რაც მოწინავე ფალევნები ომობდნენ, ისინი სულ

სახიდამ შეცვალეს და ზოგიც დახოცეს, ამიტომ ჰირები იბრუნეს და ციხეში შეიკრიბნენ თავიანთ თავის გადასარჩენად. როვშან-ბახტის ლაშქარიც და მრავალი სხვანიც უკან შეჰყვნენ ციხეში. ბურჯ-ვეზირმა რომ ციხეში უცხო ლაშქრის შესვლა ნახა, ციხის იმედი გადიწყვიტა, გულმა ველარ გაუძლო და როვშან-ბახტს მოახსენა, ციხეში ლაშქარს ნუ შეუშვებთო, თორემ რაც შევა უკან ველარ დაბრუნდებიან და იქვე დახოცენო, ბურჯ-ვეზირმა იმისთვის მოახსენა რომ მათ ციხეში უცხო ლაშქარი არ შევიდეს და ციხე არ აიღონო. როვშან-ბახტმა უბრძანა: ვეზირო, შენ ხომ არ გაგიჟებულხარ!? დღეს ციხე უნდა ავიღოთო, რა ვეზირმა როვშან-ბახტისაგან ესე შეიტყო, გამობრუნდა და ხალვათს მოვიდა, დაიწყო დაღონება ციხისთვის, რა ციხეში მრავალი უცხო ლაშქარი შეჰყვა, ნარიმანს ამბავი წაუღეს რომ ლაშქარი ციხეში შემოვიდაო და გაცხარებული ომიაო.

რა ნარიმანმა ესე გაიგო, ცეცხლებრ აენთო, მაშინვე სამოცდა სამის იარაღით შეიჭურვა, კარზე გამოვიდა და ერთი საშინლის ხმით შესძახა: ჰეი, ძმანო ვინცა ხართ ჩვენი ერთგულნი, დღეს არის გასჭირის დრო, ვისაც ჩემი თავი უყვარს და ერთგულია ახლა მომყვეს, ხუთი ათასი თავის კარის ფალავნები ახლდა, მაშინვე გაცეცხლებულმა ციხის კარებისაკენ მიმართა, ერთი მხრიდამ შემომავალი ლაშქარი გააპეს და როგორც ზღვაში ნიანგი ისე ციხის კარს მიადგნენ, ნარიმანმა ნახა რომ უცხო ლაშქარი დასტა-დასტად შემოდიან და ის ორნი ჯადონიც ციხის კარს მოახლოებულან და შემოსვლას ლამობენ, მართალია თავისი ლაშქარიც ებრძვის მაგრამ ჯადოსაგან ყველანი შეშინებულან ძლიერ და ღონე მოჰკლებიათ და მათგანი მრავალნი მირბიან და იპარებიან, ამ ჟამად ნარიმანი თავისის ხუთი ათასის დარჩეული ფალავნებით ციხის კარს მოასწვა, ერთი საშინელი ნარა გასწია, ხლმებს ხელი გაიკრეს და მომავალ ლაშქარს დაუშინეს, ვინც ნარიმანისა და იმ ხუთი ათასი ფალავნების ხმა გაიგონეს, გაეცალნენ ნარიმანმა და ათასმა ფალავანმა კარებში შემომავალთ შეუტიეს და ხოცვით შორს გარეკეს, მაშინვე გამობრუნდნენ კარები მაგრა დაკეტეს, ნარიმანმა ხუთასი ათასი ფალავნები იქ დააყენა რომ კარზე არავინ გამოუშონ იმათი და თითონ ნარა გასწია და უცხო ლაშქარს შეუტია, სამოცმა ათასმა გამორჩეულმა უშანგისა და ყოვლიბანის ფალავნებმა, სამოცის იარაღით შეჭურვილებმა ერთის ხმით დაიძახეს, ამათში თუნდა ჯადო და თუნდა ცეცხლი იყოს უნდა გავისარჯოთ და დავიხოცნეთო, მაშინვე ერთ პირათ ნარა გასწიეს და ამ უცხო ლაშქარს შეუტიეს, ერთ ჟამამდე საშინელი ომი გაგრძელდა რომელიც ოცდა თხუთმეტი ათასი უცხო ლაშქარი მოსწოლოდა. სუშველა გაიბრუნეს და ამ უცხო ლაშქარს თვალი გაქცევაზე ეჭირათ და გა-

საქცევათ პირი იბრუნეს და ერთი მეორეს მიაწყდა, მაშინ ნარიმანი თავის ფალავნებით დაუხვდა და დაუწყეს უწყალოდ ხოცვა, რა ცისის ლაშქარმაც უცხო ლაშქრის პირის გაბრუნება ნახა, ოთხივ კუთხიდამ კიჟინა დასცეს და იერიში მიტანეს, იმათაც დაუწყეს ხოცვა, ვინც ციხის კარისაკენ მირბოდნენ იქვე იხოცებოდნენ, ამ ყოიფით სამ დღეში თხუთმეტი ათასი ლაშქარი ისე დახოცეს რომ ერთი ცოცხალი არ გაუშვეს.

როვშან-ბახტმა ნახა რომ თავის ლაშქარი ციხეში ბევრი დარჩა და კარები დაკეტეს, ძალიან დაღონდა, ბურჯ-ვეზირმაც რომ გაიგო ლაშქრის დამწყვდევა ციხეში, ძლიერ გაეხარდა მაგრამ ხელმწიფესთან ცხვირ-პირ ჩამოშვებული მოვიდა და როვშან-ბახტთან დადგა. როვშან-ბახტმა უბრძანა: ვეზირო რავქნათ რომ იმოდენა ლაშქარი ციხეში დარჩა, რა უშველოთ? ბურჯ-ვეზირმა გაჯავრებით მოახსენა: ხელმწიფევ თქვენც თქვენ ძმასავით ჩემსას არას იჯერებთ მაგრამ ბოლოს ინანებთ, მე წედანვე მოგახსენეთ რომ ლაშქარს ნუ შეუშვებთ მეთქი და თქვენ არ დამიჯერეთ, მერე კი როგორც უოფილიყო ციხეს სხვა რიგათ ავიღებდით, ისე რომ ერთი კაციც არ მომკვდარიყო, მაგრამ რავქმნა არ დამიჯერეთ, როგორ არ იცით რომ მაგათი ლაშქარი სრულიად კაცის მჭამლები არიან, მაგრამ ჯადოთაგან შეშინდნენ და გაიქცნენ, თორემ თუ ეს ჯადოები არ ყოფილიყვნენ ისინი დაგვამარცხებდნენ აქნომამდე, ახლა წამალი ეს არის რომ ეგები ჯადოები ციხეში შევიდნენ და ის ლაშქარი დაიხსნან, თორემ იმათგან ერთიც ვერ გამოვა ცოცხალი, მაშინვე როვშან-ბახტმა ორივ ჯადონი დაიბარა და უბრძანა: ჯადონო თუ თქვენ არ მიუშველენით, იმათი საქმე წასულია. მათ მოახსენეს ხელმწიფეო, რავქმნათ იქ როგორ შევიდეთ, იქ შესვლა ძნელია, გალავნიდამ არ შეიძლება, კარიდამ ხომ უფრო შეუძლებელია, ჩვენზე უფროსი და ოსტატი ჯიბილ-ჯადოა, თუ შესაძლებელი ყოფილიყო ის შევიდოდა, მაგრამ ხომ ნახეთ რა გზით შევიდა, ესე მოახსენეს და გაჩუმდნენ. როვშან-ბახტიც ამაზე ძალიან შეწუხდა: რა გარეთ ლაშქარმა ნახა რომ ციხელებმა კარები დაკეტეს, იმ შესული ლაშქრის იმედი გადაიწყვიტეს, მართლაც რომ სამი დღე სულ ომის კიჟინის ხმა მოდიოდა, მეოთხე დღეს ნახეს რომ ბურჯიდამ კვდრებსა ჰყრიდნენ და ბურჯზე სამხიარულო ნაღარას უკრავდნენ. გამინჯეს ნახეს რომ თავიანთ ჯარისაა დახოცილი, ამის მნახავი ბურჯ-ვეზირი გუნებაში იცინოდა მაგრამ პირით ჯავრობდა და ტყუილად ხორცებს იგლეჯდა და ჯადოებს ეუბნებოდა, რატომ პირველად თქვენ არ შეხვედით, თქვენ რომ შესულიყავით იმ ციხეს აქნომამდე ადრე აიღებდით, ახლა რაც მოხდა მოხდა, ფიქრით ვერას უშველით, მე თუ ის ციხე არ ავიღო ბურჯ-ვეზირი ნუ მერქვას,

ახლავ ლაშქარი გავგზავნოთ ის მკვდრები მოაგროვონ და ცეცხლს მიაბარონ, მაშინვე ლაშქარი წავიდა და მკვდრები მოაგროვეს, იმ ოცდათხუთმეტ ათასში ზოგს მამა და ბიძაშვილი ჰყვანდათ ქი ზოგს სხვა ნათესავნი, იმ დღეს დიდი ტირილი და ვაება შეუდგათ, ის მოგროვილი მკვდრები ცეცხლში დასწვეს, ამაობაში ხოსროვ-ჭინდი მოვიდა და როვშან-ბახტს თაყვანი სცა, როვშან-ბახტმა უბრძანა: ფალევანო ეგ როგორ მოხდა რომ მაგ ყოფაში ჩავარდი? ხოსროვ-ჭინდმა მოახსენა: ხელმწიფევ, შეცრივ უკანიდამ მომიხტა და ვერა რა გავიგე, თორემ მე იმას ცოცხალს არ გაუშვებდი. მასუკან სეილან-ჯალდომ მოახსენა: ხელმწიფევ, თუმცა არ მოვკალ მაგრამ მკვდართან სწორეა, რა ვქმნა რომ წინადამ მომტაცეს თორემ უნდა მომეკლა, რაკი დავაბრმავე ვეღარა გაიგორა, ვიღაც მოვიდა ჯილავი დაუჭირა მხეცს და შუა ლაშქარში შეიყვანა და არ ვიცი საითკენ მიაფარა იმ ომში ვეღარა ვნახე; მაგრამ საშინელი ფალევანია, მე რომ იმის ფალევნობა ვნახე ძლიერ გამიკვირდა, ხელმწიფევო, დღეს ასი ათასი კაცი შევშალეთ სახიდამ, თუ ცოტად კიდევ ომი გაგრძელებულიყო იმათ საქმეს დავასრულებდით მაგრამ მალე გაბრუნდნენ.

შემდეგ ბურჯ-ვეზირს როვშან-ბახტმა ჰკითხა: ვეზირო, სეილან ჯალდო რომელ ფალევანსაც ამბობს ის რა ფალევანია? ბურჯ-ვეზირმა მოახსენა: ხელმწიფევ, ის ფალევანი ყარამანის დედიდის შვილია, ძლიერი ფალევანია, იმის ნაკრავს ვეშაპიც ვერ გაუძლებს, მაგრამ ის ისეთი ავგულია რომ ჯავრი მოჰკლავს, რა ესე მოიუბნეს კიდეც დაღამდა და მეჯლიში გამართეს, მეჯლისში როვშან-ბახტმა ბრძანა: ვეზირო ხვალ იმ დაჭერილებს დიდი წვალება უნდა მივცეთ რომ ეგება დაგვმორჩილდნენ. რა მეჯლიში მოიშალა ბურჯ-ვეზირი თავის კარავში შევიდა, თავის მსახურთ ორი ცხვრის მოყვანა უბრძანა, მაშინვე მოიყვანეს, დააკვლევინა და სისხლი მოაგროვა, ნაწლევები ამოართმევინა, გააწმენდინა და სისხლით აავსო, რა ესე გაარიგა თავისი კარავის კალთები ჩამოაშვებინა, შევიდა გარდანქეშანი თავის შეგირდებით ახსნა და მეჯლისი გამართა, რა მეჯლიში მოიშალა, ბურჯ-ვეზირმა უთხრა: გარდანქეშანო ხვალ უნდა გცემოთ და მოიტანა ის სისხლით სავსე ნაწლევები და ყველას ტიტველა ზურგზე მიჰკრა და ზედ პერანგები ჩააცვა, რა ესე გაარიგა მოსვენებას მიეცნენ. რა დილა გათენდა ბურჯ-ვეზირი ადგა ყველანი ისევ შეჰკრა და თვითონ ხელმწიფესთან წავიდა, თაყვანი სცა და მოახსენა როგორ მიბრძანებ, აქ თქვენ წინ ვცემო თუ მოედანზე? ხელმწიფემ უბრძანა: საცა გსურდეს იქა სცემე, მაშინვე ვეზირმა თავის მსახურთ გარდანქეშანისა და იმის შაგირდების მოყვანა უბრძანა: მაშინვე ისინი ბორკილებით შეკრულნი მოედანზე

გაიყვანეს, გარდანქეშანმა ხალხში დაუძახა! ვეზირო რა გინდათ ჩვენგან? რა სიავკაცე გინახავთ ჩვენგან რომ ამოდენასა გვტანჯავ? ერთხელ დაგვხოცე და მოგრჩეთ, რამდენ ხანს უნდა სვა ჩვენი სისხლი?

ვეზირმა უთხრა: ჰეი გარდანქეშანო! შენც მიგიცია ბევრისთვის ამისთანა სატანჯელი და ახლა შენც ისე გტანჯავენ, ჩემი მანათის მადლმა და როშან-ბახტის მზემ, დღეს უნდა ზურგის ტყავი გაგაძრო, ლაპარაკის დრო არ არის, თქვენი ხელით გაიხადეთ ტანისამოსი. გარდანქეშანმა უთხრა: თუ დაგვხოცავთ ტანისამოსს გავიხდით. ბურჯ-ვეზირმა უთხრა ნუ გეშინიან არც ცოცხალ დაგტოვებთ, მაშინვე ტანისამოსი გახადეს დააწვინეს და ყველას გვერდით თითო კონა ჯოხები დაუყარეს და თითოზე ორორი ფარეში დააყენეს და დაუწყეს უწყალოთ ცემა, გარდანქეშანი და სხვანი ეხვეწებოდნენ ამ ცემაში. სამნი ხელმწიფენი ჯიმშედ, აყიყი და ხურშედი, ესენი როცა უშანგის ხელქვევითნი იყვნენ, მაშინ გარდანქეშანს იმათთვის ბევრი სიკეთეები ექმნა, მოვიდნენ და ყურება დაუწყეს, იმდენი სცემეს რომ სისხლიანი ნაწლევები დაიხია და სისხლი თქრიალით გადმოედინათ ამასობაში როშან-ბახტიც მოვიდა ნახა რომ იმოდენა უცემიათ რომ სისხლი გადმოსთქრიალებთ ტანიდამ, ამ სამთა ხელმწიფეთა შეუბრალათ და როშან-ბახტს მოახსენეს, მაგდონი ცემა ეყოფათ თუ გსურთ რომ ჩვენი შეიქმნას, თორემ ჩვენ მაგას კარგათ ვიცნობთ, თავმომწონი კაცია ვაი თუ ჯავრი შეინახოს გულში და აღარ დაგვმორჩილდეს.

ესეთი რჩევა როშან-ბახტს მოეწონა და დაუძახა ეყოფათო, მაშინვე ცემისაგან ხელი აიღეს, გარდანქეშანი და მისნი შეგირდნი ტყუილად უსულო შეიქმნენ, ბურჯ-ვეზირმა უბრძანა თავის კაცებს და კარავში წაადებინა, თვითონ მივიდა როშან-ბახტს თაყვანი სცა და მოახსენა: ხელმწიფეო, ათი დღის საგძალი მივეცი და ათ დღის უკან ვნახოთ მაგათი საქმე როგორ გადაწყდება, როშან-ბახტმა უბრძანა რომ პატივით შეენახა ეგების ჩვენნი შეიქმნანო,—ბურჯ-ვეზირმა მოახსენა: ხელმწიფეო, გუშინ ბევრი ველაპარაკე ჯერ ძალიან უარს ამბობდა მაგრამ მერე ცოტად დარბილდა, იმედი მაქვს რომ ჩვენი შეიქმნეს, მერე ყველანი როშან-ბახტის კარავში მივიდნენ და მეჯლიში გამართეს და კარგი ლხინი გადაიხადეს, იმ მეჯლისში ხოსროვ-ჰინდს ცოტა ღვინო თავში გაუჯდა და დაიძახა: ვაი ყოვლიბანო რომ პირდაპირ ვერ შემხვდი—რომ ერთის დაკვრით მიწასთან გამესწორებინე, შემდეგ ბურჯ-ვეზირმა მოახსენა: ფალევანო თქვენ მაგაზე ნუ სწუხხართ, მართალია ისიც კარგი ფალევანია მაგრამ ის შენს ლახტს ვერ გაუძლებს, მრავალი ამისთანა სიტყვები უთხრა, მერე მობრუნდა და ჯალდოებთან დაიწყო ტკბილი საუბარი, ასე რომ იმათ არ უნდოდათ ბურჯ-

ვეზირის მოშორება, რა მეჯლიში მოიშალა ბურჯ-ვეზირი თავის კარავში მივიდა, კარვის კალთები ჩამოუშო გარდანქეშანს და სხვებს ზურგის ნაწლევები მოაცალა, ტანი დაბანა, ტანისამოსი ჩააცვა და მეჯლისი გაუმართა, კარგი ლხინი გადაიხადეს და იმ დღევანდელ საქმეზე მრავალი იცინეს, რა ფეხი მიწყნარდა ვეზირმა გარდანქეშანს უთხრა: შენ ციხეში წადი და რაც სახიდამ შეცვლილნი არიან უთხარ მუყართათ იყვნენ, ნარიმან ხელმწიფეს მოახსენე, თქვენ მაგათთვის ნუ სწუხართქო, ღვთის ძალით მალე გავანთავისუფლებ ყველასა თქო, ყოვლიბანს მოახსენე ჩემ მაგიერათ ყარამანი და ხოსროვშირი მოიგონე და თქვენც ცოტა ხანს უნდა მოითმინოთ, ვიდრე ამ ჯადოებს თქვენ წინ ცხვარსავით ყელებს დავჭრიდე. ესე დაიბარა და თან ბევრი თვალ-მარგალიტი გაატანა და გაისტუმრა, რა გარდანქეშანი კარვიდამ გავიდა და წასასვლელად დაემზადა, ვეზირმა უთხრა: ხვალ ამ დროს აქ უნდა გაჩნდე რომ არ შეიტყონ და ასიმიც მოიყვანე.

## ესენი აქ დაუტეოთ და ნარიმანის ამბავი მოიხსენიეთ.

როდესაც ციხეში იმოდენა ლაშქარი დახოცეს და მკვდრები გადმოყარეს ბურჯიდამ, მეოთხე დღეს ნარიმანმა ციხე დაიარა და რაც სახიდამ შეცვლილნი იყვნენ მოაგროვებინა, ას ათაზე მეტნი იყვნენ, ესენი ცალკე შეანახვინა, შეცვლილნი რომ ნარიმანს დაინახავდნენ მიდიოდნენ და ფეხთ ეხვეოდნენ, ნარიმანიც იმედებს აძლევდა—და მოსამსახურეები დაუდგინა იმათ და უბრძანა მათ მოსამსახურეებს რომ საჭმელ-სასმელი არ მოაკლოთ ყველასთვის, შემდეგ წამოვიდა თავის სარაიას და რა დაღამდა მეჯლისი გამართეს იმ მეჯლისში ჰუშანგ-შაჰა ირმად გადაქცეული ზემოდ ერთი ტახტი იდგა იმაზე იწვა და წინ ნუში და ქიშმიში ედო ოქროს ლანგარით და იცოხნებოდა, მართალია სახიდამ იყო შეცვლილი მაგრამ ისევ სრული თავის გონება ჰქონდა და ყველასა სცნობდა, როცა ყველას შეხედავდა ხოლმე ცრემლები გადმოედინებოდა, იმის ქვევით ყოვლიბანი უსინათლოდ იჯდა—და როცა დიდებულნი და მცირებულნი ნახავდნენ ძლიერ სწუხდნენ, მაგრამ ბურჯ-ვეზირისა დიდი იმედი ჰქონდათ.

რა შუაღამე შეიქმნა გარდანქეშანიც ციხის კარს მიადგა და კარის კაცებს დაუძახა, მე ვარ გარდანქეშან აიარი რომელიც პყრობილად ვიყავი, კაცებმა დაუძახეს, არამც გვატყუებდე და გარდანქეშანის მაგივრად ჯადო იყო, მაშინ გარდანქეშანმა ასიმის ამბავი ნიშნეულად უთხრა რომელიც იქიდამ გამოესტუმრათ, რა კარის კაცებმა სწორედ ნიშანი გაიგეს, მაშინ-

ვე გარდანქეშანი შემოუშვეს და ნახეს რომ ერთი ხურჯინი მხარზე ჰკი-
დია, მაშინვე ქეშიკი წინ წაუძღვა და ნარიმანის სასახლეს მიიყვანა. ნა-
რიმანი ისევ მეჯლისში იჯდა, რა კარის კაცებმა გარდანქეშანი დაინახეს
დიდ მხიარულებას მიეცნენ, ნარიმანთან შევიდნენ თაყვანი სცეს და მო-
ახსენეს: ხელმწიფეო გარდანქეშანი გიახლათ, რა ნარიმანმა ესე გაიგონა
მაშინვე კარზე გავიდა და ნახა, გარდანქეშანს ხურჯინი მხარზე ჰკიდია და
დგას, რა გარდანქეშანმა ნარიმანი დაინახა, მაშინვე გაექანა და კალთას
აკოცა, იმანაც ტკბილათ მოიკითხა, მერე ჰკითხა: გარდანქეშანო ეგ მძიმე
ტვირთი რა არის? გარდანქეშანმა მოახსენა, ეს ბურჯ-ვეზირმა მოგართოთ-
და მოგახსენა, ეს სარგებელი მიიღეთ და თავნსაც მალე მოგართმევთო, ამ
სიტყვაზე ნარიმანმა ბევრი იცინა, ამ სიცილით მეჯლისში შევიდნენ, რა
დიდებულთა გარდანქეშანი იხილეს ყველახი ფეხზე წამოუდგნენ და წინ
მიეგებნენ და მოიკითხეს, დიდ მხიარულებას მიეცნენ მის ნახვით, გარ-
დანქეშანმაც ტკბილად მოიკითხა ყველანი. რა ტახტზე მჯდომმა ირემმა
გარდანქეშანი დაინახა მაშინვე ფეხზე წამოდგა ტახტიდამ ჩამოვიდა და
გარდანქეშანთან მივიდა, თვალებში ყურება დაუწყო და წყაროსავებრ ცრემ-
ლები გადმოყარა.

რა გარდანქეშანმა თავის ხელმწიფე უშანგი იმ ყოფით და იმ მდგო-
მარეობაში ნახა, მაშინვე ფეხთ მოეხვია, ცნობა დაეფანტა და არ იცოდა
რა ექმნა, მერე დაიჩოქა და მოახსენა: ხელმწიფევ ნუ სწუხხარ ამ ცოტა
ხანში მორჩებით და ფეხთ ეხვევოდა, მერე ხვეწნით წაიყვანა და ტახტზე
დასწვინა, შემდეგ უოვლიბანთან მივიდა მუხლს აკოცა და კეთილი საუბარი
დაუწყო და ნუგეშს აძლევდა, შემდეგ ბურჯ-ვეზირის მხრივ მოახსენა,
ხელმწიფევ მოიგონე ყარამნისა და ხოსროვშირის დაბრმავებაო, იგინი იმ-
დენ ხანს იყვნენ და ნუგეში არ დაჰკარგეს, თქვენ ამ ცოტა ხანში ღვთით
განთავისუფლდებით. უოვლიბანმა უთხრა: გარდანქეშანო, მადლობა ღმერთს
რომ თქვენ იმათგან მშვიდობით მორჩენილხართ, გარდანქეშანს რაც თავს
საქმე გარდახდოდა ყოველი უამბო, შემდეგ ჰკითხა: ხელმწიფევ, სახიდამ
შეშლილნი სად არიან? ხელმწიფემ ბრძანა ხვალ გიჩვენებო, შემდეგ მეჯ-
ლისიც მოიშალა, ასიმი და გარდანქეშანი ერთ სადგომს წავიდნენ და დი-
ლამდე ერთმანერთის საუბრით გაათენეს, რა გათენდა გარდანქეშანი და
ასიმი ადგნენ ღმერთი ილოცეს და გამოვიდნენ, ნარიმანის კარს მივიდ-
ნენ, ნახეს რომ ჯერ გამოსვლის დრო არ არის, იმიტომ რომ იმ ღამეს
მეჯლისში გათენებამდის იჯდა. ვიდრე გაიღვიძებდა და გამოვიდოდა ასიმ-
მა გარდანქეშანი წაიყვანა და საცა ჯადოთაგან სახიდამ შეცვლილნი იყვ-
ნენ ყველანი უჩვენა, საცა გარდანქეშანი შევიდოდა, შტერდებოდა და ამ-

ჰობდა, ღმერთო ამით ცოდვისაგან ის გრძნეულნი დროიანათ მაინც ჩავიგდოთ ხელში და ესენი მალე მოვარჩინოთ ამ შეჭირვებისაგან.

რა ამ შეცვლილთა გარდანქეშანი დაინახეს ვინც იცნობდნენ მოვიდნენ და ფრეხთ მოეხვივნენ და განკურნებას ეაჯებოდნენ, გარდანქეშანიც ხელით მორჩენის იმედს აძლევდა, ყოველ შეცვლილს წყაროსაებრ ცრემლები სდიოდათ. იქიდამ გამობრუნდნენ ნარიმანის სასახლესთან მოვიდნენ ნახეს რომ ყოველნი დიდებულნი კარზე შეყრილიყვნენ, რა გარდანქეშანი დაინახეს მოვიდნენ და ისინიც მიესალმნენ, ერთმანერთი მოიკითხეს და ხალხში შირვან-ვეზირიც იყო და ასე ეგონა რომ მისი მიწერილი წიგნი როვშან-ბახტთან წასულა და ის ამბავი გარდანქეშანმაც იცის და ამიტომ თავჩამოგდებით შორს იდგა და არას ლაპარაკობდა, ამ ხანებში ნარიმანიც გამოვიდა, გარდანქეშანი და ასიმი მივიდნენ და თაყვანი სცეს, იმანაც მოიკითხა, აიართა მოახსენეს, ხელმწიფევ სადაც ჯადოთაგან სახიდამ შეცვლილნი არიან იქ გახლდით და ძალიან შეწუხებულნი არიან, როდის იქმნება ისინი იმ შეჭირვებისაგან გავანთავისუფლოთ, მეტადრე ჩვენი შვიდთა იყლიმთა მპყრობელი უშანგი და მეორე ყოვლიბანი. რა ნარიმანმა მათგან ესე მოისმინა ცრემლები გადმოყარა და შინ შეიყვანა, შირვან-ვეზირის ამბავი და მუხანათობა ყოველივე წვრილად უამბო და უბრძანა ამ საქმეს ნურავისთან ნუ გამოაცხადებთ ვიდრე დრო მოვიდეს, მერმე როგორც სჯობდეს ისე აღვასრულოთ. რა ამ საუბარს მორჩნენ შუადღე შეიქმნა, მოვიდნენ მეჯლისი გამართეს, საღამომდის მეჯლისი ჰქონდათ, რა მეჯლიში მოიშალა და ცოტა ღამემაც გაიარა, გარდანქეშანი და ასიმი ნარიმანს გამოესალმნენ და მეორე ღამეს ჩუმათ ბურჯ-ვეზირთან მივიდნენ და ერთმანერთს მიესალმნენ, ბურჯ-ვეზირმა მათ ორთავეს ქება შეასხა, მერმე გარდანქეშანმა იქაური ამბავი წვრილად უამბო, ვეზირმა რომ იმდონი კაცის შეცვლილობის ამბავი შეიტყო, ძალიან შეწუხდა და სთქვა: ღმერთო როდის იქნება რომ ისინი ყველანი განთავისუფლდნენ, მერე მცირედ იუბნეს და კიდეც გათენდა, ვეზირმა უთხრა ხელმწიფესთან წასვლის დროა არისო, გარდანქეშანს და ასიმს ხელ-ფეხი მაგრა შეუკრა და უთხრა, ვაი თუ ხელმწიფის კაცნი უეცრად მოვიდნენ და გახსნილნი გნახონ და საქმე საჭიროდ გახდეს, ამ საუბარში რომ იყვნენ, კარის კაცი შემოვიდა და მოახსენა: ხელმწიფის კაცი გიახლათ და დაუბარებიხართო, მაშინვე გარდანქეშანს და ასიმს ყარაულები დაუყენა და თვითონ ხელმწიფესთან წავიდა, რა შევიდა თაყვანი სცა მივიდა და თავის ალაგს დაჯდა, როვშან-ბახტმა ვეზირი მოიკითხა, ვეზირი მივიდა წინ თაყვანი სცა და კალთას აკოცა, მოახსენა: თქვენის წყალობით არა მაკლიარა და ამ საუბარში სეილან და ქე-

ილან ჯალონი შემოვიდნენ, როვშან ბახტს თაყვანი სცეს, შემდეგ ხოსროვ-ჰინდი შემოვიდა, იმანაც თაყვანი სცა ხელმწიფეს და ბურჯ-ვეზირს მიესალმა, სამნი ხელმწიფენიც მოვიდნენ, როვშან-ბახტს თაყვანი სცეს და თავიანთ ტახტებზე დაბრძანდნენ და იწყეს ლაპარაკი, როვშან-ბახტმა ვეზირს შეხედა და ბრძანა: ვეზირო ეცადე რომ გარდანქეშანი და მისნი შეგირდნი როგორმე ჩვენ მხარეს მოაქციო და ჩვენს მანათ ღმერთს თაყვანი აცემინო. რა ბურჯ-ვეზირმა ესე გაიგონა, გუნებაში გაეხარდა და სთქვა, მეც ეგ მინდოდა, მერე მოახსენა ხელმწიფეო, თუ საქმე ეგრე მოხდა კარგი იქნება, მაგრამ გარდანქეშანისა წინათვე მოგახსენეთ, ერთი ჟინიანი კაცია და თუ დაგვიმორჩილდა მისი პირი აღარ გამტყუნდება. როვშან-ბახტმა ბრძანა: ვეზირო ეგ სამსახური შენზე მომიგდია, უნდა ძალიან ეცადო, ამისთვის რომ მაგისი აიარობა შემიტყვია, მე მგონია რომ მაგისი სწორი ქვეყანაზე არ იპოება, ვეზირმა მოახსენა: ხელმწიფეო მაგისი მოთხრობა ბევრია ყარამანის მოთხრობაზე, მაგის ქებას ენა ვერ მოსთქვამს მეც მაგ ცდაში ვარ უნდა ვეცადო რომ ჩვენ დაგვმორჩილდეს, იმას რომ ჭკუა ჰქონდეს აქამდის დაგვმორჩილდებოდა, მაგრამ თავის ნათქვამი კაცია, იმედი კი მაქვს რომ ჩვენი შეიქმნას, ამისთვის რომ ჩვენთან ურჩევნია, უშანგს ამისთანა ერთგული და გულდამწველი მსახური არა ჰყავს მაგრამ უკანასკნელი სამოცი წელიწადია თავისი სახლი არ უნახავს. თქვენისთანა პატივი იმან არ იცის, რათ მინდა იმისთანა ბატონი რომ ხუთ ან ათ წლამდე თავის სახლი არ აჩვენოს კაცს, არც იმისთანა ცხოვრება მინდა და არც იმისთანა სამსახური, რა როვშან-ბახტმა მისგან ესე გაიგონა უბრძანა: ვეზირო ახლა შენ იცი როგორც მოახერხებ, ვეზირმა მოახსენა: ხელმწიფეო, რამდენი ხანი უნდა ვიყვნეთ ესე? ან სულ დავიხოცნეთ ან ეს საქმე გადავწყვიტოთ, თორემ ყოველ დილით მათი ლაშქარი ემატება და ჩვენი კი აკლდება, სჯობს რომ მალე ან ოსტატობით ან ძალით როგორმე გარდავწყვიტოთ. იქ მსხდომთა ყოველმა ერთ ხმათ უთხრეს ხელმწიფეს რომ, ვეზირი მართალს ბრძანებსო. როვშან-ბახტმა სამთა ხელმწიფეთ, ხოსროვ-ჰინდს და ჯალოებს ჰკითხა: ამ რჩევაზე თქვენ რას მეტყვითო? მათ მიუგეს ჩვენმა კერპმა ღმერთმა აღდეკრძელოს კარგს რჩევას ბრძანებსო. ეგ მართალია მათი ლაშქარი ემატება, ჩვენი კი აკლდება. სეილან-ჯალომ მოახსენა: მე ერთი საუკეთესო საშუალება მომიფიქრებია თუ თქვენც მომიწონებთ, ასე რომ ჩვენ ამ ადგილას ერთი ციხე უნდა გავაკეთოთ და კაცი გავგზავნოთ ოთხ სახელმწიფოში რაც ფალევნები და ლაშქარნი არიან სულ აქ დავიბაროთ, როცა ციხელები ნახვენ რომ აქ ციხეს ვაკეთებთ მაშინ გაჯავრებული გამოვლენ და მერე ჩვენ ვიცით.

უველას მისი რჩევა მოეწონათ: ბურჯ-ვეზირმა უთხრა, ეს უცხო რჩევაა მაგრამ იმისთანა ციხე უნდა გაკეთდეს რომ ჯადო ვერ მიუდგეს, როვშან-ბახტმა ბრძანა: ვეზირო ამისთანა საქმე შენს მეტს არავის შეუძლიან შენ როგორც გეკადრებოდეს ისე უნდა ააშენებინო, ჩვენი ხაზინაც შენ ჩაიბარე და კარგა უნდა მოუარო, ვეზირმა მოახსენა: ხელმწიფეო, მე ვიცოდი რომ მაგ სამსახურს მე დამდებდი, მაგას დიდი თავი და დიდი ჭკუა უნდა, მაგრამ რა ღონე მაქვს თქვენ სამსახურზე თავდადებული უნდა ვიყო, ასეთი უცხო გალავანი უნდა შემოვარტყა რომ მისი ქება ქვეყანაზე განითქვას. რა ესე დაამტკიცეს იმავე დღეს ყოველი ხაზინის გასაღებები ბურჯ-ვეზირს ჩააბარეს. ვეზირი თავის გუნებაში ამბობდა გარდანქეშანი ხომ ჩემი ძმაა, იმასაც ცოტა წილი უნდა დაუდო. რა იმათ ხაზინა ბურჯ-ვეზირმა ნახა ძლიერ გაჭკვირდა და სთქვა: ღმერთო ხუთას ჯორს სად შეუძლიან ამ ხაზინის წაღებაო? სამ დღეში ძლივას ჩაიბარა. მაშინვე თავის კარავი მოატანინა და ხაზინასთან დადგა, თავისი ყოველიფერი, აგრეთვე გარდანქეშანი, ასიმი და მისნი შეგირდნი იქ მიაყვანინა, ყოველი რომ მიალაგა შეღამდა კიდეც, ფეხი რომ მიწყნარდა კარავის ფარდები ჩამოუშვა და გარდანქეშანი და სხვანი შეკრულობიდამ დახსნა და სუფრა მოადებინა იმ ღამეს კარგი ლხინი გარდაიხადეს, ბურჯ-ვეზირმა ყოველივე წვრილად უამბო რაც იმ სამ დღეში მომხდარიყო, მერე უთხრა ხვალ თქვენ კიდევ წაგიყვანთ ხელმწიფესთან, იქ ბევრ წვალებას ადგითქვავთ და კიდეც მოსაკლავად გაგგზავნი მაგრამ შენ ძნელად დამმორჩილდი, როდესაც ბევრი გითხრა ბოლოს სთქვი, რა ვქმნა ბურჯ-ვეზირო, ან რა ღონე მაქვს, სიკვდილამდე შენი ვიქნები თქო, ამ სიტყვაზე ფიციც მომეცი რომ ყოველ ჟამ ჩემთან იმყოფებოდე. მერე უთხრა ახლა თქვენ შეგკრავთ და აგრე იყავით, წინ ჭუმ ხორცს დაგიდებთ და ჯადოებს აქ დავიბარებ და ეგები აქ დაეჩვიონ და საქმე როგორმე მოუხერხოთ, ეს რჩევა იმათაც მოეწონათ, მაშინვე ისინი შეჰკრა, წინ ჭუმი ხორცი დაუდო და ჯადოებთან კაცი გაგზავნა და ვახშმათ დაჰპატიჟა, ჯადოებსაც ძალიან გაეხარდათ და მასვე წამს ადგნენ თავიანთ ათის შეგირდით და წამოვიდნენ, რა მოახლოვდნენ ბურჯ-ვეზირს შეატყობინეს რომ ჯადოები მოდიანო, მაშინვე წინ მიეგება და ტკბილის საუბრით თავის კარავს შეიყვანა, იმ ღამეს დიდი მეჯლისი გამართეს, ჯადოებმა ნახეს რომ გარდანქეშანს, ასიმს და იმათ შეგირდებს ხელებ შეკრულნი არიან და წინ ჭუმი ხორცი უგდიათ, სეილან-ჯადომ უთხრა: გარდანქეშანო, ბევრი მაგისთანა საქმე შენც ჩაგიდენია არა ახლა კი შენს თავს მოუვიდა, გარდანქეშანმა უთხრა: მართლა რომ ამისთანა საქმე ვალი ყოფილა ქვეყანაზე, თუ ესე მცოდნოდა მეც სხვას არ

უზავდი. მერე გარდანქეშანი სეილან-ჯადოს შეეხვეწა, შუა შემოდი ვეზირთან, სწორედ თხუთმეტი დღეა პური არ მიჭამია, ეგება ერთი ლუკმა პური მაჭამოს. ვეზირმა უთხრა: პატიოსანო ჯადოვ, მაგას მე კარგ რჩევას ვაძლევ მაგრამ არ მიჯერებს, თუ დამიჯერებს და დაგვმორჩილდება, ასეთ ალაგ დავსვა რომ აქაური ცხოვრება სულ დაავიწყდეს. ამ სიტყვაზე გარდანქეშანმა ხმა არ ამოიღო.

იმ ღამეს ასეთი მეჯლისი გადაიხადეს რომ უკეთესი არ იქნებოდა, შემდეგ ასეთი საუბრით მოალხინეს ერთმანერთი რომ ჯადოებს ბურჯ-ვეზირისაგან მოშორება აღარ უნდოდათ, ჯადოებმა მოახსენეს: ვეზირო თუ ჩვენი რაჯაბ ღმერთი გიყვარს ყოველ ღამ ან თქვენ მობრძანდით ხოლმე ჩვენთან ან ჩვენ გიახლებით. ვეზირმა მოახსენა: პატიოსანნო ჯადონო, ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა რომ ყოველ ჟამ ჩემთან მობრძანდებოდეთ და სხვა მრავალი ამისთანა საუბარი იუბნეს. მას უკან ადგნენ და თავიანთ კარავში წავიდნენ. ბურჯ-ვეზირმა კარავის ფარდები ჩამოუშვა, ისინი ახსნა და გათენებამდის ახლა იმათთან ლხინობდა. გარდანქეშანმა უთხრა: ვეზირო მაგ მგლებს და ძაღლებს რომ ხორცს უყრი წინ და აჩვევ, მაგათი მახე როდის უნდა გავმართოთ? ბურჯ-ვეზირმა უთხრა: ძმავ ამისთანა მეგობრები რომ მყავს რაღა ნაღველი მაქვს ქვეყანაზე, მაგრამ ამაღამდელი პატივი ცხვირიდამ უნდა ვადინო — და ცოცხალნი უნდა მივცე ყოვლიბანს ხელში. ამისთანა საუბრებით ღამე გაათენეს. რა გათენდა ვეზირმა კვალად ისინი შეჰკრა და თითონ ხელმწიფესთან წავიდა, რა შევიდა ნახა რომ ყოველნი დიდებულნი იქ იყვნენ შეყრილნი, ხელმწიფეს თაყვანი სცა სხვებს მიესალმა, გადაიარა და თავის განწესებულ ალაგ დაჯდა. ხელმწიფემ უთხრა: ვეზირო, გუშინდელ რჩევაზე რას მეტყვი?! ვეზირმა მოახსენა ხელმწიფევ, მაგ საქმეს რაღა მოცდა უნდა? მაშინვე ოც-ოცი კაცი ოთხ სახელმწიფოში გაგზავნეს და ყოველ მხრიდამ მრავალი ლაშქარი და ხაზინა დაიბარეს და ასე უბრძანეს, ნურც დღისით დაისვენებთ, ნურც ღამით დაიძინებთ, ეგები ოც დღეზედ მოხვიდეთ, ისინი იქით გაისტუმრა და თავიანთ ლაშქრების სარდლებს უბრძანეს, თქვენც როგორც ბურჯ-ვეზირმა გიბრძანოთ ისე აღასრულეთო, მერე ბურჯ-ვეზირმა როშან-ბახტს მოახსენა: ხელმწიფევ, თქვენ უნდა გამობრძანდეთ რომ ალაგი ამოირჩიოთ და მოიწონოთ ციხისთვის, შემდეგ ციხის გაკეთებულება მე მომკითხეთ.

ხელმწიფე და სხვანი ყოველნი გავიდნენ, მიარ-მოიარეს და ერთი ალაგი მოიწონეს და ბურჯ-ვეზირს აჩვენეს. ვეზირმა ათი ათასი კაცი დააყენა და საძირკველი მოათხრევინა და აგურხანების ქურები დაადგმევინა. იმ ათი ათასმა კაცმა თხრა დაუწყეს, ბურჯ-ვეზირი თავის კარავში მოვიდა

და გარდანქეშანს უთხრა: თუ ამაღამ ჩვენ საქმეს არ ვეცდებით მე ჩემს რამლში ვხედავ რომ ძალიან დიდი ლაშქარი მოდის ჩვენ მხარეს, მაგრამ თუ ეს ჯადოები აქ იქნებიან დიდ ზიანს დამართავენ ჩვენ ლაშქარს, მაშინვე ხუთ თუნგ კარგ ღვინოში ბეუშტარი გაურია, კარგი საჭმელები დაამზადა და მერე ასიმ აიარს ერთი წიგნი მისცა და უთხრა: რომ დაღამდეს ეს წერილი ნარიმანს მიართვი და როცა გამოგისტუმროს მალე წამოდით, იმ ჯორებს ბალახი და შეშა აჰკიდეთ, თუ ყარაულებმა გკითხონ რამე ასე უთხარ ბურჯ-ვეზირისა თქო.

ესე რომ გაარიგა თვითონ ჯადოებთან წავიდა. რა ჯადოებმა ვეზირი დაინახეს წინ მოეგებნენ და ერთმანერთ მიესალმნენ და ბურჯ-ვეზირი თავიანთ კარავში შეიყვანეს და უნდოდათ მეჯლისი გაემართად მაგრამ ვეზირმა უთხრა: პატიოსანნო ჯადონო, მე თქვენთვის მოვსულვარ რომ ჩემთან მობრძანებულიყავით, მათ მოახსენეს ბატონი ხარ გიახლებითო, ბურჯ-ვეზარი მოვიდა და თავის თადარიგი ნახა. რა დაღამდა სეილან და ქეილან ჯადონი ოთხი მსახურით მოვიდნენ და ბურჯ-ვეზირმა მეჯლისი გამართა.

## აქ ესენი ამ მეჯლისში დაუტეოთ და ასიმის ამბავი მოიხსენიეთ.

რა ასიმ აიარი გაემართა, ქარის უმალესად იარა და ციხის კარებს მიადგა და კარის კაცებს თავი აცნობა, მაშინვე კარები გაუღეს შევიდა და ნარიმანის სასახლესთან მივიდა, რა შევიდა ნახა რომ დიდი შეყრილობა იყო მივიდა წინ თაყვანი სცა და ბურჯ-ვეზირის წერილი მიართო. ნარიმანმა გახსნა და წაიკითხა, ესე ეწერა:

„ხელმწიფევ, რასაც წამს ეს წერილი მოგივიდეს, იმავ წამს ხუთასი ფალევანი იარაღით შეკაზმული გამოისტუმრე, თითო ჯორი ხელში მიეცი, ჯორებზე ბალახი და შეშა აჰკიდონ და რაც შეეძლოთ სისწრაფით იარონ, ნარიმანმაც სწრაფად რაც იქ ეწერა ყველა აასრულა და გაისტუმრა.“

## აქ ესენი ამ მომავლობაში დაუტეოთ და ბურჯ-ვეზირის მეჯლისის ამბავი მოიხსენიეთ.

ბურჯ-ვეზირმა რომ ჯადოები მოიწვია დიდი მეჯლისი გამართა რა კარგს ლხინში შევიდნენ, ღვინის დამსხმელს ანიშნა, ბეუშტრიანი ღვინო-

მოატანინა და თვითონ ვითომ საქმისთვის ადგა, ვიდრე ბურჯ-ვეზირი დაჯდებოდა ჯალდოებმა ორ სამ რიგათ კარგა დალიეს, ასე რომ თითომ თითო თუნგი გაათავა. რა ბეუშტარი თავში ეწვიათ ერთი აქეთ გადავარდა მეორე იქით, ამ ჯალდოების მსახურნიც მეორე კარავში ისხდნენ, იმათაც ის ღვინო ასვეს, ისინიც იქ დაეყარნენ, რა მსახურნიც უგონოდ დაეყარნენ, მაშინვე შევიდა გარდანქეშანს და იმის შაგირდებს ხელები აუხსნა, მოვიდნენ ეს ორი ჯალდო მაგრად შეჰკრეს, რა ვეზირმა ჯალდონი შეკრული ნახა ღმერთს მადლობა შესწირა, თავისი ტანისამოსი გაიხადა მივიდა და ერთს ჯალდოს მსახურს თავი მოსჭრა თავის ტანისამოსი მას ჩააცვა, ორთავე ჯალდოთ ტანისამოსი გახადა, მიიტანა და ორს ჯალდოთ მსახურს ჩააცვა, იმათაც თავები მოსჭრა და სამივეს თავები თოფრაში ჩაყარა, მეოთხესაც ხანჯალი დასცა და მოჰკლა, ამასობაში ასიმიც მოვიდა, ხუთასი ჯორი მოასხა, რომელნიც თითო ჯორი თითო ფალევანს ეჭირათ, ვინც ჰკითხავდნენ ესე ეუბნებოდნენ, ბურჯ-ვეზირისაო, ამ ოსტატობით მოვიდნენ, ბურჯ-ვეზირმა მაშინვე ხაზინასთან მიასხა და მსწრაფად ხუთას ჯორს აჰკიდეს, ერთ ჯორსაც საპალნესავით სეილან და ქეილან ჯალდოები ტომრით აჰკიდეს, ბურჯ-ვეზირმა გარდანქეშანს ერთი წიგნი დააწერინა მიიტანა და რომელ მსახურსაც თავისი ტანისამოსი ჩააცვა იმის თავქვეშ დადო წიგნში ესე ეწერა:

„ჰეი როვშან-ბახტო, ამით იცან ჩვენი საბაოთ ღმერთი რომ თქვენ რაჯაბ ღმერთზე ძლიერია და ამ პურმარილის მგმობელს ბურჯ-ვეზირსაც აი რა უყო, ახლა უფრო კარგ ციხეს აგიშენებსთ, შენც მზათ იყავ, ჯიმშუდიც, აყიყ და ხურშუდიც. რადგან ჩვენმა ღმერთმა აქედამ დამიხსნა და ჯალდოებიც ხელში ჩამიგდო, თქვენც კი ერთ ღამეს მოელოდებოდეთ რომ ამ ყოფაში ჩაგაგდოთ. მე ვარ გარდანქეშან აიარი რომელიც ესე საქმე შევიძელ და ეს წერილი თავმოჭრილი ვეზირის ქვეშ დავდე“.

რას იცნობდნენ ისინი იმ თავმოჭრილს რომელსაც ბურჯ-ვეზირის ტანისამოსი ეცვა, თუ ვეზირი არ არის. რა ესე გაარიგეს, იქიდამ გამოვიდნენ სიჩქარით და მხოლოდ ორემი კი იქ გაუშვეს, რა ყარაულებთან მოვიდნენ თორმეტნი ყარაულნი იყვნენ როვშან-ბახტისა, დაუძახეს ვინა ხართო, ან ეგ შეურიღობა რა ამბავია და ან სად მიხვალთო? ბურჯ-ვეზირმა დაუძახა:—მე ვარ ბურჯ-ვეზირი, სახელმწიფო საქმეზე მივალო, რა ყარაულთა ბურჯ-ვეზირის სახელი გაიგეს და ხმაც იცნეს მივიდნენ თაყვანი სცეს დიდის მოწიწებით;—ბურჯ-ვეზირს ადრევე დარიგებული ჰყვანდა თავის ფალევნები რომ, ნება-უნებლიეთ უნდა დაეხოცათ ბოლოს ყარაულები რომ იმათ არ გაემხილებიათ როვშან-ბახტთან ბურჯ-ვეზი-

რის ოინები, მაშინვე დახოცეს თორმეტივე და ისე გაიარეს, იარეს და ციხის კარს მიადგნენ, კარის კაცებმა დაუძახეს: ვინა ხართ?! ბურჯ-ვეზირმა დაუძახა მე ვარ ბურჯ-ვეზირი, რა კარის კაცებმა მათი მოსვლა სცნეს, სიხარულით კარი გაუღეს და იხილეს ბურჯ-ვეზირი, გარდანქეშანი, ასიმი და მათი ათი შეგირდი წინ მოუძღოდნენ, მათ უკანაც ხუთასი ფალევანს, ხუთასი ჯორი ზანდუკებით დატვირთული ხელთ ეპყრათ და მოჰყვანდათ. მაშინვე კარის კაცები გაიქცნენ ნარიმანს თაყვანი სცეს და მოახსენეს, ბურჯ-ვეზირი, გარდანქეშანი და ასიმი გიახლნენო.

ნარიმანმა რომ შეიტყო მათი მოსვლა, მაშინვე მახარობლებს ხალათები უბოძა და თვითონ ქვევითად წინ მიეგება, რა ერთმანერთი დაინახეს ბურჯ-ვეზირი გაექანა და ნარიმანის კალთის კოცნას ლამობდა, ნარიმანმა არ გაუშვა და პირზე აკოცა, ერთ ჟამამდე ერთმანეთს ეხვეოდნენ, მერმე ნარიმანმა უთხრა ბურჯ-ვეზირს, ასე მგონია დღეს დაიბადე შენ ჩემთვის, მადლობა ღმერთს რომ მშვიდობით გიხილეთ. შემდეგ ბურჯ-ვეზირს ხელი დაუჭირა, მობრუნდა, გარდანქეშანს და ასიმს მიესალმა და ტკბილის საუბრით სასახლისაკენ წავიდნენ. იმ დროს ყველანი მოსვენებაში იყვნენ. ბურჯ-ვეზირმა მოახსენა: ხელმწიფევ ლაპარაკი და საუბარი ბევრი მაქვს მაგრამ ახლა დრო არა მაქვს ერთი ეს ხაზინა მივალაგოთ. ნარიმანმა იმოდენა ხაზინა რომ ნახა დიდათ გაჰკვირდა და მაშინვე ოთხი სარაია აავსეს, იმ ხუთას ფალევნებსაც მრავალი აჩუქეს და გაისტუმრეს. ნარიმანმა ჰკითხა: ბურჯ-ვეზირო, განა ეგ ხუთასი საპალნე სულ ხაზინა? ვეზირმა მოახსენა: ბატონო, როვშან-ბახტის ხაზინა ისე დავგავე რომ ერთი ფლურიც კი არ დავტოვე იმათ თავსახეთქად, ჭაი თუ უჩემოთ გასძნელებოდათ ანგარიში და ცოდვანი იყვნენ, ამაზედ მრავალი იცინეს. შემდეგ ნარიმანმა უთხრა: ვეზირო ამისთანა სიკეთის საბადლო როდის უნდა გადაგიხადო! მერმე ბურჯ-ვეზირმა თავის თავზე გარდასავალი წვრილად მოახსენა, ნარიმანმა რომ ჯადოების მოყვანა შეიტყო, ბურჯ-ვეზირს შუბლს აკოცა. გარდანქეშანმა მოახსენა: ვეზირო, როვშან-ბახტის მამაზე მეც მრავალი ამაგი მაქვს, ჩემთვის ხომ არაფერი გამოუტანებია? ვეზირმა უთხრა: გარდანქეშანო შენთან ბოდიშს იხდის რადგანაც ამ ხანობით ძლიერ ქესატად იყო. ამისთანა საუბრებით და ოხუნჯობით სასახლეში შევიდნენ, ის ორნი ჯადონიც ტომრებში ეყარნენ, მოიყვანეს და ერთ მაგარ ოთახში შეინახეს, ამ ლაპარაკში გათენდა კიდეც.

რა დილა გათენდა და ქვეყნის დამამშვენებელმა მზემ თავი ამოჰყო და თავის ბრწყინვალე სხივები ქვეყანას მოჰფინა, მაშინ ციხეში ხმა გავრცელდა რომ ბურჯ-ვეზირი მოსულაო და ჯადონიც მოუყვანიაო, დიდნი

და პატარანი მათ სანახავათ მორბოდნენ, სადაც ირმად გარდაქცეული უშანგი იყო, ყოვლიბანიც იქ იყო ერთ დიდ სასახლეში, მაშინ ყოველნი დიდებულნი იქ შეიყარნენ. ნარიმანი, ბურჯ-ვეზირი, გარდანქეშანი და ასიმი უშანგთან შევიდნენ, რა დიდებულთა ბურჯ-ვეზირი დაინახეს, ყველანი ფეხზე წამოუდგნენ, თაყვანი სცეს და ერთმანერთი ტკბილად მოიკითხეს, რა ვეზირმა პირდაპირ შეხედა, ნახა რომ ტახტზე ერთი ირემი წევს ძვირფასის ზარ-დიბით შემკული და თვალებიდამ წყაროსავებრ ცრემლები ზდის და შვიდკეცი რქა თავზე აბია, მაშინვე უნდოდა მისულიყო და თაყვანი ეცა, მაგრამ ირემმა რომ ვეზირი დაინახა, მაშინვე ტახტიდამ ძირს ჩამოხტა და ბურჯ-ვეზირს ფეხქვეშ ჩაუვარდა, რა ბურჯ-ვეზირმა უშანგისაგან ამისთანა საქმე იხილა, ღმერთ მადლობა შესწირა და თქვა, კაცს გუნებაში ამპარტავნობა სრულებით არ უნდა შეუშვიდეს. მაშინ ყველამ ნახეს რომ შვიდთა იყლიმთა მპყრობელი, თავის მონას ფეხქვეშ ჩაუვარდა და ეხვეწება, მაშინ ბურჯ-ვეზირი ირემს ფეხთ-მოეხვია და მოახსენა: ხელმწიფევ ერთი ჟამიც არ გაივლის რომ გაგანთავისუფლებ მაგ განსაცდელს, მიიყვანა დიდის ალერსით და პატივის ცემით და ტახტზე დააწვინა. იქიდამ ყოვლიბანთან მივიდა ხელს აკოცა და მოახსენა: ხელმწიფევ, მე გახლავარ ბურჯ-ვეზირი, მიხარებია თქვენთვის რომ ის ორნი ჯადონი რომელთაც თქვენ თვალის სინათლე მოგკლეთ ხელში მყავს თავის ხაზინით. ყოვლიბანმა ბურჯ-ვეზირის ხმა რომ გაიგონა, მისწვდა მოეხვია და პირს აკოცა, უთხრა ვეზირო, მადლობა ღმერთს რომ თქვენ იქიდამ მშვიდობით და უვნებლივ მორჩომილხართ და თუ ჩემი თავი გიყვარს ის სეილან-ჯადო ჩემ ხელშა უნდა მომცე რომ ჩემი დამწვარი გული გავიგრილო, ბურჯ-ვეზირმა მოახსენა: ხელმწიფევ, როგორც გნებავდეს ისე აღასრულე, მე ახლავ წავალ იმ ორივე ჯადოებს თქვენ წინაშე მოვიყვან. მაშინვე გამოვიდა და გარდანქეშანი, ასიმი და სხვა აიარნი თან წაიყვანა რომელ სასახლეშიაც ის ტომრები დაეწყოთ იქ მივიდნენ და ჯადონი გამოიყვანეს, სადა უშანგი ბრძანდებოდა ირმად ნაქცევი იქ მოიყვანეს.

ბურჯ-ვეზირი რომ ჯადოთ მოსაყვანად წავიდა, დიდებულთა სთქვეს მართალია ქვეყანაზე გარდანქეშანია ნაქები აიარობით მაგრამ ვეზირიც ამაზე მცირე შაგირდი არა ყოფილა. ამ განზრახვაში რომ იყვნენ ბურჯ-ვეზირი შემოვიდა, უკან ორი აიარი მოზდევდა და მათ ზურგზე რაღაც ეკიდათ, მოვიდნენ და ტომრები შუაზე დაყარეს, ბურჯ-ვეზირი მივიდა ტომრებიდამ ორივე ჯადონი ამოასხა და ბრძანა, ორი დიდი მინა მოიტანეთო, მაშინვე მოართვეს. ბურჯ-ვეზირმა ჯადონი გონებას მოიყვანა, მათ რომ თვალი ახილეს და თავიანთ თავი შეკრულად იგრძნეს ბურჯ-

ვეზირს დაბრალეს და ჰკითხეს, ბურჯ-ვეზირო ეს რა ამბავია ჩვენ თავს,
ან სადა ვართ? ვეზირმა უთხრა: ღმერთმა ნუ იცის თქვენი თავი, წუხელის
თქვენ იმდენი დალიეთ და მეც იმდენი დამალევინეთ რომ დამეძინა და
რა გამომეღვიძა, ჩემი თავი აქ ვიხილე. ჯალდოებმა მიუგეს, ვეზირო ხომ
გიცანით რა ბერი მელია გდებულხარ და მელიურათაც მოგვიხერხე. მაგ-
რამ ჩვენ უგუნურ ხელმწიფეს რა უთხრათ რომ შენ ცოცხალი გაგიშო
აქნომამდე, ვეზირმა უპასუხა: თქვენმა მზემ ჩემგნით არ არის ეს საქმე
აი ამდენი ხალხის ცოდვა გეკითხათ და ჩვენმა დამბადებელმა ღმერთმა
თქვენ არ გიყაბულათ. მაშინვე მივიდა და სეილან-ჯალდოს ხელი დაუჭირა
ისმიაზამის თქმით და ყოვლიბანს ხელში მისცა. რა უშანგმა ჯალდო დაი-
ნახა მაშინვე გაჯავრებული ტახტიდამ ძირს ჩამოხტა და ქელან-ჯალდოს
შემოუტია, ასეთი რქა შემოჰკრა რომ შვიდი რქის წვერებით შუა გააპო
და მისი სისხლით რქები შეიღება, ცოტა ხანმა რომ გაიარა, უშანგისა-
გან ერთი დიდი კვამლი ავარდა, ისე რომ სასახლე დაბნელდა, რა კვამლი
გადასწყდა ნახეს რომ უშანგ-შაჰა თავის სახედ შექმნილა და სახელმწიფო
ყოველი დიდება ზედა აქვს და შვიდ კუთხიანი თაჯი თავს ეხურა და გა-
შტერებულივით იდგა, ფერი ისე შესცვლოდა რომ მკვდრის ფერი ედ-
ვა და ისე დასუსტებულიყო რომ ძლივს იძროდა. მაშინ ყველანი წინ მი-
ვიდნენ ფეხთ მოეხვივნენ და ღმერთს მადლობასა სწირავდნენ.

რა ყოვლიბანს სეილან-ჯალდო ხელთ მისცეს მაშინვე ერთი ხელით
მხრები დაუჭირა, მეორე ხელით ყელში ჩაუგდო ხელი, გასწია და ფრინ-
ველსავით თავი მოგლიჯა, მაშინვე ერთი მუჭა სისხლი აიღო და თვალებ-
ზე წაისვ-წამოისვა, მათ ორივ ჯალდოების სისხლით მინები აავსეს, რა ყოვ-
ლიბანმა სეილან-ჯალდოს სისხლი თვალებზე წაისვა, თვალებიდამ ცრემლე-
ბი გადმოედინა, შემდეგ თვალები რომ გაიწმინდა უეცრივ სინათლე მიე-
ცა და ღმერთს მადლობა შესწირა და დიდი სიხარული შეექმნათ. ყოვლი-
ბანი მივიდა და უშანგს გადაეხვია, ორნივე ერთ ჟამამდე ერთმანერთს ეხ-
ვეოდნენ, ასე ეგონათ რომ იმ წამს დაბადებულან, შემდეგ უშანგმა თაჯი
მოიხადა და ბურჯ-ვეზირს დახურა და უთხრა: ბურჯ-ვეზირო, შენ ამ სი-
ბერის ჟამს ისეთი სიკეთე მიყავ რომ თაჯის ღირსი ხარო. ბურჯ-ვეზირ-
მა თაჯი აიხადა ისევ უშანგს დახურა და მოახსენა: მე თქვენი უკანასკნე-
ლი მონა გახლავარ, თქვენ რამდენჯერ მე სიკვდილიდამ დამიხსენით და
ახლა თქვენ ღმერთმა გიშველათ, თორემ მე რა ძალა მაქვს. რა ამ საუ-
ბარს მორჩნენ, გარდანქეშანმა, ასიმმა და ბურჯ-ვეზირმა, ჯალდოების სი-
სხლი აიღეს, რომელიც მინებით ჰქონდათ და სახიდამ შეცვლილებთან წა-
ვიდნენ და საცა შეცვლილნი იყვნენ იქ შევიდნენ, ყარაულებმა მათ მო-

ახსენეს: შეცვლილნი სხვა ალაგსაც არიანო, მაშინ ბურჯ-ვეზირმა ერთი ფრინველის ბუმბული მოიღო კონსავით შეკრული და მათ იმ ბუმბულით ჯადოთ სისხლი ასხურეს ყოველ შეცვლილს. მათ რომ ჯადოთ სისხლი მოჰკდათ ყოველნი თავიანთ სახედ შეიცვალნენ. ყველანი მოვიდნენ და ბურჯ-ვეზირს, გარდანქეშანს და ასიმს ფეხთ ეხვეოდნენ და მადლობდნენ, ახლა სხვა სახიდამ შეცვლილებთან წავიდნენ, იქაც ისე მოიქცნენ, რაღა გავაგრძელოთ, სადა შეცვლილნი იყვნენ ყოველგან იარეს და ყველანი თავის სახედ აქციეს, ყველანი რომ თავის სახედ იქცნენ მოდიოდნენ რიგ-რიგზე და ვეზირს, გარდანქეშანს და ასიმს თავს უკრავდნენ და დიდათ მადლობდნენ—ჰკითხავდნენ უშანგი და ყოვლიბანი სად არიანო რომ მათაც გამოვეცხადოთ და თაყვანი ვცეთო, მაშინვე წინ გამოუძღვნენ და უშანგთან და ყოვლიბანთან მოასხეს: იმოდენა იყვნენ სახიდამ შეცვლილნი რომ სამი დღე ძლივას მოიცალეს თაყვანის ცემისაგან. ციხეშიც ასეთი სიხარული შეექმნათ რომ ოთხსავ კუთხივ ბურჯ-ვეზირზე სამხიარულო ნაღარას უკრავდნენ და მხიარულობდნენ ყოველნი.

## ესენი ამ მხიარულებაში დაუტეოთ და გარეთ როვშან-ბახტის ამბავი მოიხსენიეთ,

რა მეორე დილა გათენდა, ყოველნი დიდებულნი, ხელმწიფენი და ხოსროვ-ჰინდი ხელმწიფესთან შეიყარნენ და რჩევა დაიწყეს, ლაშქარიც საძირკველსა სთხრიდნენ ციხისთვის, ამ რჩევაში როვშან-ბახტმა ბრძანა, ეს რისაგან არის რომ დღეს არც ბურჯ-ვეზირი მოვიდა და არც ჯადონი? წადით დაუძახეთ რომ მოვიდნენ მალე, მაშინვე ბურჯ-ვეზირის კარავში მივიდნენ, ნახეს ბურჯ-ვეზირი თავ მოჭრილი გდია, არც ჰურობილნი და არცარავინ არიან კარავში, მაშინვე გამობრუნდნენ და როვშან-ბახტს ესეთი ამბავი მოახსენეს. როვშან-ბახტმა რომ ესეთი ამბავი გაიგო, თავს ზარი დაეცა, მაშინვე ადგა და წავიდნენ, თვითონ სამნი ხელმწიფენი, ხოსროვ-ჰინდი და დიდებულნი თან გაიყოლა და ბურჯ-ვეზირის კარავში შევიდნენ, ნახეს ბურჯ-ვეზირი თავ მოჭრილი გდია, რას იცნობდნენ, ტანისამოსი ბურჯ-ვეზირისა ეცვა და თავი კი არ ება, ესენი სწორეთ დარწმუნდნენ რომ ბურჯ-ვეზირი იყო, ნახეს მის თავ ქვეშ ერთი ბარათი ძევს და ჰურობილნიც არსად არიან, ეს წერილი მაშინვე გახსნეს და წაიკითხეს ნახეს რომ გარდანქეშანის ნაქმნარია და იმ წერილის ძალით მას დაბრალეს, რაიცოდნენ თუ ვისი ოსტატობაა. რა როვშან-ბახტმა ბურჯ-ვეზირი ამ ყოფით იხილა, როგორც შვილმა მამაზე იტიროს, ისე დაიწყო ტირი-

ლი, ისეთ მოთქმით იტირა რომ ამ სამთა ხელმწიფეთაც ტირილი მოუვიდათ, შემდეგ როვშან-ბახტს შეეხვეწნენ, გეყოფათ ხელმწიფეო, ტრილით რადას უშველითო ბურჯ-ვეზირს ველარ გაასცოცხლებთო. იმ კარვიდამ გამოვიდნენ და მეორეში შევიდნენ, ნახეს ორნი ჯადონი ყელებ დაჭრილნი და ერთი იმათი შაგირდი ხანჯლით მოკლულნი ყრიან, გაშტერდნენ და თქვეს, ესენი აქ რას აკეთებენო!? მაშინვე გაგზავნა დანარჩომი ჯადოთ შაგირდნი დაიბარა, ისინი რომ მოვიდნენ მოახსენეს: ხელმწიფევ წუხელის ვეზირმა ჩვენი ოსტატები დაჰპატიჟა და ისინი ოთხის შაგირდით აქ წამოვიდნენ და ახლა ასე ვხედავთ და სამნი შეგირდნი არ ვიცით რა ქმნილან, უთუოდ იმ ბრმის მოსარჩენად წაუყვანიათო, რა მიმოიხედეს ნახეს ის ირემი იქვე ება გაჰკვირდნენ და სთქვეს ეს ირემი ხომ იმათი ხელმწიფეა და აქ გაუშვიათ! ეტყობა არა სცოდნიათ თუ ეს ვინ არის, მაშინვე გაჯავრებულმა ბრძანა რომ ის ირემი ცეცხლში დაეწოთ, იმ წამსვე საწყალი ირემი ცეცხლში დაწვეს, იმათ ასე ეგონათ რომ უშანგ-ხელმწიფე არისო. მერე როვშან-ბახტმა ბრძანა რომ ერთ კარგ ალაგს ცეცხლი დაეგზნოთ და ბურჯ-ვეზირის გვამი ცეცხლში დაეწვათ, მონათ მაშინვე ბრძანება აღასრულეს და ხელმწიფეებმა და ხოსროვ-ჰინდმა იმ ცეცხლის გარეშემო დაემხვნენ და თაყვანი სცეს.

რა ცეცხლიდამ მოიცალეს, როვშან-ბახტმა ბრძანა: ბურჯ-ვეზირს ხაზინის გასაღებები ნეტა სად ექნება, ერთი სხვა კარგი ხაზინადარი მაინც ვიშოვნოთ რომ ხაზინა იმას მივაბაროთ, მაშინვე ოთხნი დიდებულნი რომელნიც მათნი ერთგულნი იყვნენ ისინი მოიხმეს და ხაზინის ნუხსა და გასაღებები მიაბარეს, ორნი ხელმწიფენი აყიყ, ხურშუდ და ნაზირ-ვეზირნი მივიდნენ სადა ხაზინა ეგულებოდათ, ნახეს რომ არამც თუ ხაზინა, არაფერია შიგ, შემდეგ სთქვეს იქნება ბურჯ-ვეზირს სხვა ალაგს გადუტანია და იქა აქვს შენახულიო. ხურშუდმა უთხრა აყიყს, რას არეულხარ შენც ჩვენთან არ იყავ რომ აქ შევალაგეთ ზანდუკები? ხუთასი რახტიანი წყვილი ზანდუკი იყო, ეს არის საკვირველი რომ რა იქმნა!?—მაშინვე ამბავი მიუვიდა როვშან-ბახტს, რა როვშან-ბახტმა ესე გაიგო, თავზარი დაეცა და არ იცოდა თუ რა ექმნა და დაღონებულმა ბრძანა: რას ამბობთ თუ გინდ ყველანიც აეშვნენ თორმეტნი კაცნი და ხაზინის ალაგიც იცოდნენ რას მოერეოდნენ იმოდენა ხაზინას? თქვე წყეულებო თუ იცოდით რომ იმათ იმისთანა ძლიერი ლაშქარი და აიარები ჰყვანდათ აქ რაღათ მომიყვანეთ, აბა ახლა რა ყუო? სულ დაიარეს ის არე-მარე და ერთი ფულისაც ვერა იპოვესრა და დარჩნენ დაღონებულნი, ამ დაღონებაზე ხოსროვ-ჰინდმა მოახსენა: ხელმწიფენო მაგაზე ნუ სწუხხართ, ის თქვენი ხა-

ზინა და მათი ხაზინაც თქვენ დაგრჩებათ; ამისთვის რომ ამდენ ლაშქარზე ჯერ ვერ გამოდიან, თუ გამოვლენ უფრო კარგი იქნება, ეგება ლაშქარს მე გავყვე უკან და რაკი ციხეში შევყვები მაშინ მე ვიცი როგორც ავიღებ და თუ არ გამოვლენ მაინც თქვენ თქვენის ციხის გაკეთებას ნუ მოეშვებით, ამიტომ რომ იმათ არ იფიქრონ თუ ხაზინისთვის ციხიდამაც ხელი აიღეთ და კიდეც შეშინებულხართ, მეორეც ეს რომ თქვენი ლაშქრის თვალიც გატყდება, ვიდრე ჩვენი მომავალი ლაშქარი და ჯადონიც მოგვესწრებიან, ისინიც ბევრ ხანს ვერ გასძლებენ ციხეში და გარეთ გამოვლენ და მერე ჩვენ ვიცით. ესეთი რჩევა ყველას მოეწონათ და მაშინ ლაშქარს ციხის გაკეთება უბრძანეს, მაშინვე ციხის შენობას ხელი მიჰყვე.

## ესენი ამ შენობაში და შეწუხებაში დაუტეოთ და ისევ ნარამანის ამბავი მოიხსენიეთ.

ციხეში ყველანი მხიარულებაში იყვნენ მაგრამ უშანგი არაოდეს არ მოილხენდა, როდესაც მოახსენებდნენ, ხელმწიფევ მოილხინეთო, უშანგი პასუხად მიუგებდა, ძმაო ჩემ პირზე ღიმი აღარ მოდის, ვგონებ ჩემი სიკვდილი მოახლოებულა. ბურჯ-ვეზირმა ნარიმანს მოახსენა: ხელმწიფეო, რას იტყვით ახლა ლაშქარს ხომ ჯადოს ფიქრი აღარა აქვს, გავიდეთ და ვიბრძოლოთ, ან ერთი ათიოდ დღე ლაშქარმა მოისვენოს, მეორეც ესა რომ იმათი ხაზინა და ლაშქარი დაიბარეს ის ხაზინაც მოუვიდეთ და მას უკან ერთს ღამეს მიუხდეთ და ღვთის მადლით ასე დავხოცოთ რომ ერთიც ცოცხალი არ დავტოვოთ, მესამეც ესა რომ წუხელის რამლში ჩავხედე, ჩვენი ძნელი დღე გაადვილებულა და ჩვენ მხრიდამაც ორი გზით ლაშქარი მოგვდის, ერთი ლაშქარი უფრო მალე მოვა; ამისთვის უფრო მოგახსენებთ რომ ლაშქარიც დაისვენებს და საქმეც კარგა წაგვივა და სხიდამაც შეცვლილნი ცოტად ჯანზე მოვლენ და ის წარმავალი უბედური დღეც დაავიწყდებათ. ამის რჩევაზე ხელმწიფეებმა უთხრეს, ბურჯ-ვეზირო შენი რჩევა ცუდი არ იქნება, რომელიც შენ ისეთი საქმე გვიყავ რომ მეორეთ მოსვლამდის შენი სახელი იხსენება. შემდეგ უშანგმა ბრძანა, მე ვიდრე ცოცხალი ვარ შენს სიკეთეს არ დავივიწყებ, „უშანგბათის სიახლოვეს ერთი ქალაქი ჰქონდა თავის ორმოცი სოფლით, იმის რაყამი (სიგელი) დააწერინა თითონვე დაბეჭდა და ბურჯ-ვეზირს მისცა და უბრძანა: ბურჯ-ვეზირო ეს ქალაქი თავის სოფლებით შენთვის მომიცია საშვილისშვილოთ“.

ვეზირმა რომ უშანგისაგან ამისთანა წყალობა მიიღო, მივიდა კალთას აკოცა და მოახსენა: ჰეი შარიელო, ქვეყანაზე ღვთით და თქვენის

სიცოცხლით მე თქვენი წყალობა არა მაკლიარა, თქვენი დღეგრძელობის მეტი, დიდათ თაყვანი სცა და თავის ადგილს დაჯდა.

შემდეგ ყოვლიბანმა ბრძანა: ბურჯ-ვეზირო, მე რითით უნდა გაგაკვირვო, ან რით გარდავიხადო შენი ეგ ამაგი!? ამანაც ერთი რაყამი დაწერინა, დაბეჭდა და ბურჯ-ვეზირს მისცა და უთხრა: ვეზირო ვიდრე ჩემი გვარი ჩემს საბრძანებელში ხელმწიფედ იჯდეს, წელიწადში შენ და შენს გვარს ხუთი ათასი თუმნიანი ოქრო მიეცემოდეს უკლებრივ. ბურჯ-ვეზირი წინ წარსდგა თავი მდაბლად დაუკრა, რაყამი გამოართო მუხლს აკოცა და მოახსენა: „ხელმწიფევ მეც თქვენი გახლავარ და ჩემი თავიც თქვენი ჭირის სანაცვლოდ შეიქმნას, თქვენ ყმაზე და მონაზედ რათ გინდათ მაგოდენა წყალობა, არაფერი არ მაკლია ღვთისა და თქვენი წყალობა, ვიდრე ცოცხალი ვიქნები ამ თქვენგან ნაწყალობევ ფულს, სულის საქმეზედ დავხარჯავ და სიკვდილის დროს დავხევ ამ რაყამს (სიგელს) რომ ჩემს უკან საგინებელი არ გაუშო. ბურჯ-ვეზირმა ისეთი სახელი დაიგდო იმ ლაშქარში რომ ყოველნი ბურჯ-ვეზირის მზეს ჰფიცულობდნენ.

ამის შემდეგ ორი დღე გავიდა, ერთ დღეს უშანგ-შაჰა, ყოვლიბანი, ნარიმანი, ბურჯ-ვეზირი, გარდანქეშანი და სხვანი ყოველნი დიდებულნი ციხეში დავიდოდნენ, ერთ ბურჯს შედგნენ და იქიდამ გადმოხედეს ნახეს რომ გარეთ ცოტა მოშორებით საძირკველი მოუთხრიათ და ციხეს აშენებენ, რა ბურჯ ვეზირმა ესე დაინახა, სიცილი დაიწყო და ხელმწიფეებმა ჰკითხეს, ვეზირო რას იცინი? მან მოახსენა: ერთი რამ მომაგონდა იქაური, მე ასე ვხედავ, ვითომ იმოდენა ხაზინის დაკარგვა არაფრად ჩაუგდიათ და კიდევ ციხეს აშენებენ, მაგრამ მე ასე ვიცი ყოველი რომ იქაურები სრულიად მკვდრებივით იქნებიან და რაღათ უნდათ ციხე!?. .

გარდანქეშანი წარმოსდგა და ნარიმანს მოახსენა: ხელმწიფევ და სააბყირანის ძეო, თქვენ უნდა მადლობელი იყოთ რომ უზრუნველად ციხეს გიშენებენ, თქვენ ათი წელიწადიც არის გინდოდათ ციხის გაკეთება მაგრამ ვერ მოიცალეთ, ნახე შენ ბედს რომ ორი წლის სავლიდამ მოსულან და თქვენთვის როგორ ერთგულად მუშაობენ და ხელმწიფეებიც ზედამხედველებად გყავსთ, ახლა ვალი გაქვს რომ ოსტატებისთვის ფეშქაშები გაგზავნო. ნარიმანმა უთხრა გარდანქეშანო, ვაი თუ ოსტატებმა ფეშქაშები არ მოინდომონ და სასოსტატო ბევრი მთხოვონ? იქიდამ ბურჯ-ვეზირმა მოახსენა: ხელმწიფევ, მე ეგრე უბრალოდ საქმე როდის დამიჭერია რომ ოსტატებმა ბევრი გამოგართვონ, მე შერიგებული ვარ ისე, თუ კარგა გააკეთებენ, მაშინ თავიანთ მანათ ღმერთს ცეცხლს ჩავაბარებ და თუ ავად გააკეთებენ ხელებს ძირში დავჭრი, ამ პირობით მიკეთებენ, ბეც მომცეს

ორი ჯალდო და მითხრეს, გეზიროვო, თუ ცუდათ გავაკეთოთ მაგ ორ ჯალდოს სთხოვეთ ჩვენი თავიო, ამაზე ბევრი იცინეს.

იქიდამ გამობრუნდნენ და ლხინს შეექცნენ. ექვსმა დღემ რომ განვლო კარის კაცებიდამ ორნი მოვიდნენ, ნარიმანს და უშანგ თაყვანი სცეს და მოახსენეს: კარზე ათი კაცი გხლებიათ ცხენოსანნი და ამბობენ ყათრანისა და ხოსროვშირის კაცები ვართო, უშანგთან და ნარიმანთან ვისწრაფითო, ჩვენ უთქვენ ბძანებოთ არ შემოუშვით. რა უშანგმა ესე მოისმინა, ბრძანა: სწორედ ხოსროვშირისა და ყათრანისა იქნებიანო, ბურჯვეზირიც თავის რამლის ძალით დაემოწმა და მაშინვე შემოშვება უბრძანა: მაშინვე შემოუშვეს და უშანგთან მიიყვანეს. რა ის ათნი კაცნი ხელმწიფესთან შევიდნენ, სამ ხელმწიფესვე თაყვანი სცეს, უშანგ-შაჰმა მაშინვე იცნა რომ ხოსროვშარისა და ყათრანისა იყვნერ. იმ კაცემა მაშინვე თავიანთ ხელმწიფეების წერილი ამოიღეს და მიართვეს, უშანგმა გახსნა და წაიკითხა ესე ეწერა:

პირველად ღვთის სახელი, მერე ნარიმანთან მოკითხვა: „ნარიმან ქაბულის ხელმწიფევ, თუ მოიხსენებთ ვიცით, შვილის იულიმის მპყრობელი უშანგი მანდ მობრძანდებოდა, ჩვენც ხოსროვშირი და თქვენი ბიძის ძე ყათრანი გიახლებით რვა ასი ათასის კაცით, ოთხი დღის სავალზე ჩამოვხდით და თქვენ ბრძანებას ველით როგორც გვიბრძანებთ ისე აღვასრულებთ“.

რა ესე წაიკითხეს პასუხათ მისწერეს:—„თუ მოიხსენიებთ უშანგიც და ყოვლიბან შარვანიც აქ ბრძანდებიან, ჩვენც თადარიგში ვართ ამ წიგნის თარიღიდამ ხუთი დღის უკან ომი იქნება“.

ესე რომ დაწერეს, კაცებს ხალათები მისცეს და გაისტუმრეს ის კაცები უცხო ფალევნები იყვნენ, ოთხი დღის სავალი ორ დღეზე გაიარეს და თავიანთ ლაშქარში მივიდნენ, ხელმწიფეებს ნარიმანის წერილი მიართვეს, რა ხოსროვშარმა და ყათრანმა ნარიმანის წერილი მიიღეს ძლიერ გაიხარეს და მაშინვე ორნივ ვეშაპის მზგავსნი ფალევანნი თავით ფეხამდე ფოლადით შეიჭურვნენ და სამოცდა სამის იარაღით შეიკაზმნენ მხეცებზე ამხედრდნენ და ლაშქარს აყრა უბრძანეს, თითონ წინ გამოუძღვნენ და ქაბულისაკენ წამოვიდნენ, მათ უკან რვა ასი ბუკის მკვრელნი უკან მოსდევდნენ და თხუთმეტი ათასი გამოჩენილნი ფალევანნი, რვა ასი დროშა ეპყრათ ხელთა, მას უკან ლაშქარი მოსდევდნენ წესისამებრ, ისე გაწყობილად მოდიოდნენ რომ მტერსაც კი იამებოდა, როვშან-ბახტის ყარაულთა რომ ნახეს, მაშინვე სთქვეს როვშან-ბახტის დაბარებული ლაშქარი იქნებაო, მაშინვე ორი ყარაულთაგანი გამოიქცნენ მახარობლად როვშან-ბახტთან და თაყვანი სცეს, მოახსენეს: ხელმწიფევ თქვენი დაბარებული

ლაშქარი გიახლებათო, რა როშან-ბახტმა და სამთა ხელმწიფეთა, ესე გაიგონეს, სიხარულით არ იცოდნენ თუ რა ექმნათ, მაშინვე წინ მიგებება უბრძანა, სამნი ხელმწიფენი, ხოსროვ-ჭინდელი და რამდენიმე დიდებულები, ათასის კაცით წინ მიეგებნენ, თვითონ როშან-ბახტიც მხეცს ამხედრდა და მათკენ გაემართა, ორივ ლაშქარი ერთმანერთს რომ მიუახლოვდნენ ხოსროვშირმა და ყათრანმა ნახეს რომ ოთხი ხელმწიფე ათასის კაცით წინ მიეგებნენ, იმათში შეატყეს რომ ერთი კარგ ფალევანსა ჰგავდა, მაგრამ ყველანი მშვიდობიანის ნიშნით მოდიან, ხოსროვშირმა ყათრანს უთხრა: ძმაო ეს როგორც ეტყობათ ჩვენ ლაშქარს არა ჰგვანან, თუ ჩვენები არიან ისინი ამ ცოტა ლაშქრით არ გამოვიდოდნენ, თუ უცხო ლაშქარია და მშვიდობიანად რათ მოდიან.

ამ ლაპარაკში კიდეც დაუახლოვდნენ ერთმანერთს, წინა კაცებიდამ ათნი წინ წარუდგნენ, როშან-ბახტმა ნახა რომ უცხო ლაშქარია, მაშინვე ათი კაცი კიდევ გაგზავნა გასაგებად, თავიანთ ლაშქარი იყო თუ ნარიმანისა. ათნი კაცნი წინ მივიდნენ თუ არა დასძახეს ვინა ხართო!? ან საით გაგილაშქრიათო? ესე რომ ჰკითხეს, ხოსროვშირსა და ყათრანს შეხედეს კინაღამ გულები დაუსქდათ, ხოსროვშირმა ყათრანს უთხრა: ეს უცხო ლაშქარი ყოფილა, მოდი ამათგან ცოტა რამ ვინადიროთ, მერე იმ წამოგზავნილ ათ კაცს დაუძახა: ჰეი კაცნო, თქვენ ვინა ხართ, ან ეგ მომავალი მცირე ლაშქარი ვისია? იმ ათმა კაცმა მოახსენეს: დიდ ხელმწიფის რაიაზამის შვილი როშან-ბახტი და სამიც სხვა ხელმწიფენი თავიანთ ურიცხვი ლაშქრით და ის მეხუთეც ხოსროვ-ჭინდია უცხო ფალევანია, ახლა ნარიმან ხელმწიფესთან ომი აქვთ, სამჯერ დაუმარცხებიათ და ახლა ციხეში გამაგრებულან.—ახლა თქვენა ბრძანეთ ვინა ბრძანდებით, ან მაგოდენა ლაშქარი ვისია?

რა ესე გაიგეს ხოსროვშირს და ყათრანს, ზურგის ბეწვები ჯაგარივით აეშალათ და ხოსროვშირმა უთხრა; ბატონებო თუ ღმერთი გწამთ ნარიმანის მხრისანი გახლავართ და გზა გვიყავთ რომ გავიაროთო ამ საუბარში ერთმანერთს მიუახლოვდნენ, რა როშან-ბახტმა ხოსროვშირის სიტყვები გაიგო უთხრა: ნახეთ რა მალე შეშინდნენო, იმ ათ კაცს უბრძანა მიდით იმათ მხეცები და იარაღები გამოართვით და გზა ისე მიეცითო, მაშინვე ორი კაცი წინ წადგა და ხოსროვშირს და ყათრანს უთხრეს: თუ გზა გინდათ მოგცეთ, მხეცებიდამ ძირს ჩამოდით, იარაღები მოიხსენით მოგვეცით და მაშინ მოგცემთ გზას,—მათ დაუძახეს მოდით წაიყვანეთ მხეცებიო, ორნივე მხეცებიდამ ჩამოხტნენ და დაუძახეს მოდით ჯილავში მოჰკიდეთ ხელიო რომ იარაღიც მოვიხსნათო, რა ის ორნი ახ-

ღოს მივიდნენ, ერთი ხოსროვშირმა დაიჭირა, მეორე ყათრანმა და ფრინველივით თითო ხელში დაიჭირეს და ორნივ ისე შეახტნენ მხეცებს ისე რომ ორორი მწყრთა მაღლა შეფრინდნენ, ორივემ ნარა გასწიეს და როვშან-ბახტს შეუტიეს, რა სამთა ხელმწიფეთა ხოსროვშირი და ყათრანი ნახეს მათ ძალას ადრევე იცნობდნენ და მაშინვე სადავე გაიბრუნეს, რა როვშან-ბახტმა მათი გაქცევა ნახა თვითონაც პირი იბრუნა გასაქცევათ, მაშინ ხოსროვ-ჰინდი წინ იდგა, რა მან ის კაცები ისე იხილა თავისი მძიმე ლახტი გამოიღო და ხოსროვშირს შეუტია, რა ხოსროვშირმა მისი შემოტევა ნახა, რომელი კაციც ხელში ეჭირა ის კაცი ხოსროვ-ჰინდს შესტყორცა და თავს ისე მოახვედრა რომ ხოსროვ-ჰინდისთანა ფალევანი მხეციდამ გადმოვარდა და უცნობო შეიქმნა, ხოსროვშირს უნდოდა ლახტი გამოეღო და დაეკრა, მაგრამ იფიქრა რას იტყვიან ხოსროვშირმა ხოსროვ-ჰინდი უცნობო დროს მოჰკლაო, ამისთვის ხელი შეინახა, რა ხოსროვ-ჰინდი ცნობას მოვიდა ფეხზე წამოჰხტა და ხოსროვშირს სარტყელში ხელი ჩაუგდო და უნდოდა მხეციდამ ჩამოეგდო, ხოსროვშირმა ნახა რომ ის ქვევითაა თვითონაც გადმოხტა, იმავ წამს ხოსროვშირის ლალამ თეირდაშტიმ იმის მხეცის ჭილავი დაიჭირა და—რა ეს ორნი ვეშპის მსგავსნი ფალევანნი ერთმანერთს შეხვდნენ, ხოსროვ-ჰინდმა რამდენიც ეცადა რომ ხოსროვშირი აეყვანა ვერა გააწყორა, ადგილიდამაც ვერ დასძრა და მაშინ ხოსროვშირმა ღმერთი ახსენა, აწია თავს შემოივლო და დედამიწას ასე დასცა რომ მისი სახე დედამიწაზე გამოისახა, მაშინვე ბედნიერი ქარქაშიდამ ხმალი ამოიღო და უნდოდა თავი მოეჭრა მაგრამ უწინ ხოსროვ-ჰინდის ქება გაეგონა მოაგონდა და შეიწყალა, სთქვა თავის გულში ამისთანა ფალევანი ასე უბრალოდ რომ მოკვდეს შესაბრალია, სჯობს რომ შევკრა და ფალევნებს მივაბარო, მაშინვე ხმალი ქარქაშში შეაქცია თავისი მოკლე ქამანდით ხელები მაგრა შეუკრა და თავის ლალას თეირდაშტს მიაბარა და უბრძანა: ეგ კარგა ფრთხილად შეინახეო. ვიდრე ხოსროვშირი და ხოსროვ-ჰინდი იმ ომში იყვნენ, ის ოთხნივე ხელმწიფენი გაიქცნენ და ლაშქარი კი იქ გაუშვეს, ყათრანმაც იმ ლაშქარს შეუტია,—იმათ ყათრანი მცირე ვინმე ეგონათ, წინ წარმოსდგნენ და მისი ომი უნდოდათ. ყათრანმა იარაღი არ იხმარა, მათგან ერთ კაცს დაავლო ხელი და შესტყორცნა მათვე, ის კაცი ორს მოხვდა და ორნივე ჩამოცვივდნენ ცხენებიდამ, მერე თავის მძიმე ლახტი გამოიღო და ერთი საშინლად შესძახა და შეუტია, უკანიდამაც ყათრანს ოცდა ათი ათასი გამორჩეული ფალევანნი მოუშველნენ, ყათრანი რომელ ფალევანსაც ლახტსა სცემდა მიწასთან ასწორებდა, რომელსაც ხმალსა სცემდა კაცსა და მხეცს შუა ჰკვეთდა, ას

ზანმიაც ხოსროვშირი მეორეს მხრიდამ მოუხტა და ერთ კარგ ფალევანს ასეთი დახტი სცა რომ მისი მტვერიც არ გამოჩნდა.

როვშან-ბახტის ლაშქარმა რომ ესე ნახეს პირი გაიბრუნეს, ხოსროვშირისა და უათრახის ლაშქარი დიდის ყიჟინით და ხოცვით მიჰყვნენ ციხის ახლოს. რა ციხის ლაშქარმა ესე კიჟინის ხმა გაიგეს, სთქვეს უთუოდ როვშან-ბახტისა და უათრანის ლაშქარი შეხვდნენ ერთმანერთს და ომი აქვთ გაცხარებულიო, ახლა გვმართებს რომ ჩვენც გავიდეთ და უშველოთო, მაშინ ყოვლიბანი ლაშქარს წინ გამოუძღვა, ციხის კარი კაალეს და დასტა-დასტად გამოვიდნენ, ასე რომ მტერს თვალი დაუდგებოდა, რა ხოსროვშირმა და უათრანმა თავიანთ ლაშქრით, როვშან-ბახტის დიდ ლაშქრამდინ მიაღწიეს იქიდამ ორმოცმა ათასმა ლაშქარმა შემოუტიეს, ასე რომ უათრანი და ხოსროვშირი მათ ლაშქარში დაიკარგნენ და მათი ლაშქარი გამოიბრუნეს და ციხიდამ გამოსულ ლაშქრამდინ მიზდიეს, რა ყოვლიბანმა და ნარიმანმა იმ ლაშქრის დაბრუნება ნახეს, ორთა ლომთა ერთი ისეთი ნარა გასწიეს რომ ლაშქარი ერთმანერთს ეცნენ და იმ არე-მარემ რყევა დაიწყო და თავიანთ ლაშქრით შეუტიეს, როვშან-ბახტის ლაშქარს პირი აბრუნებინეს და ხოცვით მიჰყვნენ, სადაც უათრანი და ხოსროვშირი ომობდნენ, უათრანმა და ხოსროვშირმა ნახეს რომ ყოველთა უმჯობესნი ვეშაპნი და გმირნი, მტერთა ზარის დამცემნი, ორივეს მკვეთელნი ხმლები ხელთ უჭირავთ და ლაშქარს უწყალოდ ხოცვით მოზდევენ და მალ-მალ ნარას სწევენ. ერთმანერთი რომ დაინახეს ოთხთავეს გული ფოლადათ გადაექცათ, იმ არეულობაში ერთმანერთს გადაეხვივნენ და გამარჯვება უთხრეს:

ამით მნახველ უცხო ლაშქარს ცოტად შვება მიეცათ ვიდრე ისინი ერთმანერთის ნახვით გაძღებოდნენ, ამიტომაც იმათ ცოტა ხნის დგომით თავიანთ თავს უშველეს გაქცევით. რა ესენი ტკბილ საუბარში იყვნენ ხოსროვშირმა ნარიმანს მოახსენა: ამ ომში ერთი უცხო ფალევანი დავიჭირე და ხელ-ფეხ შეკრული ჩვენს ფალევნებს მივაბარე და არ ვიცი რა უყვეს, იმის შენახვა ძალიან მინდოდა, ნარიმანმა მიუგო ის ფალევანი შეკრული ციხეში შევაყვანინე და საპყრობილეში ჩავაგდებინე, ეს სიტყვა ხოსროვშირს დიდათ იამა. ამ ლაპარაკში ყოვლიბანმა უთხრა: ჰეი ძმანო, დადგომის ჟამი არ არის, თუ ღმერთი დროს მოგვცემს, ერთმანერთთან ბევრი საუბარი გვაქვს, მაშინვე ერთმანერთს შეტევა აცნობეს, ამ ოთხთა ლომთა ერთის ხმით საშინელი ნარა გასწიეს, ასე რომ სარანდიბის მთამ ზრიალი დაიწყო და უცხო ლაშქრიდამ მრავალს ომის ღონე აღარა ჰქონდათ, ამ ნარაზე ოთხთა შეუტიეს, ისე როგორც ზღვა ნიანგმა გაანძრიოს

ისე ეს ზღვის ოდენი ლაშქარი ერთმანერთსა ჰკრეს, მეორეს მხრიდამ გურგან-ბელად-ქამანმა, ზოაქ-ნოვჯუზანმა, ხათი-ასთვარელმა, უაჰარ-ჰინდელმა, ზორაბ-ხორასნელმა, მერან-უჯაზელმა და გარდანქეშანმა, რომელნიც რკინას პევით დალეწავდნენ, ორმოცი ათასის ფალევნებით შემოუტიეს და როვშან-ბახტის ტახტამდის მიჰყვნენ და ტახტის წინ მრავალ ფალევნებს თავები დააურევინეს, ისე რომ სისხლის მდინარეს მრავალი მკვდარი მიჰქონდა. ისეთი ომი შეიქმნა რომ მეორეთ მოსვლას ემზგავსებოდა ქვეყანა.

ამ გაცხარებულ ომში რომ იყვნენ, ნახეს აღმოსავლეთის მხრიდამ ერთი დიდი მტვერი ადგა, ასე რომ მზე დაბნელდა და ორთავ ლაშქართა ჭვრეტა დაუწყეს, ნახეს რომ როვშან-ბახტის მხარეს დიდი ლაშქარი გამოჩნდა და თან ათას ხუთასი დროშა ესე დროშანი თხუთმეტი ასი ათასის კაცის ნიშანი იყო. როდესაც როვშან-ბახტმა და სამთა ხელმწიფეთა კაცები გაგზავნეს თავიანთ ქვეყნებში ლაშქრის მოსაკრებად, ეს კაცები ყოვლის საბრძანებელში მივიდნენ და მრავალი ლაშქარი შეკრიბეს, შემდეგ ჯიბილ-ჯალდოს ძმებთან წასულიყვნენ და ჯიბილ-ჯალდოს წვალებით სიკვდილი გამოეცხადებინათ და ეთქვათ ახლაც დიდი ომი აქვთო და ახლა გმართებთ რომ თქვენი ძმის სისხლი აიღოთო. ზორაბ და ჯანგირ-ჯალდომ თავიანთ ძმის სიკვდილი რომ გაიგეს, ერთი ასეთი სახით შეიცვალნენ რომ იქ მისულ კაცებს მრავალს გული გაუსქდათ; ჯალდოებმა დაიძახეს ვაი ძმაო! თუ უბრალოდ ალაგს გაფუჭდი. მაშინვე ზორაბ-ჯალდომ თავის ძმას ჯანგირ-ჯალდოს უთხრა: წავიდეთ ჩვენი ძმის სისხლი ვაზღვევინოთო და ქვეყანა გავაოხროთო, ან ჩვენც ჩვენი ძმის უკან დავიხოცნეთ, ან სისხლი ავიღოთო, ესე თქვეს და რამდონიმე ათასის ჯალდოს ლაშქრით აიყარნენ და წამოვიდნენ, ესენი რომ აქეთ წამოვიდნენ, ხოსროვ-ჰინდის დიდ ძმას თემურ-ჰინდელსაც შეატყობინეს რომ ნარიმანს ომში ერთი ფალევანი ჰყოლია იმას თქვენი ძმისთვის ერთი დაკვრით თავი ხუთ ალაგს გაუხეთქია და ცხენიდამ ჩამოუგდიაო, შეუკრავთ და წაუყვანიათო. ესე რომ შეიტყო თემურ-ჰინდმა ერთი ასეთი შეჰყვირა რომ ცის ქუხილსა ჰგვანდა, ოთხმოცდა ოთხის მწყრთის მქონებელი და უცხო ფალევანი იყო, ისიც ათიათასის გამორჩეულის ფალევნებით ჩქარის სიარულით წამოვიდა, ყველანი ერთად შეიყარნენ გზაზედ და იმ გაჭირვებაში როვშან-ბახტს მოატანეს, იქ რომ მოაღწიეს, ნახეს რომ ერთი ძლიერი ომია ისეთი რომ როვშან-ბახტისა და ამ სამთა ხელმწიფისა მეორედ მოსვლაა, მაშინვე ზორაბ-ჯალდომ და ჯანგირ-ჯალდომ თავიანთ ლაშქარს უბრძანეს, თქვენ ამ ლაშქართ შეუტიეთ და ვინც შემოგხვდეთ შეუღოცეთ და სხვა და სხვა სახეებზედ გარდააქციეთ ლაშქარი. მაშინვე იმათ ლაშქარს შემოუტიეს და თვითონ

ზორაბ და ჯანგირ-ჯადონი, უოვლიბანზე, ნარიმანზე, უათრანზე და ხოსროვშირზე მივიდნენ, თუმურ-ჭინდი თავის ფალევნებით ლაშქარში გაერია და თხუთმეტმა ათასმა ლაშქარმა ამ ლაშქარს შემოუტიეს, კვალად ასეთი ომი შეიქმნა რომ ძმა ძმასა ხოცდა და ამხანაგი ამხანაგს. ამ ჯადოებმა მრავალნი შეცვალეს სახიდამ, გარდანქეშანმა რომ ჯადოების მოსვლა შეიტყო, მაშინვე მივიდა ხოსროვშირთან, ნარიმანთან, უოვლიბანთან და მოახსენა: ხელმწიფენო გაფრთხილდით რომ ჯიბილ-ჯადოს ძმები ჯადოს ლაშქრით მოსულან, ჩვენ ლაშქარს მრავალი ზიანი დამართეს, თქვენ ბრთხილად იყავით და მე სახით შეცვლილებს ციხეში შევასხავ. რა მათ გარდანქეშანისაგან შეიტყეს ჯადოთ მოსვლა, არა მცირედ შესწუხდნენ მაგრამ რა უნდა ექმნათ. გარდანქეშანო შენ სახით შეცვლილებზე მუყაითად იყავ და ჩვენთვის ღმერთია მოწყალე. მაშინვე გარდანქეშანი ისმიაზამის თქმით ნაჯახი ხელთ იპყრა ლაშქარში დავიდოდა მრავალი უცხო კარგი ფალევნები დახოცა და რაც დაბრმავებული ან სახიდამ შეცვლილი შეხვდებოდა, ყველას ციხეში გზავნიდა, რა უშანგის ლაშქარმა ნახეს რომ ჯადოს ლაშქარი მათ მოეშველა და მრავალი ზიანიც დამართეს, თვალთ ძლიერ გაუტუდათ და მაშინვე პირი გაიბრუნეს და ციხეში დენა დაიწყეს. იქ ჰკითხეს ეს რა მოხდა რომ მორბიხართო? მათ მოახსენეს, ხელმწიფევ, როვშან-ბახტს ჯადოს ლაშქარი მოეშველა და ჩვენს ლაშქარს მრავალი ზიანი დამართესო, რა უშანგ-შაჰამ და ბურჯ-ვეზირმა ესე გაიგეს დიდათ შესწუხდნენ, ბურჯ-ვეზირმა მოახსენა: ხელმწიფევ, იმ ოთხისათვის ნურას იფიქრებთ, იმათ ასეთი ნიშნები აქვთ ზედა რომ, ჯადო არ მოეკიდებათ, მაგრამ ეს ლაშქარი კი ცოდვაა, ძალიან შეაწუხებენ, ხომ გახსოვთ ოჰყალიჯადომ მაშინ ჩვენ ლაშქარს რა უყო, სჯობს რომ ახლავე ჩვენც ციხე და ბურჯები გავამაგროთ და ლაშქარს მოუაროთ, უშანგსაც მოეწონა ეს რჩევა, მაშინვე ციხე ყოველ მხარეს გაამაგრეს და ნახეს რომ თავიანთ ლაშქარი დამარცხებულნი მორბიან, ზოგნი ბრმად, ზოგნი მგლად, ზოგნი სხვა მხეცებად და ციხეში შემოდიან, თუნდა სახიდამ შეცვლილნი არიან მაგრამ თავიანთ ჭკუებზე სრულნი არიან, ამათ ერთ სხვა პატარა ციხეში აგროვებდნენ. ნახეს რომ ბოლოს და ბოლოს ძლიერ დამარცხდნენ და პირი ციხისაკენ იბრუნეს და მორბოდნენ, რაც ციხეში შევიდნენ და რაც არა ციხის ქვეშ გამაგრდნენ, მაგრამ ჯადოებისაგან ძალიან ეშინოდათ, იმიტომ რომ მრავალ ზიანს აძლევდნენ; ლაშქარმა რომ პირი გაიბრუნეს გარეთა მტრის ლაშქარიც უკან მიჰყვნენ და ციხეში შესვლა დააპირეს, მაგრამ ციხიდამ წვიმასავით ისარი დაუშინეს მრავალი დახოცეს და ციხის კარებამდის არ მიუშვეს.

## აქ ესენი დაუტეოთ და ხოსროვშირისა, ყოვლიბანისა, ნარიმანისა და ყათრანისა მოიხსენიეთ.

რა როვშან-ბახტმა ნახა რომ ლაშქარი გაბრუნდა და ციხეში შევიდა და მარტო ის ოთხნი დომნი დარჩნენ, მაშინვე ზორაბ-ჯადოს და ჯანგირ-ჯადოს უბრძანა: ჯადონო, ჩვენი საჭირონი ეს ოთხნი არიან, თუ მაგათ ან არ დაჰხოცთ ან არ დაიჭერთ, ჩვენი საქმე გაძნელდება, რაკი მაგათ ერთ რასმეს აუტეხთ მაშინ ციხის აღებაც ადვილია. რა ესე გადაწყვიტეს, ორთავე ჯადოებმა ლაშქარს უბრძანეს, თქვენ ყველამ მაგ ოთხ ფალევანს შეუღოცეთ, ეგები ავნოთ რამე, ან როგორმე დაიჭიროთ და ჩვენ ციხეზე მივალთ ეგები ავიღოთ. შაგირდთა მოახსენეს: ჩვენო ოსტატნო, რაც შელოცვა ვიცოდით სრულიად გავათავეთ და მაგათ ვერა ვავნეთრა, მაგრამ ეგენი კი ვისაც ხელში იგდებენ წიწილასავით თავს ჰგლეჯენ და ჯადოთ ლაშქარს გვესვრიან, ვისაცა ხვდებათ ისინიც იხოცებიან, ჯერ ციხის საქმე გაუშოთ ეგები ესენი დავიჭიროთ და მერე სუყველა ციხეს მივაწყდეთ, ჯადოთაც ესეთი რჩევა მოეწონათ, მაშინვე ბრძანეს და სულერთიანად შეუტიეს ამ ოთხთა დევგმირებს. ამ ოთხთა ნახეს რომ თავიანთ ლაშქარს ჯადოთაგან მრავალი ზიანი დაემართათ თვალი გაუტყდათ და შეშინდნენ, ველარ გაუძლეს და ციხეში შეცვივდნენ, ზოგნი ციხის ქვეშ გამაგრდნენ. რა ესე დაემართათ, ერთმანერთს შესძახეს: „ჰე ძმანო! დღეს არის ჩვენი გაჭირვების წამი, ვახსენოთ ჩვენი საბაოთ ღმერთი, წელი წელს მივცეთ და აღუდგეთ წინ ჩვენ მტრებს, თუმცა ოცდათექვსმეტ ას ათასს მტრის ლაშქარში ვართ და ჯადოთ წყეულების ხელში, იქნება ჩვენ აქედამ ცოცხლებიც ვერ გადავრჩეთ მაგრამ კიდევაც იმედ ნუ დავკარგავთ და დავდგეთ, ვინც უკუ მიიქცეს დიაცი იყოს, მაშინვე ოთხთავე იარაღები მოიმარჯვეს და მზათ დადგნენ“.

რა ორთა ჯადოებმა თავიანთ ლაშქრით და თემურ-ჰინდმა თავის ლახტით მათ იერიში მიიტანეს, ზორაბ-ჯადომ ერთი შეშის ნაჭერი აიღო შეუღოცა და ხოსროვშირს შესტყორცა, მაშინვე ნახეს რომ ის შეშა ერთ საშინელ ვეშპათ გარდაიქცა და ხოსროვშირმა უშიშრათ ხმალს ხელი გაიკრა, ისმიაზამის ძალით მოუქნია და უნდოდა ორად გაეპო, მაგრამ რა ვეშაპმა ხმალი ნახა უჩინო შეიქმნა, მეორე მხრიდამ თემურ-ჰინდმა თავისი საზარელი ლახტი აიღო და ყოვლიბანს შემოუტია, ყოვლიბანმა ღმერთი ახსენა, ქამანდი შესტყორცნა და თემურ-ჰინდს კისერს მოზდო, რა კისერს მოზდო, ყოვლიბანმა ერთი ძალით გამოზიდა და უნდოდა თავის-



ძლიერი ომი ხუთთა გმირთა, ნარიმანისა, ყოვლიბანისა, ხოსროვშირისა, ყათრანისა და გარდანქეშანისა. როვშან-ბახტთან და მის მოწვეულ ჯადოებთან.

თან მოეარია მაგრამ თემურმა ლახტი ხელიდამ გააგდო და მეტის სიფიცხით ქამანდიდამ განთავისუფლდა. რა ჯადოთა, დევთა ლაშქარმა და სხვათა ესე ნახეს, ერთიანად ნარა გასწიეს და შემოუტიეს, ზოგმა ლახტით ზოგმა გურზით, ზოგმა ისრით, დევის ლაშქარმა რკინის კეტებით მიმართეს, რა მათ შემოტევა ნახეს, ოთხთავ ძლიერის ხმით ღვთის სახელი ახსენეს, ისე რომ მრავალ კაცს ჭკუა დაეფანტათ და რაც ხელში იარაღები ჰქონდათ ხელიდამ დაუცვივდათ ამათ ხმაზედ, ოთხთავ ხმლებს ხელი გაიკრეს და იმათ შეუტიეს და მრავალი კაცი დახოცეს, ერთმანერთს არა შორდებოდნენ, საღამომდის საკვირველი ომი გადიხადეს. რა მტერთა ნახეს რომ ვერა დაკლესრა და ჯადოთაც ნახეს რომ რაც ოსტატობა და შელოცვა იცოდნენ ყოველი გაათავეს და მათაც ვერა დააკლესრა, გაეცალნენ—და ეს ოთხნი ამ ზღვის ოდენა ლაშქარში დარჩნენ. რა შეღამდა და საჭმელი არა ჰქონდათ, ერთმანერთს უთხრეს: ამაღამ ჩვენთვის საჭმელს ესენი დაამზადებენ, მაგრამ ხვალღამ კი აღარ გვექმნება ვახშამი, ნარიმანმა უთხრა: ძმანო ჯერ ჩვენ ამაღამისთვის ვიფიქროთ და ხვალაც ღმერთია მოწყალე, აგერ პირდაპირ რომ ბოლი ამოდის, მგონი იქ მეჯლიში უნდა იყოს, იქ ვეწვიოთ სტუმრათ.

მაშინვე ოთხნივ იარაღებით შეიჭურვნენ, ხმლებს ხელი გაიკრეს და იმ ბოლისკენ გაექანნენ, ვინ იყო მათი წინააღმდეგი, მრავალი დახოცეს, მივიდნენ და ნახეს რომ ყოველი საჭმელ-სასმელი მზათ იყო, ოთხს მხარეს შუბები დაურჭეს დასხდნენ და კარგათ შეექცნენ, როდესაც გაძღნენ მოედანს გავიდნენ, ვის შეეძლო მათთან ახლოს მისვლა? სხვა ყოველი გზა შეკრული იყო, მოედანზე ორთა მოსვენებას მიეცნენ და ორთა ყარაულათ დადგნენ, შემდეგ ის ორნი დაწვნენ და მათ ორთა ყარაულობა გასწიეს. რა დილა გათენდა ოთხთავემ ღმერთი ადიდეს, მათ მნახველნი გერპნი მტრის ურდოდამ ერთმანერთს ეკითხებოდნენ, რასა შვრებიანო? ვინც იცოდა უთხრეს, უხილავ ღმერთს ლოცულობენო. ლოცვიდამ რომ მოიცალეს ოთხთავ იარაღები მოიმარჯვეს, მტრის ლაშქარმა რომ მათი მომზადება იხილა, ზორაბ-ჯადოს შეატყობინეს რომ ის ოთხნი ფალევანნი ომისთვის დაემზადნენო, მაშინვე ზორაბ-ჯადო და ჯანქირ-ჯადო, ამ ფალევნებთან წინ წარმოდგნენ და დაუძახეს, ფალევანნო რას აპირებთ? თუ ციხეში შესვლა გსურთ, ვიდრე ფრინველებად არ გარდაიქცევით თქვენ ციხეში ვერ შეხვალთ, ამიტომ რომ გზები ციხლებისაგან შეკრულია და თუ გამიგებთ მოდით და ჩვენ რაჯაი ღმერთს თაყვანი ეცით და ჩვენ ხელმწიფე როშან-ბახტს დაემორჩილეთ და თქვენ ამისაგან მრავალ წყალობას მიიღებთ და ისევ თქვენ ქვეყნებს თქვენვე მოგაცემინებ,—და თუ არ და-

მიჯერებთ ასეთ საქმეს გიზავთ რომ თქვენთვის სიკვდილი სანატრელი იყოს. რა ესეთი სიტყვები გაიგეს ოთხთა, ლომებრ ბრდვინვა დაიწყეს და სახეები ისე შეეცვალათ და განრისხდნენ რომ ჯადოებს გულები წინადამ დაუსქდათ, მათ მოინდომეს რომ ოთხთავ მხარეს შეეტიათ, მაგრამ კიდე შედგნენ და თქვეს, თუ ერთმანერთს გავშორდეთ, საქმე საჭირო გაგვიხდება, მაგრამ კიდე ვერ მოითმინეს და ოთხთავ ერთად ერთ მხარეს შეუტიეს და როგორც მთიბელმა ბალახი სთიბოს ისე სთიბავდნენ იმათ ლაშქარს, მაგრამ არა მცირედ ძალა დაადგათ, ამისთვის რომ ერთ ფალევანზე ასი ათასი ლახტი და გურზი მოდიოდა. ნახევარ ადაჯამდე ხოცვით მიჰყვნენ და ერთ ალაგ შეისვენეს, ზურგი ზურგ მისცეს და ცალი ხელით ხმლები დაიჭირეს და ცალის ხელით ქამანდები. რა ისინი ერთ ალაგ შედგნენ, მათ ხმლების შიშით ვერავინ მიუდგა, რა ჯადოებმა ნახეს რომ ვერას გზით ვერა დააკლესრა, ზორაბ-ჯადომ ჯანგირ-ჯადოს უთხრა: შენ ოცი ათასი დევისა და ჯადოს ლაშქარი ციხისაკენ წაიყვანე და იერიში მიიტანე ციხეზე, ეგები ესენი აქ შეშინდნენ და დავიჭიროთ როგორმე და თუ ციხიდამ ვინმე გამოვიდეს დაიჭირეთო. ისინი ციხეზე გაისტუმრა და თვითონ ასი ათას დევსა და ჯადოს ლაშქარს უბრძანა: ყველამ ქამანდები მოიმარჯვეთო და თემურ-ჰინდსაც უთხრა: შენც შენი ორმოც ალყიანი ქამანდი მოიმარჯვეო.

## აქ ესენი ამ მზადებაში დაუტეოთ და ჯანგირ-ჯადო იმ ციხეზე მიმავლობაში—და აქ ციხის ამბავი მოისმინეთ.

რა უშანგმა ნახა რომ ყოველნი ფალევანნი ციხეში შემოდიან მხოლოდ თავისი თვალის ჩინი, შირვან-შაჰს შვილი ხოსროვშირი, ნარიმანი, ყოვლიბანი და ყათრანი არსად არიან, ძალიან შესწუხდა და ბურჯ-ვეზირს ჰკითხა: მეცნიერო ვეზირო, ჩვენნი მტრის ზარის დამცემნი რომ არსად სჩანან რა ვქმნათო? და დაიწყო ტირილი, ბურჯ-ვეზირმა მოახსენა: ხელმწიფევ, პირველად ესა რომ იმათ ჯადო არ მოეკიდებათ, კულავაც მომიხსენებია, მეორე ესა რომ ისინი იმათის ხელიდამ გაქცევას არ იკადრებენ, ისინი იმათში არიან და ომსა ხდილობენ, ეს კი კაცობა არ არის რომ ისინი მარტო იქ გაგვიშვია. ამ ლაპარაკში სარვიხურამანი და ნარიმანის სატრფო ჭუსნიარა რამდონიმე ათასის გამდლებით უშანგთან და ბურჯ-ვეზირთან მოვიდნენ ტირილით და მოახსენეს, ხელმწიფეო, ადიდოს ღმერთმა ხელმწიფობა თქვენი და გამარჯობა არ მოგაკლოთ საუკუნოდ, ეს რა ღვთის რისხვაა ჩვენ თავს? სად არიან თქვენი ერთგულნი და თქვენთვის

თავგანწირულნი ლომთა ლომნი და გმირთა გმირნი, დღეს მეოთხე დღეა რომ ოთხნი ლომნი არსადა სჩანან არც მათი სიკვდილი ვიცით, არც სიცოცხლე, თუ იცით რამე გვიბრძანეთ რომ ჩვენც წავიდეთ და მათთან დავიხოცნეთ და თუ ცოცხალნი არიან ჩვენც მათთან გავიხაროთ. ესე სთქვეს და ტირილი დაიწყეს, ბურჯ-ვეზირმა მოახსენა მათ: ხათუნნო, ცოტად დაწყნარდით, ყოველი კეთილად შეგეცვლებათ, თქვენ ისე გულდაჯერებული ბრძანდებოდეთ, ქვეყანა ჯადოთ და ჯადოს ლაშქრათ რომ გადიქცეს, იმათ ერთ ბეწვსაც ვერას დააკლებენ, ასეთი ღვთის ნიშნები დამიწერია და იმათ ზედა აქვთ რომ იმათ ახლოს მისვლა არავის შეუძლიან, თუ ამ ჩემ სიტყვებს არ დაიჯერებთ, ციხის ბურჯზე მობრძანდით და იქიდამ გაჩვენებთ, მაშინ ყველანი ბურჯ-ვეზირთან მივიდნენ და იქიდამ დურბინდით ყურება დაუწყეს, ნახეს შუაგულობაში ოთხნი ლომნი ფალევანნი დგანან და მათი ხმლის შიშით ახლოს ვერავინ მიმდგარან, რა ესე ნახეს ცოტად იმედი მიეცათ და უნდოდათ რამდენიმე ათასის ფალევნებით გამოსულიყვნენ და მით ოთხთან მისულიყვნენ, სარვიხურამანს და ჭუსნიარას გულმა ვეღარ გაუძლო და მაშინვე დაიძახეს! ჵეი ხელმწიფენო ეს არის ჩვენ გავდივართ და ვისაც ჩვენი თავი უყვარს ჩვენთან წამოვიდეს. ბურჯ-ვეზირმა რომ მათგან ესეთი სიტყვა გაიგო, ძალიან შესწუხდა, მივიდა ფეხთ მოეხვია და მოახსენა: დედოფალნო ნუ ჩქარობთ, სიჩქარით საქმე უფრო წახდება, მე ჩემს რამლში ვხედავ რომ ხვალ ამ დრომდის იმათ ეშველებათ, თქვენ უბრალოთ თქვენს თავს განსაცდელს მისცემთ, იმდენ ჯადოში და დევის ლაშქარში რას გაარიგებთ, დამიჯერეთ ნუ გაბრძანდებით თორემ ბოლოს ინანებთ, მათ უთხრეს: ვეზირო, ჩვენმა გულმა როგორ გასძლოს რომ ისინი იქ მტრის ურდოში იყვნენ და ჩვენ აქ ვისხდეთ გულგრილად.—არა ჩვენი გაუსვლელობა არ შეიძლება, მხოლოდ ჩვენ გევედრებით რომ ციხე გაამაგროთ და მუყაითათ იყოთ, ჩვენ გავალთ და ვნახოთ ღმერთი რას მოგვცემს. ბურჯ-ვეზირმა ბევრი უშალა მაგრამ არ დაუჯერეს და თორმეტი ათასი ქალის ფალევნებით ციხის კარს გავიდნენ და ერთი საშინელი კიჟინა დასცეს და ამ ზღვისოდენა ლაშქარზე იერიში მიიტანეს. იქიდამ ჯანგირ-ჯადომ ოცი ათასის ჯადოსი და დევის ლაშქრით წინ დაუხვდა, ნახა რომ ორი დიაცნი ფალევნურის იარაღით შეჭურვილნი რაშებზე სხედან, ხელთ თითო ვეშპის მზგავსი ლახტები უჭირავსთ და უკან ათი ათასამდე დიაცის ფალევნები მოსდევენ, ყველას ალმასივით ხმლები ხელთ უჭირავთ და გაცხარებულნი მოდიან.

რა ჯანგირ-ჯადომ ესე ნახა, ერთ დევს ჰკითხა, ეს დიაცნი ვინ არიანო? ან ესე ამაყად ვისზედ უყვირიან ან ვის აშინებენო? დევმა მოახსენა:

ჯადოთ ხელმწიფევ, ეს ორნი წინ მომავალნი დიაცნი ერთი ყარამანის ცოლია, ნარიმანის დედა სარვიხურამანია და მეორე ნარიმანის ცოლია ჭუსნიარა, ორნივ უცხო ფალევანნი არიან, ერთხელ კიდევ ესე გამოვიდნენ და მრავალი ლაშქარი გაწყვიტეს და ნარიმანი ციხეში შეიყვანეს და ახლაც ჩვენ დიდი გაფრთხილება გვმართებს. იმ დევს უწინვე მათი შარბათი ესვა და იმიტომ აფთხილებდა. რა ჯანგირ-ჯადომ ესე შეიტყო, დაიწყო სიცილი და სთქვა: რა უცხო ფეშქაშები არიან ჭაზარექ-დასტისთვისაო. მაშინვე ოცი ათასი ჯადოთ ლაშქარს უბრძანა: წადით ახლავ და ისინი ყველა ცოცხლები დაიჭირეთო და აქ მოასხითო, მაშინვე ოცმა ათასმა ჯადოს ლაშქარმა შელოცვა აღარ იკადრეს და ლახტებით შეუტიეს. რა სარვიხურამანმა და ჭუსნიარამ მათი შემოტევა ნახეს, მათაც გულუშიშრად შეუტიეს, რომელსაც მათი ომი არ ენახათ დიაცად აგდებდნენ და უშიშრად მიდიოდნენ, მაშინ სარვიხურამანი და ჭუსნიარა მათში გაერივნენ და დაუწყეს უწყალოდ ხოცვა, ვისაც რომ ლახტსა სცემდნენ მიწასთან ასწორებდნენ, ვისაც ხმალსა სცემდნენ ცხენსა და კაცს შუა ჭკვეთდნენ, ვისაც ცხენიდამ გლეჯდნენ და მეორეს შესტყორციდნენ ორნივე უსულოდ შეიქმნებოდნენ, რა ჯადოთ ლაშქართა ესე ნახეს, პირი გაიბრუნეს, ესენი ორნი ჯანგირ-ჯადომდინ ხოცვით მიჰყვნენ. რა ჯანგირ-ჯადომ დიაცთაგან ესეთი შნოება ნახა ქება შეასხა და სთქვა, ესენი დიაცნი კი არ ყოფილან ვეშაპნი ყოფილანო. მაშინვე სარვიხურამანისა და ჭუსნიარას სახელი ერთ ქაღალდზე დაწერა და იმ წერილს შეულოცა და მაშინვე სარვიხურამანს და ჭუსნიარას ჭკვა და გონება დაეფანტათ, მკვდრებივით რაშებიდამ ჩამოცვივდნენ, ჯადონი მისცვივდნენ და მაგრა შეჰკრეს და ის ათი ათასნი დიაცის ლაშქარიც ჯადოებით დაიჭირეს. ჯანგირ-ჯადო გაბრუნდა და ის ორნი და ათი ათასნი დიაცის ლაშქარი როშან-ბახტთან მიასხა. როშან-ბახტმა, სამთა ხელმწიფეთა, ზორაბ-ჯადომ და თემურ-ჭინდმა ჰკითხეს: ჯანგირ-ჯადო ეს დიაცნი ვინ არიან? ან სად ინადირეთო? ჯანგირ-ჯადომ მოუგო ესენი არიან ქვეყნის ამაოხრებელნი სარვიხურამანი და ნარიმანის ცოლი ჭუსნიარა და ეს ათი ათასნი ამათ მხლებელნი ლაშქარნი გახლავან, ესენი იმ ოთხთა ფალევნების მისაშველებლად გამოსულიყვნენ, მე რომ ესენი ვნახე ციხიდამ გამოსულნი, მაშინვე ოცი ათასი ჯადოთ ლაშქარი მიუსიე, ოცი ათასიდამ ხუთი ათასი ძლივას გადურჩნენ ამ თმა ასაკვეცებს, მერე ვნახე რომ ესეთი მძლავრები იყვნენ, შეულოცე და ჯადოებით დავიჭირე. რა მათი ვინაობა შეიტყეს მეტი სიხარულით არ იცოდნენ რა ექმნათ, მაშინ ჯანგირ-ჯადომ და ზორაბ-ჯადომ სთქვეს: ამათი შენახვა აქ შეუძლებელია, მეორე ესა რომ წყეული შვიდ-თავიანი ვეშაპი ჭაზარექ-დას-

ტი ძალიან განრისხდება, ამისთვის რომ რვა თვეა რაც გოვთია დევის ლაშქარი აქეთკენ გამოისტუმრა და აქედამ ერთი ამბავიც არ მისვლია, გაჯავრებული აქეთ წამოვა და ნახავს რომ თავის იმოდენა ლაშქრიდამ ოცი ათასი დევი ძლივას დარჩომილა, განრისხდება და ქვეყანას მთლად გაოხრებს და ჩვენც ტანჯვით დაგვხოცავს, ახლა სჯობს რომ ესენი იმას ფეშქაშათ გაუგზავნოთ და იმის გული მოვიგოთ.

მართალია როვშან-ბახტს არ ნებავდა რომ გაეგზავნა ჭაზარექ-დასტის ძღვნად მაგრამ რა ექმნა, მეტი ღონე არ ჰქონდა, იმანაც ნება დართო მაშინვე ერთი კუბო გააკეთეს, ორივე დაბნედილნი შიგ ჩააწვინეს და ჯანგირ-ჯადომ ერთ დევს ერთი წამალი მისცა და უთხრა: როდესაც ეს ძღვენი მიართო ჩვენგან ჭაზარექ-დასტს, ეგ წამალიც მიართვი და უთხარ: როდესაც უნდოდეს ეგ წამალი ასუნებინოს და მაშინვე ამ დიაცებს გაალვიძებს, რა ეს დაასრულეს ათი ათასი მხევლებიც კუბოებში შეკრულები მათვე გატანეს, თხუთმეტი ათასი დევი გააყოლეს და ჭაზარექ-დასტისაკენ გაისტუმრეს, ერთი წიგნიც მისწერეს ესე:

ეს წიგნი როვშან-ბახტისაგან, ჭაზარექ-დასტთან.

„პირველი მონა თქვენი როვშან-ბახტი, მეორე ხურშედ, მესამე აჟიე, მეოთხე ჯუმშედ, მეხუთე ზორაბ-ჯადო და მეექვსე ჯანგირ-ჯადო და მათნი ნაზირ-ვეზირნი და ორმოცდა თხუთმეტი ასი ათასი ლაშქარი მდაბლად თაყვანსა გცემენ და სალამსა გკადრებენ,—ეს მოიხსენიეთ ხელმწიფეო, ჩვენმა რაჯაბ ღმერთმა ესენი თავის წყალობით დაგვაჭერინა და თქვენს წინაშე გაახლეთ, თუ ამათ ვინაობას მოიხსენიებთ, ერთი ყარამანის სატრფო ცოლია სარვიხურამანი, მეორე ნარიმანის სატრფო ცოლი ჭუსნიარა და ეს ათი ათასნი ამათ მხლებელი ლაშქარი გახლავან, ჯერ-ჯერობით ესენი მოგართვით და ნარიმანსაც და სხვებსაც მრავალს შეკრულებს მოგართმევთ და დაგვიანებისთვის კი ნუ გაგვიწყრებით“.—შკაცრავათ კი ვართ ქვეხთან რომ აქომამდე ვერ გაცნობეთ, რომელიც თქვენი სარდალი გოვთია დევი თავის მოწინავე ლაშქრით სულ დაიხჩვნენ, ციხის ძირში ნალმი მისცა მტრის ციხეში შესასვლელად, რომელსაც თხრილი გაეყვანა, იქ მდინარე წყალი ახლო ყოფილიყო და წყალმა გახეთქა, გოვთია დევი თავის ნახევარ ლაშქრით დაიხჩვნენ, იმიტომ დავაგვიანეთ ცნობა“.

ეს წიგნი დაბეჭდეს და დევებს გაატანეს. ისინი იქით გაისტუმრეს და თვითონ კიდევ იმ თადარიკში შევიდნენ რომ ჯანგირ-ჯადო ოცი ათასის ლაშქრით ციხეზე იერიშით მივიდეს, დანარჩენი ლაშქარი ზორაბ-ჯადომ და თემურ-ჭინდმა წაიყვანეს, ქამანდები მოიმარჯვეს და იმ ოთხ ფალავანთ მიმართეს.

## აქ ესენი ამ მზადებაში დაუტეოთ და მცირე რამ ყარამანისა, ქურუკისა და ფარვან-დევის ამბავი მოისმინეით.

რა ყარამანი, ქურუკი და ფარვან-დევი, რამდონი ათასის დევის სარდლებით, დევისა და ფერიის ლაშქრით და რამდენიმე ათასის სხვა და სხვა ჯადოებით უცხოს შექცევით და ნადიმით მოდიოდნენ, მაგრამ ეჩქარებოდნენ გოვთია დევის ჯავრით რომ ნარიმანს და სხვათა არა ავნოსრა: მათ როვშან-ბახტის ლაშქრისა და ჯადოებისა არაფერი იცოდნენ. ერთ დღეს საჭმანმა ნახა რომ ერთი მხრიდამ ცოტა დევის ლაშქარი გამოჩნდა, თავის გუნებაში სთქვა: ეს დევნი სწორეთ ქაბულის მხრიდამ იქნებიან მომავალნი ვნახოთ რა ამბავს იტყვიანო, მაშინვე თავის ალმასის ნაჯახი მხარს გადიგდო, ჭაერში აფრინდა და მათ წინ მივიდა. რა მათ დევთა შორიდამ დაინახეს რომ სამხრეთის კერძოდამ ჭაერი სრულიად დაბნელდა, თვალი კარგათ დააკვირვეს ნახეს რომ მრავალი დევთა ლაშქარია მომავალი, მრავალი უცხო დევის სახელმწიფო ტახტები მოაქვთ, ზედ უცხო დევის სარდლები სხედან და ფალევნებიც მოსდევენ, მათ წინ ერთი დევი მოდის ალმასის ნაჯახი მხარზე გადუდვია, მაშინვე სთქვეს, ეს ჭაზარექ-დასტი უნდა იყოსო და თავის ლაშქარი, სწორედ ეს ჩვენკენ მობრძანდება, რადგანაც ცნობა დაუგვიანეთ, კარგ ალაგს შევხვდით და კარგ ფეშქაშებსაც მივართმევთ, ესე სთქვეს და დაჩუმდნენ. რა საჭმანი მათ მიახლოვდა ნახა თხუთმეტი ათასი დევნი მოდიან და მრავალს კუბოებს ჭკიდიათ და მოაქვთ, მაშინვე სთქვა: ამ წყეულებს ქაბულის ქვეყანაში ტყვეები მოუგროვებიათ და მოჰყავთო, ამათ ჰგონიათ რომ ჭაზარექ-დასტი ცოცხალია, მე ასეთი ოსტატობა უნდა ვიხმარო რომ ასე დატვირთულნი ყარამანთან წავიყვანო, რა ესე იფიქრა კიდეც მიახლოვდა, მიახლოვდა თუ არა ის დევნი საჭმანს იცნობდნენ, ერთმანერთს უთხრეს: ვაჰ, ახლა რა ვქმნათ საჭმან-ადამზადია ქვეყნის ამაოხრებელი, პირდაპირ ჩვენთან მოდის, მოდი ჩვენ გავიქცეთო, ვგონებ რომ ეს ჭაზარექ-დასტის ლაშქარი არ უნდა იყოსო, ამ განზრახვაში რომ იყვნენ, საჭმანმა დაუძახა, ჰეი ძმანო! საიდამ მოხ[illegible]ან სად მიხვალთ? მიფრთხილდით და თავმდაბლად მოდით რომ ქვეყნის დევების ხელმწიფე ჭაზარექ-დასტი მოდის არამც თუ გაგვიწყრეთო.

ამათ რომ ჭაზარექ-დასტის სახელი გაიგონეს სიხარულით საჭმანთან მივიდნენ და მოახსენეს: ჩვენც მის სამსახურში გიახლებითო და მისთვის საუკეთესო ფეშქაშები მოგვაქვსო, საჭმანმა ჰკითხა: მაგ კუბოებში რანი არიან? მათ მოახსენეს როდესაც ხელმწიფესთან მივალთ მაშინ შეიტყობთ,

ჩვენმა უფროსმა ესე დაგვარიგა, სანამ ჰაზარექ-დასტს არ მაართოთო მანამ ნურავის ნუ უჩვენებთო ნურც ეტყვითო. საჰმანს მაშინვე უნდოდა შეეტია და კუბოები დაეურევინებინა, მაგრამ მოითმინა და წინ გამოუძღვა, ქარამანისაკენ წამოიყვანა, რა მოახლოვდნენ, ნახეს რომ აღმოსავლეთიდამ დასავლეთამდე რაც დევნი და დევის სარდლები და ნაქები ჯადონი არიან სულ იქ შეეყრილიყვნენ, შუაში ორმოცდა ოთხი ალმასით მოჭედილი ტახტი მოჰქონდათ, იმათ შუა ერთი ტახტი მოჰქონდათ რომელიც ჰაზარექ-დასტისას ჰკავდა, მაგრამ ზედ ორი ფალევანი ისხდნენ, ერთი უფრო შეათანა ხნის კაცია და მეორე უმაწვილი ფალევანია, ორივე ასეთი სახის მქონებელნი არიან რომ მათ შემხედავთ გულები დაუსქდებოდათ. ორნივე ასეთი საშამაცო იარაღით არიან შეკაზმულნი რომ იმ დევებს იმისთანა იარაღები არ ენახათ თავიანთ სიცოცხლეში, პატარა ფალევანს ჰაზარექ-დასტის გურზი, ოთხმოც ლიტრიანი ლახტი და ქამანდი გვერდით ეწყო. ამ დევთა აქეთ იქით თვალი დააკვირვეს და ჰაზარექ-დასტი კი არსადა სჩანდა, იმ ორ ფალევან შუა ერთი მზის მზგავსი და მთვარის უმჯობესი ბრწყინვალე ქალი იჯდა და მეორე მხარეს მეორე ტახტზე, შაჰპალშაჰა იმის მეუღლე უამარლუხი და იმათი შვილი ბარამ-ჯიბილი. დევებმა ესენი რომ ნახეს გაჰკვირდნენ და დიდ განკვირვებით ყურება დაუწყეს.

(გაგრძელება მეცხრე კარში იხილეთ).

891.51
9285



